



სოლანდ
თოფჩიშვილი

დვალეთი
და დვალეები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

დ ვ ა ლ ე თ ი და დ ვ ა ლ ე ბ ი

საქართველოს დაკარგული ისტორიულ-
ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი
ეთნოგრაფიული ჯგუფი

მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა

თბილისი
2021

РОЛАНД А. ТОПЧИШВИЛИ. ДВАЛЕТИ И ДВАЛЫ: ПОТЕРЯННАЯ ИСТОРИКО-ЭТНОГРАФИЧЕСКАЯ ОБЛАСТЬ ГРУЗИИ И ИСЧЕЗНУВАЯ ЭТНОГРАФИЧЕСКАЯ ГРУППА ГРУЗИН, ТБИЛИСИ, 2021.

ქართველმა ხალხმა ეთნიკური ისტორიის რთული გზა განვლო. XV საუკუნის ბოლოს ქვეყანა დაიშალა, რის შემდეგაც კონსოლიდირებული ქართველი ერის ეთნიკური მრუდი დაღმა დაეშვა, ქართველ ერში დეზინტეგრაციის პროცესი დაიწყო. მთელ რიგ ტერიტორიულ-/ლოკალურ ერთეულებში ეთნიკურ ქართველებს სხვა ეთნოსები ჩაენაცვლნენ. ქართველთა გამქრალ ეთნოგრაფიულ ჯგუფს შორის დვალელებიც აღმოჩნდნენ. ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ოსი მეცნიერები საქართველოს ძირძველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – დვალეთის მკვიდრთ ოსებად მიიჩნევენ და ბევრ მითოლოგემას ქმნიან, რომელთაგანაც საბჭოთა პერიოდის ე.წ. სამხრეთ ოსეთისათვის „ამიერკავკასიის დვალეთის“ სახელწოდების შექმნის დასახელებაც კი საკმარისია. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია დვალეთისა და დვალეების შესახებ არსებული სხვადასხვა მონაცემები და მიღებულია დასკვნა, რომ ცენტრალურ კავკასიაში მდებარე დვალეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის დღიდან მისი განუყოფელი ნაწილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და დვალეები ეთნიკური ქართველები, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო.

რედაქტორები:

გიორგი ჭეიშვილი

აპოლონ თაბუაშვილი

რეცენზენტები:

სალომე ბახია-ოქრუაშვილი

ნიკო ოთინაშვილი

©როლანდ თოფჩიშვილი, 2021

ISBN 978-9941-498-33-6

ივანე ჯავახიშვილი დვალეთის შესახებ

„დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული. ეს ქვეყანა ყოველმხრივ მარადთოვლიან მთებით არის გარშემოზღუდული ისე – კი, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქედი, ე.ი. პირიქითელი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთ ალაგს გარდა სრულიათ გაუვალია. ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო. ძველითგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ საზღვარს განსაკუთრებული ყურადღება მე-XII-ე ს-ითგან მიექცა და პოლიტიკურადაც მტკიცედ აქ ქართველობამ ფეხი დავით აღმაშენებლის დროს მოიკიდა (ცხოვრება მეფისა დავითისი, გვ. 301; ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 515). შემდეგშიაც თვით საქართველოს პოლიტიკურ დაუძღურების დროსაც, XVIII ს-ის დამდეგსაც, დვალეთი ქართველთა ხელში იყო და ვახუშტის მოწმობით „მეფეთა ქართველთა... მისცემენ დღემდე ხარკსა“.

* * *

„...უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინან-
დელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქნას: რუსეთის
მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ანუ არ-
დონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთ საქართველოს,
ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს. მაშინ ამ ადგილას
საქართველოს სამზღვარი იმ ხაზს გაჰყვება, რომელიც
ხოხის მთას (ადაი ხოხ) და ახოტის (არხონ) შუა გაივ-
ლის”.

* * *

*„ამ რაიონში არის 11 გადმოსასვლელი ჩრდილოეთიდან
სამხრეთში (საუბარია დვალეთიდან შიდა ქართლში, ხევსა და
რაჭაში არსებულ გადმოსასვლელებზე – რ. თ.) და რომ იგი,
თუ სამხრეთის ოსები მტრულად იქნენ განწყობილნი საქარ-
თველოს მიმართ, დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნი-
სათვის, მუდამ საჭირო იქნება საგრძნობი ქართველების ყოფ-
ნა ამ გადმოსასვლელების დასაცავად. თუ საქართველოს არ
უნდა, რომ ყოველთვის საფრთხის წინ იდგეს, მან ისე, რო-
გორც ძველად მას ეკუთვნოდა, უნდა დაიბრუნოს დვალეთი,
სადაც ჩრდილოეთიდან არის მხოლოდ ერთი გადმოსასვლე-
ლი არდონის კარი, რომლის ჩაკეტვას დიდი ძალა არ სჭირ-
დება და რომლის დაჭერაც იქნება უდიდესი გარანტი იმისა,
რომ ჩვენ სამშობლოს ჩრდილოეთიდან მტრების დაცემის ხი-
ფათი არ აშინებდეს“.*

შესავალი

საქართველო, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყანა, ტერიტორიულ/ლოკალურ ერთეულთა ერთიანობას წარმოადგენდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის ისტორიულ-ეთნოგრაფიული/ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულებისაგან შედგებოდა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრებს გარკვეული ეთნოგრაფიული თავისებურებები გააჩნდათ. ეთნოგრაფიული ერთეულები დიალექტური (ზოგჯერ მკვეთრად გამოხატული) თავისებურებებითაც გამოირჩეოდნენ. ეთნოგრაფიულ ჯგუფთა სიმრავლეს და თავისებურებებს კი განაპირობებდა ის რთული და ფრიად განსხვავებული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და ლანდშაფტი, რომელშიც ქართული ეთნოსი ჩამოყალიბდა და რომელშიც მას უხდებოდა საუკუნეების განმავლობაში არსებობა. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ქართველი ხალხი თავისი განსახლების არეალში ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში იმყოფებოდა. ქართული კულტურის სიმდიდრე და მრავალფეროვნება ლანდშაფტური მრავალფეროვნებითაც იყო განპირობებული. უფრო შორსაც რომ წავიდეთ, ქართველი ხალხის სამოღვაწეო ასპარეზი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სამი გეოგრაფიული ზონა იყო: მთა, მთისწინეთი (ზეგანი) და ბარი (დაბლობი). ამავე ფაქტორებმა ხელი შეუწყო საუკუნეების სიღრმეში წარმოქმნილი ქართველი ერის გადარჩენაც.

ქართულ წყაროებსა და წერილობით ძეგლებში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები და ამ მხარეებში მკვიდრი ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები, ბუნებრივია, დასახლებული არიან, ზოგი უფრო ბევრჯერ, ზოგი შედარებით ნაკლებად, რასაც თავისი მიზეზები აქვს. ქართველი მემკვიდრეები ძირითადად პოლიტიკურ მოვლენებს აღრიცხავდნენ და ამა თუ იმ პოლიტიკურ ფაქტთან ის-

ტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარებსა და შესაბამის ეთნოგრაფიულ ჯგუფსაც ახსენებდნენ.

ისევე, როგორც ყველა ქვეყანა და, შესაბამისად, ყველა ეთნოსიც, საქართველოც და ქართველი ხალხიც მუდმივ ცვლილებას განიცდიდა, ზოგიერთი მათგანი მუდმივად ფართოვდებოდა, ზოგიერთი კი, პირიქით, მცირდებოდა. საქართველომ თავისი ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგა და ქართველთა განსახლების არეალი სხვა ეთნოსთა განსახლების არეალად იქცა. ასეთი პოლიტიკური და ეთნიკური ცვლილება ძირითადად განაპირა მხარეებსა და ამ მხარეებში მცხოვრებ ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შეეხო. ასე რომ, ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი საერთოდ გაქრა, ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ორ ნაწილად გაიყო, ზოგიერთი რამდენიმე პატარა ეთნოგრაფიული ერთეული კი ერთ ტერიტორიულ ერთეულად ჩამოყალიბდა. ცვლილებები მოხდა ქვეყნის არა მხოლოდ აღმოსავლეთით და სამხრეთით, არამედ საქართველოს ჩრდილოეთითაც. მაგალითად, ადრე შუა საუკუნეებში წყაროებში მოხსენიებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ნანარეთი და აქ მცხოვრები ნანარები შემდგომ ეპოქაში უკვე აღარ იხსენიება. ანალოგიური ვითარება შეიქმნა ცენტრალურ კავკასიაში, სადაც დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე მდებარეობდა და სადაც ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი – დვალეები მკვიდრობდნენ.

ქართული ეთნოგრაფიული და საისტორიო მეცნიერება საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ/ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს თავის დროზე სათანადოდ სწავლობდა, მაგრამ ეს შესწავლა და ინტერესი თანაბარი არ ყოფილა. ზოგიერთ მათგანს მეტი ყურადღება დაეთმო, ზოგიერთს – ნაკლები. აღნიშნული მხარეების სრულყოფილი სამეცნიერო შესწავლა მომავლის საქმეა.

დიდი იყო ინტერესი დვალეთის და დვალეების მიმართ, რაც განპირობებული იყო გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთიდან სხვა ეთნოსის წარმომადგენელთა მიგრაციით, და მათი აქ დასახლკარების შემდეგ, ეთნიკური ვითარების შეცვალა. რამდენიმე ფაქტორის გამო (ოსთა თარეშები, შავი ჭირის ეპიდემია, ბარში ხშირი ომიანობის შედეგად ბევრი ნასოფლარის გაჩენა...) ქართველთა ადგილობრივ ეთნოგრაფიულ ჯგუფს სხვა, მოსული ეთნოსი ჩაენაცვლა. ადგილზე დარჩენილი ქართველი მთიელების მცირე რაოდენობა, აღმოჩნდა რა მოსულთა ენობრივ-ეთნიკურ გარემოში, დროთა განმავლობაში გაოსდა. როგორც ხშირად ხდებოდა მოსულმა ეთნიკურმა ერთობამ ადგილობრივი დვალეების სახელწოდება მიიღო და იმდროინდელმა ქართულმა ისტორიოგრაფიამაც (ვახუშტი) იქამდე უცნობი ორმაგი სახელწოდება – „დვალნი ოსნი“ – შექმნა.

XX საუკუნეში ოსმა მეცნიერებმა დვალეთი ოსთა განსახელების უძველეს არეალად გამოაცხადეს და დვალეები – ოსებად. მას შემდეგ, ბუნებრივია, ეს პრობლემა ქართველ მეცნიერთა კვლევის საგნად იქცა, რომელთაგანაც, პირველ რიგში, *დავით გვრიტიშვილი* და *ვახტანგ გამრეკელი* უნდა დასახელდეს. ამ სფეროში შემდეგ კალამი სხვებმაც მოსინჯეს. მიუხედავად ამისა, ოსი მეცნიერები მიზანმიმართულად უარყოფენ დვალეების ქართველობას და დვალეთად აცხადებენ მთელ ე. წ. სამხრეთ ოსეთს და მის მიმდებარე ტერიტორიებს, ის კი არა და „ამიერკავკასიის დვალეთის“ ხელოვნური სახელწოდებაც კი შექმნეს. ყოველგვარი სამეცნიერო ჩარჩოებიდან ამოვარდნილნი იგნორირებას უწევენ ქართველ მკვლევართა გამოკვლევებს, რომლებიც არგუმენტირებულია და რომლებიც უტყუარ წერილობით ძეგლებს ეყრდნობა. წინამდებარე წიგნი სწორედ ამ პრობლემას – დაკარგულ ის-

ტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს – დვალეთსა და ქართველთა გამქრალ ეთნოგრაფიულ ჯგუფს – დვალეებს ეძღვნება.

დვალეთითა და დვალეებით 1980-იან წლებში დავინტერესდით, როდესაც საქართველოში ოსთა მიგრაციის პრობლემაზე ვმუშაობდით. დვალთა ეთნიკური ვინაობა ჩვენი 1997 წელს დასტამბული მონოგრაფიის – „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები“ – პირველ მონაკვეთსაც მოიცავდა, ვინაიდან ეს ორი პრობლემა ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. შემდეგ დვალეების შესახებ კიდევ რამდენიმე ნაშრომი დავბეჭდე. ადრე გამოთქმული ზოგიერთი შეხედულებაც გადაისინჯა. პრობლემის აქტუალობის გამო, საჭიროდ ვცანით სხვადასხვა მცირეტირაჟიან სამეცნიერო გამოცემებში დაბეჭდილი ნაშრომების ერთად, ერთ ნიგნში თავმოყრა. ნიგნზე მუშაობის დროს ბევრი საისტორიო და ეთნოგრაფიული ფაქტი ხელახლა იქნა გააზრებული, ბევრი ახალი მონაცემიც იქნა მოძებნილი. მონოგრაფიის ახლა დაბეჭდვას გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია, რადგან საქართველოს ძირძველი ტერიტორიების მიმტაცებლებს ახალი მადა გაუჩნდათ და საქართველოს სხვა ტერიტორიებს დაადგეს თვალი – შიდა ქართლის ტერიტორიის კიდევ დიდ ნაწილს, მტკვრის ხეობის მარცხენა სანაპიროს და არაგვის ხეობის მარჯვენა მხარეს ალანიის/ოსეთის უძველეს მხარედ აცხადებენ და ე. წ. ისტორიული სამართლიანობის აღდგენაზე, აღნიშნული ტერიტორიების სასწრაფოდ „დაბრუნებაზე“ ოცნებობენ. ამდენად, ახალ აგრესიულ ზრახვებს ყალბი ისტორიით ასაფუძვლებენ. ქართველ მეცნიერთა ამ სფეროში დაგეგმილ პროექტებს კი ხელისუფლებისა და მისი სხვადასხვა სტრუქტურებისაგან არავითარი მხარდაჭერა არაა აქვს.

მიგვაჩნია, რომ ოსური საკითხი საქართველოში ყველას გათავისებული უნდა ჰქონდეს. ამ პრობლემასთან უშუალოდ

და მჭიდროდ დაკავშირებულია დვალეთისა და დვალთა სა-
კითხი. ეს პრობლემა კი ქართველი ხალხის ეთნიკური ისტო-
რიის უმიშვნელოვანესი პრობლემაა და მასზე არა ზერელე
და ყურმოკრული წარმოდგენები უნდა გვექონდეს, არამედ ვი-
ცოდეთ რეალური ფაქტები. მავანნი დღეს ქართველ ხალხს
ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებენ, მაშინ როდესაც ჩვენ
გვაქვს ეს ტერიტორიული პრეტენზიები ნასაყენებელი, რად-
გან იმპერიამ 1859 წელს საქართველოს ჩამოაცილა დვალე-
თის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, რომლის ფართობიც
3.581 კვადრატული კილომეტრი გახლავთ და რომელიც მაშინ
თბილისის გუბერნიის გორის მაზრის შემადგენლობაში „ნა-
რას უჩასტკის“ სახელწოდებით შედიოდა.

I. წერილობითი წყაროები დვალეთისა და დვალეების შესახებ. საკითხის შესწავლის ისტორიოგრაფია

ეთნოისტორიული თვალთახედვით დვალეთი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, იმის გამო, რომ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, აქ ქართული ეთნიკური ერთეული არაქართული ეთნიკური ერთეულით შეიცვალა – ქართველი მთიელების ადგილი ეთნიკურმა ოსებმა დაიკავეს და კიდევ იმიტომ, რომ ცარიზმმა ძირძველი ქართული მიწა-წყალი საქართველოს (მაშინდელი თბილისის გუბერნიის გორის მაზრას) ჩამოაჭრა და თერგის ოლქს გადასცა. წინამდებარე წიგნის მიზანია პასუხები გაეცეს შემდეგ საკითხებს: რა ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა აქ? როდის და როგორ მოხდა ეთნოსების ეს შეცვლა?

ქართველ მეცნიერებს აქამდეც მიუქცევიათ აღნიშნული საკითხებისადმი ყურადღება. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეს პრობლემა მას შემდეგ, რაც დვალეების ოსური წარმომავლობის შესახებ ოსი ავტორების არაარგუმენტირებული ნაშრომები გამოჩნდა; ხდება ისტორიის შეგნებული გაყალბება, რაშიც მათ, თავის დროზე, ზოგიერთი ქართველი მეცნიერის ჰაიჰარად, არაარგუმენტირებულმა გამონათქვამმაც შეუწყო ხელი.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დვალთა ეთნიკური ვინაობის საკითხი მეცნიერებაში მჭიდროდაა გადაჯაჭვული ოსთა საქართველოში მიგრაციასთან. დვალეების ოსებად გამოცხადება საქართველოში ოსთა მიგრაციის დაძველების მცდელობით არის გამოწვეული.

პირველი ქართველი ავტორი, რომელმაც უარყო დვალთა ოსობა დავით გვრიტიშვილი იყო,¹ თუმცა მან ოსთა საქართველოში მიგრაციის დროდ XIII საუკუნე მიიჩნია, რაც მხოლოდ ვარაუდი იყო და არცერთ მყარ მეცნიერულ არგუმენტს არ ეყრდნობოდა. უფრო რომ დავაზუსტოთ, დ. გვრიტიშვილმა გაიმეორა ნიკო ბერძენიშვილის შემოთავაზებული თარიღი, რაც არავითარ წყაროსა და არგუმენტირებულ ფაქტს არ ემყარებოდა.

ვახტანგ გამრეკელმა დამაჯერებლად უარყო ოსთა საქართველოში მიგრაციის დაწყება XIII საუკუნიდან, თუმცა მის მიერ ამ პროცესის დათარიღებაც (XV საუკუნე) არაა მისაღები. ამ ავტორის დიდი მეცნიერული დამსახურებაა ის, რომ, მან არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ დვალებს არავითარი საერთო არ ჰქონდათ ოსურ ეთნიკურ სამყაროსთან. აჩვენა, რომ ძველ ქართულ საბუთებსა და წყაროებში მოხსენიებული დვალეები არ იყვნენ ოსები, რომ ქართული წყაროები ყოველთვის მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან დვალებსა და ოსებს. ვ. გამრეკელმა თავის მონოგრაფიაში დვალეებში ადგილობრივი კავკასიური, ვაინახური ტომი შეიქცნო,² თუმცა, მანვე, მოგვიანებით, დვალეებში ქართველური (ზანური) ელემენტიც დაინახა.³ საამისო მასალის წარმოდგენის საშუალება კი ქართულ ენციკლოპედიაში მას არ ჰქონდა. საერთოდ, ვ. გამრეკელმა, დვალეების ეთნიკური ვინაობის კვლევის თვალთახედვით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთგვარი ეტაპი შექმნა, რის გაუთვალისწინებლობა და უგულვებელყოფა მხოლოდ ზიანს მოუტანს ქართულ მეცნიერებასა და ქართულ საქმეს. მეცნიერს თავდაპირველი დვალეები ვაინახებად მიაჩნდა და აღნიშნავ-

¹ დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის – მიმომხილველი, თბ., 1949, გვ. 109-121.

² В. Н. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961.

³ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 3, 1978.

და, რომ ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას ლეონტი მროველისა და ვახუშტის თხზულებები იძლევაო.⁴ დავსძენთ, რომ არც ლეონტი მროველისა და არც ვახუშტის ტექსტები ასეთი არა მხოლოდ დასკვნის, არამედ ვარაუდის საშუალებას არ იძლევა. ქართული წყაროთი ვაინახური ელემენტის დასახლება საქართველოს მთიანეთში მოხდა მეფე საურმაგის დროს. ბუნებრივია მათი განსახლების არეალში დვალეთიც მოხვდებოდა. ისინი აქ ჯგუფურად კი არ დასახლებულან, არამედ განთესილი იქნენ, როგორც ჩანს, მთიდან ბარში გადასახლებული ქართველების ადგილებში. წყაროებით საქართველოს მთიანეთში შემდეგ ეპოქებში ძურძუკები აღარ ჩანან, რაც უდავოდ მათმა განთესვამ განაპირობა. ასეთი სახით გამოსახლებულები კი ქართულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში მალევე გაქართველდნენ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ოსთა საქართველოში მიგრაციის საკითხის გადასაწყვეტად ნამდვილად მნიშვნელოვანია დვალთა ვინაობის საკითხის გარკვევა. ვახტანგ გამრეკელმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ დვალები ოსები არ იყვნენ, რომ ისინი ადგილობრივ კავკასიურ ერთობას წარმოადგენდნენ, რომ ოსთა დვალეთში მიგრაციის შედეგად მოხდა ისეთი ეთნოისტორიული პროცესები, რამაც გამოიწვია დვალთა ოსურ ეთნიკურ გარემოში მოქცევა და მათი გაოსება. მოსული ოსებისა და დამხვდური დვალების ასიმილირებულმა ერთობამ შეინარჩუნა ადგილობრივთა სახელწოდება და დვალეთში მცხოვრები ოსები თავიანთ თავს, სხვა ოსებისაგან გამოსაცალკევებლად, „თუალს“ უწოდებდნენ.

ოსი მეცნიერები, იმის გამო, რომ დვალეთში მცხოვრები ოსები თავის თავს „თუალს“ უწოდებდნენ, ყოველგვარი სხვა წყაროების უგულვებელყოფით ავითარებენ და ნერგავენ იმ აზრს, რომ დვალები თავიდანვე ოსები იყვნენ. აქ მხოლოდ

⁴ В. Н. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961, с. 18.

ერთი კონტრარგუმენტით დავკმაყოფილდებით: თუ დვალები თავიდანვე ოსური ტომი იყო, საკითხავია, რატომ არ ლაპარაკობდნენ ისინი ოსური ენის დვალურ დიალექტზე (ასეთი დიალექტი საერთოდ არ არსებობს) და არა ირონულ დიალექტზე, რომელიც მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ კი ძირითადად ალაგირიდან ჰქონდათ მოტანილი?

ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევი ძველ დვალებს არა ირანულენოვან ოსებად, არამედ იბერიულ-კავკასიურ ტომად მიიჩნევდა. საყურადღებოა, რომ ასეთი დასკვნა მას გამოაქვს ოსური ენისა და ტოპონიმების შესწავლის შედეგად.⁵

დვალების ვაინახური წარმომავლობის ვერსია ეჭვქვეშ დააყენა ნ. ვოლკოვამ. ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ წამოყენებული არგუმენტები მან დამაჯერებლად არ მიიჩნია. ნ. ვოლკოვას უფრო დამაჯერებლად მიაჩნია ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების დვალების (აგრეთვე, წანარების) საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენობრივი წრისადმი მიკუთვნება.⁶ ნ. ვოლკოვამ დვალების ოსებთან მიმართებისა და მათი ასიმილაციის საკითხებიც განიხილა. მეცნიერი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში (მათ შორის, დვალეთშიც) ალან-ოსების მკვიდრობას გამორიცხავს VI-VII საუკუნეების წინარე ხანაში.⁷ ნ. ვოლკოვა ავლებს დიდ ზღვარს VI-VII საუკუნებამდელ ალანებსა (რომლებიც IV საუკუნის ავტორის ამიანე მარცელინის მონაცემებით ბინადრობდნენ სკვითების სტეპებში და ჰუნების მსგავსად ცხოვრობდნენ კიბეტებში (დახურულ, ჩარდახიან ურმებში) და არ იცოდნენ მინათმოქმედება) და შემდეგდროინდელ ალანებს შორის. VI-VII საუკუნეებიდან ალანები თავის ისტორიულ არსებობას იწყებენ კავკასიურ

⁵ В. Абаев. Осетинский язык и фольклор, I, М.-Л., 1949.

⁶ Н.Г. Волкова. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 123-124..

⁷ იქვე, გვ. 101, 104.

ნიადაგზე და სწრაფად კარგავენ იმ ეთნოკულტურულ თავისებურებებს, რომლებიც მათ აკავშირებდათ ანტიკურ ალანებთან.⁸

სომხურ გეოგრაფიაზე დაკვირვება ნ. ვოლკოვას აფიქრებინებს, რომ VII საუკუნემდე არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვივარაუდოთ ცენტრალური კავკასიის მაღალმთიანეთში მცხოვრები დვალეების ენობრივი ირანიზაცია.⁹ თუმცა მისთვის დვალეების შემდეგდრონდელი ისტორიული ბედი გაურკვეველია. მისი სიტყვებით, ძნელია ქრონოლოგიურად განვსაზღვროთ ალანების მიერ დვალეების ასიმილაციის დამთავრება და დავადგინოთ დასრულდა თუ არა ის მონგოლთა შემოსევამდე, ან მხოლოდ XIII-XIV საუკუნეებში, ანდა, აგრეთვე, გავარკვიოთ მოხდა თუ არა ძველი, დვალური მოსახლეობის განდევნა მოსული ალანების მიერო.

ნ. ვოლკოვა იმასაც აღნიშნავს, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული ქართული წყაროები, ოსებისა და ოსეთის გვერდით, არაერთგზის იხსენიებენ დვალეებსა და დვალეთს, თუმცა, ეს მისთვის არაა სრული საფუძველი დაინახოს რეალური ეთნოლინგვისტური განსხვავება დასახელებულ ორ ეთნონიმს შორის. შესაძლოა იგი გამოხატავდეს მთელი ეთნოსისა (ოსი) და მისი ლოკალური ჯგუფის (დვალის) ურთიერთმამართებასო.¹⁰ ქართულ წყაროებში დვალეებისა და ოსების გამოყოფა შუა საუკუნეების პერიოდში ჯერ კიდევ არ შეიძლება იყოს მათი ეთნიკური განმასხვავებლობის დამადასტურებელი. მსგავს განსხვავებას შეიძლება ჰქონოდა რაიმე რეალური ნიადაგი და შესაძლებელია ასახავდეს შორეული წარსულის ეთნიკურ სიტუაციას, როცა დვალეები ნამდვილად იყვნენ

⁸ იქვე, გვ. 105-106.

⁹ იქვე, გვ. 113

¹⁰ Н.Г. Волкова. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 114

სხვა ეთნიკური ძირისანი. ამ შემთხვევაში კომენტარის სახით მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ნ. ვოლკოვა სრულად ვერ ფლობს ქართულ საისტორიო წყაროებს („ძეგლი ერისთავთა“, ვახუშტი ბაგრატიონი), რომლებითაც აშკარად ხაზი ესმის სწორედ XIII-XIV საუკუნეებში ოსთა და დვალთა ეთნიკურ დაპირისპირებას და უფრო მოგვიანებით ოსთა მიერ დვალეზის ეთნოლინგვისტურ ასიმილაციას.

ნ. ვოლკოვა განაგრძობს, რომ გვიანი შუა საუკუნეების ქართული წყაროები აგრძელებენ დვალეზისა და ოსების დაპირისპირებას, მიუხედავად იმისა, რომ დვალეები უკვე ლაპარაკობდნენ ოსურადო. ასეთი ცნობები აქვთ XIII საუკუნის დასაწყისის ქართველ ისტორიკოსს ბასილ ეზოსმოდვარს და XV საუკუნის სომეხ ავტორს თომა მენოფელს. მოაქვს ნაწყვეტი თომა მენოფელის „თემურ-ლენგის ისტორიიდან“, რომელშიც ქართლის რამდენიმე ენაა დასახელებული და მათ შორის, დვალურიც, მეგრულთან, აფხაზურთან, სვანურთან და ქართულთან ერთად. ნ. ვოლკოვას კომენტარი ასეთია, რომ ამ პერიოდში (ლაპარაკია XV საუკუნეზე) ოსები და დვალეები ეთნიკურად ერთ მთლიანს წარმოადგენდნენო.¹¹ რანაირად წარმოადგენდნენ XV საუკუნეში ოსები და დვალეები ერთ ეთნოსს, ერთ ეთნიკურ ერთეულს, როდესაც იმავე სომეხი ისტორიკოსისათვის ოსური და დვალური სხვადასხვა ენებია?

ნ. ვოლკოვა დვალეებსა და ოსებს შორის ეთნიკურ განსხვავებას ხედავს მხოლოდ ანტიკურ პერიოდში. გვიანი შუა საუკუნეების მთელ ეპოქაში დვალეებს ოსებთან აიგივებს, ამბობს რა, რომ დვალეების სახელი შეესატყვისებოდა ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანეთის ოსურენოვან მოსახლეობასო.¹²

¹¹ Н.Г. Волкова. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 114

¹² იქვე, გვ. 115

ისიც უნდა ითქვას, რომ ნ. ვოლკოვა არ იზიარებს ბ. კალოვისა და სხვათა შეხედულებას ანტიკური ეპოქის დვალეზის ირანულენოვან ხალხად მიჩნევის შესახებ. არქეოლოგიური მასალებით, ოსები (ალანები) ოსეთის მაღალმთიანეთში VII-VIII საუკუნეებში არიან მოსულიო და, ალბათ, ამ დროს უნდა მივაკუთვნოთ დვალური მოსახლეობის ირანიზაციის დანყებაო. ნ. ვოლკოვას გამოაქვს დასკვნა, რომ კავკასიურენოვანი ხალხის – დვალეზის ასიმილაცია ოსებმა მოახდინეს ადრე შუა საუკუნეებში, თუმცა ასიმილაციაზე მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, თუ ალანებმა დვალეთიდან დვალეზი საერთოდ არ გააძევესო. აქ შეუძლებელია კომენტარი არ გავაკეთოთ: რა წყაროებით ასკვნის რუსი ეთნოლოგი, რომ ალან-ოსები კავკასიის „მაღალმთიანეთში“ VII-VIII საუკუნეებში მიგრირდნენ? ან რამ გამოიწვია მათი კავკასიის მთებში დასახლება? ან რა მასალით დასტურდება აღნიშნულ პერიოდში დვალეზის ირანიზაცია? საამისო წყაროებს ის არ მოიხმობს და, ბუნებრივია, ვერც მოიხმობდა, რადგან ის არ არსებობს. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ალან-ოსური ეთნიკური ელემენტი კავკასიის მთებში მართლაც იყო შესული, მაგრამ არა ცენტრალურ კავკასიის მთებში, არამედ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთებში, დღევანდელი დიგორიისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე. ეს რომ ასე იყო, ამას ანტიკური წყაროებიც ადასტურებენ, რომელთა მიხედვითაც მთებში შესული ოსები მხოლოდ სვანებსა და აფხაზებს ემეზობლებოდნენ.

ნ. ვოლკოვასათვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ანტიკური ეპოქის დვალეზის სალაპარაკო ენის რაობაც და არ ემხრობა მათი ნახური სამყაროსადმი მიკუთვნებას. ნ. ვოლკოვა ამ შემთხვევაში მართალი გახლდათ. დვალეზი ვაინახები ნამდვილად არ ყოფილან. ეს საკითხი შემდეგ ვახტანგ გამრეკელმაც უარყო. ამას ისიც გამორიცხავს, რომ ოსურ ენაში ლინგვისტი ვ. აბაევი საერთოდ არ ადასტურებს ვაინახურ

სუბსტრატს. ამავე დროს, ვაინახური ტოპონიმები არ დასტურდება დვალეთის ტერიტორიაზე.

ნ. ვოლკოვას დვალეების, დვალეებისა და ალან-ოსების ურთიერთმიმართების შესახებ მსჯელობიდან, პირველ რიგში, ის უნდა ითქვას, რომ ავტორი სათანადოდ არ იყენებს ქართულ წყაროებს, ანდა, თუ იყენებს, არ ენდობა მათ. ოსი ავტორებისაგან განსხვავებით, ნ. ვოლკოვას ნაშრომში პოზიტიურია ის, რომ დვალეები მას არ მიაჩნია ოდითგანვე ოსურ ტომად. ის ხაზს უსვამს, რომ დვალეები ადგილობრივი კავკასიური ეთნოლინგვისტური ერთეული იყო, რომლებიც ალან-ოსების მოსვლის შემდეგ გაოსდნენ. თუმცა, მის მიერ შემოთავაზებული თარიღი დვალეების გაოსებისა, მეცნიერული თვალსაზრისით, არაფრით არაა მისაღები, რადგან გარკვეულ ნაწილში იგი ეყრდნობა ოსი ავტორების (განსაკუთრებით, ბ. კალოვის) ტენდენციურ და წინასწარი წარმოსახვით მიღებულ დასკვნებს, დვალეების, დვალეებისა და ალან-ოსების ურთიერთმიმართების შესახებ.

ისტორიკოსი ზ. ვანევეი დვალეების ოსური წარმომავლობის დადასტურებას შეუძლებლად მიიჩნევდა და „დვალეებს“ მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად აღიარებდა და ხაზს უსვამდა, რომ ეს ტერმინი რაიმე კულტურულ მიკუთვნებულობასთან სრულადაც არაა დაკავშირებული.

ოს ავტორთაგან ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში დვალეების ოსური წარმომავლობის დასადასტურებლად განსაკუთრებით „ილწვის“ *ნ. ვაგლოითი*.¹³ ამ თვალსაზრისით მისი ნაშრომები ფსევდომეცნიერულია. ასეთი ტენდენცია კი კარგა ხანია გაჩნდა ოს მეცნიერთა შორის, რომლებიც ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ეხებიან და საკუთარი ეთნოსის საქართველოს ტერიტორიაზე საუკუნეების მიღმა მკვიდრო-

¹³ Ю. Гаглойти. Алано-Георгика. Сведения грузинских источников об Осетии и осетинах. Владикавказ: Ир, 2007.

ბის დამაჯერებლობის შესახებ უამრავ მითოლოგემას ქმნიან. ი. გაგლოითი დიდი ხანია მიხვდა, რომ ოსები საქართველოში ძალიან გვიან არიან მიგრირებული და მათი აქ მკვიდრობის დაძველების ერთადერთ გზად დვალეების ოსებად გამოცხადებალა დარჩა. ამის გამო, ეს მეცნიერი ყოველგვარი არგუმენტების გარეშე დვალეებს (თუალებს) ოსურ ეთნოტერიტორიულ (სატომო) ერთეულად მიიჩნევს, დვალეთს კი ცენტრალურ ოსეთად აცხადებს („ცენტრალური ოსეთი“ ისეთივე ხელოვნურად შექმნილი ტერმინია, როგორც „სამხრეთ ოსეთი“). მისი „მტკიცებით“ დვალეთი ფაქტობრივად მთელ ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და თანამედროვე ყაზბეგის რაიონსაც მოიცავდა, თურმე მალრან-დვალეთი (ოსურად „ურსთუალთა“) 20 სოფლისაგან შედგებოდა, როდესაც ის სულ 9 „მთურ სოფელს“ მოიცავდა და ლიახვის ხეობის უკიდურეს სათავეში მდებარეობდა. ი. გაგლოითის თანახმად, თურმე, დვალეების ოსობის დამადასტურებელი ყოფილა ის ფაქტი, რომ „ძეგლი ერისთავთაში“ 11 შემთხვევაში თუ ტერიტორიული/ლოკალური ერთეული ქართული ენის მრავლობით რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმით – „დვალ-ნი“ არიან მოხსენიებულინი, დანარჩენ 6 შემთხვევაში კი „დვალთა“-ს ფორმით. „დუალ-თა“ ოსური «туалта»-ს კაკლკირებული ფორმა ყოფილა (სხვათა შორის, -თა სუფიქსით საქართველოში არაერთი ტოპონიმი ბოლოვდება. საკითხავია ეს ტოპონიმებიც ოსთა შექმნილი ხომ არაა?). არადა, ამ ნონსენსის შესახებ ოს ავტორს, თავის დროზე, ან განსვენებულმა ჯონდო გვასალიამ მიუთითა, რომ „ძეგლი ერისთავთა“-ში (საერთოდ, ძველქართულში) „დვალ-თა“ მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაური ბრუნვის მრავლობით რიცხვს ნარმოადგენს.¹⁴ და ეს მხოლოდ

¹⁴ Д. Гвасалия. Истина превыше всего [Из истории Шида Картли и Два-лети] . - Заря Востока. 1990. - 28 января.

და მხოლოდ ჯ. გვასალიას მოსაზრება ყოფილა და რომ, თურმე, ქართველ ავტორს ამის დადასტურებელი არცერთი მაგალითი არ მოყავს. აი, მაგალითებიც: „მაშინ გულისწმაცვეს დვალთა...“; „ამის შემდგომად დვალთა ნაასხეს ხუასდაგი ჟამური“ (ორივე შემთხვევაში -თა მოთხრობითი ბრუნვის მრავლობითის გამომხატველი ნიშანია); „მოსრეს სიმრავლე არამცირედი დვალთაჲ...“; „...ვითარცა ესმა დვალთა მისვლაჲ“ (აქ კი ორივე შემთხვევაში -თა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია); „ვინაჲთგან მამამან ჩემმან დვალთა ესეოდენ მოანი-ა“; „და ესმა მალრან-დვალთა...“ (ორ უკანასკნელ შემთხვევაში კი -თა მიცემითის მრავლობითის გამომხატველია). დარწმუნებული ვართ, ი. გაგლოითმა კარგად იცის არა მხოლოდ თანამედროვე ქართულის, არამედ ძველი ქართულის ნიუანსებიც. მაგრამ მისთვის მთავარი იყო, „ძეგლი ერისთავთას“ ყალბი ინტერპრეტაცია მიენოდებინა მკითხველისათვის, რომ მითოლოგემა შეექმნა და „დვალთა“ ოსური ეთნოგეოგრაფიული სახელწოდების „თუალთა“-ს კალკად მიეჩნია და დვალეების ოსობა ემტკიცებინა.¹⁵ ი. გაგლოითი მკითხველს არაერთ სხვა სიცრუესაც სთავაზობს. მისი მტკიცებით, „ამიერკავკასიის დვალეთში“ ანუ „სამხრეთ ოსეთში“ წყაროებსა და საბუთებში (ბუნებრივია, მხოლოდ ქართულ წერილობით ძეგლებზეა საუბარი) მოხსენიებული ტოპონიმები მხოლოდ და მხოლოდ ოსური ენით იხსნება, ან ოსური ჟღერადობისა-ა,¹⁶ რაც, თურმე დვალეების ოსურენოვნებაზე მიუთითებს. სინამდვილეში მთელ შიდა ქართლში მხოლოდ ქართული და ქართული ჟღერადობის ტოპონიმებია. იგივე ავტორი დიდ პატივს მიაგებს ბ. ტეხოვს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა

¹⁵ Ю. Гаглойти. Алано-Георгика. Сведения грузинских источников об Осетии и осетинах. Владикавказ: Ир, 2007.с. 226-227.

¹⁶ Ю. С. Гаглойти. Проблемы этнической истории южных осетин, Цхинвал(и), 1995, с. 51.

მიუთითა, რომ ტერმინ შიდა ქართლის გავრცელება სამხრეთ ოსეთზე სინამდვილეს არ შეესაბამება და აქ მოხდა ოსების სამხრეთი შტოს ფორმირების დაწყება ჯერ კიდევ სკვითურ ეპოქაში და რომ შიდა ქართლი მხოლოდ „სამხრეთ ოსეთის“ სამხრეთით არსებობდა.¹⁷ დასახელებული ავტორის სითავხედეს შეიძლება ითქვას, რომ საზღვარი არა აქვს და ქართველ ავტორებს (ჯ. გვასალია, ვ. გამრეკელი, ე. ხოშტარია-ბროსე, ნ. ლომოური, რ. თოფჩიშვილი...) წყაროების შეგნებულად დამახინჯებაზე და წყაროს შინაარსის ვერ გაგებაზე მიუთითებს, რის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება XVII საუკუნის შუა ხანების დოკუმენტი დავასახელოთ, რომელშიც პირდაპირ საუბარია იმის შესახებ, რომ ზემო ჯავაში ოსებისაგან (ოსთა თარეშებისაგან) ადგილობრივი მოსახლეობა ამოწყდა. საქმე ეხება ფრაზას „ამოწყდა ზემო ჯავა ოსთაგან“. თურმე ამ ფრაზაში პირდაპირ ის წერია, რომ ზემო ჯავაში ოსური მოსახლეობა ამოწყდა. ი. გაგლოითს თუ დავუჯერებთ, თურმე, ქართულ წყაროებში მოხსენიებული „კავკასიანნი“, რომლების ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, სარმატები და ალანები ყოფილან. დასახელებული ავტორის „მტკიცებით“ ანტიკური ავტორების მიერ მოხსენიებული აზიელი სარმატების განსახლების არეალი ცენტრალური კავკასიის სამხრეთ ფერდობებსაც მოიცავდა. თქმული კომენტარის ღირსიც არაა, მაგრამ ერთი რამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ი. გაგლოითმა და მისთანა „მეცნიერებმა“ ჩაუყარეს საფუძველი ოსურ ნაციონალიზმს, რომლებსაც, თავის დროზე საქართველოს ძირძველი ტერიტორიების მითვისებისათვის საფუძვლის შექმნა ჰქონდათ მიზნად დასახული, რა-

¹⁷ Ю. С. Гаглойти. Проблемы этнической истории южных осетин, Цхинвал(и), 1995, с. 53.

საც სულ ცოტახნის წინ რუსეთის იმპერიის ხელით მიაღწიეს კიდევაც.

დვალეების პრობლემას შეეხო ვ. ვ. ითონიშვილიც. მან დვალეები ფაქტობრივად სვანებად მიიჩნია: „სამაგიეროდ დვალური ენის პროდუქტად საგულევებელი ძირძველი ტოპონიმიური ნომენკლატურა დამაჯერებლად ლაპარაკობს ქართველურ ენებთან (უწინარეს ყოვლისა კი სვანურთან) ძველი დვალურის ნათესაობის დაშვების სასარგებლოდ...“¹⁸ ვ. ვ. ითონიშვილის მიხედვით არსებობდა ძველი დვალური ენა (ე.ი. ახალი დვალურიც). საინტერესოა, რა მონაცემებზე დაყრდნობით? საყურადღებოა, რომ საკითხზე გამოცემულ ვ. გამრეკელის მონოგრაფიას დასახელებული ავტორი ვერაფრით ვერ ამეტებს, პირიქით, ის უკან გადადგმული ნაბიჯია. ის არ იყენებს არცერთ სხვა ახალ წყაროს, იმეორებს ყველა იმ წყაროსა და საისტორიო საბუთს, რასაც ვ. გამრეკელი იყენებდა, ახდენს მისი სიტყვების პერიფრაზირებას და საისტორიო მეცნიერებაში დვალეების შესახებ პირველმთქმელის როლში გვევლინება. ამასთანავე, წინამორბედ ავტორს ხშირად მეორე-მესამეხარისხოვან ამბებთან დაკავშირებით უთითებს. განსხვავება ისაა, რომ ვ. ითონიშვილმა დვალეები სვანურენოვან ტომად წარმოადგინა, გამრეკელს კი თავის მონოგრაფიაში ისინი ვაინახებად მიაჩნდა. წინა თაობის ისტორიკოსის დიდი დამსახურება ის იყო, რომ მან ეტაპი შექმნა დვალეთისა და დვალეების ისტორიისა და ეთნოისტორიის კვლევის სფეროში. რაც მთავარია, არა მხოლოდ თავი მოუყარა დვალეთისა და დვალეების შესახებ არსებულ ყველა წყაროს, არამედ არაერთი ქართული და არაქართული საისტორიო წყაროს მოშველიებით აჩვენა, რომ დვალეები არ იყვნენ ალან-ოსური ტომისანი (თუმცა დვალეების არაოსობაზე ადრე სათანადო დასკვნები

¹⁸ ვ. ვ. ითონიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992, გვ. 167.

ჰქონდათ ვ. აბაევს, გ. თოგოშვილს, დ. გვრიტიშვილს). მაგრამ, როგორც ჩანს, ვ. გამრეკელი სიცოცხლის ბოლომდე ფიქრობდა დვალეთისა და დვალეების შესახებ; ჩანს ბევრი რამ ახლიდან გაანალიზა და ქართულ ენციკლოპედიაში დვალეების შესახებ დაბეჭდილ ნარკვევში მათი ზანურობის შესახებ მიუთითა. სხვათაშორის, ვ. გამრეკელმა დვალურში ზანიზმების შესახებ მიუთითა ჯერ კიდევ ადრე, 1958 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში. მან მოიტანა ერთი ათეული მაგალითი დღევანდელ ოსურსა და ზანურს შორის მსგავსი ონომასტიკური ერთეულების არსებობის შესახებ. ისიც აღნიშნა, რომ საკუთრივ დვალეთის ტოპონიმია განმეორებულია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.¹⁹ ვ. გამრეკელის აზრით, დვალეთსა და სამხრეთ ოსებში და სამეგრელო-გურიაში მსგავსი ონომასტიკური ერთეულების „საერთოობა ნარმოადგენს სუბსტრატულ ფაქტებს, საერთო პირველად ნიადაგიდან მომდინარე ფაქტებს“. ვ. გამრეკელი ფრთხილად ასკვნია, რომ „ზემო მოყვანილი ფაქტები (და მოსაზრებები) იმის მთქმელია, რომ დვალთა და მეგრულ-ზანურ სამყაროს შორის კავშირის შესაძლებლობა არ უნდა იქნეს გამორიცხული და მეტიც, ისინი ასეთი კავშირის შესაძლებლობას გვაგვარაუდებინებენ“. „ამრიგად, ვლინდება ძაფები, რომლებიც თითქოს მიუთითებენ ოსეთის (ე. ი. დვალეთისაც) ძველი მოსახლეობის კავშირზე კოლხეთთან“.²⁰ სამწუხაროდ, ვ. გამრეკელის მონოგრაფიაში მისმა ამ დასკვნამ შემდეგი განვითარება ვერ პოვა.

დვალეების ოსთა მიერ ასიმილაციის შესახებ აღნიშნავდა *გიორგი ჯალაბაძე*: „დვალური მოსახლეობა ოსური დაფენე-

¹⁹ ვ. გამრეკელი. დვალეთის ტოპონიმის ანალიზისათვის, – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, 1958, გვ. 67.

²⁰ იქვე, გვ. 69.

ბის ქვეშ მოექცა. ოსური დაფენების ქვეშ მოექცა ადგილზე მოსახლე ქართველობა, რომელთაც ოსებისაგან შეისწავლეს სალაპარაკო ენა და გადმოიღეს მათი ზნე-ჩვეულებები“.²¹

შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიის პრობლემების კვლევასთან კავშირში დვალეთსა და დვალეებს შეეხო ჯონდო გვასალია. მკვლევარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩრდილოეთი ხეობები დვალეთს მხოლოდ ორი გზით, ორი ხეობით უერთდება: არდონის და ფიაგდონის ხეობებით. მდინარე არდონს კეტავდა ვახუშტისთან მოხსენიებული კასრის კარი, ხოლო ფიაგდონს ხილაკის კარი“.²² მანვე შიდა ქართლისა და დვალეთის შესახებ ქართულ-ოსური დაპირისპირების პერიოდში არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია გამოაქვეყნა, რომლებშიც საისტორიო წყაროებსა და საბუთებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ დვალეთი ეთნიკურად ქართული „ქვეყანა“ იყო.²³

დვალეებს საყურადღებო ნაშრომი უძღვნა *ბახვა გამყრელიძემ*, რომლის ღირებულება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრით, რომ ავტორს გასაანალიზებელი ეთნოგრაფიული მასალები თავად აქვს ისტორიულ დვალეთში მოპოვებული და ზოგიერთი ისეთი აშკარად ქართული ტოპონიმიც აქვს დადასტურებული, რომლებიც ა. ცაგავას ნიგნში არაა.²⁴

²¹ გ. ჯალაბაძე. ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში. – შიდა ქართლი, თბ., 1987, გვ. 17.

²² ჯ. გვასალია. შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997, გვ. 42.

²³ ჯ. გვასალია. ოსებმა უკვე წაგვართვეს დვალეთი. – „ჯორჯიან თაიზისი“, 26 აგვისტო-2 სექტემბერი, 2004, 37; ჯ. გვასალია. ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. – „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 29 სექტემბერი; ჯ. გვასალია. რას გვიდასტურებს ძველქართული სახელწოდებანი (შიდა ქართლისა და დვალეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ). – „კომუნისტი“, 1990, 9 სექტემბერი.

²⁴ ბ. გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან: ეთნონიმების „ოსი“ და „დვალი“-ს მიმართების საკითხისათვის. – საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1998, გვ. 80-100.

დვალეთისა და დვალეების პრობლემისადმია მიძღვნილი *ლავრენტი ჯანიაშვილის* ისტორიოგრაფიული ნარკვევის ერთი მონაკვეთი, რომელიც ქართულ-ოსურ ურთიერთობებსა და საქართველოში ოსთა მიგრაციას ეხება. ავტორს მეცნიერებაში არსებული შეხედულებანი საკმაოდ სიზუსტითა აქვს გადმოცემული და ნაჩვენები ოსი ავტორების ტენდენციურობა.²⁵

დვალეთის საკითხს მიუძღვნა ნაშრომები *მზია ტყავაშვილმა*, რომელსაც სამეცნიერო ბრუნვაში შემოქვს ახალი მონაცემები, რომლებიც დვალეთსა და დვალეებს ეხება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მის მიერ გამოვლენილი რუსული დოკუმენტები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მ. ტყავაშვილის ნაშრომი, რომელიც დვალეთის საქართველოს სახელმწიფოს, შემდეგ კი თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში ყოფნას ეძღვნება. რა თქმა უნდა, მ. ტყავაშვილის ეს ნაშრომები ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ დაინერა, რომელთაც მიზნად დაუსახავთ უძველესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის საქართველოსაგან მონყვეტა.²⁶

დვალეების და დვალეთის საკითხის შესახებ საყურადღებოა გიორგი ჭეიშვილის ნაშრომი **„ოსეთიდან“ „სამხრეთ ოსეთამდე“: როგორ იცვლებოდა ეთნიკური გეოგრაფია პოლიტიკურ გეოგრაფიად“. ის ასკვნის, რომ**, „ოსთა მიგრაციისა და დვალთა დენაციონალიზაციის შედეგად დვალეთი თანდათანობით „ოსეთის“ ნაწილად მოიაზრება. გარკვეული მინიშნებით, ეს პროცესი უკვე XVII საუკუნის დასაწყისიდან უნდა დაწყებულიყო (ისკანდერ მუნში, ფარსადან გორგიჯანიძე), მაგრამ დასრულდა არაუადრეს XVIII ს-ის დასაწყისისა;

²⁵ ლ. ჯანიაშვილი. ოსთა საქართველოში მიგრაცია ქართულსა და რუსულ (ოსურ) მეცნიერებაში. – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIII, თბ., 2011, გვ. 146-168.

²⁶ М. Ткавашвили. Вопрос политической принадлежности Двалети в конце XVIII-начале XIX века. – Некоторые вопросы истории осетин Шида Картли, Тб., 2010, с. 256-268.

თუმცა ამავე საუკუნის შუახანებში ჯერ კიდევ შემორჩენილო ჰქონდათ თავისი ეროვნული ნიშნები: „ენა აქუთ ძუელი, დუა-ლური, და ან უბნობენ ოსურსა საკუთრად...“ – ამბობს ვახუშტი²⁷.

დეალების ეთნიკური ისტორიის პრობლემას შეეხო *სალომე ბახია-ოქრუაშვილი*.²⁸ ესაა პრობლების ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, რომელშიც გამონვლილვით არის შეფასებული დვალებისა და დვალეთის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და მხარი აქვს დაჭერილი იმ სამეცნიერო შეხედულებას, რომლის მიხედვითაც დვალები ერთ-ერთი ქართველური ტერიტორიული ჯგუფი იყო. აღნიშნული ნაშრომის ყველაზე გამოკვეთილი პოზიტიური მხარეა, ის, რომ ავტორს ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე 1966-1968 წლებში თავად აქვს შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა, რომლითაც დასტურდება, რომ დვალეთის ოსური მოსახლეობა არა ადგილობრივი მკვიდრი, არამედ ჩრდილოეთ ოსეთის მთიანი ხეობებიდან იყო გადმოსახლებული.²⁹ ასევე ოსი ინფორმატორებისაგან დადასტურებულია გადმოცემა, რომ მალრან-დვალეთში (ლიახვის ხეობის უკიდურესი სათავე) ქართველი თავადების (ქსნის ერისთავების) მინები იყო, რაც შემდეგ სახასო მიწებად ქცეულა.³⁰ მართლაც, ს. ბახია-ოქრუაშვილის მოძიებული ეთნოგრაფიული მონაცემები სრულიად თანხვდება იოანე ბაგრატიონის მონაცემებს, რომლის თანახმადაც მალრან-დვალეთში ქსნის ერისთავებს ექვსი სოფელი

²⁷ გ. ჭეიშვილი. „ოსეთიდან“ „სამხრეთ ოსეთამდე“: როგორ იცვლებოდა ეთნიკური გეოგრაფია პოლიტიკურ გეოგრაფიად“. – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIV, თბ., 2012, გვ. 218-223.

²⁸ ს. ბახია-ოქრუაშვილი. დვალთა ეთნიკური ვინაობის ისტორიის საკითხები. – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XIII, თბ., 2011, გვ. 25-66.

²⁹ ს. ბახია-ოქრუაშვილი. დვალთა ეთნიკური ვინაობის ისტორიის საკითხები. გვ. 54-58.

³⁰ იქვე, გვ. 58.

ეკუთვნოდათ: „მალრან-დვალეთი, ოსები. მოსახლენი, სოფელი 6“. ხოლო XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, მალრან-დვალეთის სამი დანარჩენი სოფელი „მეფის ძეს იულონს ეპყრა“.³¹ იოანე ბაგრატიონი დვალეთის შესახებ მნიშვნელოვან სხვა მასალასაც გვანდის, კერძოდ, დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ნაწილის აღწერის შემდეგ, ის გვაუწყებს: „ამას უკან რომელიც სამეფო არის ოსის სოფლები კიდევ ზახა, ნარას ხეობა“.³² აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ზახა და ნარა, დვალეთის ხეობები იყო. თუმცა ი. ბაგრატიონის მონაცემები დვალეთის შესახებ ამით არ ამოიწურება. XVIII საუკუნის ბოლოს დვალეთის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა: „იმერეთის სამეფოს რაც კავკასიის მხარე მიეწერება და რომელიც იწყების, დიდი ლიახვის მემიჯნავენი ოსნი და სხვანი მთის კაცნი, რომელნიც რაჭის საერისთოს მიეწერებიან არიან ესენი სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო, არიან ესენი: ქ. მალლა დვალეთი, ქ. ჯღერე, ქ. ლესრე, ქ. თებე, ქ. ლეთა, ქ. კასარა და სხვანი წვრილი სოფლები“.³³

ქართულ წყაროთაგან დვალეების შესახებ ყველაზე ადრინდელი ცნობა „მოქცევაჲ ქართლიაჲ“-შია დაფიქსირებული, რომელშიც „დვალთა კარის“, გასასვლელის შესახებაა საუბარი.

დვალთა ეთნიკური მიკუთვნებულობის შესახებ, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი და სანდო წყაროა *ვახუშტი ბაგრატიონის* თხზულება. ის წერდა: „ენა აქუთ ძუელი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად“.³⁴ კიდევ ერთი ამონაწერი ვახუშტის ნაშრომიდან: ნიქოზში „ზის დღესაც

³¹ ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. თბ., 1986, გვ. 37, 38.

³² იქვე, გვ. 42

³³ ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 37, 38.

³⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 639.

მწყემსი კავკასიანთა დვალთა, და ან ოსეთად წოდებული“. მოტანილი ციტატებიდან აშკარაა, რომ დვალებს თავისი საკუთარი, ადრინდელი ძველი ენა/მეტყველება/დიალექტი (დვალური) გააჩნდათ, რომელიც ვახუშტის დროს, უკვე დაკარგული ჰქონდათ და ოსურად ლაპარაკობდნენო („ან უბნობენ ოსურსა საკუთრად“). ვახუშტის გაგებით, დვალური ენა ოსური ენა არ არის და ის ადგილობრივ კავკასიურ (ჩერქეზულ) ენათა ოჯახს განეკუთვნებოდა. ვახუშტის ამ წინადადებაში აფიქრებინა ვ. გამრეკელს, რომ დვალური ენა ვაინახურ ენებს მიეკუთვნებოდა. ოსი მეცნიერები კი ერთი ხელის მოსმით აცხადებენ, რომ დვალები ოსური წარმომავლობის ტომი იყო მხოლოდ იმის ანალოგიით, რომ ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის, უფრო კონკრეტულად კი XVIII-XIX საუკუნეებში დვალები („თუალნი“ ოსურად) ოსების ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო. ვახუშტის ზემოთ მოყვანილი ციტატიდან კი აშკარაა, რომ დვალეთს მხოლოდ მის დროს ეწოდებოდა ოსეთი. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ერთმანეთს უპირისპირებს ძურძუკებსა/ვაინახებსა და დვალებს. ხევის აღმოსავლეთით ანუ თერგის მარჯვენა მხარეს ძურძუკები ცხოვრობდნენ, ხოლო დასავლეთით კავკასიანნი ანუ დვალები. ამრიგად, ვახუშტის მიხედვით, დვალები კავკასიელები არიან: „...უნოდა არაგვს აღმოსავლეთის კერძს, ლეკეთის საზღვრამდე, ძურძუკეთი, ხოლო არაგვს დასავლით, რომელ არს მდინარე ლომეკი და ან თერგი, რომელი დის ჴევიდამ კავკასთა შინათა უნოდა დუალეთი...“.³⁵

დვალეთის ადგილმდებარეობის შესახებ პირველწყაროს წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი, რომელშიც დვალეთი რამდენიმე რუკაზეა გამოსახული და ყველა მათ-

³⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 633.

განზე დვალეთი დატანილია მთავარი კავკასიონის ქედსა და პირიქითელ ქედს შორის.³⁶

ქართულ წყაროთაგან დვალეთისა და დვალეების შესახებ ყველაზე მეტი ინფორმაციის შემცველია XIV საუკუნის „ძეგლი ერისთავთა“.³⁷ ამ ძეგლში ერთმანეთს არიან დაპირისპირებული დვალეთში ჩრდილოეთიდან შემოსული ოსები და ადგილობრივი დვალეები. დვალეებსა და დვალეთში მიგრირებულ ოსებს შორის დაპირისპირება არა მხოლოდ სოციალური ხასიათისაა, არამედ ეთნიკურიც. ძეგლიდან ირკვევა, რომ დვალეთი სამეფო ქვეყანაა და რომ დვალეები მეფის ერთგულნი არიან. იმ დროს, როდესაც მონღოლების პერიოდში ქსნის ერისთავი მეფეს ეურჩებოდა „მაშინ მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი ... მოადგა ცხრასვე ჴევსა შალვაჲსა საერისთავოსა და ჩამოსხნა დვალნი და ჴადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქვემონი“.³⁸ მოყვანილი ციტატის მიხედვით აშკარაა, რომ დვალეები სხვა ქართველ მთიელებთან ერთად არიან მოხსენიებულნი და მეფის ერთგულნი ყმები არიან. ძეგლში პირველად დვალეთისა და დვალეების გარდა, მოხსენიებულია მალრან-დვალეთი და მალრან-დვალნი, აგრეთვე „ქვემო დვალნი“.

დვალეთის საისტორიო გეოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი წყაროა 1503 წლის „ნიგნი ალაქსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლო გადასახადზე“.³⁹ ამ ძეგლით დვალეთი ის ტერიტორიაა, რომელიც ცენტრალური კავკასი-

³⁶ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997, გვ. 10-11, 23, 25-33.

³⁷ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიაწე). თექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

³⁸ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 105.

³⁹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ვ. სილოგავას გამოცემა, თბ., 1986, გვ. 112-116.

ონის მთავარი წყალგამყოფი ქედის (ანუ დვალთგორის) ჩრდილოეთსა და პირიქითელ ქედებს შორის მდებარეობს. დოკუმენტში მითითებულია მთის რაჭიდან დვალეთში გადასასვლელი გზა, რომელიც სოფელ გლოლაზე გადიოდა. მითითებულია სხვა გზაც – ქართლისა და დვალეთის დამაკავშირებელი.

ვ. გამრეკელმა თავის მონოგრაფიაში დვალეთის შესახებ სპეციალური მონაკვეთი მიუძღვნა ანტიკურ მწერლებს, რომლებიც დვალეებს მოიხსენიებენ. მანამ, სანამ ანტიკურ მწერლებს შევეხებით, უპრიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ დვალეები მოხსენიებული ჰყავს VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის ანონიმ ავტორს „დუალკ“-ის ფორმით. ასე რომ, დვალეთისა და დვალეების ყველაზე ადრინდელ მოხსენიებად, „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორთან ერთად, „სომხური გეოგრაფიაც“ უნდა მივიჩნიოთ. ვ. გამრეკელმა თავის დროზე სამართლიანად მიუთითა, რომ ანტიკურ ავტორთაგან დვალეების მოხსენიება პირველად გვხვდება ახ. წ. I საუკუნის ავტორთან გაიუს პლინიუს სეკუნდუსთან (უფროსი), რომელიც აღნიშნავდა: „ამ კარებით (რომელსაც ცოტა ზემოთ ის „კავკასიის კარებს“ უწოდებს – რ. თ.) ქვეყანა ნაწილებად არის გაყოფილი. კავკასიის კარებიდან გურდინიის მთებში ცხოვრობენ ვალეები (Valii) და სუანები, უკულტურო ტომები; თუმცა ოქროს საბადოებს კარგად თხრიან“.⁴⁰ საყურადღებოა, რომ სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელი კარის დასავლეთით კავკასიის მთებში ქართველ მთიელთა ორი ტერიტორიული ერთეულის მკვიდრნი სვანები და დვალეები არიან მოხსენიებული. იმდროინდელ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, დასახელებული ქართველი მთიელები მართლაც ერთმანეთს ესაზღვრებოდნენ. მეორე ავტორი, რომელმაც დვალეები „თა-

⁴⁰ ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტომი I, წყაროები, თბ., 2010

ლების (Thalos)“ სახელით მოიხსენია იყო ცნობილი გეოგრაფოსი კლავდიოს პტოლემიოსი (II საუკუნე). ამ ავტორის მიხედვით, დვალეები/ვალეები „კავკასიის კარის“ დასავლეთით ცხოვრობდნენ. სრულიად სამართლიანად, ვ. გამრეკელმა „ვალეები“, „თალეები“ ქართული წყაროების დვალეებთან გააიგივა.⁴¹

ოსთა მიგრაცია და დასახლკარება დვალეთში ძირითადად XVI საუკუნეში რომ განხორციელდა, ამის შესახებ XIX საუკუნის გერმანელი ავტორი *გოტფრიდ მერცბახერიც* აღნიშნავდა, რომელმაც 1891 წელს აღმოსავლეთ და ცენტრალურ კავკასიასთან ერთად, დვალეთიც მოიარა; ის ხაზს უსვამდა, რომ ჩინგისხანისა და თემურლენგის ურდოებს გადარჩენილმა ოსებმა თავი კავკასიის მაღალმთიანეთს შეაფარეს. იმასაც აღნიშნავდა, რომ მათ ნაწილს აქ ბინადრობა შესაძლებელია უფრო ადრეც ჰქონოდა. რაც შეეხება სამხრეთ კალთებს, ოსებმა აქ მხოლოდ გვიან შემოაღწიეს, საიდანაც გააძევეს ქართველი დვალეები („დვალეების ქართული ტომი“):

«Уже начиная с исторических времен, мы знаем о губительные и почти уничтоживших живших на северном склоне Кавказа оссов набегах орд Чингисхана и Тамерлана. **Остатки оссов спаслись в ущелья высоких гор**, где осетины обитают и до настоящего времени. Весма возможно, что часть их уже и тогда имела там оседлость и под покровительством гор могла сохранить свою индивидуальность. **На южный склон, как кажется, осетины проникли только в позднейшее время**, после того как были оттеснены вторгшимся чеченцами из своих более к западу лежавших поселений, откуда они своей стороны прогнали сидевшее там **грузинское колено двалетов. Название «Дуалта»,**

⁴¹ В. Н. Гамрекли. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961, с. 41, 45.

или «Туалта», под каковым слывут теперь кавказские осетины, может быть поставлено в связь с этим обстоятельством»⁴².

დვალეების შესახებ გაგვარჩნია ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემები, განსაკუთრებით, მის მოსაზღვრე მთიულეთის, ხევისა და რაჭის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში. მთიულეთში ჩანერილი გადმოცემებით, დვალეები მთიულებს ესხმიან თავს; ისინი ცდილობენ ამ უკანასკნელთა დამორჩილებას. მთიულური გადმოცემით დვალეები და ოსები გაიგივებული არიან ერთმანათთან. მთიულეთზე თავდასხმას აწყობენ უკვე დვალეთში დასახლებული ოსები. თუმცა ტრადიციით დვალეთში მცხოვრები ოსები მთიულურ გადმოცემაში დვალეებად იწოდებიან. მთიულურ გადმოცემაში მალრან-დვალეთის რეგიონიცაა დასახლებული. მაგალითად, ინფორმატორები მიუთითებენ, რომ თეთრი არაგვის სათავეში – ლუდაში პირველი ოსი მიგრანტი რუბაევი „მალრან-დოვლეთიდან“ გადმოსულა. ხოლო რაჭული სიმღერა პირდაპირაა იმის დამასტურებელი, რომ დვალეებს ოსები თარეშების გზით იპყრობდნენ. სანიმუშოდ ენათმეცნიერ ლია კაიშაურის მიერ მთიულეთში ჩანერილი ტექსტი შეიძლება მოვიყვანოთ:

„წინავ ლეკები და დვალეები მოდენილან და წაასხამენ ცხორსა და ძროხასა, ქალებსა. ცხრა ძმანი ყოფილან. თურმე დადიან და ქალებ იტაცებენ. ბურდული ყოფილა ერთი; „მენ მაგათ ვაჩვენებო“. იმათ უთხრა: „ჯერ არა მცალია, მემრე მოდით, ქალებ მოგიმზადებთო, მოვკრებ ქალებს, შაგინახამთო“. ჰოდა ვადა მისცეს, ელიან. ჩამოვიდნენ დვალეები, ცხრა ძმანი. ბურდულმა ლასტი დანნა, მიაყუდა კედელზედა, ააფარა ხალიჩები, ვითომ კედელია და დაუდგეს ლოგინი ცხრა ძმას. უკან კი კარები აქვ. „აბა, ეხლა მოვრეკთ ქალებსო“,

⁴² Г. Мерцбахер. К этнографии обитателей Кавказских Альп. – Кавказ: племена, нравы, язык. – Нальчик, 2011, с. 268.

უთხრა ბურდულმა დვალეხსა. კარგა მაგრა დაათვრეს დვალები, მემრე ლასტი ნააქციეს და ზედ კაცები შესდგნენ და დახოცეს ცხრა ძმანი. აი, ეხლა წაასხით ჩონი ქალებიო“.⁴³

ხევში ფხელშესა და გორისციხეს შორის დადასტურებულია ტოპონიმი „**დვალთლორღი**“. გადმოცემით, ხევში საქონლის გატაცების მიზნით ხშირად გადმოდიოდნენ დვალეხი. ერთხელ, ადგილობრივებთან შეტაკებისას, დვალეხი დამარცხებულან. გაქცეულებს უკან წინასწარ დაგროვილი ქვა წაუღიათ. ადგილზე ბევრი ქვა დარჩენილა. ბუნებრივია, დახოცილები თავიანთ დადებულ ქვებს უკან ვერ წაიღებდნენ. ქვების ნაგროვს ამიტომ უწოდებენ „დვალთლორღს“. სხვა გადმოცემით, ერთ-ერთ დაჭრილ დვალს, სახელად *ბადრის*, გამოქვაბულისათვის შეუფარებია თავი და იმ დღიდან გამოქვაბულისათვის **ბადრის ქოხი** უწოდებიათ.⁴⁴ ამ გადმოცემაში ყველაზე ნიშანდობლივია დვალის პიროვნული სახელი – ბადრი, რაც პირდაპირ დვალთა ქარველობის მიმანიშნებელია. საყურადღებო ტოპონიმი — **დვალთ სამარხი** — დადასტურებულია რაჭის შარაულას ხეობაში 1463-1478 წლებით დათარიღებულ შეწირულობის წიგნში⁴⁵.

ნიშანდობლივი ფაქტია, რომ დვალეთის მეზობელ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში – ხევსა და მთიულეთში – XVIII საუკუნეში მამაკაცის პოპულარული პიროვნული სახელი იყო *დოლა/დვალა*.

⁴³ ლ. კაიშაური. მთიულური ტექსტები, თბ., 1978.

⁴⁴ ვ. ითონიშვილი. ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, 18, 74, 76.

⁴⁵ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993, გვ. 74.

II. დვალეთის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს, ანუ კავკასიონის მთავარ ქედს თუ თვალს გაგვაცილებთ, შევამჩნევთ, რომ მის ცენტრალურ ნაწილში, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ნაწილში საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთისაკენ „ჩამოტეხილია“. ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქცეული ეს ტერიტორია, მდ. არდონის სათავე, ესაა ისტორიული დვალეთი, რომელიც მუდმივად, მეფე ფარნავაზის დროიდან მოყოლებული, ვიდრე 1859 წლამდე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

აკად. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „**დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული. ეს ქვეყანა ყოველმხრივ მარადთოვლიან მთებით არის გარშემოზღუდული ისე – კი, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქედი, ე.ი. პირიქითელი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთ ალაგს გარდა სრულიათ გაუვალაია. ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო. ძველითგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ საზღვარს განსაკუთრებული ყურადღება მე-XII-ე ს-ითგან მიექცა და პოლიტიკურადაც მტკიცედ აქ ქართველობამ ფეხი დავით აღმაშენებლის დროს მოიკიდა (ცხოვრება მეფისა დავითისი, გვ. 301; ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 515). შემდეგშიაც თვით საქართველოს პოლიტიკურ დაუძღურების დროსაც, XVIII ს-ის დამდეგსაც, დვალეთი ქართველთა ხელში იყო და ვახუშტის მოწმობით „მეფეთა ქართველთა... მისცემენ დღემდე ხარკსა“ (გეოგრაფია, 460). ვახტანგ მე-VI-ე იყო ის მეფე, რომელმაც საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრის ეს მონა-**

პირე კუთხე 1711 წელს ჯვართურთ შემოიარა, შევიდა შიგ: „ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის-ხევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული“. სწორედ მან კვლავინდებურად მტკიცედ „დაიპყრო დვალეთი და დასდვა ხარკნი“ (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 118)^{.46}

ქართულ საისტორიო წყაროებში დვალეები ქართველ მთიელთა შორის არიან სახელდებულნი. ქართულ წყაროებში დვალეები და ოსები ყოველთვის დაპირისპირებული არიან. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქუელისა. და ამისსა მეფობასა **გარდმოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა**“.⁴⁷ „ხოლო ვიდრელა მირიან ჯერეთ იყო მუნ, გარდმოვლეს ოვსთა, ფეროშ და კავტია და განრყუნეს ქართლი. ხოლო მირიან გარეს-გარ გარდავიდა ოსეთს, **მოტყუნა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდე და გარდმოვლო გზა დვალეთისა** და მოვიდა შინა“.⁴⁸ „**მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოჭევეთა, ჯადელთა, ცჭავატელთა, ჭართალელთა, ერწო-თიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა ზედა**“.⁴⁹ „უკეთუ გნებავს მოქცევა მათი სჯულსა თქუენისასა ზედა, ან მომეც სიმრავლენი სპათა თქუენისანი და **წარვალ თემთა და სამეფოთა მთის ადგილისათა, მთიულთა, ოვსთა, დუალთა, სუანთა, აფხაზთა და ყოველივე მუნ მყოფთა**“.⁵⁰ არჩილ მეფე წერდა: „... ისევ დვალეთს წარ-

⁴⁶ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ. 1919, გვ. 6-7.

⁴⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 55

⁴⁸ იქვე, გვ. 68.

⁴⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 111.

⁵⁰ იქვე, გვ. 329-330.

მოველ და იქიდან ოსეთს ფაიქომში გარდმოველ“.⁵¹ საყურადღებოა იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის (XVII ს-ის პირველი ნახევარი) ტიტულატურა: „**მეფეთ-მეფე, სრულიად იმერთა, აფხაზთა, სვანთა, დვალთა; ოსთა მპყრობელი და მართებული მეფეთ-მეფე“.**⁵² ამ ტიტულატორის მიხედვით, იმერეთის მეფე არის ხელმწიფე მთელი დასავლეთ საქართველოსი (იმერთა, აფხაზთა, სვანთა) და დვალეთისა და მპყრობელი ოსეთისა. დვალეები და ოსები ეთნიკურად დაპირისპირებული არიან ერთმანეთისადმი. იმასაც ესმის ხაზი, რომ დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ხოლო ოსეთი ქართველ მეფეებს დაჭერილი, დაპყრობილი ჰქონდათ.

ყველაზე ზედმიწევნითი მონაცემები დვალეთის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაშია თავმოყრილი. ის ხაზს უსვამს, რომ დვალეთს ახლა ოსეთი ეწოდებაო. ვახუშტი ხაზგასმით აღნიშნავს ამის შესახებ, როდესაც ის ნიქოზის საეპისკოპოსოს შესახებ საუბრობს: „**მანვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასვა ეპისკოპოზი; ზის დღესაც, მწყემსი კავკასიანთა, დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა-ღებითურთ“.**⁵³ ვახუშტისთან იმასაც ესმის ხაზი, რომ დვალეთი თერგის დასავლეთით მდებარე ქვეყანაა: „**ხოლო არავისა დასავლით, რომელ არს მდინარე ლომეკი და აწ თერგი, რომელი დის ჴევიდან კავკასთა შინათა, დვალეთად“.**⁵⁴ ფარნავაზის დროიდან დვალეთი პოლიტიკურადაც საქართველოს შემადგენელი ნაწილი რომ იყო, ამის შესახებაც ცნობა ვახუშტი ბაგრატიონს დაუცავს: „**ხოლო**

⁵¹ არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, „ქართული მწერლობა“, ტ. 6, თბ., 1989, გვ. 341.

⁵² პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გვ. 225

⁵³ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997, გვ. 78.

⁵⁴ იქვე, გვ. 107.

შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დვალეთი, და სხვანი ჴევნი იგინი დაშთენ ნეფეთა ოვსთასა, და ინოღებთან ჴევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე^{.55} ისტორიკოსი პირდაპირ მიუთითებს, რომ დვალეთისა და ძურძუკეთის მეზობელი ხეობები ოსეთად იმიტომ ინოდა, რომ აქ ოსები დასახლდნენ და დაიმორჩილეს ადგილობრივი მოსახლეობა. სამწუხაროა, რომ ქართველ მეცნიერთაგან ვახუშტის ამ ცნობას, რომელიც ტრადიციითა თუ სხვადასხვა დოკუმენტებით სამეფო კარზე არსებობდა, ანგარიშს არ უწევს ზოგიერთი მკვლევარი და ისტორიულ რუკებზე V საუკუნის მეორე ნახევრამდე დვალეთს საქართველოს საზღვრებს გარეთ ტოვებს.^{.56}

ვახუშტი ბაგრატიონი დვალეთის ხეობებს ზუსტად შემოსაზღვრავს: **„არამედ დვალეთიცა განიყოფების ჴევ-ჴევად და ინოღების ჴევნი ესრეთ: კასრისჴევად, ზრამაგად, ყღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად“.**^{.57} ცოტა ქვემოთ ვახუშტი აგრძელებს: „არამედ ჴევი, რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა, არს დვალეთისავე, გარნა ვინათგან მტკიცედ დაიპყრნეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს შეცვლილითა სახელითა ჴევად, ვინათგან არს ჴევი შვენიერი, არამედ თრუსო კვალად არს დვალეთისავე, და ეგრეთ საცნობი ესეცა“.^{.58} ვახუშტის მიხედვით, თავდაპირველი დვალეთი უფრო დიდი ტერიტორიის მომცველი იყო და მასში თერგის ხეობაც (თრუსო+ხევი) შედიოდა, მაგრამ შემდეგ მისი ფარგლები დავიწროვდა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ისტორიას და

⁵⁵ იქვე, გვ. 108.

⁵⁶ საქართველოს ისტორიის ატლასი, მთავარი რედაქტორი დ. მუსხელიშვილი, თბ., 2003, გვ. 11-13

⁵⁷ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, გვ. 108.

⁵⁸ იქვე, გვ. 108.

ლოგიკურად ვიმსჯელებთ, სწორედ რომ პირიქით იყო. ცნობილია, რომ თერგის ხეობაში ადრე შუა საუკუნეებში სხვა ქართული ეთნოგრაფიულ-ტერიტორიული ერთობის წარმომადგენელი – წანარები – ცხოვრობდნენ. წანართა ბარში გადასახლების შემდეგ თერგის ხეობის თრუსოს ნაწილი მოსახლვრე დვალეთის პროვინციიდან გადმოსულმა სხვა მთიელებმა – დვალეებმა – დაიკავეს. რეალურად ასე გაფართოვდა დვალეთის ტერიტორიის ფარგლები. დვალეთს ვახუში ბატონიშვილი დიდი ლიახვის ხეობის სათავეს – მალრან-დვალეთსაც მიათვლის: „არამედ ჯეობანი ესენი, რომელნი აღვსწერეთ მალრანდვალეთითურთ, არიან დვალეთი“.⁵⁹ აქაც ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მალრან-დვალეთის მხარე მხოლოდ მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც აქ ისტორიული ანუ ნამდვილი დვალეთიდან დვალეები გადმოსახლდნენ. თავდაპირველი დვალეთი რომ წარას ქვაბული იყო, ეს ვახუშტის რუკიდანაც კარგად ჩანს, რომელსაც დვალეთი აწერია სწორედ აღნიშნულ ტერიტორიას.

ვ. გამრეკელმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ დვალეთი წარას ქვაბულს გარდა თავდაპირველად მოიცავდა აგრეთვე მის ჩრდილოეთით არსებულ ტერიტორიებსაც.⁶⁰ ამ მოსაზრებას პირდაპირ ამყარებს ვახუშტისავე სიტყვები, რომ **„და აქუს სიგრძე დვალეთს ზეკარის კავკასიადამ ვიდრე ჩერქეზამდე“**.⁶¹ ჩერქეზში, რა თქმა უნდა, გვიანი შუა საუკუნეების ყაზარდო იგულისხმება. როგორც ჩანს დვალთა მიგრაცია ერთ დროს ჩრდილოეთის მიმართულებითაც წარმართებოდა და მონღოლების დროს ოსების აქ შემოსვლამდე სწორედ დვალეები იყვნენ განსახლებული. ამის დამადასტურე-

⁵⁹ იქვე, გვ. 213; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 644-645.

⁶⁰ В. Н. Гамрекли. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961, с. 21.

⁶¹ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997, გვ. 215.

ბელი უნდა იყოს ტოპონიმი *ნუზალი* ალაგირის ხეობაში. როგორც მიუთითებენ, *ნუზალი* – ქართულში მენყერიანი ადგილია. დიალექტებშიც – მაგალითად, თუშურში მენყერს ნიშნავს. მესხეთში *ნუზალი* პირის ღრუს აღნიშნავს, გამოთქმა ღრძილების ავადმყოფობის დროს იხმარება.⁶² დვალეთი რომ კასრის კარის ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა ამას **XIV-XV** საუკუნეების მიჯნის ლიტერატურული ძეგლი „ნიკოლოზ დვალის ნამება“-ც გვიდასტურებს, რომლის მიხედვითაც ნიკოლოზ დვალი დვალეთის სოფელ წეიდან იყო. სოფელი წეი კი დვალეთის კასრის-კარის ჩრდილოეთით მდებარეობდა: „ესე სანატრელი ქრისტეს მონამე **ნიკოლოზ იყო ნათესავით დვალი, სოფლისაგან, რომელსა ეწოდების წაჲ**, შვილი მორწმუნეთა და მოსავთა წმიდისა ნათლისმცემელთაჲ, რომელსა საშოთგანვე დედისაჲთ შესწირეს და რაჲ ათორმეტისა წლისაჲ იქმნა, მონაზონ იქმნა და იყო უდაბნოთა კლარჯეთისათა“.⁶³ იმასაც მიუთითებენ, რომ დვალეთის სოფელ წაისხევის რამდენიმე სოფელი ქართული სასულიერო პირებისაგან წარმომავლობდა.⁶⁴ სხვათა შორის, სოფელ წეში მდებარეობდა ოსების მთავარი სალოცავი „რეკომი“. ამ სახელწოდებას კი ოსი მეცნიერები ოსური ენით ვერ ხსნიან. როგორც ა. ცაგაევა მიუთითებს, ვ. აბაევი რეკომს ქართული „რკონით“ ხსნიდა. ხოლო ა. მაგომედოვი მას ასევე ქართულ ენის ლექსიკურ ერთეულთან – „რეკვა“ აკავშირებდა.⁶⁵ ა.

⁶² ს. ბახია-ოქრუაშვილი. დვალთა ეთნიკური ვინაობის ისტორიის საკითხები, გვ. 61.

⁶³ ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1968, გვ. 348.

⁶⁴ В. Миллер. Осетинские этюды, II, УЗИМУ, отдел историко-филологический, вып. второй, М., 1882, с. 256.

⁶⁵ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, Орджоникидзе 1975, с. 188.

ცაგაევას დასკვნა ამ საკითხთან დაკავშირებით კი ასეთია: «Надо думать, что первоначально название звучало иначе, оно было иноязычным, впоследствии было адаптировано на осетинской почве в реком. Одни считают его памятником XV в., другие относят его к памятникам XIII в.».⁶⁶ ასე რომ, თავად ოსი მეცნიერები მიუთითებენ ვახუშტისეული დვალეთის ჩრდილოეთითაც არაოსური ეთნოსის მკვიდრობის ფაქტს. ეს არაოსური ეთნოსი კი ქართული იყო, რომლებიც აქ დვალთა ლოკალური ჯგუფის სახით მკვიდრობდნენ. ქართველი ფეოდალების მფლობელობა რომ დვალეთის ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა, ამას კალოევების (ქალოშვილების) შესახებ გადმოცემაც ადასტურებს. დვალეთის ზახას ხეობაში მცხოვრები გვარის ფუძეს წარმოადგენს ქართული სიტყვა, პიროვნული სახელი – *ქალო*. ამ სახელით მიმართავდნენ ოსები წერეთლის ქალს, რომელიც ერთ-ერთი თარეშეს დრო გაუტაციათ. სასიკვდილოდ დაჭრილ გამტყეცებელს – ამრანს (ამირანს) *ქალო წერეთელი* ქურთათის ხეობის სოფელ *კორაში* გადაუყვანია და კოშკში მოუთავსებია. ერთხელ სოფელ კორაში ქართველი თავადი – *ერისთავი* – გამოსაღების ასაკრებად გადასულა, სადაც *ქალო წერეთელს* შეხვედრია და ცოლად შეურთავს. მათ სამი შვილი შესძენიათ, რომელთაგანაც ქალოშვილები/კალოევები წარმომავლობენ.⁶⁷ გადმოცემაში ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ქართველი თავადების ფეოდალური საკუთრება დვალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით – ქურთათის ხეობაზეც – ვრცელდებოდა.

ქართული წყაროებიდან მოტანილი ამონაწერებით აშკარაა, რომ **ქართველთათვის დვალეთი და ოსეთი სულ სხვადას-**

⁶⁶ იქვე, გვ. 189.

⁶⁷ Б. А. Калоев. Происхождение некоторых осетинских фамилий по народным преданиям – Осетинская филология: межвуз. сб. ст. Орджоникидзе: Изд-во СОГУ, 1981. Вып. 2. с. 213.

ხვა ცნებები და გეოგრაფიული (და ეთნიკური) ერთეულები იყო. ვახუშტი დვალეთის ერთ-ერთი რეგიონის კასრის ხეობის შესახებ წერს, რომ „**არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვნიერ მათასა ოვსნი**“.⁶⁸ საინტერესოა, დვალეთი თუ ოსეთი იყო, რაღა საჭირო იყო აქ ოსთათვის ჩამკეტი კარის არსებობა? ასეთი კარი მაშინ დვალეთის სამხრეთით იქნებოდა აგებული. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ დვალეთი რომ მთლანად ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ამას ბერი ეგნატაშვილის თხზულებაც გვიდასტურებს. ქართველი მემკვიდრე დავით X-ის (1505-1525 წწ.) დროინდელ ქართლის სამეფო შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიებსა და საზღვრებს აგვიღწერს და მიუთითებს, რომ **უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარი ხევხილაკზე და კასრის-კარზე გადიოდა:** “ხოლო ძესა კოსტანტინესასა, მეფესა დავითს, ეპყრა: აჯი-სუს ზეით უდაბნონი, და სამგორს-ქუემოთი, ლილო და ლილოს-ქუემოთი, და ჴევძმორას-ქუემოთი, და არაგუს-აქათი, და ფშავის-წყალს-აქათი, გუდამაყარი, და ჴევხილაკას-აქათი, და კასრისჴევს-აქათი; და წედისის მთის გადმოღმართი, და კუდარო...“.⁶⁹ კიდევ ერთხელ შევახსენებ მკითხველს, რომ ხევხილაკიდან ოსეთის ქურთათის საზოგადოებაშია გადასასვლელი, ხოლო კასრის-კარიდან – ალაგირის საზოგადოებაში.

ვახუშტი ბაგრატიონს მოცემული აქვს დვალეთის ხეობების/საზოგადოებების/ტერიტორიული თემების გეოგრაფია: (ა) **„ხოლო ვალაგირისა ანუ ფაიქომის დასავლით არს კასრის ჴეობა, რომელიც იწოდების ანცა დვალეთად. ... მდინარე ამისი გამოსდის ზეკარისა და ზახა-თრუსოს შორისს კავკასთა და მოდის სამჴრიდამ ჩრდილოთ“.** ... ხოლო კასრის კარი არს ქვემო ზრამავას ქვეით, სად მოვიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა, და გლოლისა და ამის

⁶⁸ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 65.

⁶⁹ ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, 349.

შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა. აქ არს კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვნიერ მათსა ოვსნი“; (ბ) „ხოლო ამ კასრისკარს ზევით მოერთვის, ქვემო ზრამაგას, ჟღელეს ჯეობის წყალი დასავლეთიდამ. გამოსდის კედელის კავკასს, მოდის სამჯრიდამ ჩრდილოთ. ... და ჟღელესა და გლოლას შორისს კავკასზედ ამ ქვევებიდამ გარდმოვლენ გზანი გლოლას. მის მდინარის სათავი-დამ გარდავალს გზა კედელის კავკასსა ზედა კუდაროს, და რაჭას, და ქართლს“; (გ) „ხოლო ქვემო ზრამაგა არს კასრისა და ჟღელისწყლების შესართავს შუა“; (დ) „ხოლო ქვემო ზრამაგას ზევით ერთვის ნარის ჯეობის წყალი. ... ხოლო ამის შესართავს ზევით არს ზემო ზრამაგა“; (ე) „ხოლო ამ ზრამაგას ზევით მოერთვის ზროგოს ჯეობის წყალი. ამოსდის ხონისავე კავკასსა და დის აღმოსავლეთიდამ დასვლეთად, და აქუს ჩრდილოთ ნარის მთა და სამხრით ზახის მთა“; (ვ) „ხოლო ამის შესართავს ზევით მოერთვის ზახის ჯეობის წყალი. გამოსდის თრუსოსა და ზახას შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, არამედ ბოლოს მოდრკების და მიერთვის სამჯრით ზრამაგისწყალსა. ... აქედან გარდავალს გზა თრუსოს, მაღრან-დვალეთს და ყბას, დიდ ლიახვზედ“.⁷⁰ ისტორიული დვალეთი რომ დვალთგორის ჩრდილოეთით, მთავარი კავკასიონის ქედსა და პირიქითელ ქედს შორის მოქცეული ტერიტორია იყო ამის უნებლიე მტკიცება ოს ავტორთა ნაშრომებშიც გვხვდება, რომელთა წყაროსაც, ბუნებრივია, მათ მიერვე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები შეადგენდა. ერთ-ერთი დიდი ფალსიფიკატორი ი. გაგლოითი აღნიშნავდა, რომ ოსები დვალეებს უწოდებენ თავის თანამემამულეებს, რომლებიც ცხოვრობენ ცენტრალური ოსეთის მაღალმთიან რაიონებში,

⁷⁰ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 213-215; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 645-647.

მდინარე არდონის სათავეებში კასრის ვინროებიდან მთავარი კავკასიონის ქედამდე [«Кто же такие туалы-двады? Туалами (осет. «туал, туаллаг») осетины называют в первую очередь тех своих соплеменников, которые живут в высокогорных районах Центральной Осетии в верховьях р. Ардон, начиная от Касарской теснины в Алагирском ущелье и кончая Главным Кавказским хребтом, Сюда входят Касарское и Мамисонское ущелья, Зарамагская и Нарская котловины, а также ущелья сел. Тиб, Згил, Зруг, Закка и ряд других. Эту территорию, охватывающую весь Наро-Мамисонский регион, осетины называют общим именем Туал или Туалгом (букв. «Туальское ущелье»)»].⁷¹ ესეც ასე! მაგრამ რა? სხვაგან ი. გაგლოითი თითქმის მთელ ე. წ. საბჭოთა სამხრეთ ოსეთს დვალეთად აცხადებს.

ისტორიკოსთათვის ცნობილია, რომ დვალეთი ყოველთვის და მუდამ საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. იგი იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის დროიდან (ძვ.წ. IV-III სს.) საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა და მხოლოდ 1859 წლიდან მეფის რუსეთმა ადმინისტრაციულად ის ვლადიკავკაზის ოკრუგს დაუქვემდებარა.⁷² [სამწუხაროდ, ცარიზმის მიერ საქართველოს ძირძველი ტერიტორიის ჩამოცილებას იმდროინდელ საქართველოში არავითარი პროტესტი არ მოყოლია. რუსეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არც 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას გამოუთქვამს. დვალეთის შესახებ თავისი პოზიცია 1919 წელს დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მიერ ოსთა პოლიტიკური მოთხოვნის საფუძველზე შექმნილი კომისიის სხდომაზე მიწვეულმა ივანე ჯავახიშვილმა დააფიქსირა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ამ რაიონში არის 11

⁷¹ Ю. С. Гаглойти. Проблемы этнической истории южных осетин, Цхинвал(и), 1995, с. 38-39.

⁷² ჯ. გვასალია. ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. – გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 39, 1989.

გადმოსასვლელი ჩრდილოეთიდან სამხრეთში (საუბარია დვალეთიდან შიდა ქართლში არსებულ გადმოსასვლელებზე – რ. თ.) და რომ იგი, თუ სამხრეთის ოსები მტრულად იქნენ განწყობილნი საქართველოს მიმართ, დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის, მუდამ საჭირო იქნება საგრძნობი ქართველების ყოფნა ამ გადმოსასვლელების დასაცავად. თუ საქართველოს არ უნდა, რომ ყოველთვის საფრთხის წინ იდგეს, მან ისე, როგორც ძველად მას ეკუთვნოდა, უნდა დაიბრუნოს დვალეთი, სადაც ჩრდილოეთიდან არის მხოლოდ ერთი გადმოსასვლელი არდონის კარი, რომლის ჩაკეტვას დიდი ძალა არ სჭირდება და რომლის დაჭერაც იქნება უდიდესი გარანტი იმისა, რომ ჩვენ სამშობლოს ჩრდილოეთიდან მტრების დაცემის ხიფათი არ აშინებდეს“.⁷³ მოგვეპოვება არაერთი საისტორიო საბუთი, გვიან ფეოდალური პერიოდისა, ქართველ მეფეთა მიერ გაცემული, რომელთა მიხედვითაც დვალეთი და მისი ხეობები ქართველ მეფეთა საგამგეოს წარმოადგენდა.⁷⁴ შეუძლებელია არ დავეთანხმოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ყველა იმ ისტორიულ პროცესში, რომელიც დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა, მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, დვალეთიც იყო ჩართული და ყველა ამ პროცესმა იქ თავისი კვალი დატოვა. შეიძლება ითქვას, ფარნავაზმა დვალეთის სახით ჩრდილოეთ კავკასიის ეს კუთხე კი არ დაიპყრო, არამედ ქარ-

⁷³ ო. ჯანელიძე. დროებითი ადმინისტრაციული ერთეული (ისტორია და თანამედროვეობა). – ცხინვალის რეგიონი (2004-2007): სეპარატიზმისა და რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად, თბ., 2008, გვ. 28.

⁷⁴ История Осетии в документах и материалах, составители: Г.Д. Тогошвили и И.Н. Цховребов, том. 1, Цхинвали, 1962, с. 147, 159, 178, 179.

თველური ტომით განსახლებული პირიქით საქართველოს ერთ-ერთი კუთხე შემოიყვანა თავის საზღვრებში“.⁷⁵

ქართულ ისტორიოგრაფიაში ისიც ცნობილია, რომ დვალეთი საქართველოს სახელმწიფოებრივ სისტემაში მხოლოდ პოლიტიკურად როდი იყო ჩართული. საქართველოს ეს ჩრდილოეთი, პირიქითი მხარე კულტურულად და რაც მთავარია, რელიგიური თვალსაზრისით ქართული რეგიონი იყო; ის ნიქოზის სამწყსოში შედიოდა. დვალეთის მოურავ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან კი ცნობილია გიორგი სააკაძე. ვახუშტი გვამცნობს: **„არამედ ამ ჟამებთა შინა განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ჴევნი და ჴეობანი თჳსად და უმეტეს ყოველთა სააკაძე გიორგი, მოურავი ტფილისისა, ქცხინვალისა და დუალეთისა“**.⁷⁶ „კუალად ჟამთა ამათ არა მოსცეს დუალთა ბეგარა მოურავსა, გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ყვნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“.⁷⁷ გიორგი სააკაძის დროს რატომ დაიწყეს დვალეებმა ურჩობა? რატომ თქვეს უარი სახელმწიფო/ფეოდალურ გადასახადზე? ვფიქრობთ, ამის მიზეზი მარტივია: ამ დროს დვალეთში უკვე დამკვიდრებულნი იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებული ოსები. მათ, ბუნებრივია, ახალ გეოგრაფიულ გარემოში, იგივე წესით ცხოვრება ენადათ, როგორც ცხოვრობდნენ იქ, საიდანაც გადმოსახლდნენ. ანალოგიური ურჩობა დვალეებმა, უფრო სწორედ ახალმა ეთნიკურმა ერთობამ შემდეგშიც გააგრძლა. ისიც ბუნებრივია, რომ ქართული წყარო გეოგრაფიული რეგიონის – დვალეთის – მოსახლეობას კვლავ დვალეებს უწოდებს. ად-

⁷⁵ ბ. გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან: ეთნონიმების „ოსი“ და „დვალი“-ს მიმართების საკითხისათვის. – საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1998, გვ. 84.

⁷⁶ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 420.

⁷⁷ იქვე, გვ. 434.

რინდელი სახელწოდების გადატანა ამა თუ იმ რეგიონის ახალ მოსახლეობაზე ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ამდენად, მეცნიერული თვალსაზრისით, კრიტიკას ვერ უძლებს, როდესაც ვკითხულობთ სკიტსკის ანტიმეცნიერულ წინადადებას: «Южная Осетия в старой географии Грузии называлась Двалетия». ავტორს, რა თქმა უნდა, ნაკითხული რომ ჰქონოდა ვახუშტის გეოგრაფია, მსგავს ნონსენს არ დაუშვებდა. დვალეთი, თავისი ექვსი ხეობით, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით იყო. რაც შეეხება მალრან-დვალეთს, ის დვალეთის სამხრეთით დიდი ლიახვის სათავეში მდებარეობდა. მალრან-დვალეთის რეგიონი, დიდი ლიახვის სათავეში, შედარებით გვიან პერიოდში, დვალეთიდან დვალთა მიგრაციის შედეგად წარმოქმნილი რეგიონი იყო. მალრან-დვალეთის რეგიონი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, დიდი ლიახვის სათავეში პირველად ქართულ საისტორიო წყაროებში XIII საუკუნის ამბების თხრობასთან დაკავშირებითაა ნახსენები. აქვე, იმასაც აღვნიშნავთ, რომ მალრან-დვალეთი ძალიან პატარა გეოგრაფიული რეგიონი იყო და ეს თემი სულ ცხრა მთური სოფლის გაერთიანებას წარმოადგენდა. ეს სოფლები იყო *ზემო ერეთი*, *შუა ერეთი*, *ქვემო ერეთი*, *ხოჯა* („ხოჯი“ მეგრულად ხარია. ამავე სახელწოდებით სოფელი ლეჩხუმშიცაა), *გვიდისი* (იმავე ძირისაა მთიულეთის სოფ. „გვიდაქე“) და *ქალაქა*, *ზემო კაბუეთი*, *ქვემო კაბუეთი*, *ბრუტაული*, *კელეთი*. მალრან-დვალეთის სოფლების ჩამოთვლა იმიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ ზოგიერთ ქართველ ავტორსაც იგი დიდი რეგიონად წარმოუდგენია და მასში შეაქვთ მთელი დიდი ლიახვის მთიანი მონაკვეთი თავისი შენაკადი ხეობებით.

სკიტსკის ანტიმეცნიერული თეზისი აიტაცეს ოსმა მეცნიერებმა, რადგან მას ის აწყობდათ ისტორიის გასაყალბებლად, ოსური ეთნოსის საქართველოში მკვიდრობის ხელოვნ-

ნურად დასაძველებად. ზ. ვანევი წერდა: «Юго-Осетия, или Двалетия по старой грузинской географической номенклатуре». «Двалы-осетины обитают на территории Ю. Осетии с древних времен». საქმე ანუილია. შიდა ქართლის ვეებერთელა სივრცეს დვალეთად ასალებენ, დვალეებს – ოსურ ტომად და „ამტკიცებენ“, რომ აქ ისინი უძველესი დროიდან ცხოვრობენ. საინტერესოა, რატომ ვერ შეუთანხმეს ვანევი და კალოევი ერთმანეთს თავიანთი „თეორიები“. კალოევის მიხედვით, შიდა ქართლში IV საუკუნიდან ალანები მკვიდრობდნენ, ვანევის მიხედვით – დვალეები. მკითხველს შევახსენებთ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დიდი ლიახვის ხეობის გარდა, მოიცავდა პატარა ლიახვის, ქსნის, ლეხურას, მეჯუდას, ფრონეების ხეობებს. არცერთ ამ ხეობაში ისტორიულად დვალეები არ მკვიდრობდნენ. ვიმეორებთ, დვალეთი მხოლოდ და მხოლოდ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა. დვალეთიდან დვალთა დიდი ლიახვის ხეობის სათავეში მიგრაციის შედეგად კი მოგვიანებით წარმოიქმნა მალრან-დვალეთის მცირე რეგიონი.

ქართულ საისტორიო საბუთებსა და წყაროებში ვერსად ვერ ამოიკითხავ იმას, რასაც ვანევი წერს. ის ისტორიული ფაქტების დამახინჯების კლასიკური ნიმუშია. ჯერ ერთი, დვალეები არა ოსური, არამედ ადგილობრივი კავკასიური, კონკრეტულად კი ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო. მეორე, დვალეთის ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია ახლა მთლიანად შედის ჩრდილოეთ ოსეთში. რანაირად ემთხვეოდა ბოლშევიკების მიერ გამოგონილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ დვალეთს? მესამე, დღევანდელ ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ შედის მხოლოდ მალრან-დვალეთი. როგორც აღვნიშნეთ ესაა მდ. დიდი ლიახვის უკიდურესი ზემო წელი, სულ 9 სოფელი (როგორც ვახუშტის, ისე იოანე ბაგრატიონის და 1814 წლის აღწერით). დვალეთი და

მალრან-დვალეთი სრული სიზუსტით აქვს მოცემული ვახუშტი ბაგრატიონს თავის რუკებზე.⁷⁸

სხვათა შორის, აღიარებულია, რომ ოსები მონგოლთა შემოსევებამდე მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში სახლობდნენ. სწორედ აქ ჰქონდათ მათ შექმნილი ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი გაერთიანება და არა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში. ოსი მეცნიერი პ. ბერეზოვის მონოგრაფიის მიხედვით, აშკარაა, რომ ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მონგოლთა შემოსევების შემდეგ დასახლდნენ. ისევ ვახუშტი ბაგრატიონს მივმართოთ: „სახელი ესენი (იგულისხმება დვალეთის გარეთ მდებარე ოსური პროვინციები: ჩიმი, თავაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი – რ.თ.) ეწოდნენ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყენთა მოსვლისა, **ბათო ყენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოწრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა და იწოდნენ სახელითა მათითა ჯეობანი ესენი**, ვითარცა აჩენს გუარი მათნი, რამეთუ უწარჩინებულესნი გუარით არიან ოვსნი...“ **„ხოლო შემდგომად მოოწრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდად, და კავკასიასა შინა მყოფი მათ შემოსულთაგან უგუაროთა კუალად დვალადე“**.⁷⁹

აი, რეალური ისტორია. XIII საუკუნიდან, მონგოლთა შემოსევების შემდეგ, ოსები შემოდინ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში. ახდენენ აქ მკვიდრი კავკასიური ტომების ასიმილაციას და გარკვეული ხნის შემდეგ (XVI საუკუნე) იწყებენ დვალეთის ტერიტორიაზე დაფუძნებას, დვალთა ასიმილაციას. დვალთა ასიმილაციაში მათ ხელი თავად დვალეებმა შეუწყვეს, რადგან მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ოსთა მო-

⁷⁸ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997, გვ. 10-11, 23, 25-33.

⁷⁹ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 633-634.

ნოლის შემდეგ, მიატოვა მამა-პაპათა საცხოვრისი და შიდა და ქვემო ქართლში, რაჭასა და ზემო იმერეთში გაიფანტა, მი-თუმეტეს, რომ მტერთა ხშირი თავდასხმების გამო დემოგრა-ფიული სიტუაცია ბარში ერთობ სავალალო იყო. ადგილზე დარჩენილ დვალთა ნაწილი ოსთა მრავალრიცხოვან გარე-მოცვაში აღმოჩნდა (მთის ვიწრო ხეობებში აღმოჩენილი ოსე-ბი მრავლდებოდნენ და საარსებო საშუალება არ ყოფნიდათ, რაც იყო ძირითადი მიზეზი მათი საცხოვრებლად სამხრეთი-საკენ წამოწევისა) და გაოსდა. ისტორიიდან მსგავსი მაგალი-თების მოტანა არაერთი შეიძლება, როდესაც, ისტორიული ვითარების კვალობაზე, ესა თუ ის ხალხი თავის ეთნიკურ სა-ხეს სრულიად იცვლიდა.

ბოლო დროს ოსმა მეცნიერებმა იგრძნეს რა, შიდა ქარ-თლის დვალეთად გამოცხადების უსუსურობა, არგუმენტე-ბის არარსებობა, დაიწყეს ამის „დამამტკიცებელი“ საბუთე-ბის „მოძიება“ სხვა საისტორიო წყაროებში. ი. გაგლოითმა, ქართლის აღნიშნულ რეგიონებს გარდა, დვალეთს თრუსოს რეგიონიც (თერგის ხეობის ზემო წელი) მიათვალა. როგორც ცნობილია, გვიან ფეოდალურ პერიოდში თრუსოც ოსური ელემენტით იყო დასახლებული. როდის უნდა გაჩენილიყო ხევის მეზობელ რეგიონში – თრუსოში ოსური მოსახლეობა? დღევანდელი საქართველოს პროვინციებიდან ოსების დასახ-ლება პირველად სწორედ თრუსოში მოხდა (არა დღევანდელი გაგებით თრუსოში, არამედ თერგის უფრო ზემო წელში). პფაფისა და ნ. ვოლკოვას მონაცემებით, თრუსოში ოსები XV- XVI საუკუნეებში არიან მიგრირებული ქურთათის ხეობიდან. თრუსოდან ქართული მოსახლეობის აყრა XIV საუკუნის მი-წურულში თემურ-ლენგის შემოსევების დროს უნდა მომხდა-რიყო. საფიქრებელია, რომ თერგის ხეობის (თრუსო, ხევი) ადრინდელი მოსახლეობა თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ ძალიან შემცირდა და ამ შემცირებულმა რაოდენობამ მთლიანად ხევში მოიყარა თავი და თავისთავად

ნოციერი ნიადაგი შეუქმნა XVII საუკუნის I ნახევარში ქურთათის ხეობის ოსთა თრუსოში მიგრაცია-დამკვიდრებას.

არაერთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ ხევში მცხოვრები ქართული გვარების თავდაპირველად თრუსოში მკვიდრობა-მოსახლეობის შესახებ. შეიძლება დავასახელოთ: *ზაქაიძე-ზაგაშვილები, ბაბაშვილები, ფაჯიშვილები, არჯინაშვილები, ბადაშვილები, კობიაშვილები, ტურაშვილები...* ხაზი უნდა გაესვას, რომ დღევანდელი ხევის მომიჯნავე თრუსოს ნაწილი XVIII საუკუნეშიც ქართველებით იყო დასახლებული (სოფ. მნა 1774 წლის ხევის აღწერაშია შეტანილი). ამაზე მიუთითებენ ოიკონიმებიც/სოფლების სახელები (შევარდენი, ოქროყანა...). დღევანდელ ტოპონიმ „ადოს მინდვრის“ ადგილას კი „გერგეტის სულთა მათიანეში“ მითითებულია სოფელი ადო, რომელშიც *ცისკარიშვილებს* უცხოვრიათ⁸⁰. ამ მხრივ მხარდასაჭერია *გ. ჩიქოვანის* მოსაზრება, რომ თრუსო მოიცავდა ტერიტორიას თერგის სათავიდან ხეობის უვიწროეს ადგილ ყაშარა//კასარამდე. ეს მოსაზრება მყარ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზეა დაფუძნებული. აქ, ჩვენი აზრით, მთავარია ის, რომ **„ძეგლი ერისთავთაში“ თრუსოელონი და მნაელნი დაპირისპირებულნი არიან ერთმანეთისადმი. მნის ხეობელნი თრუსოელებად არ არიან მიჩნეულნი. ხოლო თრუსოში ოსთა დასახლებამდე, აშკარაა, რომ დვალეები ცხოვრობდნენ.** მაგრამ, ჩვენი აზრით, თრუსო არასოდეს შედიოდა დვალეთში, როგორც ეს მიაჩნიათ. უბრალოდ, თრუსო, სანამ ოსებით იქნებოდა დასახლებული XVII საუკუნის I ნახევარში დვალთა მიგრაციის ობიექტად იქცა (XIII-XIV სს.) და დვალთა ასიმილაცია ოსებმა, საკუთრივ დვალეთს გარდა, თრუსოშიც მოახდინეს. ვახუშტის სიტყვები, რომ თრუსოში „მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი“ იმას არ ნიშნავს, რომ თრუსო დვალეთი იყო. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ თრუსოში მკვირ-

⁸⁰ მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 272.

დობდნენ გაოსებული დვალეები. დვალეების ასიმილაცია ოსებ-მა, საკუთრივ დვალეთს გარდა, თრუსოშიც მოახდინეს. ური-გო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა გერმანელი მეცნიერის გი-ულდენშტედტის სიტყვები: „კავკასიელ მთიელთა შორის გან-საკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომლებთაც, რელიგიასთან ერთად ენაც დაივიწყეს“.⁸¹ დიდად ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ თრუსო ვახუშტის ხე-ვის აღწერაში აქვს შეტანილი.

თრუსოდან ხევში მიგრირებული რამდენიმე გვარის შე-სახებ ზემოთ გვქონდა ნათქვამი. აღნიშნული იყო, რომ თრუ-სოში გაოსდა ზაგაშვილების გვარი, რომლებიც ზაგაევებად იქცნენ (აღსანიშნავია, რომ 1886 წლის საოჯახო სიებში შეტა-ნილი ზაგაშვილ-ზაგაევების შინა სალაპარაკო ენა ქართული იყო). თრუსოში რამდენიმე სხვა ადგილობრივი ქართული (resp. დვალური) გვარიც გაოსებულია. ესენი არიან: *გუდიაურები, არჯინაულები* (არძინოვებად იქცნენ). ამავე დროს, ძი-რად ქართველებად მიაჩნიათ თავი *ქასოევებსა და სუხიევებს*, რომლებიც თავიანთ ადრინდელ გვარებად *ქასოშვილსა და სუხიშვილს* ასახელებენ.⁸² ანგარიშგასაწევია ის ეთნოგრაფი-ული მასალა, რომელიც თრუსოს ოსურ მოსახლეობაში გ. ჯა-ლაბაძემ მოიპოვა: **„არდონიდან ჩამოსახლებული ოსური ფენის უმეტესობა გადმოსახლებიდან სამ-ოთხ თაობას მო-ითვლის. ჩამოსახლებულთა დასკვნით, „ოსების მიერ ყა-ბარდოელების ქვეშ დვალური მოსახლეობის ისეთი ფენა უნდა იყოს ნავარაუდები, რომელიც თრუსოს ხეობის ზედა რაიონში მოსახლეობდა“.**⁸³

⁸¹ გიულდენშტედტის ცნობები საქართველოს შესახებ, გ. გელაშვი-ლის გამოცემა, გვ. 185.

⁸² გ. ჯალაბაძე. მინათმოქმედება თერგის ხეობაში. – მუზეუმის მოამ-ბე, ტ. XXII-ბ, თბ., 1961, გვ. 227.

⁸³ გ. ჯალაბაძე. მინათმოქმედება თერგის ხეობაში, გვ. 228

„ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით აშკარაა, რომ **თერგის ხეობაში XIV საუკუნეში გამოიყოფა სამი „ქვეყანა“ – თრუსო, მნა და ხევი.** მნა თრუსოსა და ხევს შორის მდებარეობს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვახუშტის თრუსოში ოსის სულ რვა სოფელი აქვს დასახელებული, ჩვენ შეგვიძლია თრუსოს რეგიონის მიახლოებითი მოხაზვა და მისგან იმ დროს აშკარად მნის „ქვეყნის“ გამოყოფა. „ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით, თრუსო და მნა ერთმანეთის მიმართ აშკარად მტრულად განწყობილი „ქვეყნებია“. მნის „ქვეყანა“ ეთნოგრაფიულად ხევს „ქვეყნის“ თითქმის მსგავსი და ანალოგიურია. მოვუსმინოთ „ძეგლი ერისთავთა“-ს: „მაშინ ჩამოვიდა თრუსოს და მოეგებნეს თრუსოელნი მრავალითა ძლუენითა და ერთგულებისა ჩვენებითა და ევედრნეს შუელად მტერთა მათთა ზედა მნას“.⁸⁴ აშკარაა, რომ თრუსოელები შედარებით მცირერიცხოვანნი იყვნენ, მნაველებთან შედარებით, რადგან ისინი საკუთარი ძალებით მას ვერ ერევიან და ერისთავს ევედრებიან დახმარებას. მნაველები იმდენად დარწმუნებული არიან თავის სიძლიერეში, რომ ისინი ერისთავის ბრძანებაზე მასთან მისულიყვნენ, უარს ამბობენ: „ხოლო ერისთავმან უბრძანა მნაველთა მოსვლად წინაშე მისსა, არამედ მათ არა ინებეს, რამეთუ თქუეს: არა მეშინის შენგან და ვერც რას შემძლებელ ხარ ვნებად ჩუენდა“. სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ვირშელ ერისთავმა მნაველთა წინააღმდეგობა გატეხა. „მაშინ მოიკლეს სიმრავლეთა ისართათა თავნი და გოლიათნი ქუეყნისა მათისანი“. „ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით, აშკარაა, რომ მნელები თავიანთ „ქვეყნის“ „თავებთან“ ერთად მრავალრიცხოვანი იყვნენ. იმა-

⁸⁴ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატინე). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 357.

ვე ძეგლში ლაპარაკია მათ მრავალრიცხოვან ციხეებსა და სოფლებზე: „მაშინ შესტეხეს კარები და შეიპყრეს ყოველნი მბრძოლნი და მოიყვანეს წინაშე ერისთავისა და დაწუეს და დაარღვენეს ციხენი და სოფელნი იმათნი“.⁸⁵

მნაველების დახმარება მოხევეებს გადაუნყვეტიათ. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ისინი მათ თანამოძმეებად მიიჩნევდნენ? იმიტომ ხომ არა, რომ თრუსოს მხრიდან დვალთა მონოლის ბურჯად, შემჩერებლებად მნაველები იდგნენ? იმიტომ ხომ არა, რომ მნაველებთან ერთად მათაც არ უნდოდათ ფეოდალური უღლის დადება?

„ესმა მოხევეთა და მოვიდეს ბრძოლად და ვითარცა იხილეს სიმრავლე ლაშქრისა, შიშით დაიმაღნეს. უკუმოდგა ერისთავი კობს და მოიღეს მოწვევთა სიმრავლე ძღვენისა და შემდგომად განთენებისასა წამოვიდა“.

„გერგეტის მატთანეს“ (1439 წ.) მიხედვით აშკარაა, რომ **ხევის სალოცავი – გერგეტის სამება თავის უფლებამოსილებას, გარდა ხევისა, ავრცელებდა მნასა და თრუსოზეც, ე.ი. XV საუკუნეში თერგის ხეობა მთლიანად (თრუსო+მნა+ხევი) ერთ ერთეულს წარმოადგენდა. თერგის ხეობის სამივე გეოგრაფიული ერთეული გერგეტის სამებას ეყმობოდა.** წყაროში ვკითხულობთ: „და მნაველთაცა მათ მოიკიდესა ურთაშვილი ჩიტურა და ბაჩხისძე და აბიაური სედუვათაძე, ყანობით ყალარდოიშვილი და რაჲს ძე. თრუსოველთაცა – ჯურთიელ ყანობელთა მოიკიდეს. მნით ბადაჲსძე და ადოით – ცისკარაშვილი“.⁸⁶ მოტანილი ამონაწერი იმითაცაა საყურადღებო, რომ დღევანდელი ხევის ზემოთ ადოსა და მნაში ქართველები მკვიდრობდნენ. მატთანეში ჩამოთვლილი ანთროპონიმები თქმულის დამადასტურებელია. ამასთანავე, 1439 წლის წყაროში მოხსენიებული ბადაისძენი მნაში მკვიდ-

⁸⁵ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე), გვ. 358.

⁸⁶ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე), გვ. 358.

რობდნენ 1774 წელსაც, რომლებიც დღეს ხევის სოფ. ხურთისში მცხოვრები ბადაშვილების წინაპრები იყვნენ.

აშკარაა, რომ საქართველოს მთის ზოგიერთ რეგიონში ეთნიკურ-ეთნოგრაფიული სიტუაცია იცვლებოდა. ის არამდგრადი იყო. ასეთი სიტუაცია უნდა გვექონოდა მთლიანად თერგის ხეობაში. საისტორიო საბუთებით აშკარაა, რომ **თერგის ხეობა, თავის დროზე, მთლიანად წანართა ქართველური ტომით იყო დასახლებული**, რომლებმაც შემდეგ დიდი როლი ითამაშეს VIII-IX საუკუნეებში კახეთის სამთავროს წარმოქმნაში.

მტრის მიერ დასუსტებულ, გაპარტახებულ მოსახლეობით შეთხლებულ ბარს მთის ჭარბი და ნამატი მოსახლეობა ავსებდა. ბარი (კახეთისა) გაჩანაგებულია. მთიელი წანარები კი არ ემორჩილებიან უცხო დამპყრობლებს. გამრავლებულ წანარებს საარსებო საშუალება სჭირდებოდათ. სჭირდებოდათ კახეთის ბარი არსებობისათვის და იწყებენ ბრძოლას, სათავეში უდგებიან ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ და ბოლომდე მიყავთ საქმე. ცხადია, მთიელი წანარები კახეთის მთისწინეთსა და ბარში ესახლებიან თანდათან. თერგის ხეობის ძირითადი ნაწილი (ზემო წელი) მოსახლეობისაგან თავისუფალი ხდება. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ წანარეთი თერგის ხეობაში იყო (*ივ. ჯავახიშვილი ს. კაკაბაძე, ს. ჯანაშია, მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, დ. მუსხელიშვილი, ჯ. გვასალია, შ. ბადრიძე*).

ჩვენი აზრით, სწორედ IX საუკუნეში უნდა მომხდარიყო წანართა ჯგუფური ჩამოსახლება კახეთის მთისწინეთ-ბარში. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ წანართა პოლიტიკური ექსპანსია მოხდა ბარისაკენ (მ. ლორთქიფანიძე), მეორე ნაწილი მათ ეთნიკურ გავრცელებას გულისხმობს კახეთის მთელ ტერიტორიაზე (დ. მუსხელიშვილი). მიგვაჩნია, რომ მეორე შეხედულება უფრო მხარდასაჭერი და მისაღებია. ჩვენი

აზრით, მოხდა, როგორც პოლიტიკური, ისე ეთნიკური ექსპანსია. ერთი მეორეს არ გამოორიცავს. რა თქმა უნდა, წინართა პოლიტიკურ ექსპანსიას მათი ეთნიკური ექსპანსია ანუ ჯგუფური გადასახლებანი მოყვებოდა ბარში. სხვანაირად გამოორიცხულია. წინართა ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხომ ის იყო, რომ ჩამოენაცვლათ მტრისაგან გაპარტახებულ და გავერანებულ კახეთის დაბლობში. **წანართა კახეთის მთისწინეთ-ბარში მასიური ჩამოსახლების დამადასტურებელია ის, რომ შემდეგ წანარები, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი, ქრებიან ისტორიის სარბიელიდან.** წანარებს თერგის ხეობაში რომ კომპაქტური დასახლება შეენარჩუნებინათ, მათი სახელი არ გაქრებოდა და სხვა მთიელებთან (ტომებთან) ერთად სახელდებული იქნებოდნენ. ბარში ჩამოსახლებული მთიელები (წანარები) კი ფაქტია, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ. დღევანდელი თერგის ხეობა რომ ისტორიული წანარეთია, იქიდანაც ჩანს, რომ ოსები მოხევეებს „შანას“ უწოდებენ. ჯ. გვასალიას სამართლიანი შენიშვნით „შანა“ გამოძახილია სწორედ „წანა-სანასი“.

დაახლოებით **XIII საუკუნიდან წანარეთის ქვეყნის ნაწილს – თრუსოს მნის ხევამდე – წანარეთის მონათესავე სხვა ქართველური ტომი – დვალეები იკავებენ.** დვალეებს, ნამატის გამო, თავისთავად სჭირდებოდათ საცხოვრებელი გარემო. ამასთანავე, დვალეებს მონღოლთაგან შევიწროებული ოსები ავიწროებდნენ. ისინიც აღარ აყოვნებენ და სახლდებიან წანარეთის ამ ნაწილში – თრუსოში, რომელიც მთლიანად დაცლილია მოსახლეობისაგან. ამავე პერიოდს ოდნავ წინ უნდა უსწრებდეს მალრან-დვალეთის წარმოქმნა დიდი ლიახვის სათავეში. ამავე დროს, ისტორიული წანარეთის მეორე დიდ ნაწილსაც სახელი ეცვლება და ხევად იწოდება. მთლიანად არ უნდა მომხდარიყო წანარების აყრა – გადასახლება. მათი გარკვეული ნაწილი ადგილზე დარჩა. „მოქცე-

ვაე ქართლისაჲში“ ნახმარია ტერმინი „წანარეთისა ჴევსა“. დროთა განმავლობაში „წანარეთის ჴევიდან“ „წანარეთი“ დაიკარგა და მივიღეთ „ხევი“, რადგან ეთნიკურ-ეთნოგრაფიულად წანარეთი (წანარეთის ხევი) და ხევი (დღევანდელი გაგებებით) უკვე აღარ ემთხვეოდა ერთმანეთს, წანართა ეთნოგრაფიული ჯგუფის აქედან გადასახლების გამო. როგორც მკვლევართა ერთ ჯგუფს მიაჩნია წანარები სვანურენოვანი ტომი იყო (*ნ. მარი, ს. კაკაბაძე, ჯ. გვასალია*), თუმცა ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება სანარების (წანარების) ვაინახური წარმოშობის შესახებ. ეთნოგრაფ ნ. ვოლკოვას ეს ვერსია დაუსაბუთებლად მიაჩნია (ასევე საექვოდ მიაჩნია მას ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების დვალეების (თალების, ვალების) ნახურურენოვანი სამყაროსადმი მიკუთვნება. ნ. ვოლკოვას აზრით, უფრო მართლზომიერია დვალეებისა და წანარების მთლიანად იბერიულ-კავკასიური ენობრივ წრისადმი მიკუთვნება.⁸⁷ წანარების სვანურენოვნების, მიუთუმატეს, მათი იბერულკავკასიური ენობრივი სამყაროსადმი მიკუთვნება, ჩვენ გასაზიარებლად მიგვაჩნია, იმ განსხვავებით, რომ შესაძლოა წანარები დღევანდელ სვანთა სრულიად იდენტურნი არ იყვნენ, არამედ სვანებთან ახლოს მდგომი ქართველური ტომი. წანარების დასავლეთ ქარველებთან (სვანებთან) ეთნოგრაფიული სიახლოვის დამადასტურებელი ისიც უნდა იყოს, რომ ეთნომუსიკოლოგიური გამოკვლევებით, დღევანდელ მოხვევთა სიმღერა ახლოს დგას სვანურ სიმღერებთან,⁸⁸ რაც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ხევეში ადგილზე დარჩა წანართა გარკვეული რაოდენობა.

ასე რომ, **ერთიანი წანარეთი (წანარეთის ხევი) X საუკუნის შემდგომ სამ პატარა „ქვეყნად“ დაიშალა: თრუსოდ,**

⁸⁷ Н.Г. Волкова. Этнонимы... М., 1973,с. 123-124.

⁸⁸ ნ. მაისურაძე. ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989.

მნად და ხევად. XVIII საუკუნის დასასრულს მნაც თრუსომ გადაფარა, რაც შედეგი იყო ამ პერიოდში თრუსოში მცხოვრები ოსების წინ წამოწევისა, მნაში ქართული მოსახლეობის ოსურით შეცვლისა. უფრო ადრე, XVII საუკუნემდე თრუსოც არაოსური იყო. აქ დვალები მკვიდრობდნენ, რომლებიც ასევე გაოსდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ქურთათის ხეობიდან ოსების ინფილტრაციის შედეგად. ასეთი იყო ეთნიკური სურათი ხევის მეზობელ თრუსოში, რომელიც, როგორც ვნახეთ, ისტორიის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა. ხევი კი ეთნოკატაკლიზმებს გადაურჩა. სხვათა შორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ტოპონიმი „თრუსო“ იხსნება ძველი ქართული ენის საშუალებით. სულხან-საბას ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ „დრუსო არს ზღუდე ქვისა კოშკიანი, დიდი და კეთილადშენებული“. „დრუსო არს ზღუდე ქვისა მაღალი კეთილადნაგები კოშკ-კოშკოვანი“.⁸⁹ იმავე განმარტებას აძლევს ამ სიტყვას დავით ჩუბინაშვილი: „დრუსო – ზღუდე ქვისა მაღალი, ნაგები კოშკ-კოშკებად. Ограда, стена каменная с башнями“.⁹⁰ თრუსო, სხვა მთის კუთხეებთან ერთად ისეთი რეგიონი იყო, სადაც სწორედ ასეთი კოშკოვანი ზღუდეები იგებოდა. რაც შეეხება იმას, რომ რეგიონს სახელად „თრუსო“ ჰქვია და ზღუდის სახეობას – „დრუსო“, აქაც ისეთივე მონაცვლეობა გვაქვს „დ“ და „თ“ თანხმოვნებისა, როგორც „დვალეთისა“ და „თუალეთის“ შემთხვევაში. იმავე დ. ჩუბინაშვილს თუ მოვიშველიებთ „გარნა მდაბიურად ნაცვლად დ ხმარობენ თ“. ქიზიყში კი „თრუსოს“ ცელის პირის ასანყობს სალეს ქვას უწოდებდნენ. ასეთ ქვას, რომელიც მოლურჯო იყო, ქიზიყში მშრალად და დაუსველებლად ხმარობდნენ.⁹¹ ივ.

⁸⁹ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ. 292.

⁹⁰ დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

⁹¹ სტ. მენთეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

ნიკლაურის მონაცემებით თერგის ხეობა სწორედ ასეთი სა-
ლესავი ქვებით არის მდიდარი.

ახლა უნდა დავუბრუნდეთ ოს ისტორიკოსთა ზემოთ
ნახსენებ მცდელობას დვალეთი უწოდონ შიდა ქართლის
მთისწინა – მთიან რეგიონს. საამისოდ მათ „გამოიყენეს“
„ძეგლი ერისთავთას“ ერთი ადგილი. მასში ვკითხულობთ,
რომ ქსნის ერისთავმა და მისმა ლაშქარმა „...**მონუნეს და მო-
აოჭრნეს ყოველნი ჴევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და
დაარღვივნეს ყოველნი ციხენი თრუსოით აჩაბეთამდე**“.⁹²
ქრონიკის ამ ადგილმა აფიქრებინა ზოგიერთ ოს ისტორი-
კოსს,⁹³ რომ დვალეთი ისტორიულ-გეოგრაფიულად მოიცავ-
და თითქმის მთელი შიდა ქართლის – მთა-მთისწინეთს ლიახ-
ვის, ლეხურას, მეჯუდას, ქსნის ხეობებს. ჯ. გვასალიამ და-
მაჯერებლად აჩვენა, რომ „ყოველნი ხევნი დვალეთისანი“ არ
მოიცავს თრუსოსა და აჩაბეთს და მეორეც, გამოთქმა „აჩაბე-
თიდან თრუსომდე“ არავითარ შემთხვევაში არ მოიცავს
ქსნის ხეობას (მითუმეტეს შენაკადებით), რადგანაც თრუსოს
ხეობიდან ლიახვის ხეობაში (აჩაბეთში) მოსახვედრად არაა
საჭირო ქსნის ხეობის გავლა, მითუმეტეს, რომ თრუსოს ხეობა
ქსნისას არ უკავშირდება⁹⁴. ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ თრუსო-
დან პირდაპირ გადადის გზა მალრან-დვალეთში (ლიახვის ხეო-
ბის სათავე) და რაც მთავარია, ადგილი აქვს ტექსტის არასწო-
რად ნაკითხვას, დააკვირდით: „მაშინ მონუნეს და მოაოჭრნეს
ყოველნი ჴევნი დვალეთისანი...“ აქ აზრი მთავრდება და შემდეგ
მოდის „და“ კავშირი, ე.ი. დვალეთთან ერთად მოაოხრეს სხვა
ტერიტორიაც, კერძოდ, „შემუსრნეს და დაარღვივნეს ყოველნი
ციხენი თრუსოით აჩაბეთამდე“, აზრი ნათელია. აქ ლაპარაკია

⁹² ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატინე), გვ. 348.

⁹³ ი. გაგლოევი. მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონო-
მასტიკაში, მოხსენებათა თეზისები, 1989, გვ. 43-44.

⁹⁴ ჯ. გვასალია. რას გვიდასტურებს ძველქართული სახელწოდებანი.
– „კომუნისტი“, 9/IX, 1990.

სამ სხვადასხვა რეგიონზე: დვალეთზე, თრუსოზე და დიდი ლი-
ახვის ხეობაზე თრუსოდან მოყოლებული აჩაბეთამდე. საქმე
გვაქვს რთულ წინადადებასთან, რომელშიც ორი მარტივი წინა-
დადებაა გაერთიანებული. ვისაც ქართული ყურთ არ ეხამუშე-
ბა, აშკარაა, პირველ მარტივ წინადადებას („მონუნეს და მოაოჭ-
რნეს ყოველნი ჴევნი დვალეთისანი...“) სრულიად არ განსაზღ-
ვრავს მეორე მარტივი წინადადება („...და შემუსრნეს და დაარ-
ღვვნეს ყოველნი ციხენი თრუსოით აჩაბეთამდე“). ნათელია,
რომ ამ ერთ რთულ წინადადებაში ლაპარაკია შიდა ქართლის
მთიანეთის სულ სხვადასხვა რეგიონებზე. ტექსტში აშკარად
მითითებულია, რომ ქსნის ერისთავის ჯარმა მოაოხრა დვალე-
თის პროვინცია, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდი-
ლოეთით მდებარეობდა და რომელიც ექვს ხეობას აერთიანებ-
და (ვახუშტის მიხედვით): კასრის ხევი, ზრამაგა, ყღელე, ნარა,
ზროგო და ზახა. „ძეგლი ერისთავთა“-ში სწორედ დვალეთის ამ
ხეობებზეა ლაპარაკი, როდესაც ვკითხულობთ: „...მონუნეს და
მოაოჭრნეს ყოველნი ჴევნი დვალეთისანი...“ აქ, რომ კავკასიო-
ნის ქედის სამხრეთით მცხოვრები დვალეების შესახებ ყოფილი-
ყო საუბარი, ტექსტში აუცილებლად დვალეთის ნაცვლად „მალ-
რან-დვალეთი“ იქნებოდა ჩანერილი, რადგან, როგორც განსა-
ხილველი წყარო, ისე სხვა ქართული საისტორიო წყაროები და
გვიანდელი ჩვენთვის ხელმისაწვდომი ეთნოგრაფიული მონა-
ცემები მკვეთრად მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან დვალეთსა და
მალრან-დვალეთს. თუმცა ქრონიკაში ისიცაა ნათქვამი, რომ
დვალეთთან ერთად მალრან-დვალეთის ტერიტორიაც იქნა შე-
მუსრული დიდი ლიახვის ხეობის სხვა მონაკვეთთან ერთად.
იმის გამო, რომ დიდი ლიახვის ხეობაში მხოლოდ მალრან-დვა-
ლეთი არ დალაშქრეს, „ძეგლი ერისთავთა“-ს ავტორმა ცალ-
ცალკე აღარ დააკონკრეტა დიდი ლიახვის ხეობის სხვადასხვა
მონაკვეთები და აღნიშნა, რომ ეს ლაშქრობა მოეწყო პირიქით,
დვალეთში და დიდი ლიახვის ხეობაში მისი სათავიდან (ანუ

თრუსოდან) აჩაბეთამდე. შიდა ქართლის დიდი და პატარა ლი-
ახვის ხეობების, აგრეთვე ქსნის ხეობის დვალთა განსახლების
არეალად გამოცხადების ერთ-ერთი ავტორი და ინიციატორია
ი. გაგლოითი.⁹⁵ უფრო მეტი, ეს ავტორი ისე შორს წავიდა, რომ
თურმე ვახუშტის დროს ხევის მცხოვრებთა „გაქართველება“
კი ჯერ არ იყო დასრულებული.⁹⁶

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო დვალეებისა და დვალე-
თის ისტორიის შესახებ არის XIV საუკუნის დასასრულის (შ.
მესხიას გამოკვლევით დაწერილია 1348-1400 წლებს შორის –
იხ.) „ძეგლი ერისთავთა“ – ქსნის ერისთავთა საგვარეულო მა-
ტიანე⁹⁷. ამ ძეგლიშიც, ისე როგორც სხვა ქართულ წყაროებში
დვალეთი და ოსეთი დაპირისპირებულია ერთმანეთისადმი,
ისინი სხვადასხვა ქვეყნებია: „ამათ ჟამთა იქმნა ფრიადი შფოთი
ქუეყანასა ოვსეთისასა და იქმნა ფრიადი სისხლთა დათხევა მე-
ფეთა შორის მათთა. მაშინ მძლე იქმნეს შვილნი უხუცესისა
ძმისანი და გარდმოიყვანნეს მთასა ზახისასა (ქართული წყა-
როს ზახის მთა ეს იგივე ხოხის მთა – რ. თ.) შვილნი უმრწემესი-
სანი – როსტომ, ბიბილა, ნითლოსანი და ძენი მათნი სამეოც-
დაათით მონითა კეთილითა და მოიყვანნეს ქუეყანასა დვა-
ლეთისასა“⁹⁸. მოყვანილი ციტიტიდან აშკარაა, რომ ოსთა უმ-
ცროსი მეფის შვილები, შინაური შფოთის გამო, მოდიან მათ-
თვის უცხო ქვეყანაში – დვალეთში. დვალეთში ოსეთიდან
ისინი გადმოვიდნენ ზახის მთით. ძეგლში ხაზი აქვს გასმული,
რომ გუარ-ნათესაობით, გვარ-ტომებით ოსები და დვალეები
სხვადასხვა ხალხია: **„მაშინ გულისჯმა-ყვეს დვალთა, შეკ-
რბეს და თქუეს: ვხედავთ, ვითარითა საქმითა იწყეს შენე-**

⁹⁵ Ю. Гаглойти. Алано-Георгика. 2007, с. 184, 200.

⁹⁶ იქვე, გვ. 184, 228.

⁹⁷ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მათიანე), 1954,
გვ. 321.

⁹⁸ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მათიანე), 1954,
გვ. 344.

ბად ოვსთა ამათ მეფეთა, დაღათუ სახელ-ვსდევით ბიბი-
ლურად, არამედ სახელი ესე ვერ დაჰფარავს გუარ-ნათე-
საობასა მათსა (ხაზი ჩვენია – რ.თ.) და შემდგომად მცირე-
დისა ეუფლნენ ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა...“.⁹⁹ წყაროდან
აშკარაა, რომ დვალეთიდან გამოძევებული ოსები შიდა ქარ-
თლის მთიანეთში – ისროლისხევში (მეჯუდას ხეობის სათავე)
ეფუძნებთან და უპირისპირდებიან როგორც სამეფო ხელი-
სუფლებას, ისე მათ ირგვლივ მცხოვრებ მთიელებს და მათ
შორის დვალეებს: „ხოლო შალვა მიჰმართა ჴევთა დვალეთისა-
თა და მოაოჴრნა ყოველნი. და მოუჴდეს შავდვალნი ღამესა
ბნელსა...“.¹⁰⁰ ქრონიკაში დვალეების პარალელურად ნახსენები
არიან „შავდვალნი“, რომლებიც ეთნიკურ-ეთნოგრაფიულად,
რა თქმა უნდა, იგივე დვალეები იყვნენ, მაგრამ დვალეებისაგან
მაინც გამოცალკავებულად მოიხსენიებიან ძირითადი დვა-
ლეებისაგან ტერიტორიული გამოცალკეების გამო. ჩანს, შავ-
დვალნი შიდა ქართლის მთიანეთში, დვალეთის მოსაზღვრე
ტერიტორიებზე იყვნენ განსახლებულნი. საგულისყუროა,
რომ ძეგლში არსად ქვეყანა „შავდვალეთი“ არაა დასახელე-
ბული. ლაპარაკია მხოლოდ შავდვალეებზე. აშკარაა, რომ
„ძეგლი ერისთავთას“ ავტორისათვის შავდვალეთის ქვეყანა
არ არსებობდა. დვალთა გარკვეული ნაწილის კავკასიონის
ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსახლებამ ახალი „ქვეყნის“
წარმოქმნა არ გამოიწვია და შავდვალეებით დასახლებული
დვალეთის მომიჯნავე ლიახვის ხეობის სათავეები შავდვალე-
თად არ იქცა. ეს თავისთავად იმაზეც მიუთითებს, რომ იმ-
დროისათვის (XIII ს.) შავდვალნი დვალეთიდან დიდი ლიახვის
სათავის შენაკად ხეობებში ახალი გადმოსახლებულნი იყ-
ვნენ. XIII-XIV საუკუნეებში დვალეები დიდი ლიახვის სათავეში
მკვიდრად სხედან. ქსნის ერისთავთა ქრონიკაში ვკითხუ-

⁹⁹ იქვე, გვ. 346.

¹⁰⁰ იქვე, გვ. 348.

ლობთ: „ამას ჟამსა იყო შფოთი და პოეს ჟამი დვალთა და წა-
ასხეს ლუდით ზროხა. ესმა ერისთავსა და განილაშქრა მათ და
ზედა მივიდა ერემას, ნუხლეთს და ნუბენს და დაარღვივნა
ციხენი მათნი და დაწუა და ალაოჭრა ქუეყანა მათი და წარმო-
ვიდა გამარჯვებული“. ¹⁰¹ ლაპარაკია დვალთა სამი სოფლის
(ერემას, ნუხლეთის და ნუბენის) აოხრებასა და დარბევის შე-
სახებ. ერემა მალრან-დვალეთის სოფელი ერმანია.

XIV საუკუნის ამბების თხრობისას, ქსნის ერისთავთა
საგვარეულო ქრონიკაში შავდვალეების პარალელურად დასა-
ხელებულნი არიან **ქვემო დვალნიც**: „ამას ჟამსა ქუემო
დვალთა წაასხეს ზროხა აწრისხევით (აწრისხევი პატარა ლი-
ახვის მთიან ნაწილშია – რ.თ.). ესმა იოვანეს და განილაშ-
ქრა“. ¹⁰² ძეგლში მხოლოდ ქვემო დვალეებზეა ლაპარაკი, არ-
სად – ქვემო დვალეთზე. ქრონიკაში მითითებულია ქვემო
დვალეებით დასახლებული რეგიონიც. ესაა თლისხევი და სო-
ფელი თლე დიდი ლიახვის სათავეში, აგრეთვე, სოფ. წერღუ.
შემდეგ ძეგლში ქვემო დვალეების სხვა სოფლებიცაა ჩამოთ-
ვლილი: „მაშინ მიემონწმნეს ყოველნი ლაშქარნი, წარემარ-
თნეს და შედგეს მთასა ბეხუშისასა, და ესმა ქუემო დვალთა
კოშკელ-იოსებურთა, თლეველ-მუღისველეღთა, ზღუბე-
რელ-როკაელთა“. ¹⁰³ ბეხუშის მთა ერთგვარი საზღვარი ჩანს
ქვემო დვალეებსა და ქსნის საერისთავოს შორის, სხვანაირად
დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელს შორის. ძეგ-
ლის ავტორი, XIV საუკუნეში, დიდი ლიახვის ხეობის მთიან
ნაწილში გადმოსახლებულ დვალეებს ქვემო დვალეებს უწო-
დებს. არაა სწორი ზოგიერთი მეცნიერის მიერ კატეგორიული
განცხადება, რომ ქვემო დვალეების განსახლების არეალი დი-

¹⁰¹ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე), გვ. 355.

¹⁰² იქვე, გვ. 356.

¹⁰³ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე), 1954, გვ. 357.

დი ლიახვის ზემო და შუა წელს მოიცავდა.¹⁰⁴ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ **ქვემო დვალეების/შავდვალთა განსახლების არეალი დიდი ლიახვის მხოლოდ ზემო წელს მოიცავდა და ისინი ჯავიდან ჩრდილოეთით საკმაოდ დაშორებით ცხოვრობდნენ.**

ქვემო დვალთაგან ერთგვარად გამოყოფილნი არიან *მალრან-დვალნი*, რომელნიც დიდი ლიახვის სულ ზემო წელში, სათავეში მკვიდრობდნენ. წყაროში მალრან-დვალეთის თემ-სოფლებიცაა დასახელებული, რომელთაგან ზოგიერთი ბოლო დრომდე შემორჩა. „ძეგლი ერისთავთა“-ში ვკითხულობთ: „მობრუნდა და შედგა მთასა სოსხოვასასა. და ესმა მალრან-დვალთა და მოვიდეს ბრუტას-შვილნი და კელეურ-კაბუშურნი და ყოველნი სოსხოელ-წუბენისხეველნი, ხოჯა-ელ-წაელნი მძევლითა, ბეგარით და ძლუენისა სიმრავლით“.¹⁰⁵ 1814 წლის აღწერით მალრან-დვალეთში ეს სოფლებიც არის შეტანილი, კერძოდ, ერემი, ხოჯა („ხოჯაელ-წაელნი“), კელეთი და კაბუეთი („კელეურ-კაბუშურნი“), ბრუტაული („ბრუტასშვილნი“). ამკარაა, რომ ამ დროს, XIV საუკუნეში, დაადეს ხელი ქსნის ერისთავებმა მალრან-დვალეთს და თავის საგამგეოში შეიყვანეს. ამავე დროს, მოყვანილი ციტატიდან კარგად ჩანს, რომ მალრან-დვალეების ზოგიერთი სოფელი -ურ სუფიქსითაა ნაწარმოები, რაც იმას ადასტურებს, რომ აქ შესაბამისი გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ: *კელეურ-ი, კაბუშ-ურ-ი, ბრუტა-ულ-ი*¹⁰⁶)... ეს ფაქტი კი კიდევ ერ-

¹⁰⁴ Ю. Гаглойти. Алано-Георгика. 2007, с. 184, 201.

¹⁰⁵ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), გვ. 357.

¹⁰⁶ სხვათა შორის, ხევში მცხოვრებ ოდიაურებში/ოდიშვილებში ტრადიციული პიროვნული სახელი იყო „ბრუტაული“, რაც პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ოდიაურები დვალი ბრუტაულებისაგან წარმომავლობენ. ქართველებში ტრადიცია იყო ადრინდელ გვარის პიროვნულ სახელად გამოყენებისა. იმავე ხევში 1774 წლის ხალხის აღწერის დავთრით ერთ-ერთ ჩოჩოურს, რომლებიც დვალეთიდან წარმომავლობენ, სახელად ერქვა თოაური/თვაური. ეს ფაქტიც

თხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დვალეებს ისეთივე - ურ სუფიქსიანი გვარსახელები ჰქონდათ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. იოანე ბაგრატიონის მიხედვით, დვალეთის ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს გამგებლობაშია, ნაწილი - დასავლეთ საქართველოს გამგებლობაში. ჩამოთვლის რა დიდი ლიახვის მთიანეთის ოსურ სოფლებს, როკასა და სბას, შემდეგ წერს: „ამას უკან, რომელიც სამეფო არს ოსის სოფლები კიდევ ქ. ზახა, ქ. ნარას ხეობა“. ¹⁰⁷ შემდეგ „იმერეთის სამეფოს რაც კავკასიის მხარე მიეწერება და რომელიც იწყების, დიდი ლიახვის მემიჯნავენი ოსნი და სხვანი მთის კაცნი, რომელნიც რაჭის საერისთაოს მიეწერებიან არიან ესენი სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო, არიან ესენი: ქ. მალლა დვალეთი, ქ. ჯღერე, ქ. ლესრე, ქ. თებე, ქ. ლეთა, ქ. კასარა და სხვანი წერილი სოფლები“. ¹⁰⁸

დასახელებული სოფლებისა და ხეობების (ჟღერე, კასრის ხევი) გარდა, არაგვის ერისთავების გამგებლობაში იყო ზემოხსენებული ზახას ხეობა, რომელიც ტერიტორიულად მათსავე სამფლობელოსთან — თრუსოსთან იყო დაკავშირებული. ზროგოს ხეობის ნაწილი თუ სახასო (სახელმწიფო) საკუთრებას წარმოადგენდა, ნაწილი თავად მანაბლების საკუთრება იყო. იმის გამო, რომ 1858 წელს დვალეთი საქართველოს (თბილისის გუბერნიის გორის მაზრას) ჩამოაცილეს და თერგის ოლქს გადასცეს, თავადმა მანაბლებმა სპეციალური წერილი გაუგზავნემს კავკასიის მეფისნაცვალს, რომ ზროგოს ხეობა მათი საკუთრებაა. ამ წერილში ისინი იმასაც აღნი-

ჩოჩოურების/ჩოჩიშვილების ადრინდელ დვალურ გვარზე – თოაური/თვაური – მიუთითებს. თოაურების/თვაურების გვარსახელის თავდაპირველი ფონეტიკური ვარიანტი კი თვაური იყო.

¹⁰⁷ იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 42.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 77.

შნავდნენ, რომ საერთოდ დვალეთის ზროგოს ხეობა მათი გვარის პირველსაცხოცრისი იყო: «первоначальным местом жительства князьями Мачабеловыми было избрано Зругское ущелье и что князь Зураб Мачабели еще в начале XV века жил в названном ущелье, и, следовательно, все Мачабели вышли оттуда около того же времени и поселились в разных деревнях Горийского уезда»¹⁰⁹. ამ წერილის შესახებ ოსეთის ოკრუგის უფროსმა თავადმა ავალოვმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ზეკარის უღელტეხილიდან ჩრდილოეთით ზროგოს მთელი ხეობა ქართველი თავადების მანაბლების საკუთრებას წარმოადგენდა. ადგილობრივი ოსების პროტესტის მიუხედავად, იმპერიის ხელისუფლებამ საკითხი მანაბლების სასარგებლოდ გადაწყვიტა და დვალეთის ზროგოს ხეობის მოსახლეობას (თითოეულ კომლს) შემოსავლის ერთი მეათედი გადასახადი დააკისრა.

„ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით შკარაა, რომ მალრან-დვალეები, შავდვალნი და ქვემო დვალეები დიდი ლიახვის ხეობის მთიან მონაკვეთში ცხოვრობენ. ძეგლის ავტორი აშკარად მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან. ყურადღება მისაქცევია ერთი გარემოებისადმი. დიდი ლიახვის ხეობის უკიდურეს სათავეს, სადაც მალრან-დვალეები ცხოვრობდნენ, მალრან-დვალეთი ეწოდებოდა, მაგრამ წყაროებში არსად არ გვხვდება ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულები: ქვემო დვალეთი და შავდვალეთი. რატომ? – იმიტომ, რომ XIII-XIV საუკუნეებში დიდი ლიახვის მთიან მონაკვეთში დვალეები დვალეთიდან შედარებით ახალი გადმოსახლებულები იყვნენ. ქართველმა ავტორმა იცის, რომ დიდი ლიახვის ხეობის მთაში მცხოვრები დვალეები აქ ახალი მიგრირებული იყვნენ და დვალთა მიერ და-

¹⁰⁹ სცსსა, ფონდი 76, ანაწერი 3, საქმე 95, ფურცელი 47 (მითითებულია წიგნიდან: Б. П. Берозов. Переселение осетин с гор на плоскость (XVIII-XX вв.), Орджоникидзе, 1980, с. 146).

სახლებული ეს გეოგრაფიული ერთეული დვალეთად (ქვემო დვალეთად და შავდვალეთად) ვერ იქცა. დიდი ლიახვის ხეობის მთიან მონაკვეთში შავ-დვალნი, რომ დვალეთიდან იყვნენ გადმოსახლებული ამას ოსური ეთნოგრაფიული მონაცემებიც ადასტურებს, რომელიც თავად ოს ავტორებს აქვთ ფიქსირებული: თავი დავანებოთ იმას, რომ ი. გაგლოითი სახელწოდებას – შავდვალეები – ოსური „საუ ტუალაგის“ კალკად აცხადებს, ის პირდაპირ მიუთითებს, რომ „შავ-დვალეები“ ოსურ გარემოში მდინარე არდონის ზემო წელის მცხოვრებთა სახელწოდება იყო [«В осетинской среде «черными туалами» называют жителей верховьев р. Ардона¹¹⁰], საიდანაც (არდონის სათავეებიდან) მოხდა დვალეების (შავ-დვალეების) დვალთგორის სამხრეთით, დიდი ლიახვის ხეობის მთიან მონაკვეთში გადმოსახლება.

ანალოგიური ვითარება გვქონდა ამავე ტერიტორიაზე გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც დიდი ლიახვის მთებში ახლა უკვე სხვა ეთნოსი – ოსები – დასახლდა. ქართული წყაროების ავტორებისა და იმ დროის დოკუმენტების შემდგენელთათვის დიდი ლიახვის ხეობის მთიანეთი ოსეთს არ წარმოადგენდა, რადგან მისმა შემდგენლებმა იცოდნენ, რომ ტერიტორია ოსეთი არ იყო და ხშირად გამოიყენებდნენ ტერმინს „ჩვენი ოსები“, „ჩვენს ოსებში“. რაც შეეხება მალრან-დვალეთს – გეოგრაფიული ერთეულის ახალი სახელწოდება კი პირდაპირ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აქ დვალეები დვალთგორის ჩრდილოეთი მხარიდან/დვალეთიდან დიდი ხნის გადმოსახლებული იყვნენ. ერთ-ერთმა მკვლევარმა მიიჩნია რა თრუსო, მალრან-დვალეთი და დიდი ლიახვის ხეობის მთიანი მონაკვეთი დვალეთად ფართო გაგებით, სადაც დვალეები მიგრირებული იყვნენ XIII-XIV საუკუნეებში, რეალური დვალეთის აღსანიშნავად შექმნა

¹¹⁰ Ю. С. Гаглойти. Проблемы этнической истории южных осетин, Цхинвал(и), 1995, с. 50.

ტერმინი „ბუდე დვალეთი“. ¹¹¹ ასეთი სახელწოდების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას არავითარი გამართლება არა აქვს, რადგან ის ხელოვნურადაა შექმნილი. ჩვენს წინაპრებს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის აღსანიშნავად სიტყვათა შეთანხმება „ბუდე დვალეთი“ არ შეუქმნიათ; არცერთ ქართულ წყაროსა და დოკუმენტში ასეთი ტერმინი დადასტურებული არაა. როგორც ჩანს, ის „ბუდე ხევსურეთის“ ანალოგიურადაა შექმნილი. მეცნიერებაში ასეთი ხელოვნურად შექმნილი ტერმინების გამოყენება გაუმართლებელია.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩანერილმა ერთმა გადმოცემამ გვაპარაუდებინა, რომ ისტორიულად დვალეებს უფრო მეტი ტერიტორიები ეკავათ, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, ისე საქართველოს მაღალმთიანეთში, უფრო სწორედ, საქართველოს ჩრდილოეთი პროვინციების ზოგიერთ იმ ნაწილში, რომლებიც პირიქით მდებარეობენ. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, ფშავი) დაცულია გადმოცემები დევების შესახებ. გადმოცემებით, რომლებსაც გ. ჩიტაიას სამართლიანი შენიშვნით, საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ძველი ეთნიკური შემადგენლობის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ¹¹² ფშავისა და ხევსურეთის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ დევები, რომლებიც აქ მცხოვრები ქართველი მთიელების მიერ გაძევებული იქნენ. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დევებში არაქართული ეთნიკური ერთეულის, კერძოდ, ვაინახური ეთნოსის წარმომადგენლები უნდა იგულისხმებოდ-

¹¹¹ ვ. ვ. ითონიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992.

¹¹² გ. ჩიტაია, ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955.

ნენ.¹¹³ ასეთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას რიგი ეთნოისტორიული მონაცემების ანალიზი იძლევა. მაგრამ, ამ ვარაუდს გამორიცხავს ვაინახებში ჩანერილი ზოგიერთი ანალოგიური გადმოცემა, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ა. გენკოს მიერ ხამხის საზოგადოებაში მოპოვებული მასალა, რომ ინგუშეთის ამ ხეობაში ოდესღაც უცხოვრიათ „დევეებს“.¹¹⁴ ამ თვალსაზრისით საყურადღებო მასალა აქვს მოპოვებული, აგრეთვე, ისტორიკოსს ივ. ნიკლაურს. თარგიმის თემის სოფელ ერგიკალთან (ხევსურულად – „არგიჯალი“) არის რამდენიმე ნამოსახლარი მსხვილი, მასიური ლოდებით მშრალად ნაგები კედლებით, რომლებსაც ადგილობრივი ინგუშური მოსახლეობა დევეების ნამოსახლარად მიიჩნევდა. ეთნოისტორიული ხასიათის ეს გადმოცემები ეჭვქვეშ აყენებენ დევეების ვაინახურ წარმომავლობას. როგორღა შეიძლება დევეები ვაინახები ყოფილიყვნენ, როდესაც თვით ვაინახებით დასახლებულ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში უფრო ადრე დევეებს უცხოვრიათ?

ვვარაუდობთ, რომ ჩვენს მთასა და ინგუშეთში ოდესღაც მოსახლე დევეები დვალები უნდა ყოფილიყვნენ. ამის მტკიცების საფუძველს, ვფიქრობთ, იძლევა ნ. ვოლკოვას მიერ ინგუშეთში მოპოვებული მასალა, რომ მთიელი ინგუშები დვალებს უწოდებდნენ „დევა“-ს¹¹⁵ (მრავლობით რიცხვში – „დვი“-ს). ისიც აღსანიშნავია, რომ მალხისტელებისათვის იგივე დვალები ცნობილი იყვნენ „დევა“-ს სახელწოდებით.¹¹⁶

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა გვაპარაუდებინებს იმასაც, რომ ხევსურულ გადმოცემებში მოხსენიებული კავკაზა-

¹¹³ თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.

¹¹⁴ А.Н. Генко. Из культурного прошлого ингушей. – Записки Коллегии Востоковедов, т. V, Л., 1930, с. 706.

¹¹⁵ Н.Г. Волкова. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 127.

¹¹⁶ იქვე, გვ. 127-128.

ურები (კივკაზაურები), რომლებიც სოფ. გუდანში ცხოვრობდნენ, ყველაზე დიდი სამი ხევსურული გვარის საფუძველჩამყრელი სამი ძმის აქ მოსვლამდე, ძირად დვალეები იყვნენ. კივკაზაურების (იგივე კავკაზაურების) „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ხალხის კავკასიანის იგივეობის შესახებ მიუთითა გ. ჩიტაიამ:¹¹⁷ „ისტორიული ცნობა და გადმოცემაში დაცული მონაცემები ვარაუდობს კავკასიან-კავკაზაურების არსებობას კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში, პირაქეთ-ქირიქითში, დიდოეთიდან მოყოლებული ვიდრე სუანეთამდე“.¹¹⁸ გ. ჩიტაიამ ამ ძველი ეთნიკური ფენის კულტურულ-ეთნიკური კავშირის შესახებაც მიუთითა ცენტრალური კავკასიის მოსახლეობასთან.¹¹⁹ ცენტრალურ კავკასიაში კი დვალეთის ენთოისტორიული რეგიონი იყო მოთავსებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „კავკასიანნი“ და ვაინახთა წინაპარი დურძუკები სხვადასხვა ეთნიკური ერთობები იყო. დაბოლოს, საყურადღებოა, რომ XIX საუკუნის კამერალური აღწერის დავთარში დვალეთიდან შიდა ქართლში მიგრირებული ოსები *კავკასიანებად* იწოდებიან, მხოლოდ მათ შესახებაა აღნიშნული, რომ ისინი გადმოსახლდნენ კავკასიის მთებიდან.

ზოგიერთი ავტორი დვალეთის რეგიონის საზღვრებს უფრო აფართოვებს შიდა ქართლის მთიანეთის სხვადასხვა რეგიონების ხარჯზე. ავტორები საკუთარ წარმოსახვას და ფანტაზიას რეალურ მოვლენად ასაღებენ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დვალეთი იყო იქ, სადაც ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა, სადაც ივ. ჯავახიშვილი უთითებდა: დვალეთი „კავკასიონის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შორის არის მოქცეული“. კავკასიონის ქედს გადმოღმა დვალეთი არ ყოფილა. გვექონდა მხოლოდ მალრან-დვალეთის

¹¹⁷ გ. ჩიტაია. ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, გვ. 392.

¹¹⁸ იქვე, გვ. 393.

¹¹⁹ იქვე, გვ. 394.

პატარა რეგიონი დიდი ლიახვის სათავეში, რომელიც შედარებით გვიანდელი წარმონაქმნი იყო დვალეთიდან მოსახლეობის მიგრაციის შედეგად. ამის შესახებაა მითითებული თითქმის ყველა ქართულ წყაროსა და საისტორიო საბუთში. მათ აქ აღარ გავიმეორებთ. ოღონდ 1503 წლის წიგნიდან მოვიტანთ ნაწყვეტს („წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადასახადზე“): „ამას გარეთ სხუა მრავალი მტერობა გუიყავით და ვერსით საჯამაგიროდ ვერ გაგეპარენით, ამისი ღონე ვერ დავდევით რომ გზა გუეშოვნა. **ასი სუანი დვალეთისაკენ გავიპარენით, კახეთს საჯამაგიროდ წავედით. მის წასვლა ვერ შეგუიტყევით, და მერე შინისაკენ რომ შემოვიქეცით, იმავ დვალეთზედ წამოვედით – დაგუხუდით გლოლას და ჭიორას შუაზედან** და მოგუიჭირეთ ჳელთა, დაგუძარცუეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბედ გაუშუით, სხვა ყუელა ტყუედ წაგუასხით, ჩვენის მონაგებიანად ონს მიგუასხით...“.¹²⁰ XVI საუკუნის დასაწყისის საბუთის შემდგენელისათვის, სვანებისა და რაჭველებისათვის დვალეთი კავკასიონის ქედის გადაღმა იყო და არა შიდა ქართლის მთიანეთში. ჭიორასა და გლოლას გზით გადასასვლელია სწორედ დვალეთის ფელეს ხეობაში. სვანები შიდა ქართლის მთიანეთით ანუ დიდი ლიახვის ხეობით (რომელიც დვალეთად მიაჩნია ვ. ვ. ითონიშვილს) რომ წამოსულიყვნენ, ისინი ზემო რაჭას (და არა მთიან რაჭას) გაივლიდნენ, ჯეჯორას ხეობით (კუდაროს) გავლით შიდა ქართლში გადმოვიდოდნენ.

უდავოდ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დვალეთში მაცხოვრებელი ოსი, თუალთას (ანუ დვალეთს) უწოდებს სწორედ იმ ტერიტორიას, როგორც ეს ვახუშტი ბაგრატიონს აქვს მოცემული. ოსური სოფლები, რომლებიც უღელტეხილებს აქეთ მდებარეობენ (ლიახვის ხეობაში), არ

¹²⁰ სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ვ. სილოგავას გამოცემა, თბ., 1986, გვ. 113.

შედიან დვალეთში, დვალეთში მცხოვრები ოსების მიერ ის დვალეთად არ გაიაზრება, თუმცა ე.წ. სამხრეთ ოსეთში, როკისა და მამისონის უღელტეხილების აქეთ მცხოვრებ ოსებს უწოდებენ დვალებს (თუალებს), რადგანაც ისინი უმეტესად დვალეთიდან გადასახლებულები არიან¹²¹.

ზოგიერთ ოსი ავტორი შეგნებულად ამახინჯებს რა ქართულ წყაროებს, ცდილობს მკითხველს შთაბეჭდილება შეუქმნას, რომ კუდაროც დვალეთი იყო, რომ გიორგი სააკაძის სამოურავო აქ იყო და არა დვალთგორის ჩრდილოეთით, დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში. საამისოდ ი. გაგლოითის დასახელებაც საკმარისია, რომელიც იმის შესახებ მიუთითებს, რომ დვალეთის მოურავი გიორგი სააკაძე ზეკარის გადასასვლელით, პირველ რიგში, კუდაროში უნდა გადასულიყო [«Упоминание географом в качестве ориентира горы Зикара указывает на то, что этот поход должен был затронуть в первую очередь Кударское ущелье»¹²²]. აქ კუდარო ნამდვილად არაფერ შუაშია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის იმერეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო და არა ქართლისა. ახლა სიცხადისათვის ამონარიდიც მოვიყვანოთ ვახუშტი ზაგრატიონის თხზულებიდან: **„კუალად ჟამთა ამათ არა მოსცეს დუალთა ბეგარა მოურავსა, გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ყვნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“**.¹²³ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზეკარიდან ადვილი არაა კუდაროში გადასვლა. ეს გადასასვლელ მრავალ გადასასვლელთაგან უპირველესი იყო, რომლი-

¹²¹ Н.Г. Волкова. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 118-119.

¹²² Ю. С. Гаглойти. Южная Осетия (К истории названия), Цхинвал(и), 1993, с.27.

¹²³ ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 434.

თაც შიდა ქართლის მთიანეთიდან დვალთგორით ანუ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედით დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გადავდიოდით. ვახუშტი ბატონიშვილის ატლასის თანახმადაც ზეკარით დვალეთში ზროგოს ხეობაში იყო გადასასვლელი.¹²⁴ ვახუშტი ბატონიშვილი ზეკარის შესახებ აღნიშნავდა: „მას ზეით მიერთვის ლიახვს როკის-წვევი. როკას ზეით მიერთვის ლიახვსავე ბჟის-წვევი. და სდიან ეს ხევი დვალთ-გორასა, და დიან სამწრეთად, ხოლო ბჟის-წვევი სადაცა სდის კავკასსა, მუნ დამდაბლდების ზეკარის კავკასი და გარდამავალს გზა ზამთრისა და ზაფხულის ზახას და დვალეთს“.¹²⁵

ამრიგად, დვალეთი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია (ისტორიულ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე) იყო. დვალეთი გეოგრაფიულად კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, დვალეთი კავკასიონის ორ – მთავარსა და პირიქითელს ქედებს – შუა იყო მოუქცეული.

XIX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულამდე დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო თავისი ექვსი პატარა ხეობით. ეს ხეობები იყო: კასრის ხევი, ზრამაგა, ყღელე, ნარა, ზროგო და ზახა.

დვალეთი იყო რა საქართველოს განუყოფელი და ორგანული ნაწილი, ისტორიულად ამ პროვინციიდან (ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებიდან) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხდებოდა მოსახლეობის, როგორც გაჟონვითი (ინდივიდუალური), ისე ჯგუფური გადასახლებანი. დვალთა შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, რაჭასა და

¹²⁴ ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997, გვ. 10-11, 23, 25-33.

¹²⁵ ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 372.

იმერეთში მიგრაციის დამადასტურებელია არაერთი ტოპონიმი და ანთროპონიმი.

დვალეების მიგრაციამ განსაკუთრებით დაამჩნია კვალი შიდა ქართლის მთიანეთს. დვალთა შიდა ქართლის მთიანეთში გადმოსახლებამ აქ მათი კომპაქტური დასახლებების რეგიონები შექმნა. ესენია თერგის ხეობაში „თრუსო“ და დიდი ლიახვის ხეობის სათავეში – „მალრან-დვალეთი“. თრუსოც და მალრან-დვალეთიც მცირე მთური ტერიტორიული ერთეულები იყო. X საუკუნემდე თრუსო წანარეთის ერთი ნაწილი იყო და აქ წანართა ქართველური ტომი მკვიდრობდა. X საუკუნის შემდეგ თერგის ხეობის სათავეში (თრუსოში) და დიდი ლიახვის სათავეში (მალრან-დვალეთში) განხორციელდა დვალთა ჯგუფური გადმოსახლება.

თრუსოში რომ დვალეები ცხოვრობდნენ ამას 1746 წლის ერთი წიგნიც მოწმობს, რომელიც ერეკლე მეორეს მიუცია ბოდბის წმიდა ნინოს ეკლესიისადმი. ამ საბუთში მოხსენიებული არიან **„კევში დვალნი“**: „გკადრეთ და მოგახსენეთ შენ, ... ყოვლად სამღვდელოს ბოდბელ მიტროპოლიტს ონოფრეს გიორგი მოურავის ძესა; — ვინათგან წმიდა ტაძარი თქუენი სულკურთხეულთა კელმწიფეთა, ვითა ჯერ იყო, ეგრეთ აღემაღლნეს და ედიდნეს, გარნა სოფელსა თქვენსა **კევში დვალნი** მეჯინიბენი სახლში ერთი კაცი უნდა ჩვენ გვმსახურებოდა და მეჯინიბენი ყოფილიყვნენ და თქვენს მამულზედ მსახლობელნი იყუნენ, მაშინ ოდეს პაპა ჩვენი სულკურთხეული მეფე ერეკლე (ერეკლე I, ქართლისა (1688-1703) და კახეთის მეფე (1703-1709) — რ. თ.) რუსეთით მობრძანებულიყო (1662 წელი — რ. თ.), პირველად თაყვანისმცემლად საფლავისა შენისა შემოენირათ ეს **კეური მეჯინიბენი** და გუჯარი მოერთმივა, რომ რაც სხვა ბოდბელის ყმასთან კემწიფეთ კელი არა სდებოდეს, არც მათზედ უნდა სდებოდათ კელი, გარნა ჟამთაგან გუჯარი უგულებელსქმნილიყო

და დაუმტკიცებელი იყო და მეჯინიბენი ჩვენვე გვემსახურებოდნენ, ხოლო ვინათგან ნებითა ღვთისათა, მევე ვიქმენ, აღვიძარ სურვილით შემკობად წმინდისა მოციქულისა ნინოსა და ვიხილე საშინელი გუჯარი. ჩვენს მეორეთ შევნირე **ჩვენი მეჯინიბენი**, რომ არასდროს ჩვენ ჰკვიდამ მეჯინიბენი და არც ზინდარი არ ვიმსახუროთ; რა-გვარადაც სხვანი საყდრის ყმანი გვემსახურებოდნენ, ამგვარად ბოდბელმან ნებისაებრ თვისისა იმსახუროს“¹²⁶. მოყვანილი ვრცელი ციტატიდან აშკარაა მთისა და ბარის (სამეფო კარის) კავშირურთიერთობა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება თერგის ხეობის მკვიდრთ, კონკრეტულად კი ხევში მცხოვრებ დვალეებს (**„კევში დვალნი“**). ისტორიულად თრუსოში მცხოვრები მთიელები ბოდბელის მეჯინიბენი ყოფილან (**„კეური მეჯინიბენი“**). ეს ერთადერთი შემთხვევაა თერგის ხეობაში, უფრო სწორედ მის უკიდურეს სათავეში — თრუსოში მცხოვრები მთიელების დვალეებად მოხსენიებისა (1746 წელს კასარადან (ყაშარადან) ქვემოთ, რომელიც თერგის ხეობის უვინროეს ადგილს წარმოადგენდა და თრუსოში შესასვლელი იყო, არსად ოსები არ ცხოვრობდნენ). **ვიმეორებთ, ბუნებრივია, საუბარია, თრუსოში მოსახლე მთიელების შესახებ, რომლებიც აქ დვალეთიდან იყვნენ გადმოსული. დროთა განმავლობაში თრუსოში მცხოვრები დვალეების ნაწილი ცოტა ქვემოთ ხევში გადაადგილდა. მათ ადგილზე კი ასევე დვალეთიდან გვიან ოსები მოვიდნენ. ამ ორი ფაქტის გამო, თრუსოში მცხოვრებნი ხევში მცხოვრებ დვალეებად მოიხსენიებიან. აღნიშნულ საბუთში „კევში დვალნი“ ძველი ტრადიციის გამოძახილი და იმის ასახვა იყო, რომ თრუსოში გვიან შუა საუკუნეებში (XVII შუა ხანები) დვალეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობა**

¹²⁶ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 415-416.

ცხოვრობდა. საბუთი იმასაც გვამცნობს, რომ თრუსოს საქართველოს ხელისუფლება ხევის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა — ისინი დოკუმენტში „ჭეური მეჯინიბენ“-ადაც არიან მოხსენიებული.

დეალები რომ ბოდბის მონასტერთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული, ამას XVII საუკუნის სხვა ორი საბუთიც მოწმობს, ოღონდ ამ წერილობით ძეგლებში გვარსახელი დვალაშვილი (მრავლობითში — დვალაშვილები) ფიგურირებს. 1657 წლის დოკუმენტით დვალაშვილები ბოდბის მონასტრის ყმები არიან, რომლებსაც ზაალ არაგვის ერისთავი საბატონო სამსახურისაგან ათავისუფლებს. ხოლო 1663 წლის საბუთით ისინი ერეკლე ბატონიშვილმა მეფის მეჯინიბობიდან გაათავისუფლა¹²⁷. საბუთში არაგვის ერისთავები შემთხვევით არ ფიგურირებენ, რადგან ისინი ფლობდნენ დვალეთის ზახას ხეობას და მოსაზღვრე თრუსოს. ირკვევა, რომ დეალები (დვალაშვილები) გარდა ბოდბის მონასტრისა, მეფის მეჯინიბენიც იყვნენ.

„მალრან-დვალეთის“ რეგიონი, როგორც დვალეებით დასახლებული კუთხე დიდი ლიახვის სათავეში შედარებით გვიანდელი წარმონაქმნი რომ არის, ამას ადასტურებს მისი მოუხსენიებლობა ადრინდელ ქართულ საისტორიო წყაროებში. ის პირველად ნახსენებია XIV-XV საუკუნეების მიჯნის ქრონიკაში „ძეგლი ერისთავთა“ XIII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ დვალეების დიდი ლიახვის სათავეში მიგრაციამ დვალთა კომპაქტური დასახლების რეგიონი წარმოქმნა და იმის გამო, რომ დვალეთი არ მოიცავდა შიდა ქართლის მთიანეთს, ქართულმა სინამდვილემ, დვალეთისაგან განსხვავებით (და განსასხვავებლად) შექმნა ეთნოგრაფიული თემი „მალრან-დვალეთის“ სახელწოდებით. ზოგიერთ ავტორს მალრან-დვალეთი დიდ რეგიონად წარმოუდგენია, რო-

¹²⁷ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993, გვ. 73-74.

მელშიც დიდი ლიახვის ხეობის მთელი მთიანეთი შეყავთ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. მალრან-დვალეთი დიდი ლიახვის ხეობის უკიდურეს სათავეს მოიცავდა. მასში სულ ცხრა თემ-სოფელი შედიოდა.

ზუსტად ამ ტერიტორიულ ფარგლებში აღგვიღწერს მალრან-დვალეთს ვახუშტი ბაგრატიონი. ქართველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ დიდი ლიახვის ხეობაში დასავლეთის მიმართულებით მალრან-დვალეთი მთავრდებოდა იქ, სადაც დიდ ლიახვს მისი მარჯვენა შენაკადი ჟბის ხევი უერთდებოდა, ისე, რომ ეს ხევი მალრან-დვალეთში არ შედიოდა.¹²⁸ ალბათ, უკეთესი იქნება ბატონიშვილის ნაშრომიდან ვრცელი ამონაწერი მოვიტანოთ მალრან-დვალეთის შესახებ: „ხოლო კვალად ქნოლოს (ქნოლო – პატარა ლიახვის სათავეში მდებარე სოფელი, შეიძლება ითქვას, მცირე „ქვეყანა“ იყო – რ.თ.) ჩრდილოთ კერძო არს მთა დიდი კავკასი. ამ კავკასის ჩრდილოთკენ არს მალრან-დვალეთი, და იმზღვრების ეს მალრან-დვალეთი: აღმოსავლეთით, კავკასით მთიულეთსა და მალრან-დვალეთს შუათითა, სამხრით, კავკასით ქნოლო-მალრან-დვალეთის შორისით (აშკარაა, რომ პატარა ლიახვის სათავე – ქნოლო მალრან-დვალეთში არ შედიოდა. მალრან-დვალეთის სამხრეთი საზღვარი დიდი და პატარა ლიახვების წყალგამყოფ ქედზე გადიოდა – რ.თ.), ჩრდილოთ კავკასით და მთით უმდაბლესითა, თრსუსო-ზახასა და მალრან-დვალეთის შორისით, **დასავლეთით მთით ჩამოსულით კავკასიდან ჟბასა და მალრან-დვალეთის შორისით** (ხაზი ჩვენია – რ.თ.). აქ მალრან-დვალეთს გამოსდის დიდი ლიახვი თრსუსოს და ზახის კავკასსა, და მის სამხრეთს და დასავლეთს შუა. და არს მალ-

¹²⁸ იხ. აგრეთვე: ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997, გვ. 10-11, 23, 25-33.

რან-დვალეთი სამ ჳეობა...¹²⁹ „კვალად ლიახვს ერთვის ბჟას ზეთ, სამხრიდამ მშხლების ჳევი, და გამოსდის გერის მთას. და ამას ზეთ არს მალრან-დვალეთი“.¹³⁰ მართლაც, დიდი ლიახვის ხეობა მის სათავეში სამი სხვადასხვა ხევის ერთობლიობას წარმოადგენს. აი, ეს იყო მალრან-დვალეთი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით, დიდი ლიახვის ხეობის მიმართულებით ჟბის (დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადი), და მშხლების (დიდი ლიახვის მარცხენა შენაკადი) ხეებამდეც არ ვრცელდებოდა. ზუსტად იგივეა ასახული ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზეც. **ვახუშტის მიერ მალრან-დვალეთი გამოხაზულია როგორც ძალიან პატარა „ქვეყანა“.** რუკის მიხედვითაც ის დიდი ლიახვის ხეობის სათავის სამ საწყის ხევს მოიცავდა.¹³¹ რუკაზე იკითხება, რომ სანამ დიდი ლიახვი მის სათავეში დასავლეთიდან სამხრეთისაკენ შემოუხვევს მარჯვენა მხრიდან, კავკასიონის მთავარი ქედიდან გამომდინარე, კიდევ ორი ხევი უერთდება. ესენია ჟბისა და როკის ხეხევი. ისინი მალრან-დვალეთში არ შედიოდა. მალრან-დვალეთს, ვახუშტის რუკის მიხედვით, ჩრდილოეთიდან უშუალოდ საზღვრავდა კავკასიონის მთავარი ქედი. ქედის იქით, ჩრდილოეთიდან მალრან-დვალეთს დვალეთის ზახას ხეობა ესაზღვრებოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – თრუსო (თერგის სათავე). აღმოსავლეთიდან მალრან-დვალეთს ესაზღვრება ის მთები, საიდანაც სათავეს იღებს მთიულეთის (თეთრი) არაგვი. მალრან-დვალეთის სამხრეთით მთებს გამოსდის პატარა ლიახვი.

დვალეთის ზახას ხეობა ჩრდილოეთით უშუალოდ ესაზღვრება და უკავშირდება ქურთაულისა (დასავლეთ მხა-

¹²⁹ ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია, II ნიგნი, ქართლი, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, ტფ. 1895, გვ. 121-122.

¹³⁰ იქვე, გვ. 134.

¹³¹ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997, გვ. 10-11, 23, 25-33.

რეზე) და თავურის (აღმოსავლეთ მხარეზე) ხეობებს. ასეთი-ვე კავშირი აქვს თავურისა და ქურთათის ხეობებთან თრუსოს. საერთოდ, დიდი ლიახვის, თერგის და ზახას ხეობები მთათა ერთ კომპლექსს გამოსდის.

მალრან-დვალეთის ფართო გეოგრაფიულ რეგიონად წარმოდგენას, ალბათ, ერთგვარად ხელი შეუწყო ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს გამოცემულმა ისტორიულმა რუკამ, რომელზედაც მალრან-დვალეთი მოიცავს მთელი დიდი ლიახვის მთიან ნაწილს, თუმცა ზოგიერთი ჩვენი ავტორისაგან განსხვავებით, აღნიშნული რუკის მალრან-დვალეთი ძალიან დაშორებულია ქნოლოსა (პატარა ლიახვის სათავე) და ჟამურისაგან (ქსნის სათავე). შედარებით ზუსტადაა მალრან-დვალეთის რეგიონი (მხარე) დატანილი ჯ. გვასალიასა¹³² და კ. ხარაძის რუკებზე.¹³³ თუმცა, ამ უკანასკნელთან მაინც არის ერთგვარი უზუსტობა, როდესაც ჟბის ხევი მალრან-დვალეთში შეიტანა.¹³⁴

სხვათა შორის, სწორედ მალრან-დვალეთის შესახებ წერდა ვახუშტი ბატონიშვილი: „*ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბართა შინა კაცნი შემცირებულან*“. ვახუშტიმ სპეციალურად გაუსვა ხაზი ლიახვის ხეობის სათავეში (მალრან-დვალეთში) მოსახლეობის ეთნიკური ცვლის პროცესს. მის დროს კომპაქტური ოსური დასახლება მალრან-დვალეთში გვექონდა. იგულისხმება, რომ მალრან-დვალეთში ოსთა მოსვლამდე თუ ქართული

¹³² Дж. Гвасалиа. Историческая география Восточной Грузии – Шида Картли, Тб., 1991, схема №5, 6.

¹³³ კ. ხარაძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია – შიდა ქართლი, თბ., 1992 წ., თანდართული რუკა.

¹³⁴ იქვე.

მოსახლეობა იყო, იყო ქართული მოსახლეობა დიდი ლიახვის დანარჩენ მთიან ნაწილშიც, რადგან ოსთა დასახლება შიდა ქართლის მთიანეთში სწორედ მაღრან-დევალეთიდან დაიწყო. ვახუშტისავე აღნიშნულ ციტატიდან ისიც ჩანს, რომ დევლები ქართველურ ერთობას წარმოადგენდნენ, რომლებიც ოსთა მოსვლამდე მაღრან-დევალეთში მკვიდრობდნენ და რომ მაღრან-დევალეთში მოსახლე ეს დევლები ენობრივად, კულტურულად სრულიად ქართველნი იყვნენ („...პირველად სახლებულან ქართველნი გლენხი...“).

შეცდომაა დიდი ლიახვის ხეობის მთელი მთა-მთისწინეთის დევალეთად სახელდება. XIII საუკუნის შემდეგ (მას შემდეგ, რაც დევლებს ჩრდილოეთიდან ოსები აწვებიან) დევლები დიდი ლიახვის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც დიდი ლიახვის შენაკად ხეობებშიც განსახლდნენ. დევალთა ამ სპორადულ განსახლებას დიდი ლიახვის ხეობაში სხვა ეთნოგეოგრაფიული რეგიონების (მსგავსად მაღრან-დევალეთისა) წარმოქმნა არ გამოუწვევია. დიდი ლიახვის ხეობის დევალეთთან მოსაზღვრე ნაწილში დასახლებულ დევლებს „ძეგლი ერისთავთა“ „ქვემო დევლებს“ უწოდებს. არც ერთი ქართული საისტორიო წყარო და საბუთი „ქვემო დევალეთის“ რეგიონს არ იცნობს. ამდენად, არ შეესაბამება სინამდვილეს დევალეთში მთელი დიდი ლიახვის მთა-მთისწინეთის შეყვანა. ასევე მიუღებელია და ხელოვნურია დევალეთის დაყოფა საკუთრივ დევალეთად და დევალეთად (ფართე გაგებით). არ არსებობდა ქვემო დევალეთი (ანუ თეთრი დევალეთი, სამხრეთი დევალეთი, პირაქეთი დევალეთი). ამდენადვე შეცდომაა თვით დევალეთისათვის ჩრდილოეთი დევალეთის (ანუ შავი დევალეთის, ანუ პირიქითი დევალეთის) სახელდება. ანტიმეცნიერულია და არავითარ წყაროს არ ეყრდნობა პატარა ლიახვის სათავის (ქნოლო) და ქსნის სათავის (ჟამურის) დევალეთად მიჩნევა. ისტორიის გაყალბებას ემსახურება ი. გაგლოითის მცდელობა დევალთგორა უწოდონ ჯავასა და კუდაროს შორის მდებარე

წყალგამყოფ ქედს.¹³⁵ ამას კი ის ვახუშტი ბაგრატიონს მიაწერს. ქართველ ბატონიშვილს ანალოგიური რამ არ უწერია. დვალთგორას ქართველები უწოდებდნენ კავკასიონის მთავარი ქედის იმ ნაწილს, რომელიც შიდა ქართლის მთიანეთსა და დვალეთს შორისაა. ასე რომ, დვალთგორის ჩრდილოეთით მდებარეობდა ისტორიული დვალეთი. ასეა ის დაფიქსირებული ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზეც. ვახუშტის ტექსტიდანაც კარგად ჩანს, რომ დვალთგორა სწორედ წყალგამყოფი ქედია – ის ხაზგასმით აღმიშნავს, რომ დვალთგორას გამოსდის არა მხოლოდ ლიახვი, არამედ ლიახვის შენაკადი ხევეები: პატარა ჯავისხევი, სოხოსხევი, ხენისხევი, მუგუთისხევი, როკისხევი, ბჟისხევი.

დვალეთი, რომელიც პოლიტიკურად, კულტურულად, რელიგიურად ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, ეთნიკურადაც ქართულ-ქართველური იყო. დვალეები არ ყოფილან არც ოსები და არც ვაინახები. საქართველოს სამეფო ხელისუფლება უფრო ახორციელებდა თავის კონტორლს დვალეთზე, ვიდრე საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ სხვა პროვინციაზე. დ. მუსხელიშვილის დასკვნით, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა პროვინციებში, დვალეთშიც ქართული კულტურა და წერა-კითხვა ფართოდ იყო გავრცელებული ძველთაგანვე. დვალეთი ორგანულადაა შერწყმული ქართულ კულტურულ სამყაროს ვახტანგ გორგასლის დროიდან და უფრო ადრეც. X-XI საუკუნეების მიჯნაზე დვალეთში იგება ქართული ეკლესიები. ფართოდ აქვს ფესვები გადგმული ქართულ მნიგნობრობას, რასაც მოწმობს ნიკოლოზ დვალის ბიოგრაფია.¹³⁶ დ. მუსხელიშვილი აგრძელებს: „ცხადია ნიკოლოზი „ნათესავად დვალი“ რეალურ-ისტორიულად ისეთივე

¹³⁵ Ю. Гаглойти. Алано-Георгика, 2007, с. 228.

¹³⁶ დ. მუსხელიშვილი. ქართველთა თვისახელწოდების ისტორიისათვის, „მაცნე“ ისტორიის... სერია 3, 1992, გვ. 17-18.

ქართველია, როგორც ყველა ის ქართველი კალიგრაფები, იოანე, მიქელ, სტეფანე და გიორგი დვალეები, რომლებიც XI-XIII სს-ში აქტიურად მონაწილეობდნენ პალესტინის ქართულ სავანეებში ქართული კულტურის სარბიელზე“.¹³⁷

არაა გასაზიარებელი მოსაზრება, რომ დვალეები სვანურენოვანი ტომი იყო. ზემოთ მიმოხილული მასალა და სხვა მონაცემები, რომლის ანალიზი ქვემოთაა მოცემული, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ დვალეთი თავდაპირველად დასავლეთ და აღმოსავლეთ ქართველთა თანაცხოვრების ადგილი იყო. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში კი დვალეთს ეთნოგრაფიული და დიალექტური თვალსაზრისით ბევრი საერთო აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან ჰქონდა. დვალეთში დასავლურ ქართული კომპონენტის (როგორც ზანურის, ისე სვანურის) არსებობას ვასილ აბაევის გამოკვლევებიც ადასტურებს (საამისო დასკვნას უფრო ამყარებს ის ანთროპონიმიური და ტოპონიმიკური მასალაც, რომელიც წინამდებარე ნიგნის სათანადო მონაკვეთებშია თავმოყრილი). ვ. აბაევი გამოკვლევაში „მეგრელიზმები ოსურში“¹³⁸ მიუთითებს ოსურ ენაში კარგად მარკირებული ზანური ელემენტების არსებობას, რაც მისი აზრით, ალან-ოსების კოლხიდასთან ძველი კავშირების დამადასტურებელია.¹³⁹ აღვნიშნავთ, რომ ალან-ოსებისა და ზანების კავშირი ძველ დროს, როგორც ეს აბაევს წარმოუდგენია, გამორიცხულია. რანაირად უნდა განხორციელებულიყო ეს კავშირები ძველ დროს (როგორც აბაევი აღნიშნავს, XIV საუკუნემდე), როდესაც მონღოლთა შემოსევებამდე ოსები კავკასიის მთებში არ ცხოვრობდნენ და მათ ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი გაერთიანება მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის

¹³⁷ იქვე, გვ. 17-18.

¹³⁸ В. Абаев. Осетинский язык и фольклор, I, М-Л, 1949, გვ. 323-330.

¹³⁹ იქვე.

¹³⁹ იქვე.

მთისნინა ველებში ჰქონდათ შექმნილი? უშუალო კავშირი ალან-ოსებსა და მეგრელებს არ უნდა ჰქონოდათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი. არავითარი საფუძველი არ აქვს ვ. აბაევის განცხადებას, რომ „ნარსულში ოსებისა და მეგრელების მეზობლობა ემყარება რეალურ გეოგრაფიულ და ისტორიულ ნიადაგს“, ¹⁴⁰ მით უმეტეს, როდესაც იმავე ავტორს გამორიცხულად მიაჩნია მეგრულში ოსურის ნასესხეობა. ვ. აბაევი ოსურში მეგრელიზმებს მიაკუთვნებს იმ ეთნო-ენობრივ სუბსტრატს, რომლის ბაზაზეც მიმდინარეობდა ოსური ენისა და ხალხის ფორმირება. ¹⁴¹ ოსი ავტორის ეს დასკვნა კი მხარს უჭერს ჩვენს დასკვნას, რომ ოსურში ზანური ენის ელემენტები მხოლოდ დვალური ენიდან უნდა იყოს შესული მას შემდეგ, რაც მოსულმა ირანულენოვანმა ოსებმა ადგილობრივი კავკასიური და ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის – დვალეების ასიმილაცია მოახდინეს XVI საუკუნეში. ჩვენი აზრით, ზანურთან ახლოს მდგომი დვალური მეტყველებიდან/დიალექტიდან უნდა მიეღო ოსურ ენას „ჩ“ და „ც“ თანხმოვნების მონაცვლეობა. ცნობილია, რომ მეგრულშიც და ოსურშიც ეს ორი თანხმოვანი ერთმანეთს ენაცვლება. დვალეები რომ ზანებთან ახლოს მდგომი ერთ-ერთი ქართული ტერიტორიული/ლოკალური ერთობა იყო, აშკარად ჩანს არქეოლოგიური მონაცემებითაც. ცნობილია, რომ კოლხური და ყობანური კულტურების მსგავსებას მიუთითებდა არაერთი მეცნიერი. ჯ. გვასალიას მოსაზრებით კოლხური და ყობანური კულტურები წარმოადგენს ერთიანი არქეოლოგიური და ეთნიკური კულტურის განშტოებებს. მასვე მიაჩნია, რომ ეს იყო შედეგი გვიანბრინჯაოს ხანაში ჩრდილოეთის ქვეყნებზე სამხრეთული კულტურის ტალღის გავლენის, რაც აგრეთვე გულის-

¹⁴⁰ იქვე, გვ. 329.

¹⁴¹ В. Абаев. Осетинский язык и фольклор, I, М-Л, 1949, გვ. 329.

ხმობდა ამ მიმართულებით ეთნიკური მასების გადანაცვლებასაც.¹⁴² ჯ. გვასალია იმასაც აღნიშნავს, რომ „ვ. გამრეკელის უკანასკნელი თვალსაზრისი დვალეებზე, როგორც ერთ-ერთ ზანურ (მეგრულ) ტომზე, ძალიან ახლოსაა ქვემარტივებასთან. ამას მხარს უჭერს ლიახვის სათავეებისა და ისტორიული დვალეთის ტოპონიმია და დვალეების ისტორიულ ქვეყანაში გავრცელებული გვიანბრინჯაოს არქეოლოგიური კულტურის ე.წ. ყობანური კულტურის გენეტიკური სიახლოვე კოლხურ კულტურასთან“.¹⁴³ დვალეების ვაინახური სამყაროსადმი კუთვნილებას ისიც გამოიხატავს, რომ ოსურ ენაში, ვ. აბაევის გამოკვლევით, თითქმის არ შეინიშნება ჩაჩნური და ინგუშური სუბსტრატი. ოსურის კავკასიურ სუბსტრატში ვ. აბაევი მეგრულის გარდა, მნიშვნელოვან როლს აკუთვნებდა ჩერქეზულს და მეორე ქართველურ მეტყველებას – სვანურს, თუმცა ამ უკანასკნელის მხოლოდ მცირე დანაშრევეებზე ლაპარაკობს ოსურში. ცნობილია, რომ სვანები ისტორიულად ფართოდ იყვნენ განსახლებული ჩრდილოეთ კავკასიაშიც, კერძოდ, მოსაზღვრე, თანამედროვე ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიაზე. ალანებს ეთნიკური კონტაქტი VI საუკუნიდან ქართველებთან მხოლოდ ამ ტერიტორიების საშუალებით ჰქონდათ სვანებთან (და აფხაზებთანაც). ოსურ ენაში სვანური სუბსტრატის წარმოქმნა სწორედ ამ დროიდან და ამ გზით უნდა მომხდარიყო.

ისტორიული ვითარების კვალობაზე დვალთა ქართველური ტომი გადაშენდა. მათი დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიფანტა. ადგილზე დარჩენილი მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კი ოსთა დვალეთში მოწოლის, თარეშების, მიგრაციისა და დასახლკარების შედეგად გაოსდა. გაოსდნენ

¹⁴² ჯ. გვასალია. რას გვიდასტურებს ძველქართული სახელწოდებანი. – „კომუნისტი“, 9/IX, 1990 წ.

¹⁴³ ჯ. გვასალია. შიდა ქართლი – ეთნიკური გეოგრაფია, „ახალგაზრდა ივერიელი“, 14, 5/II 1991.

იმიტომ, რომ დვალეები, როგორც უმცირესნი, უმრავლეს ოსურ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში აღმოჩნდნენ. დვალეები გაოსდნენ იმიტომაც, რომ დაშლილ, დასუსტებულ საქართველოს მისი პერიფერიული „ქვეყანა“ ყურადღების მიღმა დარჩა. ამასთანავე ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში ასეთი ეთნიკური ცვლილება რაიმე საშიშროებას როდი ქმნიდა. დვალეთში მიგრირებულმა ოსებმა ადგილობრივი ქართველური ტომის („დვალი-თუალი“) თვითსახელწოდება მიიღეს.

დვალთა გაოსების პროცესი ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნიკური ასიმილაციის პროცესი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (რამდენიმე თაობის მანძილზე) მიმდინარეობდა და ის ძირითადად განხორციელდა XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე. ქართული წყაროებით, XVII საუკუნის მეორე ნახევრისათვის დვალთა გაოსება უკვე ფაქტია. თუ XVII საუკუნის წინარე პერიოდის ყველა ქართული საისტორიო წყარო და საბუთი აშკარად მიჯნავდა ერთმანეთისაგან დვალეებსა და ოსებს, დვალეთისა და ოსეთის ქვეყნებს, ამ დროიდან უკვე შეიმჩნევა ტენდენცია, პარალელი გაავლონ დვალეთსა და ოსეთს შორის, ოსებსა და დვალეებს შორის. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი. ვახუშტი, რომელიც XVII საუკუნემდე მკაცრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან ოსებსა და დვალეებს, დვალეთსა და ოსეთს, XVII საუკუნის მეორე ნახევარში უფრო სწორედ ვახტანგ VI-ის (შაჰნავაზის) (1658-1675) დროის ამბების თხრობისას დვალეებით დასახლებული „ქვეყანა“ მის მიერ უკვე ოსეთადაა მიჩნეული: „მერმე არღარა მოსცეს დუალთა მეფესა ბეგარანი. ამისთჳს მივიდა ქრცხინვალს შესვლად ოსეთად. მსმენელნი დუალნი შეშინდნენ და მოერთუნენ თავნი მათნი ქრცხინვალს, მისცეს ბეგარანი და დაემორჩილნენ, ვითარცა პირველ“.¹⁴⁴ უფრო გამოკ-

¹⁴⁴ ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 455.

ვეთილად მიიჩნევს დვალეთს ოსეთის „ქვეყნის“ შემადგენელ ნაწილად ვახუშტი 1711 წლის ამბების თხრობისას: „... კუალად აღიმკვედრა სპითა შესლვად ოსეთს და შევიდა და შემუსრნა პ~კომენი, მონვა და მოსტყუევნა ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის ჴევი და გარდმოვლო კედელსა ზედა და მივიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული ქ~სა რ“ლია, ქართ. ტ~ჟთ, დაიპყრა დუალეთი და დასდვა ხარკნი და გორს მდგომი იშუებდა სხვსა განმზრახი“. ¹⁴⁵ თუმცა, ზოგიერთი, ისტორიული ტრადიციით, კვლავ მიჯნავდა და ანსხვავებდა ერთმანეთისაგან, დვალეთსა და ოსეთს. ამის ნათელი მაგალითია ციტატა „არჩილიანი“-დან. არჩილ მეფე წერდა: „...და დვალეთს გარდმოველ, დედოფალი იქ დავაყენე და მე იქივ იმერეთს ჩავედი და რვას თვეს ჩხერს ვიყავ და ისევ **დვალეთს ნამოვედი, და იქედამ ოსეთს ფაიქომში გადმოველ**, და ერთს წელიწადს იქ ვიდექ“. ¹⁴⁶ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ეს ამბავი 1680 წელს მოხდა. დვალთა ეთნიკური რაობის შეცვლა ანუ გაოსება მოხდა, როგორც თვით დვალეთში, ისე დვალეებით განსახლებულ შიდა ქართლის მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში (თრუსო, მალრან-დვალეთი და მალრან-დვალეთის მიმდებარე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ნაწილის ზოგიერთი დასახლებული პუნქტი).

ქართულ წყაროებზე თვალის გადავხედვით ირკვევა, როგორ მოხდა თანდათან ტერმინ „დვალეთის“ „ოსეთით“ ჩანაცვლება. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ეს ორი ტერმინი ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება. წყაროებსა და საბუთებზე თვალყურის გადავხედვით გ. ჭეიშვილმა დააფიქსირა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ანუ ისტორიულ-გეოგრაფიული დვალეთის პარალელურად თანდათან როგორ გამოიყენება

¹⁴⁵ იქვე, გვ. 491.

¹⁴⁶ არჩილი. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, „ქართული მწერლობა“, ტ. 6, თბ., 1989, გვ. 341.

ტერმინი „ოსეთი“. ეთნოსის ცვლის კვალობაზე დროთა განმავლობაში ადმინისტრაციული ტერმინიც სახეცვლილებას განიცდის. გ. ჭეიშვილი სამართლიანად შენიშნავს: ვახტანგ VI-ის დვალეთში ლაშქრობის დროს ვახუშტი ბაგრატიონი თუ უკვე დვალეთის მიმართ „ოსეთს“ გამოიყენებს, სეხნია ჩხეიძე იმავე მოვლენას დვალეთში ლაშქრობას უწოდებს. „გამოხდა ხანი მცირედი, შეიყარა ქართველთ ჯარი, გარდუხდა დვალეთს, გაემართა, დასწვა ციხე ოცდა-ათი ძირითურთ, დაიმონა ზემო ნარიდამ ქვემო კუდარომდის, დასდვა ბეგარა და მსახურებდენ“.¹⁴⁷ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ავტორებისათვის კარგა ხნის განმავლობაში ადვილი არ იყო ტერმინის „დვალეთი“ „ოსეთით“ ჩანაცვლება. ამიტომაც იყო, რომ რეგიონის აღსანიშნავად თავდაპირველად ხშირად ეთნიკურ ტერმინს/ეთნონიმს უფრო ანიჭებდნენ უპირატესობას და ამა თუ იმ ფაქტის აღსანიშნავად საუბრობდნენ „ჩვენს ოსებზე“, „ოსებში“ და ა. შ. ასევე, ქართველები მიგრირებულ ოსებსა და გაოსებულ ქართველებს (დვალებს) თავდაპირველად დვალებს უწოდებდნენ, მაგრამ XVIII საუკუნის შუა ხანებიდან თანდათან ეთნონიმი „დვალი“ უკვე ადგილს უთმობს ეთნონიმს „ოსი“.

XVII საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ საბუთში ორმაგი სახელწოდება „დუვალეთი-ოსეთიცაა“ დაფიქსირებული. ამ ფაქტსაც გ. ჭეიშვილმა მიაქცია ყურადღება. 1601 წელს, კინკლოსების თანახმად, „...დაიპყრა სრულებით დუვალეთ-ოსე-

¹⁴⁷ სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თფ., 1903, გვ. 26; გ. ჭეიშვილი. „ოსეთიდან“ „სამხრეთ ოსეთამდე“: როგორ იცვლებოდა ეთნიკური გეოგრაფია პოლიტიკურ გეოგრაფიად“. – კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, XIV, თბ., 2011, გვ. 218-219.

თი და აღილო ციხე და სოფლები მეფემან როსტომ იმერეთი-სამან“.¹⁴⁸

ქართველი მთიელების – დვალეების ოსთა მიერ ასიმილაციის საკითხს შეეხო ნოდარ ნაკაშიძე გ. თოგომვილის მონოგრაფიის („საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1969) შესახებ გამოქვეყნებულ წერილში.¹⁴⁹ მეცნიერმა კრიტიკულად განიხილა გ. თოგომვილის წინადადება, რომ „...ვახუშტის და ზოგიერთი სხვა ავტორის მიერაც დვალეების კანტიკუნტად მოხსენიება უფრო ტრადიციული ვითარების გადმონაშთია, ვიდრე ისტორიული რეალობის ასახვა“. ასევე გ. თოგომვილი განიხილავდა რა ვახუშტის წინადადებას: „აქუსთ ენა ძველი დვალური და ან უბნობენ ოსურსა საკუთრად...“, აღნიშნავდა, რომ „თუ დვალეები იმჟამად ოსურ ენაზე მეტყველებდნენ, ცხადია, მათთვის არავითარი სხვა ენა არ არსებობდა“, აგრეთვე: „მისი ცნობებიდან გამომდინარე დასკვნები ისეთია, რომ დვალეები ასიმილირებულ იქნენ ოსთაგან. ვახუშტის დროს ეს პროცესი დასრულებული უნდა ყოფილიყო“. ნ. ნაკაშიძე არ იზიარებს გ. თოგომვილის მოსაზრებას დვალეების ვახუშტის დროს (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი) სრულ ასიმილაციას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში, „ფაქტია, რომ ოსების მიერ დვალეების ასიმილაციის პროცესი დაწყებული იყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დასრულებული“.¹⁵⁰ მეცნიერს ყველაზე სერიოზულ არგუმენტაციად, სრულიად სამართლიანად, მიაჩნია ვახუშტის სიტყვები „ენა აქუსთ ძველი დვალური“. ე. ი. იმ პერი-

¹⁴⁸ მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინანქრები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 56.

¹⁴⁹ ნ. ნაკაშიძე. მცდარი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან. – მნათობი, 12, 1971, გვ. 177-183.

¹⁵⁰ ნ. ნაკაშიძე. მცდარი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან. – მნათობი, 12, 1971, გვ. 180.

ოდში ისინი ორენოვანნი იყვნენ, ახალ ოსურ ენასთან ერთად, კვლავ ლაპარაკობდნენ ძველ დვალურ მეტყველებაზე (დიალექტზე).

დვალთა ერთდროული ენობრივ-ეთნიკური ასიმილიაცია რომ არ მოხდა, ამას გვიანი პერიოდის მონაცემებიც ადასტურებს. ფაქტია, რომ XIX საუკუნის ბოლომდე დვალეთის ზახას ხეობის მოსახლეობა ორენოვანი (ოსურ-ქართული) იყო. ნ. ნაკაშიძისათვის სერიოზული არგუმენტია ის ფაქტიც, რომ ვახუშტი ოსებსა და დვალებს ერთმანეთისაგან განასხვავებდა სოციალურად, ზნე-ჩვეულებებით და რელიგიურად.¹⁵¹ ნ. ნაკაშიძის არგუმენტების სასარგებლოდ გეოგრაფიული ფაქტორის დასახელებაც გასათვალისწინებელია, რადგან, როგორც ცნობილია, მთიან ლანდშაფტში ასიმილაციური პროცესები შედარებით ნელა მიმდინარეობს.

ნოდარ ნაკაშიძე სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს გიორგი თოგომჭილის წინადადებას, რომ „ვახუშტის და ზოგიერთი სხვა ავტორის მიერაც დვალების კანტიკუნტად მოხსენიება უფრო ტრადიციული ვითარების გადმონამთია, ვიდრე ისტორიული რეალობის ასახვა“. ამ დასკვნას კი გ. თოგომჭილი აკეთებდა ვახუშტის ფრაზის საფუძველზე, რომ დიდი ლიახვის სათავეებსა და თრუსოში „მსახლობელნი არიან ოვსნი, დვალნი“. ვახუშტი რადგან მძიმეს საერთოდ არ ხმარობდა (ოვსნი დვალნი“) და ამ ადგილს მძიმის გარეშე კითხულობდა, ოსი ავტორი იღებდა დასკვნას, რომ დვალები ვახუშტის დროს უკვე გაოსებული იყვნენ. სინამდვილეში კი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დვალეთში, შიდა ქართლის მთიანეთსა და თერუსოში ოსები, ადგილობრივ დვალებთან ერთად, თანაცხოვრობდნენ. ნოდარ ნაკაშიძე სრულიად სამართლიან

¹⁵¹ ნ. ნაკაშიძე. მცდარი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან. – მნათობი, 12, 1971, გვ. 180.
გვ. 179-180.

ინტერპრეტაციას უკეთებს ვახუშტის სიტყვებს — „ენა აქვსთ ძველი დვალური“, ე. ი. ენა შემორჩენილი ჰქონდათ. „ფაქტია, რომ ოსების მიერ დვალების ასიმილაციის პროცესი დაწყებული იყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დასრულებული“¹⁵².

დვალთა გაოსების ფაქტს მზია ტყავაშვილიც შეეხო და, ვფიქრობთ, მისი მსჯელობა ფრიად საყურადღებოა. ავტორს ყურდღება აქვს მიქცეული იოანე ბაგრატიონის ფრაზაზე, როდესაც ის დვალეთის ჟღელეს ხეობის შესახებ აღნიშნავს, რომ აქ ცხოვრობენ „დიდი ლიახვის მემიჯნავენი ოსნი და სხვა მთის კაცნი“. ლოგიკურია მ. ტყავაშვილის დასკვნა, რომ „სხვანი მთის კაცნი“-ს ქვეშ დვალეები იგულისხმებიან. „იოანე ბაგრატიონი ოსად არ მიიჩნევს ისტორიული დვალეთის ყველა მცხოვრებსაც. ის გარკვევით აღნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ “ოსები და სხვანი მთის კაცნი“. „დვალეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ოსების ცხოვრების შემთხვევაში იოანე ბაგრატიონი აღარ იხმარდა ტერმინს „სხვანი მთის კაცნი“ და აქ მცხოვრებ მოსახლეობას „ოსების“ ქვეშ იგულისხმებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იოანემ გამიჯნა აქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები და ხაზი გაუსვა მათ არაიდენტურობას“.¹⁵³ ჩვენი მხრივ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ XVIII საუკუნის ბოლოს ქართველები დვალეთში მცხოვრებ ოსებს (რომლებიც მიგრირებული იყვნენ ოსეთის ხეობებიდან) ადგილობრივი გაოსებული დვალებისა და გაოსების გზაზე შემდგარი დვალებისაგან კვლავ მიჯნავდნენ და მათ

¹⁵² ნ. ნაკაშიძე. მცდარი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან. – მნათობი, 12, 1971, გვ. 180.

¹⁵³ მ. ტყავაშვილი. რუსეთის სამხედრო ექსპედიცია „ოსეთის ვილაიეთ დვალეთში“ (1821 წელი). — ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (3), თბ., 2008, გვ. 39-40.

უკვე არა დვალებად, არამედ „სხვა მთის კაცებად“ მოიხსენიებდნენ.

საქართველოს ხელისუფლება სრულ კონტროლს რომ ახორციელებდა დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეზე, და, რომ აქ სამეფო კარს თავისი მოხელეები ყავდა, კარგად ჩანს XVIII საუკუნის საარქივო მასალებით. მაგალითად, 1780 წლით დათარიღებულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა ღვთისაითა, ჩვენ საქართველოს ნეფის ბაქარის შვილმან და მეფის ვახტანგის შვილიშვილმან ალექსანდრემ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ **ნარელს აზნაურიშვილს თომაშვილს თავის**, ამისთვის, რომ ჩვენი მამაპაპისათვის თქვენს მამაპაპათა მრავალი უმსახურიათ და დიდად ერთგულნი და თავდადებულნი ყოფილან და ჩვენი ოჯახიც თქვენის ნამსახურობით დგას დღესაც და ან ჩვენცა ამაღ ჯამაგირი გაგვიჩენია შენთვის, რომ ყოველს წელიწადს საუკუნოთ ჩვენგანა და ჩვენის შვილისშვილებისაგან შენ შვილთა ჩამომავალთა არ მოეშალოს და ყოველს წელიწადს გეძლეოდესთ ორმოცდაათი მარჩილი და თუ კიდევ თქვენგან მეტი ერთგულება და ნამსახური ვნახოთ, ჩვენც ყოველს წელიწადს ჯამაგირსა და წყალობას გიმატებთ, ასე იცოდეთ ჩვენგან“.¹⁵⁴ ამრიგად, მოყვანილი საბუთიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს სამეფო კარს დვალეთის ცენტრში – ნარას თემში ყავდა აზნაური ეთნიკური ოსი, თავი თომაშვილი, რომელსაც ერთგული სამსახურისათვის ყოველწლიური ჯამაგირი ჰქონდა დანიშნული. ანალოგიური წყალობის წიგნები იმავე პერიოდში ებოძათ ასევე **დვალეთის ნარას ხეობაში მცხოვრებ აზნაურებს თავყან ხელფამაშვილს**,¹⁵⁵ **პეტრე მამიაშვილს**.¹⁵⁶ სახასო (სა-

¹⁵⁴ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდინ 1461, რვეული 6, საქმე 8.

¹⁵⁵ სცსსა, ფ. 1461, რვეული 6, საქმე 9, სცსსა, ფ. 1461, რვეული 6, საქმე 10.

ხელმწიფო) აზნაურები გახლდნენ დვალეთელი ხეთაგურებიც, რაც კარგად ჩანს 1786 წელს ერეკლე II-ის მიერ გაცემული წყალობის სიგელიდან: „ჩვენ... მეფემან... ირაკლი მეორემან... გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი შენ, **ჩვენს სახასო ყმას ნარელს ოსს ხეთაგურს...** ასე რომ, შენი შვილი ბოლათიყო ჩვენ გვახლდა და ასპინძას ოსმალთა და ლეკზე რომ გაგვემარჯვა, იქ მხნეთ გაგვემარჯვა და იმ ომში მოიკლა. შენ... **შეგინყალეთ და გიბოძეთ ქცხინვალს ამონყვეტილის პეტრიაშვილის ბეითალმანი მამული...** ერთი წიგნი ამ მამულის წყალობისა უწინვე გიბოძეთ, მაგრამ ქცხინვალი რომ ლეკებმა ნახდინეს, მაშინ შენი რძალი, ბოთალიყოს ცოლიც იქ დატყვევდა და წიგნებიც დაგეკარგათ და ახლა კიდევ ხელმეორეთ ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ...“.¹⁵⁷

უფრო მეტიც, საქართველოს სამეფო კარს დვალეთის მხარეში არა მარტო აზნაურები, არამედ თავადებიც ყავდა, რომლებიც ქვეყნის საერთო ინტერესების სამსახურში იდგნენ. ქვემოთ მოყვანილი წყალობის წიგნიც 1780 წელსაა გაცემული: „ქ. ნებითა ღთისათა ჩვენ, საქართველოს მეფის ბაქარის შვილმან და მეფის ვახტანგის შვილისშვილმან ალექსანდრემ გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი შენ **თავადისშვილს ჯიდაშვილს მახმათს** შენის მამის და პაპის ნამსახურებისათვის და თვითან ახლა საკურთხად დიდის ნამსახურებისათვის ასორმოცდაათი მარჩილი, მე, ჩემმან შვილმან შენ და შენს შვილიშვილს გაძლიოთ და არც დაგაკლოთ და კიდევ მოგიმატოთ. აღინერა ქუთაისს, აგვისტოს ზ, წელსა ჩღპ, ალექსანდრე“.¹⁵⁸ 1747 წელს მეფე თეიმურაზს წელიწადში ერთი თუმანი დაუნიშნავს შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ეთნი-

¹⁵⁶ სცსსა, ფ. 1461, რვეული 6, საქმე 12.

¹⁵⁷ საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში. 2010ა: 382.

¹⁵⁸ სცსსა, ფ. 1461, რვეული 6, საქმე 11.

კური ოსის **ჩალი ხაჩირიშვილისათვის**.¹⁵⁹ 1750 წელს წყალობის სიგელი მიუღიათ მეფე ერეკლესაგან **აზნაურებს გიორგი და აგარონ ჯიდაყანაშვილებსაც**.¹⁶⁰ აზნაურობა ჰქონდათ ბოძებული დვალეთის ნარას თემში მცხოვრებ ხეთაგურებს (რუსეთის შემოსვლის შემდეგ – ხეთაგ-ურ-ოვებს). ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი კოსტა ხეთაგუროვი ამის შესახებ წერდა: «Производя субья от переселившегося из-за Кубани княжича Хетага, нарцы Хетагуровы и в настоящее время добиваются дворянства, ссылаясь на соответствующие грамоты грузинских царей, дарованные за военные услуги задолго до присоединения Грузии к России».¹⁶¹ ვფიქრობთ, წარმოდგენილ საბუთებზე ზედმეტია კომენტარი, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ დვალეთიც და, მითუმეტეს, შიდა ქართლის მთიანეთიც, საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ამის აღვნიშვნა განსაკუთრებით იმიტომაცაა საჭირო, რომ ბოლო დროს რუსეთში გამოცემულ წიგნებსა თუ სტატიებში ხშირად ესმის ხაზი იმას, რომ თურმე ე. წ. სამხრეთ ოსეთი 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობით ჩრდილო ოსეთთან ერთად შეიერთა რუსეთის იმპერიამ.

ქართველ მეფეებს დვალეთში მუდმივად ყავდათ მოხელეები, რომელთა თამამდებობაც ტერმინით – „მოურავი“ აღინიშნებოდა. მოურავებს სამეფო კარი კი იმ ტერიტორიაზე ნიშნავდა, რომელიც უშუალოდ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დვალეთის მოურავი გახლდათ ისტორიაში საკმაოდ ცნობილი გიორგი სააკაძე. 1772 წელს შიდა ქართლის მთის ოსური სოფლებისა და **დვალეთის ზროგოს ხეობის მოურავობა** ერეკლე მეორეს თავად იორამ ფავლენიშვილისა და მისი სახლიკაცებისათვის

¹⁵⁹ სცსსა, ფ. 1461, საბუთი 2.

¹⁶⁰ სცსსა, ფ. 1461, საბუთი 3.

¹⁶¹ К. Хетагуров. Собр. соч. в трех томах, том второй., М., 1974, с. 233.

უბოძებია: „ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ... მეორემან ირაკლიმ... ესე წყალობის ფირმანი შეგინყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს დიდად ერთგულს და წესისაებრ მრავალგვარად ნამსახურს ფავლენიშვილს იორამს, სესიას, თეიმურაზს და იოანეს. ასე რომე, მოხვედით კარსა დარბაზისასა ჩვენისასა და მოურაობის წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენც თქვენის დიდად ერთგულებისა და მრავალ ნამსახურების გამოისად შეგინყალეთ და **გიბოძეთ მთაში ოსის სოფლების მოურაობა: ჯრისა, ნინიაყავისა, ჯავისა, სხლებისა, ტონტობეთისა, ყვერსევისა, ლალიანთისა, ქოთონთოსი, ყემულთისა, ჯავისთავისა, ზამთარეთისა, ზროგოს ხუთი სოფლისა (ზროგო – დვალეთის ექვსი თემიდან ერთ-ერთი თემი გახლდათ – რ. თ.), მაცხვარეთის სამი სოფლისა, დამწვარეთისა, ხვნესი, ყალასი, კიდევ ყალასი, ქეშელთასი, დოდონისთა, ჩავათასი, თხელასი, მაირამისა, ჭამადანისა; მუგუთს გალავანასშვილები და გაბელაშვილები, კიდევ მუგუთს ქოზაშვილები, ჩავათს გაბათაშვილები და ჩარბუასშვილები.** ესენი თქვენთვის და შვილთა თქვენთვის სამუდამოდ გვიბოძებია, ყოვლის მისის სამართლიანის სარგოთი გქონდესთ და გიბედნიეროსთ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა მეპატრონეთაგან... დაინერა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრის თუმანიშვილის სულხანის ხელით. აგვისტოს კ. ქკს უი“.¹⁶² ასე რომ, დიდი ღიახვის ხეობის მთიანეთსა და დვალეთში თავად ფავლენიშვილებს არა მარტო მთელი რიგი სოფლების მოურავობა, არამედ ყმა გლეხი ეთნიკური ოსებიც ეკუთვნოდათ.

ზემოთ მოყვანილი საისტორიო საარქივო მასალა ადასტურებს, რომ დვალეთი საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში მისი შემადგენელი ნაწილი იყო. დვალეთი,

¹⁶² სცსსა, ფ. 1450, წიგნი 45, საქმე 188.

როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად შეიერთა და ის ნარას უჩასტკას სახით ადმინისტრაციულად თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შეიყვანა, რაც ფაქტობრივად ისტორიული საქართველოს ადმინისტრაციული და ისტორიულ-გეოგრაფიული მოწყობის დადასტურება იყო. დვალეთი რომ საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, გარდა ქართული საისტორიო წყაროებისა და საბუთებისა, ამას XVIII საუკუნის ბოლო პერიოდისა და XIX საუკუნის დასაწყისის რუსული დოკუმენტებიც მოწმობენ. საამისო წყაროები თავმოყრილია *მზია ტყვაშვილის* საინტერესო ნაშრომში.¹⁶³ ავტორს სამართლიანად აქვს შენიშნული, რომ XVIII საუკუნეში დვალეთი მთლიანად არ შედიოდა ქართლ-კახეთის სამეფოში. დვალეთის ექვსი ხეობიდან/საზოგადოებიდან/ტერიტორიული თემიდან ორი, კერძოდ, ჟღელე და კასრის ხევი მეორე ქართული სამეფოს – იმერეთის – მფლობელობაში იყო.¹⁶⁴ რუსულ დოკუმენტებშიც ეს პოლიტიკური ფაქტი სათანადოდაა ასახული. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე დვალეთის საქართველო სამეფოების შემადგენლობაში არსებობის დასადასტურებლად მ. ტყვაშვილს არაერთი დოკუმენტი აქვს მოხმობილი, რომელთგან მხოლოდ ორიოდზე შევჩერდებით. 1794 წლის ერეკლე II-ის საბუთით ზახასა და ნარაში ალექსანდრე ბატონიშვილს ჰქონდა საკუთარი მფლობელობა: «В 1794 году удел нашего сына Александра так решен и так определен, как ниже сего означены названия земель и

¹⁶³ М. Ткавашвили. Вопрос политической принадлежности Двалети в конце XVIII-начале XIX века. – Некоторые вопросы истории осетин Шида Картли, Тб., 2010, с. 256-268.

¹⁶⁴ იქვე, გვ. 260, 262.

число людей... в Наре подымных 100, Заке, Шпа и Згубир подымных 50».¹⁶⁵

ცნობილია, რომ შიდა ქართლის მთებსა და დვალეთში მცხოვრები ოსები ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ. პირველი ასეთი დაუმორჩილებლობა 1802 წელს მოხდა, რისთვისაც ცარიზმმა აქ სამხედრო ექსპედიცია გააგზავნა. საყურადღებოა, რომ **რუსული სამხედრო ექსპედიციის მარშრუტში შედიოდა მხოლოდ დვალეთის ოთხი ხეობა: ზახა, ზროგო, ზრამაგა და ნარა. ხოლო ყელელსა და კასრის კარს რუსები საერთოდ არ შეხებიან, რადგან ეს ორი ხეობა ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სამეფოს – იმერეთის – შემადგენლობაში შედიოდა.**¹⁶⁶ ისიც მნიშვნელოვანია, რომ დვალეთში ცარიზმის ხელისუფლებას აღნიშნული დროისათვის საქართველოს სამეფოს სახელმწიფო მოხელის თანამდებობა – მოურავი არ გაუუქმებია და მისი საგამგეო ტერიტორიაც ნარას სამოურავოდ იწოდებოდა: «...привел он к присяге и за горами расположенных, сверх предписанного ему моуравства Нарского ущелья Генатское, Зрамагское, Зругское и Загинское...».¹⁶⁷ 1821 წელს დვალეთის მოურავის თანამდებობაზე თავადი *საჩინო ჯაფარიძე* დაუნიშ-

¹⁶⁵ М. Ткавашвили. Вопрос политической принадлежности Двалети в конце XVIII-начале XIX века. – Некоторые вопросы истории осетин Шида Картли, Тб., 2010, с. 261; მითითება: Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией/ред. Ад. Берже. – Тифлис, 1875. – Т. VI. – Ч. II.

¹⁶⁶ М. Ткавашвили. Вопрос политической принадлежности Двалети в конце XVIII-начале XIX века. 2010, с. 262. მითითება: Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией/ред. Ад. Берже. – Тифлис, 1866. – Т. I. – Ч. II. С. 583-583.

¹⁶⁷ იქვე, გვ. 262. მითითება: Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией/ред. Ад. Берже. – Тифлис, 1866. – Т. I. – Ч. II. С. 584.

ნავთ.¹⁶⁸ საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს რომ წარმოადგენდა დვალეთი, კარგად ჩანს გენერალ-მაიორ ლაზარევის წერილში გენერალ-ლეიტნანტ კნორინგისადმი, რომელიც 1802 წლის 5 მარტითაა დათარიღებული: «К северу окружаются они (საუბარია დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მცხოვრებ ოსებზე – რ. თ.) Кавказским снеговым хребтом, за которым живут осетинцы уездов Нара, Заха и Згубири, подвластные же Грузии».¹⁶⁹

დვალეთს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ მთიან მხარეს, თითქმის ისეთივე ადგილი ეკავა ქვეყნის სოციალურ სტრუქტურაში როგორც მთის დანარჩენ რეგიონებს. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში ავტონომიურად ფუნქციონირებდნენ. მთა სოციალური განვითარებით ბარს მხარს ვერ უბავდა – აქ ფეოდალური ურთიერთობები არ განვითარებულა. სამეფო კარს მთაში მხოლოდ თავისი მოხელე – მოურავი – ჰყავდა განმწესებული. მოურავების საშუალებით იმართებოდა დვალეთიც. მაგრამ XVIII საუკუნის ზემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტები პირდაპირ მიუთითებენ იმის შესახებ, რომ დვალეთში სოციალური დიფერენციაცაა, რომ სამეფო კარს ყავს არა მხოლოდ აზნაურები, არამედ თავადიც კი. ზემოთ მოყვანილი რამდენიმე საბუთი, დვალეთელ ოსთა შორის აზნაურის ინსტიტუტის არსებობის შესახებ, ცალკე მსჯელობას მოითხოვს. კითხვა ჩნდება: XVIII საუკუნეში დვალეთში აზნაურები ისეთივე აზნაურებს წარმოადგენდნენ, როგორც ბარელი აზნაურები? ისევე ყავდათ

¹⁶⁸ Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией/ред. Ад. Берже. – Тифлис, 1873. – Т. V. С. 39.

¹⁶⁹ М. Ткавашили. Вопрос политической принадлежности Двалети в конце XVIII-начале XIX века. 2010, с. 263. Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией/ред. Ад. Берже. – Тифлис, 1866. – Т. I. – Ч. II. С. 584.

მათ ყმა-გლეხები, როგორც ბარელ აზნაურებს? ამ კითხვებს ჩვენი აზრით უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან ამ ოს აზნაურებს „ჯამაგირი“ ჰქონდათ დანიშნული. ამ აზნაურთა მოვალეობას, უპირველეს ყოვლისა, დვალეთში შემოსახლებული ოსების ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემაში ინტეგრაცია, განსაკუთრებით კი სამეფო კარის დაძახილზე საომარ ქმედებებში მონაწილეობა წარმოადგენდა. თუმცა აქ კვლავ ფუნქციონირებს სახელმწიფო მოხელის – მოურავის – ინსტიტუტი. ამასთანავე აშკარაა, რომ დვალეთის მოურავები არა ადგილობრივი ოსური ეთნოსის წარმომადგენლები, არამედ შიდა ქართლელი თავადები არიან. ისიც აშკარაა, რომ მოურავობა XVIII საუკუნეში ფავლენიშვილებს მოუდიოდა. ფავლენიშვილები არა მხოლოდ დვალეთელი ოსების მოურავები არიან, არამედ „მთაში ოსის სოფლების მოურავებიც“.

შემორჩენილი წყაროებით აშკარაა, რომ უფრო ადრე დვალეთში სოციალური დიფერენციაცია არ იყო, რომ აქ მცხოვრებ მთიელ დვალეებში ისეთივე სოციალური ვითარება გვექონდა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში. მაგრამ ეს მხარე, ისევე როგორც ხევი და მთიულეთი, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით შედარებით წინ იყო წასული, ვიდრე ფხოვი (შემდეგდროინდელი ფშავ-ხევსურეთი) და თუშეთი. ამას აქ ქრისტიანობის საკმაოდ ღრმად შესვლაც ადასტურებს. დვალეთი ხევთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებთან შედარებით, სოციალურად უფრო წინ რომ იდგა, ამას ვახუშტის სიტყვებიც მონმოვს, როდესაც ის საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლაზე საუბრობს: „...დაშთა ჴევი და დუალეთი ქართველთა მეფეთა, რომელნი მოსცემენ დღემდე ხარკთა მეფეთა...“.¹⁷⁰

¹⁷⁰ ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 655.

დვალეთის სოციალური ვითარების შესახებ ისევ და ისევ სათანადო მონაცემები „ძეგლი ერისთავთა“-შია მოცემული. ამავე დროს, დვალეები, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთიელები, ქართულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში ჩართული იყვნენ როგორც სამეფო/სახელმწიფო, ბაგრატიონთა დინასტიის ყმები, რასაც შემდეგი ამონარიდი ადასტურებს: „მაშინ მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თვისი და თათარნი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასავე ჴევსა შალვაჲს საერისთავოსა და **ჩამოსხნა დვალნი და ჯადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქვემონი**, და დანუეს და მოაოჴრეს ყოველი ცხრაზმის ჴევი გარეშე ციხეთა, და ციხეთა ჰბრძოდეს ქუენიფნევს, ქარჩოხს, ქოლოთს და ისროლს“.¹⁷¹ ამრიგად, გამდგარი ფეოდალის წინააღმდეგ ბრძოლაში მეფეს მხარში ძირითადად მთიელები ედგნენ, რომელთა შორის დვალეებიც არიან მოხსენიებულნი. მთიელების, ამ შემთხვევაში დვალეების, სამეფო სახლთან ურთიერთობის ერთ-ერთი გამოხატულება, მათი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საომარ ქმედებებში მონაწილეობა იყო. ამ სახით იყვნენ ისინი ჩართული ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში. დვალეების მეორე ვალდებულებაც ანალოგიური გახლდათ – მათ სახელმწიფოს ჩრდილოეთის საზღვრების დაცვაც ევალებოდათ, რასაც აქ არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობებიც ადასტურებს.

დვალეების მოვალეობას, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიელებისა, სახელმწიფოს მიმართ სამხედრო ვალდებულება რომ წარმოადგენდა, ეს კარგად ჩანს სომხური წყაროთი, რომელშიც ვკითხულობთ: გიორგი III „გაიქცა დიდ სატახტო ქალაქ ტფილისს და სათათბიროდ მოიხმო მისი მეფობის ერთგულნი; მათი რჩევით (მეფემ) ალუთქვა და უბოძა ოქ-

¹⁷¹ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატყანე). 1954, გვ. 347.

როსა და ვერცხლის განძეულობა და ძვირფასი სამოსელი, (ისე რისი) ღირსიც იყვნენ კარგად შეიარაღებულ ურიცხვ ქვეით (ჯვარს) დვალებისას და რომლებიც ქართლში (იყვნენ)".¹⁷² ნიშანდობლივია ერთი ფაქტიც: სომხურ ტექსტში გვაქვს „დუალეთი“, ანუ ქართული ფორმა, ნაცვლად სომხურისათვის დამახასიათებელი „დუალქი“-სა.¹⁷³

უფრო მოგვიანო პერიოდში ქსნის ერისთავებს დვალებთან ბრძოლა ჰქონდათ; „ხოლო შალვა მიჰმართა ჴევთა დვალეთისათა და მოაოჯრნა ყოველნი. და მოუჭდეს შავდვალნი ღამესა ბნელსა. ... და მოსრეს სიმრავლე არამცირედი დვალთა. მაშინ მონუნეს და მოაოჯრეს ყოველნი ჴვენი დვალეთისანი“.¹⁷⁴ რატომ ებრძოდნენ ერთმანეთს ფეოდალური უღლისაგან თავისუფალი დვალები და ქსნის ერისთავები? პასუხი მარტივია ერისთავები ცდილობდნენ საფეოდალოს გაფართოვებას. ბუნებრივია, თავისუფალი მთიელები თავს იცავდნენ და საპასუხო დარტყმებსაც აყენებდნენ ქსნის ერისთავებს. ბუნებრივია, საფეოდალოს გაფართოვებას ერისთავები იმ დროს ცდილობდნენ, როდესაც, საგარეო ფაქტორის გამო, ცენტრალური ხელისუფლება სუსტდებოდა. ამას „ძეგლი ერისთავთა“ შემდეგი ადგილიც ადასტურებს: „ამას ჟამთა იყო შფოთი და პოეს ჟამი დვალთა და წაასხეს ლუდით ზროხაი. ესმა ერისთავსა და განილაშქრა მათ და ზედა და მივიდა ერემას, ნუხლეთს და ნუბენს და დაარღვნა ციხენი მათნი და დაწუა და ალაოჯრა ქუეყანაჲ მათი და წარმოვიდა განმარჯვებულნი“.¹⁷⁵

დვალებს დაპირისპირება და ბრძოლა რომ ჰქონდათ ქსნისხეობელებთან XIV საუკუნეში, ეს კარგად ჩანს, „ძეგლი ერისთავთა“-დან: „და მეორესა წელსა მოუჭდეს ყოველნი

¹⁷² ა. აბდალაძე. სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 2005, გვ. 37-38.

¹⁷³ იქვე, გვ. 176.

¹⁷⁴ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატყანე). 1954, გვ. 348.

¹⁷⁵ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატყანე). 1954, გვ. 355.

დვალნი, მაშინ ბრძოლა-უყვეს ჟამურელთა და იყუნეს ბეგ-რის მკრეფელნი ცხრაზმელნი...“.¹⁷⁶ ეს ფაქტი მთიულეთში შემონახულ გადმოცემებშიცაა ასახული. ვირშელ ერისთავის დროს დიდი ღიახვის ხეობის მთის მონაკვეთში მცხოვრები დვალეები დამორჩილებულნი იქნენ: „ან ჩუენ მოვიცალოთ მათთჳს, ანუ ავაოწროთ ქუეყანა მათი და ანუ შევქმნეთ მსახურ და მობეგრედ ჩვენდა“.¹⁷⁷ „მაშინ მიემონმნეს ყოველნი ლაშქარნი, წარემართეს და შედგეს მთასა ბეხუშისასა. და ესმა ქუემო დვალთა კოშკელ-იოსებურთა, თლეველ-მუღისველელთა, ზღუბირელ-როკაელთა. შეძრწუნდეს და მოუსხეს მძევლები, ძღუენი და ბეგარი და ფიცით აღუთქვეს ერთგულად მსახურება“.¹⁷⁸ „მაშინ შეინყალა ქუეყანაჲ მათი და არაჲ ბოროტი უყო მათ. მოზრუნდა და შედგა მთასა სოსხოისასა. და ესმა მალრან-დვალთა და მოვიდეს ბრუტას შვილნი და კელეურ-კაბუშურნი და ყოველნი სოსხოელ-წუბენისწეველნი, ხოჯაელ-წაელნი მძევლითა, ბეგარითა და ძღუენისა სიმრავლითა. და მოიმტკიცნა ფიცითა და აღუთქუეს ერთგულებით მონებაჲ“.¹⁷⁹

დაბოლოს, დვალეთში არსებული სოციალური ვითრების დასადგენად ყველაზე მნიშვნელოვანია „ძეგლი ერითავთა“-ს დასაწყისი, სადაც საუბარია ოსთა ლტოლვილი სამეფო ოჯახის წარმომადგენლებისადმი მათ დამოკიდებულებაზე. მთის ტრადიციიდან გამომდინარე დვალეებმა „ქვეყანას დვალეთისასას“ სამოცდაათი მონით მოსულნი მიიღეს და მათ დასასახლებელი ადგილიც უბოძეს. მაგრამ შეხედეს რა მოსულებს, რომლებმაც „ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა“ მშენებლობა დაიწყეს,

¹⁷⁶ იქვე, გვ. 356.

¹⁷⁷ იქვე.

¹⁷⁸ იქვე, გვ. 357.

¹⁷⁹ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე). 1954, გვ. 357.

სერიოზულად იეჭვიანეს, რომ „შემდგომად მცირედისა ეუფ-
ლნენ ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა“. ¹⁸⁰ ამის გამო ამანათად მიღე-
ბულებს დვალეთი დაატოვებინეს – დვალეებს სოციალური დი-
სონანსის შემომტანი ამანათები არ ჭირდებოდათ. სრულიად
გასაზიარებელია ვ. გამრეკელის კვლევის შედეგი, რომელიც
ასკვნიდა, რომ დვალეებს შორის არავითარი იერარქიული დაყო-
ფა არ ჩანს. ერთადერთი მოქმედ პირს, სუბიექტს წარმოადგენ-
და თემი თავისი ერთობლიობით [«Никакого иерархического
деления среды двалов не видно. Единственным действующим
лицом, субъектом, является народная масса, племенной коллектив в
своей совокупности»¹⁸¹]. ასე რომ, დვალეთში საკმაოდ ძლიერი
იყო თემობრივი ურთიერთობები, მაგრამ ხაზგასმით უნდა ით-
ქვას, რომ საუბარია არა გვაროვნულ თემზე, არამედ ტერიტო-
რიულ თემზე. „ვახუშტის სიტყვები, რომ „...არამედ დვალი უმ-
დაბლესი არიან გვართა“, სრულიადაც არ მიუთითებს იმ ფაქ-
ტზე, რომ აქ გვაროვნული ურთიერთობები არსებობდა, უბრა-
ლოდ აქ საუბარია იმაზე, რომ დვალეთში ყველა უმდაბლესი
გვარის წარმომადგენლები არიან, რომ წარჩინებული გვარები
აქ არ იყო.

შეიძლება კითხვა გაჩნდეს: ვინ აშენებდა დვალეთში ქრისტი-
ანულ სალოცავებს – ეკლესიებს? რა თქმა უნდა, ასეთი ნაგებობე-
ბის მშენებლები არა ფეოდალები, არამედ სამეფო კარი იყო, რომე-
ლიც, ბუნებრივია, სამეფო ყმების, რეალურად თავისუფალი მეთე-
მეების შრომას იყენებდა. ¹⁸²

¹⁸⁰ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიაწე). 1954, გვ. 344.

¹⁸¹ В. Н. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961, с. 104.

¹⁸² გ. ლამბაშიძე. ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში. – საბჭო-
თა ხელოვნება, 3, 1976, გვ. 73-75.

III. ქრისტიანობა დვალეთში

ვ. გამრეკელმა დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ქრისტიანობის გავრცელებას მონოგრაფიის ერთი მონაკვეთი მიუძღვნა. წინასწარ უნდა ითქვას, რომ დვალეთი ამ თვალსაზრისით საქართველოს მთიანეთის მხარეებს შორის გამორჩეული იყო, რამაც რეგიონის მოსახლეობის ქართული კულტურის შემადგენელ ნაწილად გააზრებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. საერთოდ, ცნობილია, რომ ქართველთა სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფთა ინტეგრაციაში ქრისტიანობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. დვალეთის შესახებ პირველი მონოგრაფიის ავტორს დადასტურებული აქვს, რომ დვალთა შორის ქრისტიანობა ქართლიდან ვრცელდებოდა; აქედან მიემართებოდნენ მისიონერები, აქედან მიმდინარეობდა ქრისტიანობის პროპაგანდა და შესაბამისი სახელმწიფოებრივი ღონისძიებები.¹⁸³ ქართული წყაროებით დადასტურებულია, რომ VI საუკუნის I ნახევარში დვალეთი უკვე შედიოდა ახლადშექმნილი ნიქოზის ეპარქიაში.¹⁸⁴ ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი დავით გარეჯელი პირდაპირ ასახელებს დვალეთს: „უბრძანა მოწაფეთა თვისთა, რათა წარვიდეს თითოეული მათი სხუათა მიმართ ადგილთა და ქადაგებად სახარებასა უფლისასა და სინანულსა მოსატევებლად ცოდვათა...“ და ისინიც, ე. ი. დავით გარეჯელის მოწაფეები „წარივლინნეს ვითარცა ცხოვარნი შორის მგელთა, და რომელნიმე მათგანნი კახეთისა საზღვართა მიმართ მიიწივნეს, **ხოლო სხვანი მთის კერძოთა დუალეთისათა**

¹⁸³ В. Н. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961, с. 71.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 77.

მკვიდრთა მიმართ“.¹⁸⁵ ასე რომ, დვალეთი VI საუკუნის შუა ხანებში ქრისტიან მისიონერთა მოღვაწეობის ერთ-ერთ არეალს წარმოადგენდა.

დვალეთის მკვიდრებისადმი სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ინტერესს, ვფიქრობთ, მისი გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავდა, რადგან აქედან (ისევე როგორც დარიალიდან) ჩრდილოეთ კავკასიაში იყო გასასვლელი და განაპირა „ქვეყანა“ ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, ქრისტიანული მთიანი დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე უფრო მეტად დასაყრდენი იქნებოდა ხელისუფლებისათვის. მთაში ქრისტიანობა მართალია ძნელად იკაფავდა გზას, მაგრამ ჩვენ არ გავგაჩნია რაიმე წყარო დვალეთში, ანალოგიურად ფხოვისა, ახალი იდეოლოგიისადმი წინააღმდეგობის განწევსა. ქრისტიანობის შედარებით უმტკივნეულოდ გავრცელებას კი პირველ რიგში ხელს უწყობდა ის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, რომელიც მთისა და ბარის რეგიონებს შორის უკვე იმდროიდან იყო ჩამოყალიბებული. დვალეთის ასეთი კავშირი სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან, განსაკუთრებით კი ქართლთან, ბოლო დრომდე არ შეწყვეტილა.

ვ. გამრეკელს სამართლიანად აქვს შემჩნეული ადრე შუა საუკუნეებში მთაზე ბარელთა კულტურული ზემოქმედების მთელი რიგი ასპექტები, კერძოდ VIII საუკუნის 30-იან წლებში, მურვან-ყრუს შემოსევის დროს, „ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულნი შეიმეოტნეს კავკასიად, და დაიმალნეს ტყეთა და ღრეთა“¹⁸⁶. ხოლო IX საუკუნის შუახანებში ბულა თურქის შემოსევისას აფხაზთა

¹⁸⁵ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 150.

¹⁸⁶ ქართლის ცხოვრება, ტომი I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 234.

„თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დვალეთისასა“¹⁸⁷. თუმცა გასაზიარებელი არაა ის შეხედულება, რომ არაბობის დროს ცენტრალურ კავკასიაში/დვალეთში ქართლიდან დვალეთში მიგრაციული ტალღები ინტენსიური იყო, რაც ასევე ინვევდა დვალეთში ქრისტიანობის უფრო ღრმად შესვლასა და განმტკიცებას¹⁸⁸. ბუნებრივია, ისმის კითხვა: ასეთი ინტენსიური პროცესებისათვის დვალეთში სათანადო დემოგრაფიული ვითარება არსებობდა? მთას ხომ არ შეეძლო ბარის მოსახლეობის დიდი რაოდენობითა და მუდმივად მიღება. მაგრამ დავსძენთ, რომ დვალეთში ბარიდან დროებით შეხიზნულებსაც შეეძლოთ შეეტანათ ქრისტიანული კულტურა და ზნეობრივი ნორმები.

აღნიშნულ ეპოქაში ხდება შიდა ქართლის მთიანეთში ქრისტიანული საეკლესიო ნაგებობების აღმართვა. ამ თვალსაზრისით საკმარისია აქ აგებული ეკლესიები გავიხსენოთ. აღნიშნულის დამადასტურებელია X-XI საუკუნეებში დვალეთში ქართული ქრისტიანული ძეგლების აგება. დვალეთში აგებული ეკლესიები, რა თქმა უნდა, იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ აქ ქრისტიანობა ღრმად იყო შესული. XI საუკუნეში აგებული ზროგოს ტაძარი გვიან, XII საუკუნეში მოუხატავთ. ვ. გამრეკელი ეყრდნობა რა ა. ვოლსკაიას გამოკვლევას, აღნიშნავს მოხატულობისა და შუა საუკუნეების ხელოვნების იკონოგრაფიული ნიშნების ქართულობას.¹⁸⁹ დასახელებულ ავტორს შეუძლებელია არ დაეთანხმო იმ დასკვნაშიც, რომ დვალეთის ქრისტიანიზაცია საქართველოს ბარიდან ხდებოდა, და მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ალანიის ქრისტიანობასთან. საკმარისია ამ შემთხვევაში იმის გახსენებაც, რომ ბიზანტიელების მიერ შექმნილი ალანიის ეპარქია დვალეთი-

¹⁸⁷ ქართლის ცხოვრება, ტომი I, გვ. 256.

¹⁸⁸ В. Н. Гамрекли. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961, с. 82.

¹⁸⁹ В. Н. Гамрекли. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961, с. 84.

დან საკმაოდ შორს – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, მდ. დიდი ზელენჩუკის ხეობაში – არსებობდა. დვალეთის არქიტექტურული ძეგლები კი პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს ტერიტორია და მისი მკვიდრნი პირდაპირ ჩართული იყვნენ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. „დვალეთში ცენტრალური ხელისუფლების კვალდაკვალ თავად ადგილობრივი მკვიდრნი აგებენ ეკლესიებს (ხუცაუ-ძუარი ანუ ღვთაების სამლოცველო, ძილეს-ძუარი ანუ ძღვევის ჯვარი) – ასეთივე მოვლენა შეინიშნება ხევის საკულტო ხუროთმოძღვრებაშიც – და მათ ქართული წარწერებით ამკობენ (XIII-XIV სს. მოსახსენებლები ძღვევის-ჯვარიდან); მხარის ეპიგრაფიკულ ძეგლებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიის შესასწავლად“.¹⁹⁰ უფრო მეტი, ქართული კულტურის ძეგლები იმავე პერიოდში დვალეთის ჩრდილოეთითაც იგებოდა. საამისოდ ალაგირის ხეობაში არსებული ნუზალის ეკლესია შეიძლება გავიხსენოთ. ნუზალში კი იმ დროისათვის, მონღოლებამდე ალან-ოსური მოსახლეობა არ ცხოვრობდა და ეს ტერიტორიაც დვალთა განსახლების არეალი იყო. სამართლიანად აღნიშნავს გიორგი ჭეიშვილი: „დვალეთში ზოგადქართული და ადგილობრივი ტრადიციების შერწყმის თვალსაჩინო მაგალითს ნუზალის ეკლესია წარმოადგენს. მისი არქიტექტურა ტიპოლოგიურად ჩრდილოკავკასიურ ორფერდასახურავიან აკლდამებს უკავშირდება, ხოლო კედლის მხატვრობა (ქტიტორთა პორტრეტები, რელიგიური სცენები)

¹⁹⁰ დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, აღ. დაუშვილი. ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე, თბ., 2016, გვ. 63; იხ. აგრეთვე: გ. ლამბაშიძე. ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში. – საბჭოთა ხელოვნება, 3, 1976, გვ. 73-75; ვ. გამრეკელი. ისტორიული მასალები დვალეთიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIV-B, 1963, გვ. 98-101.

რაჭა-სვანეთის მხატვრული სკოლის ტრადიციებს ეფუძნება“.¹⁹¹

დვალეთში ქრისტიანობა რომ ღრმად იყო შესული, ამას დვალური წარმომავლობის მოღვაწეებიც გვიდასტურებენ, რომლებიც საერთოქართულ ლიტერატურულ-საეკლესიო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ: მიქელ, იოანე, სოლომონ დვალე-ბი. აქვე შეიძლება XIV-XV საუკუნეების მიჯნის ლიტერატურული ძეგლი „ნიკოლოზ დვალის წამება“-ც გავიხსენოთ, რომელიც წარმოშობით დვალეთის სოფელ წეიდან იყო. დვალთა ქრისტიანობის შესახებ წარმოდგენას ისიც გვიქმნის, რომ ნიკოლოზს მშობლები ამზადებდნენ ეკლესიის მსახურად: „ესე სანატრელი ქრისტეს მონამე ნიკოლოზ იყო ნათესავით დვალის, სოფლისაგან, რომელსა ეწოდების წაჲ, შვილი მორწმუნეთა და მოსავთა წმიდისა ნათლისმცემელთაჲ, რომელსა საშოთგანვე დედისაჲთ შესწირეს და რაჲ ათორმეტისა წლისაჲ იქმნა, მონაზონ იქმნა და იყო უდაბნოთა კლარჯეთისათა“.¹⁹² იმასაც მიუთითებენ, რომ დვალეთის სოფელ წაისხევის რამდენიმე სოფელი ქართული სასულიერო პირებისაგან წარმომავლობდა.¹⁹³ ვ. გამრეკელს ის ფაქტიც სათანადოდ აქვს შენიშნული, რომ დვალეთის მეზობელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები – ხევი (აღმოსავლეთით) და სვანეთი (დასავლეთით) – საკმაოდ ქრისტიანიზებული იყო, რაც ასევე მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ. ქართული წყაროებით ისიც ცნობილია, რომ დვალეთი საქართველოს ეკლესიის ნიქოზის ეპარქიაში შედიოდა. მართლმადიდებელ ეკლესიას შუა

¹⁹¹ დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ალ. დაუშვილი. ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე, გვ. 63.

¹⁹² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1968, გვ. 348.

¹⁹³ В. Миллер. Осетинские этюды, II, УЗИМУ, отдел историко-филологический, вып. второй, М., 1882, с. 256.

საუკუნეებში აქ უშუალოდ თავისი წარმომადგენელი – ქორე-ბისკოპოზი ყავდა. საამისო დამადასტურებელი ფაქტი გარე-ჯის უდაბნოს მონასტრის 1424 წლის წარწერაშია, რომლის თანახმადაც აღნიშნულ დროს **დვალთა ქორეებისკოპოზი ყოფილა აღნია ლაფირისშვილი: „ქ. წმიდაო დავით, შემინყალე ფრიად სანყალობელი დვალთა ქორეებისკოპოზი ძალითა შენითა დღესა მასა განკითხვისასა, მე ლაფირიშვილმან აღნიამ“**.¹⁹⁴ ყველა ეს ფაქტი ერთად აღებული კი უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ დვალეები ორგანულად იყვნენ ჩართული საქართველოს როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში.

დვალთა ქრისტიანობა ხელს უწყობდა ერთიანი ქართველი ერის შემადგენლობაში მათ ჩართულობას და ინტეგრაციას. თუმცა ჩვენ მაინც შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დვალეთში ქრისტიანობა ისეთივე სრულყოფილი სახით შევიდა, როგორც ბარში. მთა ამის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა და დვალეებსაც ძველი ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენები, რა თქმა უნდა, შენარჩუნებული ჰქონდათ. ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ დვალეთში სოციალური დიფერენციაცია არ არსებობდა და გაბატონებული იყო თავისუფალი ტერიტორიული თემური (ტერიტორიული/სასაოფლო თემი) ურთიერთობები. უფრო რომ დავაზუსტოთ ამ სფეროში სახელმწიფო ნაკლებად ერეოდა და დვალეთის მკვიდრნი უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების ყმებად მიიჩნეოდნენ და არა რომელიმე ფეოდალისა, რომელთა უპირველესი მოვალეობა სახელმწიფოს ჩრდილოეთი საზღვრების დაცვა იყო. ამავე დროს, დვალეებს, ისევე როგორც საქართველოს ყველა მთიელს, საქართველოს ბარის რაიონები ესაჭიროებოდათ. სხვა

¹⁹⁴ გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I, ნაკვეთი პირველი. გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, I, თბ., 1999, გვ., 99-100.

შემთხვევაში მათ თავის რჩენის პრობლემა ექნებოდათ. ასეთი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები საქართველოს მთისა და ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის ადრევე ჩამოყალიბდა. დვალეთიც ამ ურთიერთობებში მჭიდროდ იყო ჩართული. კ. ხეთაგუროვი ხაზს უსვამდა, რომ XIX საუკუნის შუა ხანებამდე, ე. წ. ოსეთის სამხედრო გზის გაყვანამდე დვალეთი მთლიანად საქართველოს ბარის რაიონებზე იყო დამოკიდებული.¹⁹⁵ სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჩრდილოეთ კავკასიასთან დვალეებს ფაქტობრივად არ ჰქონდათ. აი, ამ ფაქტორების გამოც იყო, რომ დვალეთში ქრისტიანობა შედარებით უმტკივნეულოდ გავრცელდა. სამეფო კარის მიზანს, უპირველეს ყოვლისა, შეადგენდა დვალეთში ქრისტიანობის გავრცელება და არა მის სოციალურ სტრუქტურაში დისონანსის შეტანა, რადგან მთიელი დვალეები სახელმწიფო/სამეფო დინასტიის ყმები იყვნენ და ეს ყმობა მხოლოდ გარკვეულ სამხედრო ვალდებულებაში გამოიხატებოდა.

ვ. გამრეკელის მიხედვით, ქრისტიანობის გავრცელება დვალეთში ინვევდა ქართული ენის გავრცელებას მოსახლეობაში, რომელიც, მისი მონოგრაფიის მიხედვით, თავდაპირველად არა ქართული, არამედ ვაინახური იყო (შემდეგ მან ეს შეხედულება შეიცვალა და დვალეები ზანებად მიიჩნია). თუმცა ამ თვალსაზრისით ქრისტიანობის გავრცელებას მაინც გადამწყვეტ როლს არ ანიჭებს და დვალეების „ქართიზაციას“ ბარიდან მთაში მოსახლეობის მიგრაციულ ტალღებს უკავშირებს, რაც, თურმე დაკავშირებული იყო არაბების თავდასხმებით. ამავე დროს ეს ქართიზაცია პირველ რიგში მალრანდვალეებს შეეხო და შედარებით ნაკლებად ნარას ქვაბულში მცხოვრებ დვალეებსო. ვ. გამრეკელი დვალთა ძირითადი მასის ერთიან ქართველ ხალხთან შერწყმის დასასრულს საქარ-

¹⁹⁵ К. Хетагуров. Собр. соч., 3 т., М., 1951, с. 183, 194, 196.

თველოს ერთიანი სამეფოს შექმნის დროისათვის გულისხმობს.¹⁹⁶ რა შეიძლება ითქვას აღნიშნული მოსაზრების შესახებ? შეუძლებელია ავტორს დავეთანხმოთ, რომ ქართლიდან დვალეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადასახლება, თანაც რამდენიმე ტალღის სახით, მოხდა, რადგან არც ერთი წყარო არ გაგვაჩნია, რომელშიც ამ პროცესის შესახებ იქნებოდა საუბარი. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მოსახლეობის დიდი ჯგუფების ქართლიდან ცენტრალური კავკასიის მაღალმთიანეთში გადასახლება შეუძლებელი იყო. უბრალოდ მთური ლანდშაფტის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა მიგრანტების იმ რაოდენობის მიღება, რომელიც დვალეთში ეთნიკურ ვითარებას შეცვლიდა. საქართველოს სინამდვილეში მხოლოდ პირიქითი მიგრაციული პროცესებია დადასტურებული, რაც მთიელთა ბარის მიმართულებით მუდმივ მიგრაცია-გადაადგილებას გულისხმობს. ბარიდან დიდი ჯგუფების მთაში შესვლა მხოლოდ დროებითი ხასიათის იყო. ასე რომ, არაბობის დროს დვალეთის ქართიზაციაზე საუბარი, ქართლიდან მოსახლეობის დვალეთში გადასახლების გზით, შეუძლებელი იყო. კიდევ ერთი გარემოების შესახებ: ვ. გამრეკელი არაბობის დროს დვალთა სრულ ასიმილაციას მხოლოდ მაღრან-დვალეთში გულისხმობს და შედარებით ნაკლებად – დვალეთში. როგორც აღვნიშნეთ ამ პროცესის დვალეთში დასრულებას შედარებით გვიან ერთიანი საქართველოს ძლიერების ხანაში გულისხმობს. დავსძინთ, რომ არავითარი წყარო და დოკუმენტი არ გაგვაჩნია, რომ დიდი ლიახვის სათავეში მაღრან-დვალეთის ეთნოგრაფიული რეგიონის არსებობა VII საუკუნეში დავადასტუროთ. ჩვენი ვარაუდით, დვალეების დიდი ლიახვისა და თრუსოს ხეობაში საცხოვრებლად გადასვლა შედარებით გვიან, XI საუკუნეში მოხდა. დვალეების მიგრაცია ბარის მიმართულებით უფრო

¹⁹⁶ Н. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961, с. 96.

გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთიდან მონღოლთა შემოსევების დროს, მათ ოსები გაუმეზობლდნენ. ბარისაკენ დვალთა ინტენსიური ჯგუფური გადასახლების შედეგადაა წარმოქმნილი XIV-XV საუკუნეებში ტოპონიმები: **დვალეთი, დვალთა** (ქვემო ქართლში, ახლანდელი პატარა თონეთი), **ნადვალევი, დვალულა, დვალიშვილები, დვალიანთ-კარი...** ეს უკანასკნელი სოფელი, რომელიც მეფუდას ხეობის სათავეში მდებარეობს, XV საუკუნის პირველი ნახევრის „სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნში“ „**დვალიეთადაა**“ დაფიქსირებული.¹⁹⁷ დუშეთის მახლობლად იყო სოფელი **ადვალი**, რომლის თავდაპირველი სახელწოდება **ნადვალი** უნდა ყოფილიყო (ქართული ტოპონიმების დიდ ნაწილს, რომლებიც ხმოვნებით იწყება წინიდან თანხმოვანი აქვს დაკარგული). იოანე ბაგრატიონის მიხედვით თრიალეთში სოფელი არსებობდა, რომელსაც **ნადვალეთი** ერქვა. ამავე სახელწოდების სოფელი ბოლნისის ხეობაშიც იყო. **დვალთა** ჰქვია ფერდობს ჯეჯორის ხეობაში, სოფელ ირიდან კუდაროსაკენ მიმავალი გზის სიახლოვეს. რაჭის სოფელ ბაჯიხევში სათიბები **სადვალოს** სახელს ატარებს¹⁹⁸. ყველა ჩამოთვლილი ტოპონიმი დვალთა საქართველოს მთისწინეთსა და ბარში ჯგუფურ გადმოსახლებაზე მიუთითებს (ანალოგიური გზით იყო წარმოქმნილი ტოპონიმები: **ფხოველი, ფშაველი, მთიული...**). ამავე დროს წარმოიქმნა საქართველოს სხვადასხვა მხარეში აგრეთვე გვარები **დვალი, დვალიძე, დვალაძე, დვალიშვილი, დვალაშვილი** (ამ გვარისანი ოსურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოში ვალიშვილებად/ვალიეეებად იქცნენ), **დოლიშვილი...** დვალეთიდან ბევრმა გადმოსახლებულმა კი თან თავისი გვარები მოიტანა.

¹⁹⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1970, გვ. 202.

¹⁹⁸ პ. ცხადაია. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003, გვ. 111.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნავთ, რომ დვალეების ქართიზაცია წყაროებით არ დასტურდება და არც არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. უბრალოდ, როდესაც ვ. გამრეკელი დვალეების შესახებ თავის მონოგრაფიას ქმნიდა ქართული სამეცნიერო ელიტაში გაბატონებული იყო შეხედულება/თეზისი ქართლის მომიჯნავე და დაშორებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ქართიზაციის შესახებ. ვ. გამრეკელმა არაარგუმენტირებულ ქართიზაციის თეორიას უბრალოდ ხარკი მოუხადა. ვერ გაექცა იმ დაუსაბუთებელ შეხედულებასაც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ პერიმეტრზე თავდაპირველად ნახურ-დაღესტნური ტომები ცხოვრობდნენ. საბედნიეროდ, მან შემდეგდროინდელი გამოკვლევებით უარყო დვალეების ვაინახური წარმომავლობა და ისინი დასავლურქართულ/ზანურ ეთნოგრაფიულ ჯგუფად მიიჩნია.

დაბოლოს, გვიანდელი დვალეთის რელიგიური ვითარების შესახებ ისევ და ისევ ვახუშტი ბაგრატიონს მოეპოვება მონაცემები. „**სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზისანი, და უფროს დვალნი.** არამედ აწინდელისა ჟამთა დვალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხვასა, ხატთა, ეკლესიათა, და სამღვდელთა პატივისა და თაყვანსცემენ, და სხვისა სრულიად უმეცარნი. **არა უვისთ მღუდელი, და უნათლისღებონი არიან, თვნიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან**“.¹⁹⁹ მოყვანილი ციტატიდან აშკარაა, რომ ვახუშტის დროინდელ ოსებს შორის „უფროს დვალნი“ იყვნენ ქრისტიანენი, რომლებსაც, კრიტიკანობიდან უკანდახვევის მიუხედავად, მთელი რიგი რიტუალები და ქრისტიანული წესები კვლავ ჰქონდათ შენარჩუნებული, რაც უფრო საგულისხმოა, იმდენად დიდი

¹⁹⁹ ვ. ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997, 111.

იყო დვალთა შორის ქრისტიანობის ტრადიცია, რომ მათი ნა-
ნილი, უდავოდ გაოსებული დვალეები, და არა ოსეთის მთის
ხეობებიდან შემოსულნი, მოსანათლად ქართლსა და რაჭაში
გადადიოდნენ. ამჟამად, რომ გვიან შუა საუკუნეებში
დვალეთში ისეთივე სარწმუნოებრივი ვითარება არსებობდა,
როგორც მეზობელ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ
მხარეებში, მაგალითად, მთიულეთში. ამ ვითარებას ისიც
უწყობდა ხელს, რომ საეკლესიო ცენტრი ველარ ახერხებდა
დვალეთში მღვდელმსახურების გაგზავნას. ტრადიციის
ერთგულნი კი, როგორც აღვნიშნეთ, მოსანათლად ქართლსა
და რაჭაში გადადიოდა. XV საუკუნის შუა ხანების საეკლესიო
საბუთით, დვალეთი, თრუსოსთან ერთად, სამთავნელის
სამწყსოში შედიოდა და ეკლესიის სასარგებლოდ აქაურ
მთიელებს მხოლოდ უმნიშვნელო გადასახადი ჰქონდათ
დაკისრებული: „დვალეთს: პური ა, სამარხო კაბინი ა, საბელი
ა“²⁰⁰.

დვალეთში თავის დროზე ქრისტიანობის გავრცელების
დამადასტურებელია დვალთა ზოგიერთი გვარსახელი, რო-
მელთა ფუძეებსაც ქრისტიანული სახელები წარმოადგენდა,
რომელთა შორის *ფარუხაულის*, *იოსებურის* და *გერგაულის*
(„გერგა“ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სახელი
იყო, გიორგის კნინობითი ფორმა) დასახელებაც საკმარისია.

დვალეთში ქრისტიანობა მხოლოდ ზედაპირულად არ
გავრცელებულა, როგორც მაგალითად მთის ზოგიერთ სხვა
ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, რასაც აქ შემორჩენილი
საეკლესიო არქიტექტურაც ადასტურებს და ის გარემოებაც,
რომ დვალეთიდან იყო გამოსული ქართული ეკლესიის რამ-
დენიმე მოღვაწე. თუმცა, ისევე როგორც აღმოსავლეთ სა-
ქართველოს მთიანეთის სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ

²⁰⁰ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლე-
ბი (XIII-XIX სს), წიგნი II, თბ., 1974, გვ. 10.

მხარეებში, აქაც ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენე-
ბიც იყო შენარჩუნებული. აქვე, ისევე როგორც ხევსურეთში,
ფშავში, თუშეთში, მთიულეთსა და ხევში, ფრიად პოპულა-
რული იყო ისეთი დღესასწაული, როგორიცაა *ათენგენობა*.

IV. ლუნდის სახარების XIV-XV საუკუნეების მიჯნის მინანერი — დვალთა ქართველობის დამადასტურებელი წყარო

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ქართული საისტორიო წყაროებითა და საბუთებით დვალეთი საქართველოს ისეთივე მთიანი პროვინცია იყო, როგორც ფხოვი, თუშეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი... ამასთანავე, დვალეები აქტიურად იყვნენ ჩართული საერთო ქართულ კულტურულ და საეკლესიო ცხოვრებაში. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ დვალეთიდან გამოდევნილი ადგილობრივი ქართულ-ქართველური ეთნიკური ერთობის ადგილი ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსახლებულმა ირანულენოვანმა ოსებმა დაიკავეს. დვალთა მამა-პაპათა საცხოვრისიდან გამოდევნა ძირითადად XVI საუკუნეში მოხდა. ოსთა მძლავრობის, თავდასხმების, მეკობრეობის შედეგად საქართველოს მთიანეთის აღნიშნული მხარე მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად დაიცალა. ადგილზე დარჩენილი დვალთა გარკვეული ნაწილი, ოსთა აქ მიგრაცია-დასახლების შედეგად, დროთა განმავლობაში ასიმილირებულ იქნა მოსული ეთნიკური ერთობის მიერ. დვალეთში ოსთა დასახლკარებაც ძირითადად XVI საუკუნეში განხორციელდა.²⁰¹ თუმცა ჩრდილოეთ კავკასიის ოსური ხეობებიდან ოსთა მიგრაცია დვალეთში XVII-XVIII საუკუნეებშიც მიმდინარეობდა. ახლად მოსული ოსები დვალეთიდან შიდა ქართლის მთაში გადანაცვლებული ოსებისა და გაოსებული დვალეების ადგილს იკავებდნენ. მაგრამ როგორც ირკვევა, აღნიშნულ საუკუნეებში ბევრ დვალს ეთნიკური თავისთავადობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა, რადგან, მთის პირობებში კულტუ-

²⁰¹ რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 147-152.

რულ-ეთნიკური ასიმილაცია, ბარისაგან განსხვავებით, ერთობ გაძნელებულია. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოსურმა ეთნოსმა ადგილობრივთა სახელწოდება – დვალი (ოსურად „თუალი“) საკუთარ სახელწოდებად აქცია.

წინამდებარე მონაკვეთში ყურადღება გამახვილებულია ერთ მნიშვნელოვან წყაროზე, რომლითაც აშკარაა, რომ დვალეთი ეთნიკურად და კულტურულ-ისტორიულად ქართული „ქვეყანა“/ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე/თემი იყო. აქ ქართულ ენას და ქართულ წიგნს დიდი ასპარეზი ჰქონდა. მხედველობაში გვაქვს 1920 წლისათვის ონის საჯანის კარის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცული XIV-XV საუკუნეების ნუსხახუცურით შესრულებული სახარების იმავე და მომდევნო პერიოდის მინაწერები. ე. თაყაიშვილი აღნიშნული სახარების შესახებ წერდა: „დანერილია ეტრატზე ორ სვეტად, XIV-XV საუკუნეთა ნუსხახუცურით. სათაური და მეთაური ასოები სინგურითაა დანერილი. ყდა ტყავადაკრული ხისაა, გატეხილი. ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს სარჩევი. ერთ ადგილას სარჩევში წითლურით სწერია: „ლცვა: ყვთ: გლხკისა: გისტს: რწ ვთარგმნე სხრბჲ“. ამრიგად, სახარება გიორგი მთანმინდელის რედაქციისა არის“.²⁰² ოთხთავზე რამდენიმე მინაწერია, რომელთაგან ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით ერთი იქცევს. სანამ აღნიშნულ წარწერას მოვიყვან, საჭიროდ ვცანით მკითხველს ორი სხვა მინაწერი გავაცნოთ. ლუკას სახარების ბოლოს გადაწერს მიუწერია: „ყთა ღთა მდღითა შეუიდვნეს ღწ ნიკლზს ამისსა მწერალსა: ვინცა თქას მსცა შწდგწს ღწ: ღწ იცის ამისებრი ოთხთვი ქართლს არა ძეს. და უმრთლესი: ამისა სიკეთისთს ესეთნი მოვიჭირვე რლ ორსა წელსა ვწერე: და ვამონმე:

²⁰² ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 106.

ქართულთა ოთხთვეთა სიკეთისთჳს“. ²⁰³ მათეს სახარების ბოლოს ხუცურითვე შემდეგი მინაწერი ყოფილა: „ესე ოთხთავი სახარებჳ ნედის ციხე რომ აილო ერისთჳნმ, მაშინ ნულუკიძემ წაილო: მე ლელა ჯიბრიაშვილის ქაჳმნ დავიხსენა“. ²⁰⁴ ეს, სხვათა შორის, აღნიშნული სახარების მნიშვნელობისათვის. რაც მთავარია მარკოზის სახარების ბოლოს ხუცურითვე შემდეგი მინაწერია: „ქ. ლუდისა ღთის მშ-ბლისა ხატნი და წიგნები ნაჳდა თათრობასა ბერციხეს და ესე, ოთხთავი **ხორაულსა** ეპოვნა: სლჳსა **ხორაულისა ივანაჳსა** და მისთა დედა მმთასა შჳნდნეს ღჳნ აჳნ: – **ფარუხაულსა დედისა მისისათჳს დვალეთს გაეგზავნა გასასყიდლად და ღვჭისშვილსა წაერთუა.** სლჳსა **ღვჭისშვილისა კვრიკაჳსსა** და მისთა დედა მმთასა შჳნდნეს ღჳნ აჳნ: ვინცა გამოაჳუას დედისა ღჳთისა ეკლესიასა რისხვამცა მჳმა ძე და სლჳინჳ: და ყდწიღჳთის მშჳბელი: და მამცა ოთხთავისა მადლი და დაისჯეების სლჳლი მისი: ვინცა ამსახუროს კხლმცა არის“. ²⁰⁵

ამრიგად, ჩვენ წინაშეა მნიშვნელოვანი საისტორიო წყარო, რომლითაც დასტურდება, რომ **დვალეთი ქართული ქვეყანა იყო ქართული საღვთისმეტყველო ენით, სადაც მოთხოვნილება იყო ქართულ სახარებაზე, სადაც ქართულ სახარებას მყიდველი ყავდა.** მანამ, სანამ ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მინაწერში მოხსენიებული **ლუდა** ეს არაა მთიულეთის ლუდა. ამ შემთხვევაში საუბარია რაჭის სოფელ ლუდაზე, რომელიც შემდეგ და ახლაც **ღუნდად** მოიხსენიება. ვახუშტი ბაგრატიონს თავის ატლასში **ღუნდა** ჯეჯორის ხეობაში, პიპილეთის სამხრეთით აქვს დატანილი. ²⁰⁶ 1886 წელს ლუდა (ღუნდა) შედიოდა ბაჯისხევის სასოფლო საზოგადოებაში (ამავე საზოგადოებაში შედიოდა

²⁰³ იქვე, გვ. 106.

²⁰⁴ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., გვ. 107.

²⁰⁵ იქვე, გვ. 107-108.

²⁰⁶ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი. თბ., 1997, გვ. 19.

სოფლები: ბაჯისხევი, ფსორი, ცხმორი, ჩორდი), სადაც 23 კომლი (242 სული) მკვიდრობდა. 1873 წლის მონაცემებით, ლუდაში (ლუნდაში) მხოლოდ ორი გვარის ხალხი ცხოვრობდა: გოცირიძეები (10 კომლი) და საბანაძეები (11 კომლი).²⁰⁷ 1843 წლის აღსარების მთქმელთა დავთრით, გოცირიძეები და საბანაძეები ცხმორის მთავარანგელოზის ეკლესიის მრევლს შორის არიან მოხსენიებულნი. აღნიშნული სახარება რაჭის სოფელ ლუდის (ლუნდის) ღვთისმშობლის ეკლესიას ეკუთვნოდა. მინაწერიდან ირკვევა, რომ ოთხთავი საგარეო ვითარების გამო (თათრობა) სხვა წიგნებსა და ხატებთან ერთად ინახებოდა ბერციხეში. მაგრამ ისინი ბერციხეში შენახვამაც ვერ დაიცვა. აქ ნახდენილა და დაფანტულა თათრობის დროს. გასარკვევია რომელ ბერციხეზეა საუბარი, სად იყო ბერციხე? აგრეთვე: თათრობაში მაჰმადიანთა რომელი შემოსევა იგულისხმება, თანაც დასავლეთ საქართველოში, რაჭაში? დღევანდელი მონაცემებით, რაჭაში ბერციხე ვერსად დავადასტურეთ. საფიქრებელი იყო ბერციხის ფრონეების ხეობის სათავეში არსებობა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ სახარებას პოულობს ხორაულის გვარის კაცი. ხორაულები (იგივე ხარაულები) კი ფრონეების ხეობის სათავეში, სოფელ ბეყმარში მკვიდრობდნენ. ფრონეების ხეობასა და ჯეჯორის ხეობას ერთმანეთისაგან მხოლოდ ყვირილას ვიწრო ხეობა ყოფს. საერთოდ, ისტორიოგრაფიაში ორი ბერციხეა ცნობილი: ერთი ქსნის ხეობის სათავეში – ჟამურში და მეორე – იმერეთში, ქვევრულას ხეობაში. ვახუშტი წერდა: „ამ ძევრულას, ამ ქუაბს ზეით, ერთვის ჴევი ქუევრულა. სდის ოკრიბა-მუხურას შუას მთას და მოდის სამჭრეთად. ამ ჴევზედ არს ბერ-ციხე, კლდისა ზედა შენი, მაგარი. ამ ჴევს ზეით, ძევრულსავე ეყრების ტყირბულის ჴევი“.²⁰⁸

²⁰⁷ ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, ანაწერი I, საქმე 809.

²⁰⁸ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 755.

ქსნის ხეობის სათავის ჟამურის ბერციხე ხალხურ ლექსშიცაა მოხსენიებული. ერთ მთიულურ ლექს-გადმოცემაში, რომელსაც „ხორეშნული“ ეწოდება, ვკითხულობთ:

„ხორაშანს ლაშქრად ვიყვენით ჩვენ ლომნი ლომისისანი;
იქ შემოგვესმა ჟღერანი ჟამურს ბერციხის კლდისანი?“²⁰⁹

რაჭასა და ფრონვების ხეობაში თუ არ იყო ბერციხე, მაშინ მინანერში მოხსენიებული ბერციხე ქვევრულას ხეობის ბერციხე უნდა იყოს, რადგან ის რაჭაში გადასასვლელ გზებსაც აკონტროლებდა. რაც შეეხება თათრობას, ვფიქრობთ, მასში თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები იგულისხმება. ცნობილია, რომ მერვე შემოსევისას, 1403 წელს ის დასავლეთ საქართველოშიც გადავიდა და ყველაფერი მიწასთან გაასწორა, 700 დაბა, ყანა და მონასტერი დაარბია და გაძარცვა.²¹⁰

ხორაულის (ხარაულის) შემდეგ ოთხთავი ხელში უვარდება ფარუხაულის გვარის კაცს, რომელიც სახარებას გასაყიდად დვალეთში დედამისს უგზავნის. მაგრამ დვალეთში გაგზავნილი ოთხთავი ადრესატამდე ვერ აღწევს და, როგორც ჩანს, გზაში **კვირიკა ღვიჭიშვილი** (რაჭაში ან შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები) ხელთ იგდება, სახარებას წამლებს წაართმევს და პატრონს უბრუნებს. ჩვენთვის ყველაზე მთავარი, რა თქმა უნდა, არის ოთხთავის დვალეთში გასაყიდად გაგზავნის ფაქტი. აშკარაა, რომ დვალეთში ქართულ სახარებაზე დიდი მოთხოვნილება იყო, სადაც XV საუკუნეში ნირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა; დვალეები ქართულად კითხულობდნენ სახარებას, ღვთისმეტყველება დვალეთში ქართულ ენაზე ხორციელდებოდა. ეს ფაქტი იმაზეც მი-

²⁰⁹ ა. შანიძე. თხზ. 12 ტომად, ტ. I, თბ., გვ. 174.

²¹⁰ კ. ტაბატაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 708-711.

უთითებს, რომ XV საუკუნეში დვალეთში ჯერ კიდევ არ იყო შემოსახლებული ოსური მოსახლეობა, არც მათი თავდასხმები იყო დაწყებული, რადგან ომიანობის პირობებში სახარების შესაძენად ვერავინ მოიცლიდა. ასე რომ, XV საუკუნეში დვალეთი ეთნიკურ-ენობრივად და კულტურულ-ისტორიულად ქართული „ქვეყანაა“/ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა/თემია, სადაც ღრმადაა შესული ქრისტიანობა. სავარაუდოა, რომ ოთხთავის მყიდველი დვალეთში ადგილობრივი აზნაურობა და სასულიერო წრის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ.

მინანერი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში მოხსენიებული ანთროპონიმი – **ფარუხაული ქართული გვარსახელია. ფარუხაულები დვალეები იყვნენ.** ფარუხაულთა ოჯახის ერთ-ერთი წევრი დვალეთიდან საცხოვრებლად მუდმივად ან დროებით აქეთაა გადმოსული (რაჭაში ან შიდა ქართლის ფრონების ხეობაში). გვარსახელი ნაწარმოებია აღმოსავლეთ საქართველოს მთის გვარებისათვის დამახასიათებელი -ურ (-ულ) სუფიქსით. ამ სუფიქსით ნაწარმოები გვარები დვალეთში სხვებიც არსებობდა. დვალეები იყვნენ წარმოშობით *ხადურები* (ეთნოგრაფიული მასალებით, ხადურები მალრან-დვალეთის სოფელ *ედისიდან* წარმომავლობენ, რომლებსაც სოფელი მიუტოვებიათ და პატარა ლიახვის ხეობაში გადმოსახლებულან და სოფელი *ხადურიანთ-კარი* შეუქმნიათ. პირველი მიგრანტი ოსები – ბეგიზოვები და მამიევეები, იგივე მამიაურები – დიდი ლიახვის ხეობაში დვალეთიდან სწორედ ედისში დამკვიდრებულან. ამ უკანასკნელთ აქ მოსვლისას ედისი უკვე ნასოფლარი იყო თავისი დიდი ნაგებობების ნანგრევებით),²¹¹ *ჩიფჩიურები*, *ბიგულები*, *თვაურები* (ადრინდელი – *თავაურები*), *ჩოჩოურები* (იგივე *ჩოჩიშვილები*), *ბელელურები*, *გუდიაურები*, *ბაგაურები*, *გერგაულები*, *თაბაურები*, *იოსებურები*, *კელეურები*, *კა-*

²¹¹ ბ. გამყრელიძე. ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში. – ოსთა საკითხი, თბ.-გორი, 1966, გვ. 182-184.

ბუშურები, ბრუტაულები (XVIII საუკუნეში ხევის სოფელ სიონში ოდიაურის, იგივე ოდიშვილებს გვარში დადასტურებულია მამაკაცის სახელი „ბრუტაული“, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ოდიაურების ადრინდელი გვარი იყო ბრუტაული და, რაც, აგრეთვე, მათ დვალურ წარმომავლობას მიანიშნებს), ფაკაურები, ფიდიურები, ხერხაულები (შემდეგდროინდელი ხერხეულიძეები), ქესაურები; აგრეთვე: ბიგანები (ბიგანიშვილები), ხაბარელები, ხეთერელები, ხაჩიძეები (ადრინდელი ხაჩიურები). ყაბარდოდან მიგრირებული ხეთაგის შთამომავალნიც -ურ სუფიქსით იფორმებენ გვარს (ხეთაგური), რადგან სხვანაირად წარმოუდგენელი იყო. ქართულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გვარსახელი მხოლოდ ქართული სუფიქსით ფორმდება. რაც შეეხება აღნიშნული გვარსახელის (ფარუხა-ულ-ი) ფუძეს, ეს არის იგივე ძველი ებრაული სახელი **ბარუქ** (ბარუხ), რაც კურთხეულს ნიშნავს და რომელიც ქართულ-ქრისტიანულ სამყაროში ერთობ გავრცელებული იყო.²¹² ფარუხი ბარუქის (ბარუხის) ფონეტიკური ვარიანტია. ქართულში არაერთი შემთხვევაა დადასტურებული **ბ-ს ფ-**ში გადასვლისა და პირიქით. აღნიშნული სახელი სვანურში ბარუყის ფორმით გვხვდება. ფარუხ (ფარუხია) სამეგრელოში გავრცელებული მამაკაცის სახელი იყო (ესეც ერთი ნიშანდობლივი მაგალითია დვალეთის ზანურ სამყაროსთან სიახლოვისა). მაგალითად, 1611 წლის ილორის წა გწ ხატის წარწერა გვამცნობს: „ზუგდიდის ნადირობასა ცხენის რბევსა შიგან შეიძგერენ ბატონი (მანუჩარ) და **გოშაძე ფარუხია** და ცხენი ნააქცია, ამიერ სოფლით მიიცივალა“.²¹³ სხვათა შორის, ქართლსა და კახეთში XVII-XVIII საუკუნეებში ფარუხაშვილების გვარიც მკვიდრობდა.²¹⁴ უდავოდ, ისინი დვალი ფარუხაულების შთა-

²¹² საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1972, გვ. 103.

²¹³ თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი მეორე, ტფ., 1897, გვ., 439.

²¹⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VI, თბ., 1977, გვ. 593, 624.

მომავალნი იყვნენ. დღეს ფარუხაულებიცა და ფარუხაშვილებიც ცოცხალ გვართა შორის აღარ არიან.

ამრიგად, XV საუკუნეში დვალეთი ჯერ კიდევ ქართული ქვეყანაა. ამ დროს ოსური ეთნოსი აქ ჯერ შემოსახლებული არაა და, ბუნებრივია, არც მხარის დეეთნიზაციაა დაწყებული. გავიმეორებთ ადრე თქმულ დასკვნას, რომ დვალეთში ოსები ძირითადად XVI საუკუნეში ესახლებიან. XVII საუკუნეში დვალეთი თითქმის უკვე ოსური ეთნოსითაა დასახლებული, თუმცა ამ დროს აქ ქართველ მთიელთა – დვალთა – კუნძულოვანი დასახლებანი, ჯერ კიდევ არის. 1601 წლის ერთ საბუთში „დუვალეთი“ უკვე ოსეთთან არის გაიგივებული. მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნის ჩათვლით, ქართული წყაროები და საბუთები მკვეთრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან დვალეთსა და ოსეთს. ისიც ნიშანდობლივია, რომ დვალეთში შემოსახლებული ოსები, რომელთა შორის გაოსებული დვალელებიც იყვნენ, ქართველთათვის კვლავ დვალეებს წარმოადგენდნენ.

V. დვალეთის მატერიალური კულტურის ძეგლები

დვალეები, ისევე როგორც სხვა ქართველი მთიელები, საუკუნეების მანძილზე აქტიურად იყვნენ ჩართული საერთო ქართული კულტურის შექმნაში. ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ მატერიალური კულტურის, სულიერ კულტურასთან დაკავშირებულ, ერთ ძეგლს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში იყო გავრცელებული. ესაა მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობა, აკლდამა. აქვე, გარდა მიწისზედა აკლდამებისა, გვხვდება ნახევრადმიწისზედა და მიწისქვეშა აკლდამებიც. მიწისზედა აკლდამები გავრცელებული იყო ჩაჩნეთში, ინგუშეთში, ოსეთში, ბალყარეთსა და ყარაჩაიში. ასე რომ, მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობანი ეკუთვნის სამი სხვადასხვა ეთნოლინგვისტური ერთობის წარმომდგენლებს: ადგილობრივ კავკასიელ ინგუშებსა და ჩაჩნებს, ირანულენოვან ოსებს და თურქულენოვან ყარაჩაელებსა და ბალყარელებს. მატერიალური კულტურის ეს ძეგლები, რა თქმა უნდა, თავის დროზე ერთ-ერთი ამ ეთნოლინგვისტური ერთობის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგ სხვა ხალხებშიც გავრცელდა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწისზედა აკლდამების გავრცელების არე მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთით შემოსაზღვრება. ბარსა და მთისწინეთში ასეთი აკლდამები დადასტურებული არაა. არც შეიძლებაოდა ბარელებისათვის ყოფილიყო ის დამახასიათებელი, რადგან მთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში აკლდამაში შეტანილი მიცვალებული მუმიფიცირებას განიცდიდა. ბარში მუმიფიცირება გამორიცხული იყო. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ მეცნიერები სამი ტიპის მიწისზედა და-

საკრძალავ ნაგებობებს გამოყოფენ: ა) მოგრძო შენობები ორფერდა გადახურვით; ბ) ოთხკუთხა ნაგებობანი პირამიდული სახურავით და გ) მრგვალი შენობა ძაბრისებური გადახურვით. პირველი ორი ტიპის მიწისზედა აკლამები ფიქალით იყო გადახურული. ამასთანავე, მოგრძო ორფერდა აკლდამები თავისი კონსტრუქციით წააგავს ადრეფეოდალური პერიოდის ქრისტიანულ სალოცავებს, ოთხფერდა ფიქალით გადახურული აკლდამები კი ჩაჩნეთ-ინგუშეთში გავრცელებულ საბრძოლო გადაკვეთილ კოშკებს. ყველა ასეთ აკლდამას აქვს ორი ან სამი საძრომი, რომლის საშუალებითაც შიგ მიცვალებული შეჭქონდათ. თითოეული აკლდამის შიგნით მოწყობილი იყო ხის ან ქვის ტახტები, რომლებზედაც მიცვალებულებს ასვენებდნენ.²¹⁵

მიწისზედა აკლდამები ჩრდილოეთ კავკასიაში ძირითადად საგვარეულო იყო. ჩაჩნებსა და ინგუშებში აკლდამის უქონლობა უთვისტომობის (უგვარობის) ნიშანი იყო. როდესაც აქ ქალიშვილს ათხოვებდნენ, ანდა ვაჟს აქორწინებდნენ, მშობლები პირველ რიგში არკვევდნენ ჰქონდა თუ არა საპატარძლოს ან სასიძოს საგვარეულო აკლდამა. თუ ასეთი არ აღმოჩნდებოდათ, ქორწინებაც არ შედგებოდა. ინგუშეთში ასეთი თქმაც ყოფილა: „ადამიანს სიცოცხლეში სჭირდება კოშკი, სიკვდილის შემდეგ კი აკლდამა“. ამასთანავე, ვაინახებში მიწისზედა აკლდამას ადგილობრივი ტერმინიც – „კაშ“ ჰქონდა, რაც „მზის სამარედ“ ითარგმნება.

ჩვენ აღარ შევუდგებით მეცნიერებაში არსებული შეხედულებების ჩამოთვლას მიწისზედა აკლდამების წარმოშობის

²¹⁵ Кокиев Г.А. Склеповые сооружения горной Осетии (историко-этнографический очерк), Владикавказ, 1928; Мизиев И.М. Средневековые башни и склепы Балкарии и Карачая (XIII-XVIII вв.), Нальчик, 1970; Марковин В.И. О возникновении склеповых построек на Северном Кавказе. – Вопросы древней и средневековой археологии Восточной Европы. М., 1978.

მიზეზების შესახებ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ აკლდამებში დაკრძალვის წესი ენინაალმდეგება ქრისტიანულ ნორმებს და თავისთავად ცხადია ქრისტიანული ეკლესია მას ებრძოდა კიდეც. მეცნიერთა ერთი ნაწილი აკლდამებს ადგილობრივი კავკასიური წარმოშობისად მიიჩნევს, მეორენი მათ წარმოქმნას ირანულენოვან ოსებს უკავშირებენ, რაც, ამთავითვე უნდა აღვნიშნო, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც უსვამს ხაზს, რომ მიწისზედა და ნახევრადმიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობანი კავკასიაში წარმოიქმნა ქრისტიანული ტაძრებისა და საცხოვრებელი კოშკების მშენებლობის ეპოქამდე. კავკასიაში აკლდამების მშენებლობას ალანამდელ პერიოდს უკავშირებენ ვ. მარკოვინი და ე. ალექსეევა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მონგოლებამდელი პერიოდის აკლდამებს აქვთ მსგავსი კონსტრუქციები და ტიპოლოგიურად არიან მსგავსნი, რაც იმას ადასტურებს, რომ მატერიალური კულტურის აღნიშნული ძეგლის გავრცელების ტერიტორიაზე თავდაპირველად ერთი ეთნიკური ერთობის ან მონათესავე ეთნოსების წარმომადგენლები მკვიდრობდნენ.

რუსი ავტორი ლ. ნეჩაევა დაკრძალვის აღნიშნულ წესს და დასაკრძალავ ნაგებობებს ალანებს უკავშირებს. მას კავკასიური კატაკომბური სამარხები და მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობანი ალანთა ეთნიკურობის ერთ-ერთ მიმანიშნებლად მიაჩნია. მისი აზრით, მონგოლებამდელი პერიოდის კატაკომბური და აკლდამური დაკრძალვა ალანთა განსახლების ტერიტორიებს ემთხვევა და თურმე ადასტურებს ალანური მრავალრიცხოვანი მოსახლეობის არსებობას და საკუთრივ ალანების ეთნიკურ ერთგვაროვნებას, რომლებიც მკვიდრობდნენ ალანეთში მონღოლებამდელ პერიოდში.²¹⁶ ამავე ავტორის მოსაზრებით ბალყარეთის ტერიტორიაზე VIII-IX საუ-

²¹⁶ Нечаева Л.Г. Осетинские погребальные склепы и этногенез осетин. – Этническая история народов Азии, М., 1972, с. 288.

კუნეების შემდეგ და XII-XIII საუკუნეებში ყარაჩაიში აკლდამების ტრადიციის შეწყვეტა მომთაბარეთა მიერ (ბულგარები, ყივჩაღები, მონგოლები) ალანების გამოდევნის შედეგს წარმოადგენს. ამრიგად, დასახლებული ავტორი ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებულ აკლდამებს ოსური ეთნოსის კუთვნილებად აცხადებს, რომლებიც თურმე ფართოდ იყვნენ განსახლებულნი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში.

ლ. ნეჩაევას აღნიშნული შეხედულება სრული ნონსენსია. ცნობილია, რომ ოსთა წინაპრებმა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დასახლებამდე მიგრაციის რთული და ხანგრძლივი გზა გაიარეს. შუა აზიიდან მიგრირებულნი ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ ჯერ აზოვის ზღვასა და ვოლგას შორის გადაჭიმულ ვრცელ ტერიტორიაზე, მხოლოდ ახალი ნელ-თაღრიცხვის IV საუკუნის 70-იან წლებში ჩამოინიეს მათ ჩრდილოეთ კავკასიის ბარსა და მთისწინა ადგილებში: «...немногочисленность комплексов V в. говорит за то, что гунны не столько отогнали в горы алан, сколько увлекли их за собой в своем движении на запад, а в горы ушло местное кавказское население».²¹⁷ ოსები მთებში მხოლოდ მონღოლთა შემოსევების შემდეგ შევიდნენ.²¹⁸ უფრო ადრე, ახ. წ. VI საუკუნეში დღევანდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე (აგრეთვე დიდორიაში) განსახლდნენ, მას შემდეგ, რაც დაიპყრეს ადგილობრივ კავკასიელთა მიწა-წყალი.

ისმის კითხვა, როგორ ეკუთვნოდათ მატერიალური კულტურის ზემოთ დასახლებული ძეგლები (კატაკომბაც და აკლდამაც) ალან-ოსებს? ისინი ხომ „სტეპნიაკები“ იყვნენ და ახ.წ. V საუკუნემდე ბინადარ ცხოვრებას არც ეწეოდნენ? კატაკომბაც და აკლდამაც ადგილობრივი კავკასიური ეთნიკური ერთობის კუთვნილებაა. მიწისზედა და ნახევრადმიწისზე-

²¹⁷ Археология СССР: Степи Евразии в эпоху средневековья, М., 1981, с 83.

²¹⁸ თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.

და დასაკრძალავი ნაგებობების მშენებლობა ჩაჩნებსა და ინგუშებს მოსულმა ირანულენოვანმა ოსებმა ასწავლეს? აკლდამები ხომ მთისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ძეგლები იყო.

ლ. ნეჩაევას ზემოთ აღწერილი მოსაზრებანი სამართლიანად არ გაიზიარა ვ. მარკოვინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკლდამური ნაგებობანი არა მარტო ნაკარნახევი იყო იდეებით, არამედ მთიელთა სამშენებლო ოსტატობით. იგივე ავტორი ხაზს უსვამს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კატაკომბებისა და აკლდამების ურთიერთდაკავშირება; არ შეიძლება აკლდამა კატაკომბის განვითარების შედეგს წარმოადგენდეს, რადგან კატაკომბებს გრუნტში გამოთხრიდნენ.²¹⁹ «Аланские катакомбы очевидно, не имеют отношения к происхождению склепов. Склеповые постройки возникли на Северном Кавказе задолго до появления алан, а к моменту их расселения уже прошли длительный путь развития – от примитивных сооружений до гробниц, снабженных лазом и полками». სხვა ავტორი ხაზს უსვამს: «Можно только сказать, что рассматривать предкавказские катакомбные могильники ираноязычных сармат-алан у нас нет оснований».²²⁰

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ოსური გადმოცემები მიწისზედა აკლდამების მშენებლობას მიანერს სხვა ხალხს, რომელიც მათ მოსვლამდე აქ მკვიდრობდა.²²¹ მართალია, ოსები აკლდამებს (მიწისქვეშა და ნახევრადმიწისზედა) თვითონაც აშენებდნენ, მაგრამ გადმოცემებით ისიც ცნობილია, რომ ძველად მათი მშენებლობით ინგუშები

²¹⁹ Марковин В.И. О возникновении склеповых построек на Северном Кавказе. – Вопросы древней и средневековой археологии Восточной Европы. М., 1978, с. 123-124.

²²⁰ Абрамова Т. П. Подкумский могильник, м., 1987, с. 177.

²²¹ Кокиев Г.А. Склеповые сооружения горной Осетии (историко-этнографический очерк), Владикавказ, 1928, с. 10, 34.

იყვნენ განთქმული, როგორც შესანიშნავი ხელოსნები და ინვევდნენ კიდევაც ამ უკანასკნელთ როგორც აკლდამების, ისე საბრძოლო კომპიების მშენებლებად.²²² ოსური გადმოცემებით, მთიანი ოსეთის ყველა ხეობაში ოსების მოსვლამდე მათთვის უცხო ხალხი ცხოვრობდა, რომელიც ძირითადად ეპიდემიის შედეგად ამოწყდა. დიგორის სოფელ გალიათში ადგილობრივთა ამონყვეტის შემდეგ ჯერ დვალეები დასახლებულან, რომლებსაც იგივე ბედი გაუზიარებიათ და მას შემდეგ დასახლებულან იქ ოსები.²²³ აქ საინტერესო ისიცაა, რომ ოსური გადმოცემები დვალეებს ოსებად არ მიიჩნევენ, დვალსა და ოსს უპირისპირებდნენ ერთმანეთს. ქურთათის ხეობის მიწისზედა აკლდამების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ «Эти два типа надземных склепов, как видели выше, встречаются по всей нагорной Осетии, но, несмотря на это, на них нигде не претендуют осетины, и они являются забытыми». სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც აღნიშნავენ, რომ «Многообразные памятники горного Кавказа – каменные ящики, склепы, грунтовые ямы, скальные захоронения – отнесены в «горно-кавказский вариант» той же аланской культуры, хотя они ничего общего с культурой алан не имеют».²²⁴

საგულისხმოა, რომ მთიან ოსეთში, ოსური გადმოცემებით, ზოგიერთი მიწისზედა აკლდამა ეკუთვნოდა ნოღაელებს, რომლებსაც ოდესღაც ოსებთან ერთად აქ უცხოვრიათ. არაერთი მიცვალებულის ნოღაელობა მათი ანთროპოლოგიური ტიპით, ჩაცმულობით და აკლდამაში არსებული ქურჭლითაც დასტურდება. ქურთათის, თაგაურის და დიგორის ხეობებში ოსებთან ერთად ნოღაელების მკვიდრობის შე-

²²² Кокиев Г.А. Склеповые сооружения горной Осетии, с. 41.

²²³ იქვე, გვ. 43.

²²⁴ Мизиев И.М. Средневековые башни и склепы Балкарии и Карачая (XIII-XVIII вв.), Нальчик, 1970, с. 147.

სახებ გამოცემები XX საუკუნის 20-იან წლებში დაუფიქსირებიათ.²²⁵ ისიც საყურადღებოა, რომ ნოღაელებს მთიან ოსეთში შესვლამდე დღევანდელი ოსეთის ბარში უცხოვრიათ, რომლებიც ბარიდან მთაში ოქროს ურდოს დაცემის შემდეგ (XV ს.) გადასახლებულან. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბარიდან ნოღაელები მთაში ოსებთან ერთად მიგრირებულან XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე.²²⁶ მთაში შემოსახლებულმა ოსებმა (ნოღაელებთან ერთად), ყარაჩაელებმა და ბალყარელებმა ადგილობრივი აკლდამური კულტურა შეითვისეს, რადგან «...Культура склеповых сооружений - это не степная, а специфическая горная культура...».²²⁷

ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიური მიწისზედა (და ნახევრადმიწისზედა) აკლდამები ადგილობრივი კავკასიელების შემოქმედებაა. მოსულმა არაკავკასიურმა, ირანულენოვანმა და თურქულენოვანმა ეთნიკურმა ერთეულებმა ისინი გაითავისეს, დაიწყეს რა მათში თავიანთი მიცვალებულების დაკრძალვა.

ახლა უნდა დავუბრუნდეთ დვალეთსა და დვალებს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული «Обращает внимание полное отсутствие склепов по всей Центральной Осетии в Нарской котловине, Мамисонском, Зругском, Гуртикомском, Джинатском и Трусовском ущельях».²²⁸ ოსი მეცნიერის მიერ მითითებული ეს ტერიტორიული ერთეულები, ხეობები, ისტორიული დვალეთია. ისინი ხომ დვალეთს ახლა ცენტრალურ ოსეთს უწოდებენ. ისმის კითხვა: თუ დვალეთში ოდითგანვე ოსები ცხოვრობდნენ, თუ დვალეთი ოსეთი იყო,

²²⁵ Кокиев Г.А. Склеповые сооружения горной Осетии, с. 46, 50-56.

²²⁶ იქვე, გვ. 54.

²²⁷ იქვე, გვ. 56.

²²⁸ Калоев Б.А. Похоронные обычаи и обряды осетин в XVIII – начале X в. – Кавказский этнографический сборник; VIII, М., 1984, с. 95; Калоев Б.А. Осетинские историко-этнографические этюды, М., 1999, с. 206.

თუ დვალეები ოსები იყვნენ, რატომ არაა აქ მინისზედა დასაკრძალავი ნაგებობანი (აკლდამები), ისევე როგორც ოსეთის დანარჩენ ტერიტორიაზე? დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: **დვალეები არ იყვნენ ოსები და იმიტომაც არ იცნობდნენ მატერიალური კულტურის აღნიშნულ ძეგლებს.** თქმული იმაზეც მიუთითებს, რომ ოსები დვალეთში საკმაოდ გვიან შემოსახლდნენ (როგორც დადგენილი გვაქვს ძირითადად XVI საუკუნეში). მათ აქ აკლდამები არ დახვედრიათ, რომ მისი გამოყენება, ათვისება მოეხდინათ, განსხვავებით ჩრდილოეთ კავკასიის ოთხი ოსური ხეობისაგან, სადაც ოსებს აკლდამები მზამზარეულად დახვდათ და მატერიალური კულტურის აღნიშნული ძეგლების გაათავისებაც მოახერხეს. ოსები რომ ყოფილიყვნენ აკლდამების შემქმნელ-შემოქმედნი, მათ არც დვალეთში მიგრაციის შემდეგ გაუჭირდებოდათ მინისზედა აკლდამების აშენება. დვალეები იყვნენ ქართველი მთიელები, რომლებშიც ქრისტიანობა ღრმად იყო შესული და როგორც ყველა ქრისტიანი ქართველი ისინიც ჩვეულებრივ, მიწაში იკრძალებოდნენ.

ბუნებასთან ჰარმონიული თანაარსებობით ყალიბდებოდა სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. ასე გაითავისეს ოსებმა ბარიდან მთაში შესახლების შემდეგ ძველი მკვიდრების – ადგილობრივი კავკასიელების კომპლური კულტურაც. ამის დამადასტურებელი ეთნოგრაფიული მასალის დამალვას ხშირად კი ვერ ახერხებენ: «Такие башни, разнесенные по всей нагорной Осетии, местные жители считают принадлежностью прежнего населения, т. е. алан».²²⁹ ბოლო სიტყვა («т. е. алан») მოყვანილი ეთნოგრაფიულ ფაქტს არ ეკუთვნის – ის ავტორის ბ. კალოევის დანამატია.

დვალეთში მინისზედა აკლდამების არსებობა სხვა მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებასაც გვაძლევს.

²²⁹ Калоев Б.А. Осетинские историко-этнографические этюды, М., 1999, с. 21.

მეცნიერებაში არსებული ერთ-ერთი მოსაზრებით დვალეები იყვნენ ვაინახები, თუმცა ჯერ კიდევ VII საუკუნეში ქართიზე-ბულნი.²³⁰ ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ამ მოსაზრების ავტორმა ბოლოს ის უარყო და დვალეები ქართველებად/ზანებად მიიჩნია. დვალეთში აკლდამების არარსებობა პირდაპირ გამორიცხავს დვალთა ვაინახობასაც, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა ჩაჩნეთსა და ინგუშეთში აკლდამები გავრცელებული იყო და ისინი საუკეთესო მშენებლებს წარმოადგენდნენ და აკლდამებს აგებდნენ არამარტო სამშობლოში, არამედ მეზობელ ოსეთშიც. უდავოა, **დვალეები რომ ვაინახები ყოფილიყვნენ, აკლდამების კულტურა მათშიც გავრცელებული იქნებოდა.**

ზოგიერთი მეცნიერი დვალეთის ტერიტორიაზე აკლდამების არარსებობას იმით ხსნის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა XVIII საუკუნემდე მუდმივად გაედინებოდა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, საქართველოში და გვიან, XVIII საუკუნის დასასრულიდან ჩრდილოეთ ოსეთის ბარში.²³¹ რა თქმა უნდა, ეს შეხედულება კრიტიკას ვერ უძლებს. მართალია, დვალეები, ისევე როგორც სხვა ქართველი მთიელები მიგრირდებოდნენ საქართველოს მთიანეთის დანარჩენ მხარეებსა და ბარში, მაგრამ აქ ადგილობრივი დვალური მოსახლეობა XVI საუკუნის ბოლომდე მუდმივად იყო და ტრადიციულ ყოფით რეალიებს არსებობა არ შეუწყვეტია. ერთი რამ აშკარად ცხადია: ოსეთის მთიანეთიდან მიგრირებულმა ოსებმა დვალეთში ვეღარ დანერგეს აკლდამური კულტურა, რადგან ის მათი შემონაქმედი არ იყო. მათ უბრალოდ მთაში შემოსახლების შემდეგ დაიწყეს ძველი მოსახლეობის მიერ დატოვებული მინისზედა დასაკრძალავი ნაგებობების გამოყენება. სამეცნიერო ლიტერატურაში ხომ შენიშნულია, რომ ოსები მხოლოდ

²³⁰ Гамрекели В. Н. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961.

²³¹ Калоев Б.А. Похоронные обычаи и обряды осетин в XVIII – начале X в. – Кавказский этнографический сборник; VIII, М., 1984, с. 95.

ნახევრადმინისზედა აკლდამებს აგებდნენ და მინისზედა აკლდამების ასაგებად ისინი ინგუშებს ინვევდნენ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დვალეთის ზახას ხეობის ერთ-ერთ სოფელში არის დადასტურებული მინისქვეშა და ნახევრადმინისზედა აკლდამები, რომლებიც აქ გვიან შემოსახლებული ოსების მიერაა აგებული XVII-XVIII საუკუნეებში.

ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული მინისზედა აკლდამები მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

1) ოსეთის მთიანეთში არსებული მინისზედა აკლდამები არ იყო ოსთა შემოქმედების შედეგი. აკლდამები ადგილობრივი კავკასიელების, ძირითადად ვაინახების და მათი მონათესავე ტომების შემონაქმედია. XIII საუკუნის შემდეგ კავკასიის ხეობებში შემოსახლებულმა „სტეპნიაკმა“ ოსებმა მზამზარეულად არსებული, მათ წინ აქ მცხოვრები კავკასიური ტომების დანატოვარი აკლდამები აითვისეს. მოსულმა ეთნიკურმა ირანულენოვანმა ერთობამ ტრადიციული კულტურის აღნიშნული ელემენტი გაითავისა, მას შემდეგ რაც მოახდინა ადგილზე დარჩენილი კავკასიელების ასიმილაცია.

2) აშკარაა, რომ დვალეთი არ იყო ოდითგანვე ოსებით დასახლებული და დვალეები არ იყვნენ ოსები. იმის გამო, რომ დვალეები არ იცნობდნენ მატერიალური კულტურის ჩვენს მიერ მიმოხილულ ელემენტს, აქ გვიან (XVI საუნიდან) მიგრირებულმა ოსებმა მიცვალებულების დამარხვა ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით მინაში დაიწყეს. დვალეები რომ ოსები ყოფილიყვნენ, რა თქმა უნდა, მათშიც იქნებოდა აკლდამები გავრცელებული.

3) დვალეთში აკლდამების არარსებობა გამორიცხავს აგრეთვე დვალეების ვაინახობას, რადგან, როგორც აღინიშნა, ჩაჩნებისა და ინგუშებისთვის მინისზედა დასაკრძალავი აკლდამები ოდითგანვე დამახასიათებელი და ტრადიციული

იყო. ვაინახები აკლდამების საუკეთესო მშენებლებად მიიჩნევდნენ.

4) ყოველივე ზემოთ თქმული განამტკიცებს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დვალეები ერთ-ერთი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო და ეთნიკურ-ენობრივად და კულტურულ-ისტორიულად დვალეები ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ.

დვალეთის მხარე ეთნიკურად ქართული რომ იყო, ამას მატერიალური კულტურის კიდევ ერთი სახის ძეგლები ადასტურებს – ესაა თლისა და ხოზიტა-მაირამის ხუროთმოძღვრული ძეგლები. როგორც სათანადო გამოკვლევებითაა დადგენილი, თლისა და ხოზიტა-მაირამის ეკლესიები, რომლებიც XI საუკუნის დასაწყისშია აგებული, ტიპური ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებია და არაერთ იმდროინდელ საქართველოს ძეგლთან აქვს ანალოგია. რაც მთავარია, მსგავსი ქრისტიანული ხუროთმოძღვრული კომპლექსი არსად ჩრდილოეთ ოსეთში არ არსებობს.²³² დვალეთის მოსახლეობის ქართული ცნობიერების დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ აქ „ცენტრალური ხელისუფლების კვალდაკვალ თავად ადგილობრივი მკვიდრნი აგებენ ეკლესიებს (ხუცაუ-ძუარ ანუ ღვთაების სამლოცველო, ძილეს-ძუარი ანუ ძლევის ჯვარი) ... და მათ ქართული წარწერებით ამკობენ (XIII-XIV სს. მოსახსენებლები ძლევის-ჯვარიდან); მხარის ეპიგრაფიკულ ძეგლებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება დვალეთში ქართული ენისა და დამწერლობის ისტო-

²³² ვ. დოლიძე. ხოზიტა-მაირამი – საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, 2, 1954, გვ. 119-126; ვ. დოლიძე. თლის ხუროთმოძღვრული ძეგლი – საქართველოსა და დვალეთის კულტურული ურთიერთობის ახალი საბუთი – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXI, 6, 1958, გვ. 767-773.

რიის შესასწავლად“.²³³ უფრო მეტიც: დვალეთის მკვიდრნი ჩართული იყვნენ ერთიან ქართულ საეკლესიო და კულტურულ ცხოვრებაში და მისი მკვიდრნი საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებშიც მოღვაწეობდნენ. საილუსტრაციოდ ნიკოლოზ დვალის დასახელებაც საკმარისია: „ესე სანატრელი ქრისტეს მონამე ნიკოლოზ იყო ნათესავით დვალი, სოფლისაგან, რომელსა ეწოდების ნაჲ, შვილი მონაწმუნეთა მშობელთა და მოსავთა წმიდისა ნათლისმცემელთაჲ, რომელსა საშოთგანვე დედისაჲთ შესწირეს და რაჲ ათორმეტისა წლისაჲ იქმნა, მონაზონ იქმნა და იყო უდაბნოთა კლარჯეთისათა“.²³⁴ ეს ფაქტი თვალნათლივ ადასტურებს დვალეთის საერთოქართულ არა მხოლოდ პოლიტიკურ სივრცეში, არამედ რელიგიურ-კულტურული თვალსაზრით ჩართულობასაც. ამ თვალსაზრისით დვალეები ფხოველებთან შედარებით, ნამდვილად დანინაურებულნი იყვნენ.

დვალეთის მატერიალური კულტურის შესახებ საგულისყურო დაკვირვება აქვს მოცემული ალექსი რობაქიძეს: „განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ბულულთიყაუს დამცველი კედლის ნიბოსებური წყობა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში საერთოდ და უპირატესად ქართლში მშენებლობის საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ წესს წარმოადგენდა. ანალოგიური წესით, სხვათა შორის, ნაშენია ზარამაგის ერთ-ერთი საკულტო ნაგებობა – ძაპპაზ“.²³⁵

²³³ დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ალ. დაუშვილი. ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე, თბ., 2016, გვ. 63.

²³⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გამოსაცემად მომამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1963, გვ. 107-108.

²³⁵ ალ. რობაქიძე. ჩრდილოეთ ოსეთის ზღუდე-კედლები. – ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, 436.

დვალეთის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია აქ არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობანი. ასეთი ნაგებობანი ვ. გამრეკელია შეისწავლა და დვალეთის ჩრდილოეთ საზღვარზე თავდაცვითი კედლებისა და კოშკების მთელი სისტემა აღმოაჩინა, რომელიც დარიალის ჩამკეტ ნაგებობებთან კავშირში გაიაზრა.²³⁶ დვალეთში „მე-XVIII-ე საუკუნის დამდეგს ბლომად ყოფილა „ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირისანი“, რომელნიც საქართველოს „მეფეთაგან ნაშენნი“ ყოფილან. თვით ხალხში ამ ძეგლების შესახებ თქმულებები ყოფილა და ვახუშტის ცნობით „უმეტეს იტყვიან... თამარ მეფისაგან“ აგებულადო“.²³⁷

დვალეთის ჩრდილოეთში მდებარე საფორტიფიკაციო ნაგებობების შესახებ მხოლოდ გ. ჭეიშვილის ნაშრომიდან ერთ ამონარიდსლა შემოგთავაზებთ: „ჯერ კიდევ პ. უვაროვა მიუთითებდა, რომ ოსეთის დამორჩილების შემდეგ ვახტანგ გორგასალმა კასრისხევში, ზრამაგასთან ააგო ციხე, რათა ქვეყანა ოსებისგან დაეცვა (იხ. 74: 92). ვ. კუზნეცოვი ამ თვალსაზრისს ასეთ კომენტარს ურთავს: „Здесь все верно, кроме утверждения о строительстве стены в V в.“ (74: იქვე. საზი ჩემია – გ.ჭ.). როგორც ვხედავთ, ხანდახან რუსულ და ოსურ ისტორიოგრაფიაშიც აღიარებენ, რომ დვალეთის სიმაგრეები ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებია, რომლებიც საქართველოს „ოვსთა“ ძარცვა-რბევისგან იცავდა. კასრისკარის კედლებს შორის სივრცე ფლეთილი ქვითა და თიხითაა ამოვსებული; ამის წყალობით შექმნილია თავდაცვითი მონოლითი, რომლის სისქე 12 მეტრამდე აღწევს. ასეთი სიმძლავრის კედელი კავკასიაში სხვაგან არც გვხვდება (74: 121-24). ეს ფაქ-

²³⁶ ვ. გამრეკელი. დვალეთის ისტორიული მასალები. – მუზეუმის მოამბე, XXIV, თბ., 1964.

²³⁷ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 8.

ტი კი თავისთავად მეტყველებს, რომ ის აღმართული იყო ორი, სრულიად განსხვავებული სოციალური და კულტურული ტრადიციების მატარებელი, საზოგადოების საზღვარზე“.²³⁸

ვახტანგ გამრეკელის დასკვნით, „მამისონისაკენ მიმავალ გზაზე განლაგებულ სოფელთა შორის ზეკართან უახლოესს შემთხვევით არ ეწოდება **ქალაქა**. იგი წარმოადგენდა მძლავრად გამაგრებულ დასახლებულ პუნქტს, სადაც გარკვეულ პერიოდებში საბაზროდ თავს იყრიდა კავკასიის მთიანეთის ახლობელი რაიონების მოსახლეობა. აქვე, სოფ. *ქალაქაში*, მიკვლეულია ქართულწარწერიანი საფლავის ქვები, რომლებიც **XVI-XVII** საუკუნეებით თარიღდება“.²³⁹ ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ ტოპონიმი „ქალაქა“ მთის რაჭისთვისაც დამახასიათებელია – ღების და გლოლას ცენტრალური უბნები სწორედ ქალაქას/ზედქალაქას სახელს ატარებდნენ. ეს ფაქტიც იმას ადასტურებს, რომ დვალეთს ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ბევრი რამ ჰქონდა საერთო მეზობელ მთის რაჭასთან. ისტორიკოსს ყურადღება აქვს გამახვილებული დვალეთიდან ალაგირის ხეობაში გასასვლელ კასრისხევზე, სადაც ვახუშტის სიტყვით, იყო „კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული“, რომლის მშენებლობას იგი მეფეებს მიანერს („მეფეთაგან ქმნული“). აგრეთვე, კასრისხევზე, როგორც სასაზღვრო პუნქტზე, არსებობდა საბაჟო პუნქტიც. ის საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბაჟო გახლდათ, რის დამადასტურებელია ხალხური ლექსიც:

²³⁸ გ. ჭიჭიშვილი. კასპიის კარები, იბერიის საზღვრები და საერთაშორისო ურთიერთობები მეექვსე საუკუნეში. – ანალები, 2014, 10, გვ. 166=167.

²³⁹ ვ. გამრეკელი. დვალეთის ისტორიული მასალები. – მუზეუმის მოამბე, XXIV, თბ., 1964, გვ. 91 და შმდ

„ჩვენ გვიჭირავს მიმოვალთა
ოთხის კუთხივ ვინრო გზანი.
კასარაზე სიმაგრე მაქვს და საბაჟო,
აქ მიჭირავს ხიდი-კარი“.²⁴⁰

დვალეთის მატერიალური კულტურის, კონკრეტულად კი კომპეების შესახებ, მნიშვნელოვანი ცნობა აქვს დაფიქსირებული ლეონ მელიქსეთ-ბეგს, რომელმაც აქ 1924 წელს იმოგზაურა. გარდა იმისა, რომ მან დვალეთში ქართული ქრისტიანული არქიტექტურული არაერთი ძეგლი დაადასტურა, რომელთაგან ბევრზე ქართული ხუცური დამწერლობის ნიმუშები იყო მოთავსებული, ნახა „სპეციფიკური ტიპის ნაგებობები“ და ცილინდრული კომპეები, რომლთა ანალოგიები გავრცელებული იყო შიდა ქართლში. დვალეთის სოფელ გალუათაში კი ჩაუნერია, რომ „ადგილობრივი ოსები ამ კომპეებს ოსურად არ თვლიდნენ“. ოსთა შორის „თაობიდან თაობაზე გადადიოდა თქმულება, რომ ძეგლები სხვა ხალხის არსებობასთან იყო დაკავშირებული“ და რომ ეს ხალხი ოსების აქ დასახლებამდე ცხოვრობდა²⁴¹. ლეონ მელიქსეთ-ბეგი „ცილინდრულ კომპეებს“ უნოდებს შიდა ქართლის მთასა და მთისწინეთში (აგრეთვე საქართველოს სხვა მხარეებში გავრცელებულ) ე. წ. ზურგიან კომპეებს. ასე რომ, დვალეთშიც ისეთივე მატერიალური კულტურის ძეგლები არსებობდა, როგორც მის მოსაზღვრე სხვა ქართულ მხარეებში იყო.

²⁴⁰ ი. ლოლაშვილი. დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, თბ., 1971, გვ. 50.

²⁴¹ მითითებულია ს. ბახია-ოქრუაშვილის ნაშრომიდან: დვალთა ეთნიკური ვინაობის საკითხები – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIII, თბ., 2011, გვ. 35.

VI. ანთროპონიმები დვალეების ეთნიკური კუთვნილების შესახებ

დვალეების ეთნიკური ვინაობის გასარკვევად ჩვენთვის დღეს ერთ-ერთი მთავარი წყაროა ონომასტიკური მასალა (ანთროპონიმები, ტოპონიმები). დვალეთში ქართული ტოპონიმების არსებობის შესახებ პირველად ვ. გამრეკელმა მიუთითა. ცენტრალური კავკასიონის ამ რეგიონში არაერთი გვაქვს სხვა ქართველური ტოპონიმიც, რაც წლების განმავლობაში გვაფიქრებინებდა და პირად საუბრებშიც არაერთხელ აღგვინიშნავს სხვა მეცნიერებთან, რომ დვალეები სვანურენოვანი ანდა სვანებთან ახლოს მდგომი ტომი უნდა ყოფილიყო. თუმცა, საკითხის უფრო დანვრილებითმა შესწავლამ და კვლევაში ანთროპონიმიული მასალის შემოტანამ, ასეთ კატეგორიულ დასკვნაზე ხელი აგვადებინა, რადგან მასში უფრო მეტად ჭარბობს ზანური ელემენტი. ჩვენი დაკვირვებით ქართულია დვალეთის ხეობების სახელწოდებებიც: კასრის ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა, თვით დვალი (და „დვალეთი“) – ოსურად „თუალთაი“, მთები: კედელა, გუნაური, ზეკარა.

„დვალი“ (ანუ „თუალი“) როგორც სკიტსკი მიუთითებდა, სრულიადაც არ არის ოსების ძველი სახელწოდება. „თუალი“ („დვალი“) ძველი მოსახლეობის, ადგილობრივ კავკასიელთა სახელწოდება იყო, რომელიც აქ მოსულმა ოსებმა მიისაკუთრეს. თუ დავაკვირდებით, აღნიშნულ ეთნონიმსა და ტოპონიმში („დვალი“ – „თუალი“, „დვალეთი“ – „თუალეთი“) მხოლოდ ქართული ძირი ჩანს. „თუალი“ – ასეთი სახელწოდებით ტოპონიმები საქართველოში სხვაგანაც გვქონდა.

დვალეთის კასრის ხევი ჩრდილოეთ კავკასიაში (ოსეთში) გასასვლელი ერთადერთი ხევი იყო. ამ ჰიდრონიმის ქართულობა ეჭვს არ იწვევს, ოღონდ ის უნდა აიხსნებოდეს არა

უშუალოდ „კასრი“-ით, რომელსაც ძველ ქართულად რამდენიმე ახსნა ჰქონდა („კასრი“ – სახლი მომცრო; სარწყავი ერთეული, რომელშიც რვა დოქი ჩადიოდა, ხის ჭურჭელი – იხ. სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“), არამედ „კასრი“, რომელიც ერთდროულად სალესავი ქვის, ქვის გარკვეული ჯიშისა და სარეველა ბალახის ერთ-ერთი ჯიშის სახელწოდება იყო (იხ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი). მსგავსი ტოპონიმია „ქაისხევიც“ არაგვის ხეობაში. „ჟღელე“ ხომ არაა იგივე ლელე? თუმცა უფრო ლოგიკური იქნება ეს ჰიდრონიმი ნიადაგის ფერს, ჟღალ ფერს (შავმონითალო) დავუკავშიროთ. ქართულია დვალეთის ცენტრალური ხეობისა და ქვაბულის „ნარა“ სახელწოდებაც. სულხან-საბას განმარტებით „ნარი“ – ეკლიანი ბალახია.

ვ. გამრეკელს თავის მონოგრაფიაში მოაქვს ციტატა XIII საუკუნის ტექსტიდან („თარგმანება წმინდისა იპოლიტისა“) შემდეგი თანამიმდევრობით: 30. ქართველი, 31. აფხაზი, 32. სვანი, 33. მეგრელი, 34. დვალი... 55. ალანი.²⁴² საინტერესოა, რომ ქართველ-აფხაზ-სვან-მეგრელებთან ერთად დვალეები არიან სახელდებული, ე.ი. დვალეები ქართულ-ეთნიკურ-კულტურულ სამყაროს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევიან. ოსთა წინაპრებად მიჩნეული ალანები კი ქართულ-ქართველური სამყაროსაგან დაშორებით 55 ნომრით არიან დასახელებული. ალანებსა და დვალეებს რაიმე ნათესაური კავშირი რომ ჰქონოდათ, ისინი ერთ რიგში, გვერდიგვერდ იქნებოდნენ დასახელებული. დვალეები და ოსები დაპირისპირებული ყავს ერთმანეთთან სოლთანის (ირანი) კათოლიკე არქიეპისკოპოსს *იოანე გალონიფონტიბუსს* (1404 წ.), რომელიც წერდა, რომ საქართველოს საზღვარზე, მთებში დვალეები, ალანები, ოსები და სხვანი ცხოვრობენო²⁴³. აღსანიშნავია, აგრეთვე ის, რომ

²⁴² В.Н. Гамрекели, Двалы и Двалетия в I-XV вв. н.э. Тб., 1961, გვ. 97.

²⁴³ Иоанн Галонифонтибус. Сведения о народах Кавказа, Баку, 1980, с. 113.

VII საუკუნის სომხური გეოგრაფია დვალეებს ასახელებს ქართველ მთიელთა შორის და მკვეთრად მიჯნავს დვალეებს ალანებისაგან. დვალეები (დივალეები) და ალანები ასევე მკვეთრად არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული IV საუკუნის პეიტინგერის ტაბულაზე. დივალეებისა და ალანების აღნიშნულ ტაბულაზე ძალიან დაშორებით დატანა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ისინი სხვადასხვა ეთნოსები იყვნენ. ტაბულაზე ალანები ასევე ძალიან არიან დაშორებული კოლხებისა და იბერებისაგან. სამაგიეროდ, ერთმანეთთან ახლოს არიან აღნიშნული დივალეები, იბერები და კოლხები. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაბულაზე დივალეები ორ ადგილზე არიან დაფიქსირებული.²⁴⁴

დვალთა ეთნიკური ვინაობის გასარკვევად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ანთროპონიმებს. ჩვენი ყურადღება მიიქცია XIX საუკუნის პირველი ნახევრის დვალეთის, კერძოდ, ნარას ქვაბულის მოსახლეობის აღწერის მასალებმა, რომელიც ჯერ კიდევ ამ დროს თბილისის გუბერნიაში შედიოდა. ამ დროისათვის აქ უკვე ოსური მოსახლეობა საბოლოოდ იყო ფორმირებული. აღწერილი არიან მხოლოდ მამრობითი სქესის პიროვნებები (ოსები) სახელითა და გვარით. ირკვევა, რომ მამაკაცთა გარკვეულად დიდი ნაწილი დვალეთში (ნარაში), XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველურ (დასავლურქართულ) საკუთარ სახელებს ატარებდა. მანამ, სანამ ამ სახელებს ჩამოვთვლით, უნდა გავუსწროთ მოვლენებს და დავსვათ კითხვა: რატომ იყო დვალეთში გავრცელებული დასავლურქართული საკუთარი სახელები და არა ქრისტიანულ-კანონიზებული ქართული სახელები? (კანონიზებულ ქრისტიანული ქართული სახელები ბოლო დრომდე ნაკლებად იყო გავრცელებული, აგრეთვე, საქართველოს მთელ მთიანეთში და სამეგრელოში. აქ ძირითადად ყველგან იხმარებო-

²⁴⁴ K. Miller, Die Peutingersche tafel, Stuttgart, 1962.

და ძველი ქართული-ქართველური საკუთარი სახელები). ჩვენი აზრით, აღნიშნულის მიზეზი უბრალოდ იყო ის, რომ დვალეთი თავდაპირველად აღმოსავლურ და დასავლურქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთა თანაცხოვრების მხარე, საკონტაქტო ზონა იყო. მათ, მიუხედავად იმისა, რომ განიცადეს ოსების მიერ ეთნიკური ასიმილაცია, გაოსება, ყოფაში, ტრადიციის ძალით, შეინარჩუნეს თავდაპირველი ქართველური სახელები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და რომლებიც დიდი მდგრადობით გამოირჩეოდა. სხვათა შორის, ასეთი ქართველური სახელების დვალეთში შემონახულობა იმაზედაც უსვამს ხაზს, რომ აქ ქრისტიანობა მაინცდამაინც ისე მტკიცედ არ იყო შემოსული (როგორც მთიანეთის ყველა სხვა რეგიონში), როგორც ამას ვ. გამრეკელი ფიქრობდა. ქართველურიძირიანი არაერთი ოსური გვარიც გვაქვს, რომლებიც, რა თქმა უნდა, დვალეთში წარმოიქმნენ მათი აქ მოსვლა-მიგრაციის შედეგად.

1814 წლის მოსახლეობის აღწერაში²⁴⁵ სოფ. კულბითში მითითებულია «Нарский Гето Бегелури». ყურადღებას იქცევს ამ ოსი პიროვნების როგორც სახელი, ისე გვარი. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ სოფ. კულბითში *გეტო ბელელური* ნარადან (დვალეთიდან) არის გადმოსახლებული. ბელელური დვალეთის ერთ-ერთი ძირძველი, ადგილობრივი გვარი იყო. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ გვარი სუფთა ქართულია. მას ძირიც და სუფიქსიც (-ური) ქართული აქვს. ბელელურის გვარი ნაწარმოებია საქართველოს მთისათვის (მთის გვარებისათვის) მახასიათებელი -ურ ფორმანტით და ფუძედ აქვს მამაკაცის ძველი ქართული სახელი „ბელელა“. რაც შეეხება სახელს „გეთო“, ეს სახელი ბოლო დრომდე უაღრესად გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. შდრ. აგრეთვე გვარები: გეთია და გეთიაშვილი. ბელელურები

²⁴⁵ სცსსა, ფ. 254, ან. I, საქ. 367.

დვალეთის ნარას ხეობის ოდინდელი მკვიდრნი იყვნენ, რომელთა 4 კომლი 1801 წელს შიდა ქართლის სოფელ კულბითში იყო გადმოსახლებული. თბილისის მაზრის სოფელ ახალდაბაშიც ცხოვრობდნენ დვალეთის სოფელ თიბედან გადმოსახლებულები, კერძოდ, ქუქიაურები/ქუქიშვილები, რომლებიც უფრო ადრე საცხოვრებლად ხევში იყვნენ გადმოსული. ეთნოგრაფიული მასალით, ქუქიაურები ხევში გადმოსახლებულან დვალეთში გიორგი სააკაძის ლაშქრობის დროს²⁴⁶.

ნარაში (დვალეთში) მკვიდრობდნენ გოგიჩაშვილებიც. გვარს საფუძვლად უდევს დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მხარეში გავრცელებული მამაკაცის სახელი „გოგიჩა“, რაც გოგის კნინობითი ფორმაა (შდრ. ხვიჩა, ბაკიჩა, ყაყიჩა...).

ვფიქრობთ, არავითარი კომენტარი არ სჭირდება ისეთ სახელებს, როგორიცაა *ტუხია*, *ბიძინა*, *ჩინელი*, *ფრანგა*, *ბატია*. დვალეთის ოსებში გავრცელებული სახელი იყო „ჩიჩო“ (შდრ. გვარი „ჩიჩუა“), „ბახა“ (შდრ. გვარი „ბახია“), „ხუჭა“ (შდრ. გვარი „ხუჭუა“), „დოჩი“ (შდრ. გვარი „დოჩია“; გურიასა და აჭარაში „დოჩი“ ბოჩოლას, ერთი წლის ან ცოტა ნაკლები ხნის ხბოს, დეკეულს ეწოდებოდა. ქართლში კი „დოჩო“ უემაკო ადამიანის სინონიმია), „ჯახი“ (შდრ. გვარი ჯახია), „ჩოჩი“ (შდრ. გვარი „ჩოჩია“). უდავოა, რომ ოსი *ჩოჩიევეები* ძირად დვალეები არიან. დვალეთში მცხოვრებ ამ გვარს, სხვა ოსური გვარებისაგან განსხვავებით, არა აქვს გადმოცემა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან გადმოსახლების შესახებ. ჩოჩიშვილების/ჩოჩოურების და სხვა გვარების ადგილობრივი დვალური წარმომავლობის შესახებ მნიშვნელოვანი ეთნოგრაფი-

²⁴⁶ დანვრილებით იხ.: რ. თოფჩიშვილი, გ. ბაგრატიონი, გ. გაგოშიძე, გ. გოგოჭური, ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი, გ. ავთანფილაშვილი. თრუსო – ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები, თბ., 2021, გვ.27.

ული მასალა აქვს დაფიქსირებული ს. ბახია-ოქრუაშვილს: „გადმოცემით, ვასილ გიოს ძე ჩოჩიევმა კარგად იცოდა, რომ დვალეთის მკვიდრი მაცხოვრებლები იყვნენ – ჩოჩითა, ჯოჯითა, ოქროთა, თაბუთა, გოგიჩათა და სხვ“.²⁴⁷ როგორც საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ქართლელი ჩოჩიშვილები უფრო ადრე ოქროპირიძის გვარს ატარებდნენ (საყურადღებოა, რომ მოხმობილი მასალებით, ჩოჩითას გვართან ერთად, ოსური გადმოცემები „ოქროთა“ გვარსაც ასახელებენ. მამაკაცის სახელი „ოქრო“ ხომ გამჭვირვალე ქართული სახელია და ბოლო დრომდე საქართველოში ძალიან გავრცელებული იყო). ქართლში არის ჩოჩაშვილის გვარიც (სოფ. ცხრამუხა), რომელთა თავდაპირველი გვარი, როგორც გადმოცემით, ისე საარქივო მონაცემებით, 1859 წ. აღწერა – ქურდაძე ყოფილა.²⁴⁸ ქართლში მცხოვრები ჩოჩიშვილების გარკვეული ნაწილი ხევის სოფ. ხურთისიდანაა მიგრირებული, რომელნიც XVIII საუკუნის აღწერის დავთარში ჩოჩოურად არიან ჩანერილი. 1860 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერით ირკვევა, რომ ვანათელი ჩოჩიშვილების ადრინდელი ქართული გვარი ყოფილა მაისურაძე.²⁴⁹ 1621 წელს სოფელ საჩხეურში ფიქსირებულია ამავე ძირის სხვა გვარიც – ჩოჩივაძე.²⁵⁰ გვაქვს აგრეთვე გვარსახელები ჩოჩელი და ჩოჩნიძე. ჩოჩიას, ჩოჩიშვილს, ჩოჩოშვილს, ჩოჩივაძის გვარებს საფუძვლად უდევს ძველი ქართული სახელი „ჩოჩი“. ბოლო დრომდე ეს სახელი შემორჩენილი იყო სამეგრელოში. არაერთგზის გვაქვს ეს სახელი (ჩოჩი) ამონერილი 1873 წლის სამეგრელოს მოსახლეო-

²⁴⁷ ს. ბახია-ოქრუაშვილი. დვალთა ეთნიკური ვინაობის ისტორიის საკითხები. 2011, გვ. 58.

²⁴⁸ სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. 2332.

²⁴⁹ სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. 244, გვ. 188-204.

²⁵⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 404.

ბის აღწერიდან. ჩოჩიშვილების გვარი რომ ერთ-ერთი ძველი ქართული გვარია, ამას ადასტურებს 1031-1033 წწ. საისტორიო საბუთში სოფ. ჩოჩეთის მოხსენიება.²⁵¹ სხვათა შორის, ნარას ერთ-ერთ სოფელში ჩოჩოურებთან/ჩოჩიშვილებთან ერთად ცხოვრობდნენ: გოგიჩაშვილები (ზემოთ მოხსენიებული იგივე „გოგიჩათა“), ჯანაშვილები და ბერიაშვილებიც. „ფალი“ (შდრ. სვანური გვარი „ფალიანი“). დვალეთის ოსებში გავრცელებულ გვარს „გუჩაშვილს“, იგივე გუცაშვილს (გუცაევს) საფუძვლად უდევს ბოლო დრომდე სამეგრელოში გავრცელებული ქალის სახელი „გუჩა“ (შდრ. გვარი „გუჩუა“). ამავე ძირისაა მეგრული სახელი „გუძა“. ქართლშიც ბოლო დრომდე მეტსახელად გავრცელებული იყო სახელი „გუცა“. დვალეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის ოსებში გავრცელებული სახელი იყო „გუგუნა“ (ეს იგივე „გუგუაა“). გვიან დრომდე მამაკაცის სახელი „გუგუნა“ გავრცელებული იყო იმერეთშიც²⁵² – შდრ. გვარი „გუგუნავა“. XIX საუკუნის პირველი ნახევრის დვალეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის ოსი მოსახლეობის აღწერიდან არაერთხელ მაქვს ამოწერილი მამაკაცის სახელი „გოჩი“ (შდრ. მეგრული სახელი „გოჩა“). აგრეთვე: „გუდუნი“ (გავრცელებული სახელი იყო სამეგრელოშიც), „სალა“ (შდრ. გვარი „სალია“).

ოსურ გვარს: „ფილიევს“, ექვივალენტი აქვს ქართულში: ფილია-ფილაური-ფილიშვილი. XIX საუკუნის აღწერებიდან ამოწერილი მაქვს ოსური გვარი „ქორთიშვილი“ (სოფ. კოშკაში) – შდრ. მეგრული გვარი „ქორთუა“.

ნარის (დვალეთის) სოფ. ჯაჩიში ცხოვრობდნენ „ხასიშვილები“ (დღევანდელი ხასიევები) – შდრ. მეგრული გვარი „ხასია“. ნარაშივე, სოფ. გინათში მკვიდრობდნენ „გუდაშვილე-

²⁵¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 26.

²⁵² ქუთაისის ეპარქიის გლეხთა აღწერა, სცსსა, ფ. 254, ან. I, საქ. 805.

ბი“. თერგის ხეობის სოფ. მნაში 1774 წელს „გუდიაურად“ ეწერნენ – შდრ. გვარები გუდავა, გუდაძე. მამაკაცის სახელი „გუდა“ გვხვდება XV-XVI საუკუნეების ერთ სვანურ საბუთ-ში²⁵³. აქვე მკვიდრობდნენ ქალაშვილებიც.

საქართველოში მცხოვრებ ოსებში გავრცელებული გვარია „კორიევი“. გვარს საფუძვლად უდევს მეგრული სახელი „კორი“, რაც მამაკაცს ნიშნავს (იგივეა, რაც ქართული „ყორი“). ოსებში დამონმებული გვაქვს კაცის სახელი „კაჩა“ (იგივე „კორა“) – შდრ. გვარები „კაჩია“ და „კაშია“. გვქონდა გვარი „კორაძე“. შეიძლება ითქვას, რომ XVI-XVII საუკუნეების სამეგრელოში მამაკაცის სახელებს შორის „კორი“ და მისგან შედგენილი სახელები ყველაზე გავრცელებული იყო. შეიძლება დავასახელოთ: „კორა“, „კორია“, „კორილე“, „კორილუა“, „კორიარა“, „კორიორე“, „კორილოა“, „კორილეი“, „ურაკორი“, „ქეკორია“, „ჯგეკორია“, „კაკაკორი“, „ვაჟიკორი“, „ჯგერეკორი“, „ბაბაკორი“, „წინაკორი“, „წინაკორი“.²⁵⁴ XIII საუკუნის სვანეთის სულთა მატთანეში რამდენიმე გზის ფიქსირებულია გვარი „კორიანი“.²⁵⁵

ნარელი ოსები XIX საუკუნის დასაწყისში ატარებდნენ, აგრეთვე, სახელებს: „თავქანა“ (თავქალა?), „ბაბა“, „გორა“, „კორი“, „ტალახა“, „ჩაბა“ (შდრ. გვარი „ჩაბაკაური“. „ჩაბა“ იგივეა, რაც „ჭაბა“. აქედანაა გვარი ჭაბაშვილი), „კუდი“, „ტილა“, „გუდა“.

ოსური გვარი *ხაბელოვი* ქართული გვარისაგან (ხაბე-ლაშვილი) მომდინარეობს. ბოლო დრომდე ამ გვარის ფუძე-სახელი (ხაბელა, *ხაბა*) გავრცელებული იყო, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. სახელი

²⁵³ სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 275.

²⁵⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III.

²⁵⁵ პ. ინგოროყვა, გვ. 130, 133, 138, 140.

„ხაბა“ გვხვდება XIV საუკუნის ერთ სვანურ საბუთში.²⁵⁶ შიდა ქართლში მცხოვრები ხაბარელებიც ძირად დვალეები არიან.

თრუსოს სოფ. შევარდენის XIX საუკუნის აღწერის დავთარში გვხვდება მამაკაცის სახელი „უძილა“;²⁵⁷ აქვე სოფ. ოქროყანაში – „კიტრია“. თრუსოს სოფ. ბურმასიკში დასახელებულია გვარი «Таваев», რომელიც, რა თქმა უნდა, ქართული სახელიდან („თავა“) მომდინარეობს. აქვე გავრცელებული სახელები იყო: „რუხია“, „შავქალა“, „ხარა“ (ქალისა), „გაბა“ (კაცისა) – შდრ. სვანური გვარი „გაბიანი“. არის ოსური გვარიც „გაბიევი“.

დვალეთში ყაბარდოდან მოსულ ხეთაგს ჰყოლია შვილი ჯარჯი. ჯარჯის შვილებს კი რქმევიათ „მამია“ და „მამი“. პირველის ოთხი ვაჟიდან ორი „ჯანა“-სა და „გოცი“-ს სახელებს ატარებდა. ხეთაგის შთამომავალთა შორის ასახელებენ, აგრეთვე, „ძუ“-ს (შდრ. „ძუკუ“).²⁵⁸ კალოევისავე მონაცემებით, დვალეთის ზახას ხეობის თავდაპირველი მკვიდრნი იყვნენ ქესაევები, რომელთა თავდაპირველი ქართული გვარი ქესაური იყო. დვალეთიდან მიგრირებული ქესაურების რამდენიმე ოჯახი ახლა შიდა ქართლში (ქსნის ხეობის სოფელი ყანჩავეთი) მოსახლეობს. ქესაურების შთამომავალი (უფროსი შვილი) ყოფილა „ხერხა“, როლის შთამომავალნი ყოფილან ქართველი თავადები ხერხაულიძეები, ამ გვარის თავდაპირველი ფორმა კი ხერხაული ყოფილა. ჩანს, გვიან დაემატა – ძე. კალოევის მოყვანილი ეს ეთნოგრაფიული მასალა იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა დვალეთში ქართული ანთროპონიმების პრიორეტულობა. ოსი თავის შვილს „ხერხა“-ს როდი დაარქმევდა.

²⁵⁶ სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986, გვ. 152.

²⁵⁷ სცსსა, ფონდი 254, ან. 1255, საქ. 130.

²⁵⁸ Б.А. Калоев, Происхождение некоторых осетинских фамилий по народным преданиям

1860 წლის აღწერაში შიდა ქართლის მთიანეთის ოსური მოსახლეობის აღწერაში დამონმებული გვაქვს სახელი „გულა“.²⁵⁹ შდრ. გვარები „გულია“, „გულუა“, „გულიაშვილი“. სახელი „გულა“ გავრცელებული იყო სამეგრელოში და სვანეთში.²⁶⁰

დიდი ლიახვის ხეობის სოფ. ტონტობეთში მკვიდრობდა გერგაულების გვარი, რომლებიც გვიან გერგაულოვებად იქცნენ. ისინიც ძირად დვალები არიან. გვარი ნაწარმოებია ქართული სუფიქსით (-ულ) და საფუძვლად უდევს ასევე ბოლო დრომდე სამეგრელოში გავრცელებული სახელი „გერგა“, „გერგო“. სვანურ საისტორიო საბუთებში გვხვდება: „გერგილედა“.²⁶¹ სვანეთშივეა დადასტურებული „გერგილ“, სამეგრელოში – გერგებე, გერგეზ, გერგობე, გერგოია.²⁶² ამავე ძირისაა გვარები „გერგაია“, „გერგედავა“.

შესადარებლად კიდევ შეგვიძლია მოვიტანოთ: „ჯახა“ (ოსური სახელი) და სამეგრელოში გავრცელებული გვარი „ჯახია“, „ბება“ (საქართველოში მცხოვრებ ოსებში გავრცელებული) და გვარი ბებია; „ხარება“ (დვალეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის ოსებში გავრცელებული მამაკაცის სახელი) და გვარები „ხარებავა“ და „ხარებაშვილი“; „ყანჩავა“ (ასევე საქართველოში მცხოვრებ ოსებში XIX საუკუნეში დადასტურებული) და გვარი „ყალიჩავა“; სახელი „თელა“ და სამეგრელოში გავრცელებული გვარი „თელია“. „გაგუჩა“ (XIX საუკუნის აღწერის დავთრიდან ამონერილი) – შდრ. „ხვიჩა“, „გოჩა“... ოსური სახელი „გაბიჩა“ და გვარი „გაბიჩვაძე“, „გილა“ (ბოლო დროს ოსებში გავრცელებული სახელი) და ქართული გვარები: გილაური და გილაშვილი; „გუგუნა“ (ოსური

²⁵⁹ სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. 237.

²⁶⁰ სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 197.

²⁶¹ პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. 2, თბ., 1941, გვ. 149.

²⁶² ა. ლლონტი. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 100.

სახელი) და მეგრული გვარი „გუგუნავა“; „ქუცირა“ (ოსური სახელი) – შდრ. „ქუცური“ (მთიულეთში); „კანკო“ (ოსური სახელი) – შდრ. გვარი „კანკავა“; გაბილა (ოსური სახელი) – შდრ. მეგრული გვარი „გაბელია“, „გაბილა“ ოსებს დვალები-საგან ჰქონდათ შეთვისებული. მამაკაცის სახელი „გაბელა“ – გვხვდება „მატიანე სვანეთისა კრებისა“-ში.²⁶³ „გაბილ“ ბოლო დრომდე სვანეთში იყო გავრცელებული. ამავე ძირისაა კაბისოვი („კაბისაშვილი“), რომელსაც საფუძვლად უდევს სვანეთსა და ხევსურეთში გავრცელებული სახელები „გაბისა“, „გაბისუ“ – შდრ. მეგრული გვარი „გაბისონია“. საქართველოში მცხოვრებ ოსებს შორის გავრცელებული სახელი იყო „ტიბა“. სახელი „ტიბო“ დასტურდება 1774 წლის მთიულეთის სოფელ ზაქათ კარის აღწერაში²⁶⁴ – შდრ. მეგრული გვარი „ტიბუა“.

ოსური გვარები შავლოხოვი და ლოხოვი ქართული ენით იხსნებიან. „შავ+ლოხა“ ძირისაგან შედგება (შდრ. „შავ+ხალა“).

კიდევ შეიძლება დავასახელოთ: ოსური სახელი „ჩეჩი“ და გვარი „ჩეჩია“. ოსებში გავრცელებული სახელი იყო „კოკუცა“ – შდრ. იმერეთში გავრცელებული სახელი „კაკიჩა“; ოსებში გავრცელებული სახელი „გუგუნა“ – შდრ. გუგუნავა. „გუგუნა, ერთ-ერთი ძველი ქართული სახელია, ის გვხვდება „ტბეთის სულთა მატიანეში“.

სამეგრელოში გავრცელებული სახელი იყო „დეუდა“, რაც მეგრულად „თავს“ ნიშნავს. იგივე სახელი ფართოდ იყო გავრცელებული XIII საუკუნის სვანეთში.²⁶⁵ საკუთარი სახელი-

²⁶³ პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. 2, თბ., 1941, გვ. 127.

²⁶⁴ ე. თაყაიშვილი. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII ს-ში, თბ., 1907, გვ. 439.

²⁶⁵ პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. 2, თბ., 1941, გვ. 119, 120.

დან მოდის მეგრული გვარი „დუდურჩავა“, მას ფუძედ აქვს „დუდურჩა“, რაც თავშავას ნიშნავს. ამავე ძირისაა ოსური გვარი დუდაევი. გვაქვს ქართული გვარიც – დუდაური. შევადაროთ ქართული და ოსური გვარები: ცანავა – ცანაევი; შანიძე – შანაევი; კუცია – კუცაევი; ზანგური – ზანგიევი; ბუტაური – ბუტაევი (საფუძვლად უდევს ასევე კოლხეთში გავრცელებული სახელი „ბუტა“); სოხაძე – სოხიევი; გაბისიანი და გაბისონია – გაბისოვი.

ახლა კვლავ ჩამოვთვლით იმ სახელებს, რომლებიც დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში განსახლებულ ოსებში იყო გავრცელებული და რომლებიც ამონერული გვაქვს XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან: „ლაჩა“ (გვაქვს ქართული გვარი „ლაჩაშვილი“); „ნულუკა“ (სოფ. ერტულში) – შდრ. ნულუკიძე და ნულუკიანი; „ბიგა“ – გვარი „ბიგვა“; „კუტე“ (გვაქვს მეგრული გვარი კუტალია“); „ტაბა“ (შდრ. გვარი „ტაბალუა“); 1904 წ. აღწერით ზემო იმერეთის სოფ. ნევაში აზნაურს თავზარაშვილს სახელად ერქვა „ტაბა“ („თაბა“). ოსური სახელი „ხაჟი“ (გვაქვს მეგრული გვარი „ხაჟალია“); სახელი „ნასრა – გვარი „ნარსია“; სახელი „ჩიჩო“ – მეგრული გვარი „ჩიჩუა“; სახელი „კიტო“ – შდრ. გვარი „კიტია“, „ჩაჩი“ – შდრ. გვარი „ჩაჩიბაია“; „ხუბუა“ (შდრ. გვარი „ხუბულავა“); ოსური სახელი „კუცი“ – შდრ. გვარი „კუცია“. ოსებში გავრცელებული სახელი „თუთუ“, „თუთა“ და გვარი „თუთუსანი“. ცნობილია, რომ მეგრულად „თუთა“ მთვარეს ნიშნავს. სოფ. ძოციანთკარში დამონმებული გვაქვს სახელი „ძალორა“ – შდრ. „ჯოლორი“. გვაქვს ოსური გვარი „ბიტიევი“, ქართული გვარი „ბიტიაშვილი“. „ბიტი“, „ბიტა“, „ბიტუ“ არაერთგზის გვაქვს ამონერული 1873 წლის სამეგრელოსა და სვანეთის აღწერებიდან. დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, ლეჩხუმი, სვანეთი, სამეგრელო) ფართოდ გავრცელებული სახელი იყო „ბეკო“ – შდრ. ოსური გვარი „ბეკოევი“. არის

ოსური გვარი „თაბუევი“ და ქართული გვარი „თაბუაშვილი“. ამ გვარების ფუძესაც ერთ-ერთი ძველი ქართველური სახელი „თაბუ“, „თაბა“ წარმოადგენს. ზემოთ ს. ბახია-ოქრუაშვილის დვალეთში ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალაც მოვიხმეთ, რომლის მიხედვითაც დვალეთის ადგილობრივ, ოსებამდელ გვარებს შორის „თაბუთა“-ს გვარიც არის დასახელებული.²⁶⁶ მამაკაცის სახელი „თაბა“ არაერთგზისაა ნახსენები XIII საუკუნის სვანეთის კრების მატრიანეში.²⁶⁷ თაბუაშვილები წარმომავლობით დვალეები არიან. მათი ადრინდელი გვარი იყო თაბაური. საქართველოს ისტორიაში ცნობილია ლარგვისის მონასტრის მოღვაწე „გიორგი თაბაური“ (XIV ს. მეორე ნახევარი).²⁶⁸ ვანეთშივე გავრცელებული სახელი იყო „ხაჩირ“, „ხამიჯ“, „ხუბილ“.²⁶⁹ შეიძლება გავიხსენოთ ოსური გვარები „ხაჩირაშვილი“, „ხუბულაშვილი“, „ხამიცაშვილი“. ამ უკანასკნელი გვარის მეგრული წარმომავლობის შესახებ მასალა ბ. კალოეცაც მოეპოვება.

სვანური სახელი „გუჯა“ გავრცელებული იყო ოსებშიც. აქვე შეიძლებოდა გაგვეხსენებინა კიდევ ერთი სახელი „ბიჩინა“. 1873 წლის აღწერაში ეს სახელი დადასტურებული გვაქვს: ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში. არსებობს ოსური გვარი „ბიჩნოვი“, ქართულიც – „ბიჩინაშვილი“. 1904 წლის დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების აღწერებიდან შეიძლება ჩამოგვეთვალა შემდეგი სახელები: გულა, გოგირა, ხასი, კუდო, ხაბია, კოზა (ქოზა) – გურიაში (შდრ. ოსური გვარი ქოზაშვილი), კორა, ბუტუ, ბოგოზა (შდრ ბეგიზოვი,

²⁶⁶ ს. ბახია-ოქრუაშვილი. დვალთა ეთნიკური ვინაობის ისტორიის საკითხები. 2011, გვ. 58.

²⁶⁷ პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. 2, თბ., 1941, გვ. 131, 145.

²⁶⁸ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატრიანე), 1954, გვ. 317.

²⁶⁹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986, გვ. 134, 214, 280.

გობოზაშვილი), ჩოჩი, დუდა, გერგო, გუდა, ფილუ (შდრ. ფილიევი და ფილია). აღარაფერს ვამბობთ ისეთ გვარებზე, როგორებიცაა მელაძე, შიუკაშვილი, ბედოშვილი, ბაგაური, ხარებაშვილი, თიბილაშვილი, (დ)ვალიშვილი, გურნიშვილი (შდრ. სვანური გვარი „გურჩიანი“), რომლებსაც აშკარად ქართველური წარმომავლობა აქვთ.

შეიძლება კიდევ შევადაროთ: კაჯაევი და ქაჯაია, კვეზეროვი და კვეზერელი, მარგიევი და მარგიშვილი, მარგიანი, მარლანია, მარღია, კესაევი და ქესაური (ძირძველი დვალური გვარია, რომლებიც ზახას ხეობის მკვიდრნი იყვნენ. ერთადერთი ადგილობრივი გვარი იყო, რომლებიც აქ მიგრირებულ ოსებს დახვდნენ).

რადგან დვალეთის სოფ. ტობორზაში ცხოვრობდნენ ბიგულოვები, რომლებიც ბ. კალოევის მასალებით, აქ დახვედრიან XV-XVI საუკუნეებში მოსულ ალან-ოსურ მოსახლეობას, შევეხოთ ამ გვარსაც. „ბიგა“, „ბიგე“, „ბიგუ“, „ბიგო“ მამაკაცის ძველი ქართული სახელია. „ბიგა“ მამაკაცის სახელად თუშეთში დადასტურებული აქვს გ. ცოცანიძეს. „ბიგო“ გავრცელებული სახელი იყო სვანეთში.²⁷⁰ სამეგრელოში გვაქვს გვარი, „ბიგ-ვა“ (მეგრულად „ბიგა“ ჯოხს, კეტს ერქვა). ხევსურულ დიალექტში „ბიგა“ ზოგადად პატარას სინონიმია. იმავე ძირისაა ოსური გვარი „ბიგ-ულ-აევი“. ამ გვარში „ბიგ“ ძირთან ერთად გამოიყოფა ქართული სუფიქსი -ულ. ბიგულაევეები ოსთა დვალეთში მოსვლამდე და გაოსებამდე, რა თქმა უნდა, ბიგ-ულ-ები (ბიგული) იყვნენ. დღევანდელ ოსურ გვარებში ამავე ძირზე სხვა გვარიც (ბიგინიშვილი) გამოიყოფა, რომელსაც ასევე უდავოდ ქართველური წარმომობა აქვს. ამ შემთხვევაში ბიგ-ფუძეს ერთვის სუფიქსი -ანი. ეს სუფიქსი ხომ ქართული (სვანური) გვარების ერთ-ერთი მანარმოებელია (შდრ. გიგ-ანი, ფილფ-ანი, ნაკ-ანი, გადრ-ანი, ფან-

²⁷⁰ ა. ლლონტი. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

გ-ანი, უშხვ-ანი...)). ასე რომ, ბიგინიშვილის თავდაპირველი ფორმა ბიგანი გახლდათ. ეს გვარიც წარმოშობით ქართველურ ეთნიკურ სამყაროს უკავშირდება. როგორც ბიგულოვები, ასევე ბიგანიშვილები წარმომავლობით დვალეები არიან. ანალოგიური ორმაგი ქართული სუფიქსი (-ან+-ია) გააჩნია მთელ რიგ სხვა ქართულ გვარსახელებსაც: ძაგანია, მალანია, ფარცვანია, დარსანია, ჯალალანია, ბელქანია, სასანია, ჟორდანია, დარჯანია, მარლანია, ვახანია...).

კიდევ შემოგთავაზებთ იმ სახელებს, რომლებიც დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსების XIX საუკუნის კამერალური აღწერის დავთრებიდან გვაქვს ამოწერილი. არის ოსური გვარი „ბეროვი“. გვარს საფუძვლად უდევს მთელს საქართველოში ისტორიულად ყველაზე პოპულარული მამაკაცის სახელი „ბერო“. გვაქვს ამ ფუძე სახელიდან ქართული გვარები: ბერაია, ბერიაშვილი, ბეროშვილი, ბერაძე, ბერიძე. აღწერის დავთრებში ოსურ სახელთა შორის გვხვდება სახელი „ტულა“ (ანუ „თულა“). შდრ. ქართული გვარები თულიანი და თულაშვილი. ნარელ ოსებში ფიქსირებული გვაქვს სახელი „ქორქა“ – შდრ. გვარები ქორქია და ქორქაშვილი. აქვე შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს სამეგრელოში გავრცელებული გვარი „კოკაია“, და ოსური გვარი „ქოქოევი“. ამ გვარებს ერთი და იგივე ფუძე აქვს. გვაქვს ქართული გვარი ჯახია და ოსური ჯახიევი.

საქართველოში მცხოვრებ ოსებს შორის ფიქსირებული გვაქვს სახელი „გაჩა“. სახელი „გაჩი“ ბოლო დრომდე გავრცელებული იყო სამეგრელოში. სახელი „გაჩიოს“, ერქვა ქართველთა ლეგენდარლი წინაპრის ქართლოსის ხუთი ვაჟიდან ერთ-ერთს. „ქც“-ში ვკითხულობთ: „ხოლო შვილთაშორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორეს გარდაბოს, მესამესა

კახოს, მეოთხეს კუხოს, მეხუთესა გაჩიოს“.²⁷¹ ამ ფუძესახელზე გვაქვს ქართული გვარი „გაჩავა“. 1798 წლის ერთ-ერთ საისტორიო საბუთში შიდა ქართლის მთიანეთში დასახელებულია ოსი კუტი სლანაშვილი.²⁷² ვფიქრობთ, არავისათვის ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ „კუტი“ ქართული სახელია, რაც ადამიანის განსაკუთრებით ფიზიკურ მდგომარეობას ასახავს. მეტსახელი „კუტი“ ბოლო დრომდე სამეგრელოშიც იყო გავრცელებული.²⁷³ ვინმე „კუტა ადამია“ ნახსენებია XVII საუკუნის „მათხოჯის დავთარში“.²⁷⁴ 1821 წ. გარე კახეთის სოფ. პატარძეულის აღწერაში შეტანილია „კუტა ონაშვილი“.²⁷⁵ ეს სახელი უდევს საფუძვლად ქართულ გვარებს „კუტალია“-ს და „კუტივაძე“-ს. XVIII საუკუნის ერთ საბუთში პატარა ლიახვის ხეობის მთიან ნაწილში (ჭვრივში) დასახელებულია ოსი „თორიაშვილის“ გვარი.²⁷⁶ შდრ. ქართული გვარი „თორია“ და ტოპონიმი „თორი“ ბორჯომის ხეობაში. დვალეთის ოსთა შორის გავრცელებული სახელი იყო, აგრეთვე, „ახლაუ“ (იგივე „ახალა“), „ბატა“, „ტური“, „ბოხი“ („ბახი“-ს სახენაცვალის ფორმა) – შდრ. ქართული გვარი „ბოხუა“, „მაცი“, „ბძი“ (იგივე „ბიძია“), „ხელა“, „ცინკა“ (იგივე „ჭინკა“), „შონა“ (შდრ. გვარი „შონავა“ და „შონია“). მეგრულად „შონ“ „სვანს“ აღნიშნავს. კიდევ შეიძლება დავასახელოთ სახელები: „ბუზალა“ (ასეთი სახელი ამონერილი გვაქვს სოფ. გუფთის აღწერიდან) – შდრ. ქართული გვარი „ბუზალაძე“, „ბარცვა“ (შდრ. გვარი „ბორცვაძე“). არის ოსური გვარი „მალიევი“ და ქართული „მალია“

²⁷¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8.

²⁷² История Осетии в документах и материалах, составители: Г. Тогошвили и И. Цховребов, Цхинвали, 1962, с. 191; სცსსა ფ. 1448, საბ. 9738.

²⁷³ ა. ლლონტი. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 150.

²⁷⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 438.

²⁷⁵ სცსსა, ფ. 254, ნ. I, საქ. 687.

²⁷⁶ История Осетии в документах и материалах, составители: Г. Тогошвили и И. Цховребов, Цхинвали, 1962, с. 241.

და „მალასიძე“; „გეგეივი“ და „გეგია“: „კუჩიევი“ და „კუჭავა“. გვაქვს კიდევ ოსური გვარები „ეფხიევი“ (ნარაში), რომლებსაც (ეფხიაშვილებს) ქართველ მეფეთა მიერ აზნაურის ნოდება ჰქონდათ მიანიჭებული; „კოპაევი“ და „ზანაევი“.

XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში შიდა ქართლის მთაში მცხოვრებ ოსთა შორის შემდეგი ქართული სახელები იყო გავრცელებული: *კაკალა, ძაღლუა, აბაში, ჩინო, ზაზა, ახლაუ, ლეკვი, გელი, თავვი, ბუჩი, ჩიტო, ბედა, სიხარულა, ლომი, რუხი, უჩი/ა*. ეთნიკურ ოსებს ეს სახელები კი უდავოდ ადგილობრივი ქართველი მთიელებისაგან, პირველყოვლისა კი დვალებისაგან ჰქონდათ შეთვისებული.

ეთნოლოგი ბ. კალოევი დვალეთში თავისი გვარის – ქალოშვილის (შთამომავალნი არიან იმერეთიდან გატაცებული თავადის ქალის წერეთლისა, რომელიც მოთარეშე ოსებს არ გაუსხვისებიათ და მის შვილს ქალოშვილის (რუსული ვარიანტით – კალოევის) გვარი მიაკუთვნეს) წარმოქმნას 10 თაობის წინ მიუთითებს და ჩამოთვლის ყველა წინაპრის სახელს. ამ სახელებს შორის ის მხოლოდ ყაბარდოული სუფიქსის მქონე პიროვნულ სახელებზე (*Тансыхо, Мацыхо*) ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ ქართულ სახელებზე, რომელსაც მისი წინაპრები ატარებდნენ (*ბერო, ძაღლო*),²⁷⁷ არავითარ კომენტარს არ აკეთებს.

1774 წლის აღწერით თერგის ხეობის სოფელ მნაში (აგრეთვე სიონში) *ბაბეურების* გვარის 7 კომლი ცხოვრობდა, რომლებიც თავის დროზე დვალეთიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. როგორც ჩანს, ბაბეურები დვალეთიდან მთის რაჭაშიც

²⁷⁷ Б. А. Калоев. Осетинские Историко-этнографические этюды, М. 1999, с. 266.

იყვნენ გადმოსახლებული, რასაც ადასტურებს დვალეთის მოსაზღვრე ნასოფლარ ბუბაში ტოპონიმი ბაბეური²⁷⁸.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები, რა თქმა უნდა, არასრულია, თუმცა ბევრის მეტყველი, რაც საყურადღებო დასკვნის საშუალებას იძლევა. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველა სახელისა და გვარის ფუძე თავისი წარმომავლობით ქართულ-ქართველურია. მაგრამ ფაქტია, რომ უმეტესობა ქართველურია, რომლებიც ბოლო დრომდე ყოფაში იყო შემორჩენილი, უმეტესად დასავლეთ საქართველოში. ისინი პარალელურად იხმარებოდა კანონიზებულ ქრისტიანულ ქართულ სახელებთან ერთად. ბევრმა მათგანმა აღმოსავლეთ საქართველოში შემოინახა თავი მეტსახელების სახით. პიროვნული სახელების ერთი ეთნოსიდან მეორეში ასეთი რაოდენობით სესხების გზით გავრცელება წარმოუდგენელია. რჩება ერთადერთი გზა. დვალეთში მიგრირებულმა ოსებმა ეს საკუთარი სახელები შეითვისეს დამხვდური დვალთა ეთნოგრაფიული ჯგუფისაგან. მართალია, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში დვალეებმა დაკარგეს თავისი ეთნოსისათვის მახასიათებელი ბევრი ნიშან-თვისება, ფაქტობრივად, ისინი გაოსდნენ, მაგრამ გაოსებულმა დვალეებმა შეინარჩუნეს და მამიდან შვილზე გადასცეს საკუთარი სახელების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც აქ მიგრირებულმა ოსებმაც შეითვისეს. ზემოთ მოყვანილმა მონაცემებმა 1997 წელს დაბეჭდილ წიგნში იმ დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცა, რომ დვალეები ქართველთა ერთ-ერთი ლოკალურ-ტერიტორიული ერთეული იყო, რომლებსაც უფრო მეტ სიახლოვე ზანებთან გააჩნდათ. თუმცა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დვალეები ზანების უშუალო და პირდაპირ ასლს წარმოადგენდნენ. დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ფიქსირებული რამდენიმე

²⁷⁸ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003, გვ. 25.

ტოპონიმი სვანური ენის საშუალებით იხსნება. დღეს ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები უფრო იმ დასკვნის საფუძველს გვაძლევს, რომ დვალეთის ტერიტორია დასავლურ და აღმოსავლურ ქართულ ერთობათა განსახლების არეალად მივიჩნიოთ და მათი დიალექტი აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების ჯგუფის შემადგენელ ნაწილად განვიხილოთ.

სხვათა შორის, ოსურისა და მეგრულ-სვანურის კონტაქტებისა და ურთიერთგავლენის შესახებ შენიშნული აქვთ ენათმეცნიერებს, კერძოდ, ვ. აბაევს. მას მეგრულისა და აღმოსავლურის ასეთი კონტაქტების ხანად მიაჩნდა XIV საუკუნემდე პერიოდი.²⁷⁹ ბ. კალოევის სიტყვებით, ოსურისა და სვანურის ურთიერთგავლენა ვ. აბაევს შეუნიშნავს სვანეთში 1944 წელს მოგზაურობის დროს.²⁸⁰ ორივე მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ ოსებმა სვანებისაგან შეითვისეს კავკასიური ოცობით თვლაო. ჩვენი აზრით, ქართველური ენებისა და ოსური ენის ურთიერთკონტაქტები და ქართველური ენების გავლენა ოსურ ენაზე დვალეთში უნდა მომხდარიყო და არა საქართველოს სხვა რომელიმე რეგიონში (მაგალითად, კოდორის ხეობაში), როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს და არა XIV საუკუნემდე პერიოდში. პირიქით, ეს გავლენა XVI საუკუნის შემდეგ პერიოდში მოხდა, როცა ოსური ტომისანი დვალეთში შემოსახლდნენ. ცენტრალური კავკასიონის ამ ქართველურ რეგიონში (დვალეთში) შემოსულმა ოსურმა ეთნიკურმა ელემენტმა ბევრი რამ შეითვისა დვალთა მეტყველებიდან. დვალებს მნიშვნელოვანი კონტაქტები ჰქონოდათ სვანურ მეტყველებასთანაც მთიანი რაჭის მეშვეობით. მთიანი რაჭა კი, როგორც ცნობილია, XV საუკუნემდე სვანებით იყო დასახლებული. გლოლა-ჭიორა-ღები კი უშუალოდ და-

²⁷⁹ В. Абаев. Осетинский язык и фольклор, М., 1949, с. 323-330.

²⁸⁰ Б. А. Калоев. Осетинские Историко-этнографические этюды, М. 1999, с. 29.

კავშირებულია დვალეთის ჟღელეს ხეობასთან. ასეთი კონტაქტები მთიან რაჭას დიგორთანაც ჰქონდა. ბუნებრივია, გეოგრაფიული სიახლოვე საქართველოს ამ მთიანი მხარეების მოსახლეობის ურთიერთშეღწევასაც უწყობდა ხელს.

ქართველური ენების, ქართული კულტურულ-ენობრივი სამყაროს კონტაქტები და გავლენა ოსურზე სხვა მხრივაც ჩანს. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ისტორიული დვალეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების (რომლებიც აქ დვალეთის გზით იყვნენ მოსული) გვართა ფორმატები ქართულია. დვალეთში ხეთაგურების წინაპრის გადმოსახლება მოხდა ყაზარდოდან XIV-XV საუკუნის მიჯნაზე.²⁸¹ აქ მოსული ხეთაგის შთამომავალნი გვარს იფორმებენ საქართველოს მთისათვის დამახასიათებელი -ურ სუფიქსით. ამ შემთხვევაში შორიდან ქართულ გავლენაზე ლაპარაკი გაუმართლებელია. გვარი ქართველ მთიელთა გვარებისათვის დამახასიათებელ -ურ სუფიქსით იმიტომ გაფორმდა, რომ გადმოსახლება მოხდა დვალეთში, ქართულ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში. ამკარაა, რომ *ხეთაგის* გადმოსახლებისა და ხეთაგურის გვარის წარმოქმნის დროს დვალეთში კვლავ იყო ადგილობრივი ქართველური (დვალური) მოსახლეობა. ზემოთ ჩვენ -ურ სუფიქსიანი რამდენიმე დვალური წარმოშობის ოსური გვარი დავასახელებთ. შეიძლება გავიხსენოთ: *ბაგაური, ბელელური, გერგაული, თვაური...* -ძე-ზე დაბოლოვებული გვარებიდან *მელაძე, ელბაქიძე...* მიიჩნევენ, რომ ოსური გვარების მანარმოებელი სუფიქსია „-თ“, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სუფიქსი ოსებს ქართველთაგან აქვთ შეთვისებული. ქართულ ლინგვისტურ და საისტორიო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ქართული გვარების ყველაზე უძველესი მანარმოებელი არის ეს სუფიქსი. ძველ ქართულ საისტორიო საბუთებში -თ სუფიქსიანი გვარების

²⁸¹ Коста Хетагуров. Собрание сочинений, том второй, М., 1974, с.232-234.

შესახებ მიუთითეს მ. ბროსემ, ს. ჯანაშიამ და ვ. თოფურიაშვილმა. აქ დავასახელებ პროფ. ვარლამ დონდუას ნაშრომს²⁸². „ტბეთის სულთა მატიანეში“ „-თ“ სუფიქსით ნაწარმოები არაერთი გვარი გვხვდება: *ბედინათი, ბეჩიეთი, ბრევაეთი, გათენიეთი, დოლიეთი, თავხელეთი, მორჩიეთი, ტურიეთი, ცხადიეთი...* „-თ“ სუფიქსით გვარების წარმოება საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში დღესაცაა შემორჩენილი ოფიციალური – „შვილი“ სუფიქსის ნაცვლად. მაგალითად, ხევში ნაცვლად ქუშაშვილისა, ქავთარაშვილისა, ჯამარჯიშვილისა, ბულაშვილისა იტყვიან: *ქუშეთი, ქავთარეთი, ჯამარჯეთი, ბულეთი...* სამცხე-ჯავახეთში ოფიციალური თამარაშვილის ნაცვლად ხალხურ მეტყველებაში ხმარობენ *თამარათს*, გოზალიშვილის ნაცვლად – *გოზალეთი*. 1886 წ. საოჯახო სიებში ქ. ახალციხეში პეტრეშვილები ჩანერილი არიან -თ სუფიქსით (პეტრეთი), გულიჯანაშვილები – გულიჯანათად. ფშაველი ფეტვიაშვილის, ტვირთაშვილის, ფოთოლაშვილის ნაცვლად იტყვის: *ფეტვიათი, ტვირთათი, ფოთოლათი*. ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობის კვალი საკმაოდ ღრმად მიდის.

„-თ“ სუფიქსის (ოსური გვარების ამ ფორმანტის) არაოსურების შესახებ თვით ოსი ავტორები უთითებენ. ზ. ვანეევის გამოკვლევით აღნიშნული სუფიქსი ოსურ გვარებში შედარებით ახალია. უფრო ადრინდელ სუფიქსებად მას მიაჩნია -ონ, -ან, -ენ ფორმატები. ის წერს: «Сохранилась и древняя форма окончания родового имени -он, -ан, -ен, которая поныне употребляется в отношении женщин (Хубул оы, Цху’ рбиан, Гаглуен)».²⁸³ ზ. ვანეევი აგრძელებს: «В прежние времена это родовое название с окончанием он, ан, ен несомненно было

²⁸² ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი, თბ., 1967, გვ. 101-140.

²⁸³ З. Н. Ванеев. Из истории родового быта в Юго-Осетии, Тб., 1955, с. 51.

общим для мужчин и женщин, о чем свидетельствуют древние родовые названия – Сидамон, Царезон, Кусагон и др.».²⁸⁴

გვარების მანარმოებელი ეს სუფიქსებიც (-ონ, -ან, -ენ) ოსებს ქართველური სამყაროდან ჰქონდათ შეთვისებული, უფრო სწორედ, დვალეებისაგან შეთვისებული. აღნიშნული სუფიქსები ხომ წამყვანი სუფიქსები იყო დასავლურ ქართული ენობრივი (სვანური, მეგრული) სამყაროსათვის. სვანური და მეგრული გვარების აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ამ ფორმატებითაა ნანარმოები.

დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთშიც ტოპონიმების გარკვეული ნაწილი დასავლურ ქართულია. ისინი ქართველური ენების (მეგრულ და სვანურ მეტყველებათა) საშუალებით იხსნებიან. აქ მხოლოდ ამ ტოპონიმების ნაწილს ჩამოვთვლით (უფრო დანვრილებით კი ტოპონიმების ანალიზი მომდევნო თავშია წარმოდგენილი): „ხალანა“ (მთა) – შდრ. სოფლის სახელი „ხალანანი“ კახეთში, პანკისის ხეობაში: კამჩხუ, ცაგრითში, ქურთა, ხერხეტა, ჭინათი, რეგხი, ლია, ეცნა, ცესი (წესი?), ტობორზა, საგოლი, მალალა, ფურიათი, გორი, ქალაქა. დიდი ლიახვის ზემო წელში: ტაბათ-კარი, მთა ბრუტ-საბძელი, თხელა, დოდონასთან (დოდონას მთა?), კოშკა, მზივი, ნიფრანი (ოსურად ჩიფრანი), საზალეთი (საძალლეთი?), ჭვრივი, მეგუთი, წაკულთა (1766 წ. საბუთით ჯავის ხეობის ამ სოფელში მხოლოდ ერთი კომლი ოსი ცხოვრობდა).²⁸⁵ წაკულთა ოდესღაც წაკუაძეების სამოსახლო სოფელი იყო, რომლებიც XVI საუკუნეში შიდა ქართლის სოფ. ალში ჩანან გადასახლებულნი. აზნაურები „წაკვაძე იოთამ და წაკვაძე ნიკოლოზ“ 1715 წელს აბისში ცხოვრობდნენ), მსხლები, ბუზალა, საკირე, დიდი გუფთა, ხიხათა, გორმალალა, ნაკრეფა (კვაისასთან), შეუბანი, შუაჭალა, არაშენდა, ზამთარეთი. სხლებში ადგილს

²⁸⁴ იქვე, გვ. 15.

²⁸⁵ ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 524.

ერქვა „ხაჭაპური“. სვანურად იხსნება ქსნის ხეობის სათავის, რეგიონის „ჟამურის“ სახელწოდება. სვანეთში, მულახის თემში, გვაქვს ტოპონიმი „ჟამუში“. სვანური მეტყველებით იხსნება თრუსოს სოფ. გიმარას სახელწოდებაც. „გიმ“ სვანურად მიწას ნიშნავს („სგიმ“ კი მჟავე ნყალს). -არ კი ქართველური ენებისათვის მახასიათებელი სუფიქსია.²⁸⁶

შეიძლება კიდევ დავასახელოთ (დიდი ლიახვის ხეობაში): გუფთა, ანდისი, ტონტობეთი, საჩირე, ბორჯენისი, თლი, სბა, რაც იგივე ვახუშტისეული ჟბაა (ბჟის ხევი). ოსურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოში, მოგვიანო პერიოდში ჟბა-მ ფონეტიკურად სახე იცვალა და მივიღეთ სბა. როგორც ჯ. გვასალიამ სამართლიანად შენიშნა „ჟბა“ ანუ „ბჟა“ მეგრულად მზეს ნიშნავს. ჯ. გვასალიასავე სამართლიანი დაკვირვებით მეგრული ენით აიხსნება ტოპონიმი „ჯავა“. „ჯა“ მეგრულად ხეს ნიშნავს, ხოლო -ვა სუფიქსია.²⁸⁷ პატარა ლიახვის ხეობიდან დავასახელებთ შამბიეთს, შულაურს, ვანურს, გნასურს, ლაჭაურს, საკანაფს, ჩაბარუხუხს, სამციხრს, დიდახოს, ზონკარს.

ერთგვარი გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს ჩვენს მთიანეთში რიგმა ვაინახურმა ტოპონიმებმა. ჩვენი აზრით, ისინი წარმოქმნილია მათი მიგრაციის შედეგად. ცნობილია, რომ ფარნავაზ მეფის მემკვიდრე ქართლის მეფე საურმაგი ტახტს დურძუკთა საშუალებით დაეუფლა, კავკასიონთა ტომის ნახევარი გადმოიყვანა, ზოგნი მათგანი „წარჩინებულ ყვნა“, სხვები კი დაასახლა მთიანეთში – დიდოეთიდან მოყოლებული სვანეთამდე (ეგრისამდე): „მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანა იგინი ყოველთა კავკასიის ნახევარნი, და რომელნი მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, და

²⁸⁶ Н. Марр. Извлечение из сванско-русского словаря, Петроград, 1922.

²⁸⁷ ჯ. გვასალია. „ახალგაზრდა ივერიელი“, 9, 14, 1991.

ესენი დაიპყრა მოსანდომებლად თქსად, დედულნი“.²⁸⁸ აშკარაა, რომ ვაინახებიც, ქართველ მთიელთა შორის, მეფე საურმაგის დროს, საქართველოს მთელ მთიანეთში განსახლებულან, მათ შორის, რა თქმა უნდა, დვალეთშიც, ისინი შეჭრილი იყვნენ ქართველ მთიელებში და დროთა განმავლობაში შეერივნენ კიდევაც მათ. თავისთავად ცხადია, ქართველმა მთიელებმა (წანარებმა, თუშებმა, ფხოველებმა, დვალეებმა), დროთა განმავლობაში, საქართველოს მთიანეთში შემოსული დურძუკების ასიმილაცია მოახდინეს. საერთოდ ხაზგასმნით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაინახების ინფილტრაცია, ქართულ სინამდვილეში, მთელი ფეოდალური ეპოქის მანძილზე მიმდინარეობდა. მათი გაჟონვითი შემოსახლების არაერთი ფაქტი გვაქვს ფიქსირებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, ხევი). ეს პროცესი ხან ჯგუფური გადმოსახლების ფორმასაც იღებდა, რის მაგალითადაც შეიძლება დავასახელოთ ვაინახების დასახლება პანკისის ხეობაში XIX საუკუნის შუა ხანებში.

ვ. აბაევის გამოკვლევებით „თუალ“-ს (იგივე „დვალს“) არაფერი აქვს საერთო ოსურ (და ირანულ) ენობრივ სამყაროსთან და ის წარმოადგენს ძველ, ადგილობრივ ეთნიკურ სახელწოდებას.²⁸⁹ იგივე შეიძლება ითქვას სხვა ოსური ტომების სახელწოდებებზე – „ირ“, „დიგორ“, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ოსები არამარტო დვალეთში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ოსურ რეგიონებშიც მოსული არიან. მოსულმა ოსურმა ტომებმა შეითვისეს არამარტო დვალთა (თუალთა) ადგილობრივი სახელწოდება, არამედ დიგორელი და ირელი ტომებისაც.

ცნობილია, რომ დვალეთში მცხოვრები ოსები თავიანთ თავს „თუალ“-ს უწოდებდნენ. მიგვაჩნია, რომ დვალეების

²⁸⁸ ქართლის ცხოვრება. I, გვ. 27.

²⁸⁹ В. Абаев. Осетинский язык и фольклор, М., 1949, с. 363.

თვითსახელწოდებაც „თუალ“-ი იყო. აღნიშნულის დამადასტურებელი უნდა იყოს ანტიკურ ავტორთა თხზულებები. მაგალითად, პლინიუსი მათ უწოდებდა “Thalos”-ს. „დვალი“ „თუალის“ ლიტერატურული ქართული ფორმა უნდა იყოს. რატომ უნდა დარქმეოდა საქართველოს ამ უძველეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს თ უ ა ლ ი // თ უ ა ლ ე თ ი? იმიტომ, რომ ის კავკასიის ცენტრში მდებარეობდა. სხვათა შორის, ანალოგიური სახელწოდება საქართველოში სხვაგანაც გვქონდა — საგარეჯოს ადრე **თუალი** ერქვა.

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ძირითადი ოსური გვარები დვალეთში XVI საუკუნეში არიან მოსული, თუმცა საისტორიო საბუთებით ამკარაა, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარშიც დვალეთში ქართველები (ქართული გვარისანი) მკვიდრობდნენ. 1636 წლის ერთ საბუთში დვალეთის მკვიდრებად დასახელებული არიან ჩანთაძე და თეგაძე. საბუთი, რომელიც სცსსა-შია²⁹⁰ დაცული, რუსულადაა დაბეჭდილი და ჩვენც აქედან მოვიტანთ ნაწყვეტს: «Эту дарственную грамоту милостиво дали мы, царь, патрон Ростом тебе Чантадзе Хуци и Тегадзе Георию из Двалети, братьям и детям вашим, в то время, когда... послали и привели Кара Махмадашвили и тринадцать знатных человек, мы за это милостиво наградили и навсегда освободили вас от кодиспури...».²⁹¹ ორივე დასახელებულ გვარს საფუძვლად ქართველური სახელები უდევს. მამაკაცის სახელი „თეგი“ გვხვდება „სვანეთის კრების მატიანეში“.²⁹² რაც შეეხება „ჩანთა“-ს ის ბოლო დრომდე მეტსახელად

²⁹⁰ სცსსა, ფ. 1418, საბ. 1492.

²⁹¹ История Осетии в документах и материалах, составители: Г. Тогошвили и И. Цховребов, Цхинвали, 1962, с. 103.

²⁹² პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. 2, თბ., 1941, გვ. 127.

დადასტურებულია გურიასა და სამეგრელოში.²⁹³ დვალეთი-დან თეგაძეები გვიან ქართლსა და კახეთში განსახლებულან. აქ ისინი არაერთგზის იხსენიებიან XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში.²⁹⁴

კიდევ ერთი ფაქტის შესახებ: დვალეთი ქართველთა განსახლების არეალი რომ იყო XII საუკუნეში ამის დამადასტურებელი სხვა მასალაც არსებობს. ექვთიმე თაყაიშვილთან ასეთ ცნობას ვხვდებით: „ჭარხალაძე მოხსენიებულია ცნობილს ნარას ეკლესიის წარწერაში, ოსეთში. ხატი მე-12 საუკუნდა იყოს“.²⁹⁵

²⁹³ ა. ლლონტი. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 223.

²⁹⁴ სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. 227.

²⁹⁵ ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 294.

VII. ტოპონიმები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ

დვალეთსა და დვალეებზე როდესაც ვსაუბრობთ, სამწუხაროდ, ეს საუბარი წარსულ დროში გვიხდება, რადგან დვალეთი დღეს საქართველოს ფარგლებს გარეთაა და დვალთა ეთნოგრაფიული ჯგუფიც აქ აღარ მკვიდრობს. ისინი გაქრნენ. ვახუშტის ცნობით, დვალეთი ფარნავაზ მეფის დროიდან (ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნა) საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყო.²⁹⁶ ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეები, დვალეთიც უშუალოდ სამეფო კარის დაქვემდებარებაში იყო, აქ ფეოდალური ერთეული – სათავადო არ შექმნილა (ასევე იყო მეზობელ მთის მხარეებში: ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში...). მთიელებს, საერთოდ, შედარებით თავისუფლება ჰქონდათ ბოძებული, მათი მოვალეობა ძირითადად საზღვრების დაცვა იყო. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, დვალეთი ქართლის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო. მხარეს მეფეთა მიერ დანიშნული მოხელეები – მოურავები განაგებდნენ. ცნობილ პიროვნებათაგან დვალეთის მოურავი XVII საუკუნის დასაწყისში იყო გიორგი სააკაძე.

დვალეები რომ ეთნიკური ქართველები იყვნენ ამის დამადასტურებელ სხვადასხვა მონაცემებს ზემოთ შევვხებით. ამჯერად კი ტოპონიმებზე შევჩერდებით. საბედნიეროდ ჩრდი-

²⁹⁶ ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 633.

ლოეთ ოსეთის ტოპონიმია სრულყოფილადაა შესწავლილი.²⁹⁷ ა. ცაგაევას მიერ შესწავლილი ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმების პირველი ტომი გამოკვლევას წარმოადგენს, მეორე – ალწერილობას. ამავე დროს, ისინი კლასიფიცირებულია ტერიტორიული პრინციპით; ცალ-ცალკეა წარმოდგენილი დიგორის, თაგაურის, ქურთაულის, ალაგირის ხეობების ტოპონიმები. ცალკეა დვალეთის ტოპონიმიაც. დვალეთის ტოპონიმების დიდი ნაწილი ა. ცაგაევას აუხსნელ ტოპონიმებად მიაჩნია. ცალკეა გამოყოფილი კავკასიური წარმომავლობის ტოპონიმები. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიური ფენის ტოპონიმების ქვეთავში ძირითადად ქართულძირიანი ტოპონიმებია ჩამოთვლილი. ამას ავტორი ვერ გაურბის, ოღონდ მისთვის მთავარია ქვესათაურში „ქართული“ არ ფიგურირებდეს. ამასთანავე აუხსნელ ტოპონიმებშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით დაიძებნება ქართული ტოპონიმები. ქვემოთ მხოლოდ იმ ტოპონიმებს შევეხებით, რომლებიც გამჭვირვალე ეტიმოლოგიისანი არიან და რომელთა საფუძველს ქართული სიტყვები წარმოადგენს.

1. დვალეთში დადასტურებულია ტოპონიმი **უსწონა**. ადგილის სახელის ძირია „წონა“. მას ანალოგი („წონა“) საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – რაჭაში მოეპოვება. შიდა ქართლში არის ამავე სახელწოდების მდინარეც. დვალეთში არსებობს აგრეთვე ტოპონიმი „ზენწონა“, რომელიც ორი სიტყვის შეერთების შედეგადაა მიღებული: „ზენა“+“წონა“, ე. ი. ზედა წონა. ანალოგიური წარმოების ადგილის სახელები საქართველოში ერთი და ორი როდი გვაქვს, მაგა-

²⁹⁷ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 1, Орджоникидзе, 1971; Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, Орджоникидзе 1975.

ლითად, „ზენამხარი“, „ზენდუშეთი“, „ზენადრისი“, „ზენდიდი“, „ზენდობე“, „ზენობანი“, „ზენი“ და მრავალი სხვა.

2. **ზენწინა კომ.** პირველი კომპონენტი – „ზენწინა“ ქართულია, მეორე – ოსური, რაც ზენწინას ხეობას ნიშნავს. ეს პატარა ხეობა სოფელ ზახას მიდამოებშია. „ზენწინა“ ორი ქართული სიტყვის შეერთების შედეგადაა მიღებული. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ „ზენ“ ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულია და ის ზედას, ზემოს ნიშნავს, ზენწინა კი – ზედა მხარის წინა მონაკვეთს.

3. **გულამუზი** – საძოვრის სახლწოდება სოფელ ტიბში (ქართული წყაროების თებე). აუხსნელ ტოპონიმთა შორისაა მოხსენიებული. ადგილის სახელში აშკარად გამოიყოფა გულწინსართი. გულწინსართიანი ტოპონიმები საქართველოში ბევრია: გულგულა, გულეული, გულსუნდა. „გული“ – «сердце», დასახლებული პუნქტის ან რაიმეს შუა, ცენტრალური ნაწილი (середина). სვანურ მეტყველებაში „გუალ“ არის ბოსელი, გომური.

4. **ზლესი ძუარ** – სოფელ ქალაქას ჩრდილო-აღმოსავლეთით მალალ მთაზე მოთავსებული სალოცავი. ეკლესია ნაწილობრივ დანგრეულია: «На трехдлиных камнях восточной стены святилища (на фасаде) имеются какие-то письма». «Четвертый же камень с письменами лежит на земле».²⁹⁸ ავტორი შეგნებულად არ ასახელებს, რომ ეს წარწერები ქართულ ენაზეა შესრულებული. „ზლესი ძუარ“, რა თქმა უნდა, ქართული „ძლევის ჯვარი“-ა. ამ სახელწოდებით სალოცავები შიდა ქართლში რამდენიმეა.

5. **ბერაუ** – სოფელ თებეს ერთ-ერთი საძოვრის სახელწოდება. ტოპონიმი მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან: ბერა. დვალეთშივე, გურკუმთის ხეობაში, დადას-

²⁹⁸ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с.281.

ტურებულია ადგილის სახელი – „ბერიტი ყად“.²⁹⁹ ა. ცაგაევა თარგმნის ბერიტების (ბერიეცების) ტყედ. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი საგვარეულო სახელი ოსურ ონომასტიკაში საერთოდ არ დასტურდება.³⁰⁰ ბუნებრივია, ამ ტოპონიმში დვალთა საგვარეულო სახელია აღნიშნული. შუა საუკუნეების საქართველოში პიროვნული სახელი „ბერი“ ყველაზე გავრცელებული სახელი იყო.

6. გაკური – მდელის სახელი სოფლებს კამცხოსა და ლისრს შორის. ტოპონიმი ქართული -ურ სუფიქსითაა ნაწარმოები. -ურ სუფიქსიანი ტოპონიმები საქართველოში ბევრი იყო და, ჩვეულებრივ, ადგილის პირველი მფლობელის სახელს დაერთვოდა ხოლმე. ის გაკის კუთვნილ ადგილს ნიშნავს.

7. გომგათი – სოფელ ზრამაგაში საძოვრის, ხეობისა და მთის სახელწოდება.³⁰¹ საქართველოში პირველი კომპონენტით გომ- რამდენიმე ტოპონიმი გვაქვს; გომ+ბორი, გომ+არეთი, გომ+ენარი, გომი+ჯვარი, გომი. უფრო ლოგიკურია ეს ტოპონიმი აიხსნას როგორც გომგაძეების/გონგაძეების კუთვნილი ადგილი.

8. ნუხკოთა – დვალეთის სოფელ ზღილის (ქართული წყაროების ჟღელეს) სახვნელის სახელწოდება. ტოპონიმი ორი კომპონენტისაგან შედგება: ნუხ+კოთა. „ნუხ“ მუხის ფონეტიკური ვარიანტია. სახნავი მუხიანი ტყის ახოს ალების შედეგადაა წარმოქმნილი. ანალოგიური ტოპონიმი დვალეთში, ოლონდ „მუხკოტას“ სახელწოდებით სხვადაა.³⁰² „მუხ“ სიტყვის შემცველი ტოპონიმები დვალეთში ბევრია, მაგალითად, ვარცეს ხეობაში წყაროს სახელწოდებაა „მუხიზგომი სუა-

²⁹⁹ იქვე, გვ. 214.

³⁰⁰ Гаглойти З. О. Очерки по этнографии осетин. I, Общественный быт осетин в XIX в. Тб., 1974, стр. 135-160.

³⁰¹ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 196.

³⁰² იქვე, გვ. 249.

დონ“.³⁰³ ამ ტოპონიმის ქართულობას ა. ცაგაევაც აღნიშნავს და მას ასე განმარტავს: „მუხიანის წყარო“. ეს წყარო და ამავე სახელწოდების სათიბი და საძოვარი ადგილი ყოფილა „მუხიზ“-ში, რომლის ამჟამად ქართულობასაც ავტორი აღნიშნავს: „მუხა“+სუფიქსი „-ის“, ე. ი. „მუხისა“. „მუხიზა/მუხისა“ სოფელ ვარცეს თავზე მდებარე მაღალ ქედზე ყოფილა. ის არის ტყის სახელწოდება.³⁰⁴ „მუხ“- ძირიანი ტოპონიმები დვალეთში ბევრია: „მუხიზგონი“, „მუხკული“.

9. პოტიფაზ – სოფელ ნარას ერთ-ერთი უბნის სახელწოდება,³⁰⁵ რაც პოტის ველს აღნიშნავს. ა. ცაგაევასათვის პირველი კომპონენტი გაურკვეველია. მას უდავოდ ქართულ ტოპონიმთან „ფოთი“ აქვს ანალოგი. შესაძლებელია მისი თავდაპირველი ფორმა „ფროტი“ ყოფილიყო. სვანურ მეტყველებაში „ფროტი“ ფუტურო ხეს აღნიშნავს. ანალოგიური ტოპონიმი დვალეთის მეზობლად, რაჭაშიც არის დადასტურებული – სოფელ ურავში მთასა და ტყეს ქვია „ფოტიეთი“.³⁰⁶

10. ფურიათი – ნასოფლარი სოფელ ზახას დასავლეთით. ამჟამად ქართული ტოპონიმია, როგორც ძირით (ფური – „ზროხა დედალი“ – საბა), ისე სუფიქსით (საქართველოში -ათ სუფიქსიანი არაერთი ტოპონიმი გაგვანჩია).

11. პურსუხა. სოფლებს ლისრსა და ქალაქას შორის საძოვრისა და მდელის სახელწოდება.³⁰⁷ ქართული ტოპონიმია. ის ორი სიტყვისაგან შედგება: „პური“+უფხა“. აღნიშნავს „პურის მარცვალს“, უფხო პურს. ოსურ ენაში ტოპონიმი ფონეტიკურად შეიცვალა და ნაცვლად „პურსუფხისა“ მივიღეთ „პურსუხა“.

³⁰³ იქვე, გვ. 211.

³⁰⁴ იქვე, გვ. 217

³⁰⁵ იქვე, გვ. 284.

³⁰⁶ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, თბ., 2010, გვ. 300.

³⁰⁷ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 250.

12. **პუსი** – მდელოსი და სახვნელის სახელწოდება სოფელ სატათის მახლობლად. წარმოდგენილია, როგორც აუხსნელი ტოპონიმი. ქართული ენის სვანურ მეტყველებაში „პუმ“ ერთგვარი ბალახის სახელია.

13. **რეგახი** – სოფელი სოფელ წარადან აღმოსავლეთით. ქართული ტოპონიმია. საქართველოში ერთი და ორი არაა ტოპონიმი, რომლებიც –ხი სუფიქსით ბოლოვდება. ფუძეს წარმოადგენს საერთოქართველური „რეგუ/რეგვ“, რაც დამტკრევას, დანგრევას, დაცემას აღნიშნავს.³⁰⁸

14. **საგოლი** – სოფელი. ძველ ქართულში „გოლი“ თაფლის ფიჭაა, თაფლის კვერია. სვანურ მეტყველებაში თაფლის (ფიჭის) აღმნიშვნელი სიტყვაა,³⁰⁹ სა- თავსართია.

15. **საიბატი** – ზროგოს ხეობაში ტყის მონაკვეთისა და სათიბი მინდვრის სახელწოდება. თავდაპირველი ფორმა იყო „საბატე“. ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებულ იქნა „საიბატი“.

16. **სამხთოსი/სანხთოსი დუაზ** – ტოპონიმები სოფლებში: თლიში, ქალაქასა და ლისრში.³¹⁰ ა. ცაგაევას ჩანერილი მასალით, სოფელ თლიში **სამხთოს ძუარში** ათინგენის დღეობას – ათინგეობას – აღნიშნავდნენ. „**სამხთოს**“ **ძუარი**“ **რომ ქართული სალოცავი და ტოპონიმია ამაზე მსჯელობა არცაა საჭირო. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ „სამღვთო ჯვრის“ სალოცავზე ათენგენობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ. ნიშანდობლივია, რომ „ათენგენობა“ კავკასიის ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, დვალეთის მოსაზღვრე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში გავრცე-**

³⁰⁸ ჩუხუა მ. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003, გვ. 188.

³⁰⁹ იქვე, გვ. 95.

³¹⁰ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 1, 1971, с. 118; Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, 1975, с. 284.

ლებული დღესასწაული იყო. ასეთ მხარეთა შორის იყო დვალეთიც. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დვალეთში „სანიბას“ სალოცავიც არსებობდა.³¹¹ როგორც ირკვევა, ის მდინარე მამისონდონის (ქართული წყაროების – ჟღელეს ხევის) მარჯვენა ნაპირზე ტყეში მდებარეობს და თუაევების (იგივე თვაურების/თავაურების) გვარის სალოცავი იყო. ამჟამად, რომ „სამხთოს ჯვარი“, ათენგენობა, სანიბა ადგილობრივ ქრისტიან ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის – დვალეების სალოცავი იყო და, როგორც ყოველთვის ხდებოდა, მოსული ოსური ეთნოსის წარმომადგენლები მას ეყმნენ. სალოცავებთან დაკავშირებით კიდევ ერთი მასალა უნდა მოვიხმოთ; დვალეთის ზრამაგას ხეობის სოფელ ბირგთიყაუსთან მდებარეობს ოსთა სალოცავის – რეკომის ნიში.³¹² სალოცავის ეს ნიში ოსურ მოსახლეობას ალაგირის ხეობიდან გადმოუტანია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნიშის გადმომტანები (ეთნიკური ოსები) ალაგირის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. დვალეთში რამდენიმე სოფელში ყოფილა **თარანჯელოსის** (მთავარანგელოზის), **მიქალგაბარის** (მიქელგაბრიელის) სალოცავები. **მიქალგაბარის** სალოცავი ალაგირის ხეობის სოფელ ხოდშიც არსებობდა. ამავე სოფელის მიდამოებში მდელის ერქვა **ხატიონი**. ა. ცაგავეა ამ ტოპონიმს საკუთარ სახელს – *ხატი* – უკავშირებს, რომელიც ქართული ხატიდან (ლვთაება) მომდინარეობსო. მიგვაჩნია, რომ აქ საკუთარი სახელი „ხატი“ არაფერ შუაშია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „ხატიონი“ აღნიშნავდა ამა თუ იმ სალოცავის მლოცველს, ხატის ყმათ, მლოცველს, რომელიც რელიგიურ დღესასწაულზე სალოცავად იყო მისული. ტოპონიმი „ხატიონი“ კი იმ ადგილს შეერქვა, სადაც ხატიონი (ხატის ყმები, მლოცველები) ჩერდებოდნენ. ალაგირის ხეობის ქართულ ტოპონიმთაგან მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლით: **დარვაზ-ი, ჭანჭახი, კაცხა,**

³¹¹ იქვე, გვ. 284.

³¹² იქვე.

ტირფონი, ხოფი, ცხელნახ-ი, წესათა... საერთოდ, დვალეთის მოსაზღვრე ალაგირის ხეობაში ქართული ტოპონიმი ერთი და ორი არაა, რაც უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ აქაც თავის დროზე დვალეები ცხოვრობდნენ.

17. **სამური** – მდელს სახელწოდება სოფელ თებესთან ქართული ტოპონიმია, რომელშიც გამოიყოფა სა- თავსართი: სა-მური. შდრ.: ტოპონიმი „მური“ ლეჩხუმში. გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია აგრეთვე „სანათი“.

18. **დანბადელი** (იგივე „დამბადებელი“) – დვალეთის სოფელ კამცხოს სალოცავის სახელი. ეს ტოპონიმი დვალეთში ქრისტიანობის გავრცელების დამადასტურებელიცაა.

19. **კოჯი კომ** – ჰიდრონიმი ჟღელეს დასავლეთით. პირველი კომპონენტი ქართულია, მეორე – ოსური. „კოჯ“, „კოჟ“ ძირზე საქართველოში არაერთი ტოპონიმი გაგვანჩია; ამ მხრივ „კოჯორის“ დასახელებაც საკმარისია.

20. **დუალდერ-ი** – სათიბი სოფელ ლისრში. მიღებულია ორი სიტყვის შეერთების შედეგად: „დუალ“+“დერ“. „დუალი“ იგივე დვალაია. რაც შეეხება „დერ“-ს ქართული ენის სვანურ შტოზე „სვლას“ ნიშნავს. „დუალდერ“ დვალთა გასასვლელია.

21. **ტიბსლი/ტიბსილი** – დვალეთის ზრამაგას ხეობის სოფელი. ა. ცაგაევას სამართლიანი აღნიშვნით სოფლის სახელწოდებას საფუძვლად აქვს ქართული სიტყვა „ტფილი“. ³¹³

22. **ტიმწინა** – სოფელ თებეს ერთ-ერთი უბნის სახელი. ტოპონიმი ორი კომპონენტისაგან შედგება: „ტიმ“ („ტიბ-“) + „წინა“. ის აღნიშნავს წინა ტიბს, ტიბის წინა უბანს. „ტიმწინა“ ცალკე სოფლის სახელიც ყოფილა, ჰქვია ხეობასაც. ³¹⁴

23. **თლი** – სოფელი მამისონის (ჟღელეს) ხეობის ერთ-ერთ შენაკადზე. ა. ცაგაევამ თავდაპირველად ეს ტოპონიმი აუხსნელ ტოპონიმთა რიცხვში შეიტანა, მაგრამ ბოლოს მა-

³¹³ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 286.

³¹⁴ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 201.

ინც მიიჩნია, რომ ქართული სიტყვისაგან „თლილისაგან“ (გათლილისაგან) მომდინარეობს. ანალოგიური ტოპონიმი შიდა ქართლის მთაშიც არსებობდა.

24. ტეხსა – სოფელ ზახაში მდებარე და საძოვრის სახელწოდება. ტეხ- ძირზე საქართველოში არერთი ტოპონიმი გვაქვს. მდინარე ტეხურის დასახელებაც საკმარისია. „ტეხა“ იგივე მტვრევაა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ტეხვრა“ – დიდი ყინვის აღმნიშვნელია.

25. ლისრი – სოფელი ჟღელეს/მამისონის ხეობაში. XVIII საუკუნის ბოლოს შედგენილ იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში ეს ტოპონიმი „ლესრეს“ ფორმითაა შეტანილი. ლე- თავსართით დასავლეთ საქართველოში მრავალი ტოპონიმი არსებობს.

26. ნაღორა – საძოვრის სახელი სოფელ თებეში. ა. ცაგავევა ტოპონიმს ქართული ენას უკავშირებს, კერძოდ, სიტყვას „გორი“. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ტოპონიმი „ღვართან“ უნდა იყოს დაკავშირებული. შდრ.: „ნა-ღვარ-ევ-ი“.

27. ფრეული – სოფელ ლისრეს მიდამოებში მდებარე სახელწოდება. ა. ცაგავეას ვარაუდით, ტოპონიმის საფუძვლად უნდა ედოს ქართული სიტყვა „თრეული“. საქართველოში ადგილების (განსაკუთრებით, მინდვრების, სახვნელების) სახელწოდებანი ძალიან ხშირად -ურ (-ულ) სუფიქსით იწარმოებოდა და ასეთ ტოპონიმების ფუძეს უმეტეს შემთხვევაში მამაკაცის სახელი წარმოადგენს, იმ მამაკაცისა, ვინც პირველად დაეუფლა, მოხნა ესა თუ ის ადგილი, ვის საკუთრებასაც წარმოადგენდა. ასე რომ, ფუძეში უფრო მამაკაცის სახელი გვაქვს.

28. ხალანა – ხეობისა და მთის სახელი ჟღელეს ხეობაში. ანალოგიური ჟღერადობის ოიკონიმი – „ხალანანი“ საქართველოში გვაქვს კახეთშიც – პანკისის ხეობაში.

29. **ხელი კახირ** – სათიბისა და საძოვრისაკენ მისასვლელი გზის სახელწოდება.³¹⁵ ა. ცაგაევა ამ ტოპონიმს ხსნის როგორც ხელას (პიროვნების) დაკბილულს. სამართლიანად შენიშნავს, რომ „ხელა“ მამაკაცის ქართული სახელია. ბუნებრივია, ოსებში პიროვნული სახელი „ხელა“ არასდროს გავრცელებული არ იყო; ის მხოლოდ ქართული სახელი იყო და ამ სახელის საფუძველზე წარმოქმნილი ტოპონიმი იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ სოფელში ოდესღაც ქართველები ცხოვრობდნენ.

30. **სკორ-ი** – დვალეთის სოფელ სატათის სახენელის სახელწოდება. მიკროტოპონიმი უდავოდ ქართულია. როგორც ჩანს, მინის ამ ნაკვეთს სკორეთი (საქონლის განავლით) აპატივებდნენ. თუმცა ქართულ ენაზე ტოპონიმს სხვაგვარი ახსნაც მოეპოვება. ამ სიტყვით შედგენილი არაერთი ტოპონიმი გვაქვს დვალეთის მეზობელ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – რაჭაში. „სკორო“ ჰქვია მყინვარს ბუბისთავზე. რაჭაშივე, სოფელ ბორცოში დადასტურებულია „ფართო სკორე“, „ღრჯამის სკორე“. რაჭულ დიალექტში „სკორე არის მუდმივი თოვლი, რომელიც არ დნება“.³¹⁶ დვალური ტოპონიმი „სკორ“-ი უფრო რაჭული დიალექტური ლექსიკით უნდა აიხსნას.

31. **ურემისენთა** – საძოვრის სახელწოდება გურკუმთას ხეობაში. ა. ცაგაევას ვარაუდით, ტოპონიმს საფუძვლად უდევს ქართული სიტყვა „ურემი“.

32. **ურსერსერი კულ** – საძოვარი სოფელ თებესთან. „კულ“ ოსურად ფერდობია, ხოლო პირველი კომპონენტი „ურსერსერი“ აუხსნელადაა მიჩნეული. აშკარად გამოიყოფა ქართული სიტყვა „სერი“, რომელიც გაორმაგებული ფორმითაა მოცემული.

³¹⁵ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 287.

³¹⁶ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, თბ., 2010, გვ.

33. **ყორყორა** – ნასოფლარი. ტოპონიმი ქართულია. „ყორე“ უტალახოდ აშენებული კედელია. „ყორ“- ძირზე საქართველოში ადგილის სახელები ბევრგან გვაქვს, მაგალითად, ი. ბატონიშვილი ერნოს სოფლებს შორის მოიხსენიებს „ყორაეთი/ყორათი“. ბევრია ასეთი ტოპონიმი რაჭაში: „ყორიანები“, „ყორის თავი“, „ყორყოლა ველი“, „ყორიანი“...

34. **ყრუ** – სახვნელი სოფელ ლისრთან. ამ ტოპონიმის ქართულობის შესახებ ა. ცაგაევაც მიუთითებს: «название его, очевидно, восходит к груз. хьру «глухой».³¹⁷ იგივე ახსნა შეიძლება მოექცნოს ასევე სახვნელის სახელს სოფელ კამცხოში: „ყრუტ“.

35. **ყურთა** – სოფელ ვარცეს ერთ-ერთი უბანი. ვარცეს მეორე უბანიც ქართულ სახელწოდებას ატარებს: „მაღალა“ («Высокий»). როგორც ყურთაში, ისე მაღალაში ცხოვრობდნენ ქართული წარმომავლობის გოგიჩაშვილები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების დროს გოგიჩაეევადა იქცნენ. გვარსახელს საფუძვლად უდევს ქართული პიროვნული სახელი „გოგიჩა“ (გოგის კნინობითი ფორმა). ტოპონიმს „მაღლა დვალეთს“ XVIII საუკუნის ბოლოს იოანე ბაგრატიონიც³¹⁸ ასახელებს.

36. **ღორღანი** – ზრამაგის ერთ-ერთი ხრამის სახელწოდება. მიკროტოპონიმს საფუძვლად უდევს ქართული სიტყვა „ღორღი“. „ღორღი“ ხომ წვრილი და ნამტვრევი ქვაა. მისი თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო „ღორღიანი“. „ღორღ“ ძირია და -ანი სუფიქსი. ტოპონიმი „ღორღიანი“ საქართველოში ბევრგან გვხვდება, მაგალითად, ხევში.³¹⁹

³¹⁷ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 273.

³¹⁸ ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. თბ., 1986, გვ. 77.

³¹⁹ მ. სანაყოთი. ჩრდილოეთ ოსეთის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ. – ონომასტიკა I, თბ., 1987, გვ. 155.

37. **დაზღალ კომ** – ზახადან სამხრეთ-აღმოსავლეთით მიტოვებული, დაუსახლებელი ხეობა. „დაზღალ“ ორი კომპონენტისაგან შედგება. მეორე ნაწილი აშკარად ქართულია: სალიტერატურო ქართულ სიტყვას „ღელე“ (речка) დასავლეთ საქართველოში შეესატყვისება დიალექტური ფორმა „ღალ“.

38. **ძუარ** – დვალეთსა და, საერთოდ, ჩრდილოეთ ოსეთში ამ სახელწოდებით ბევრი ტოპონიმი გვხვდება, მაგალითად, ჟღელედან ზროგოს მყინვარამდე ხეობას ჰქვია „ძუარ კომ“. ამ ხეობის სათავეში შემორჩენილია უძველესი სალოცავის ნანგრევები, რომლის სახელწოდებაც ოსურმა მოსახლეობამ არ იცის და არც ლოცულობს მას. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ აქ ოსები მიგრირებულნი არიან, ხოლო ადრინდელი მოსახლეობა – ეთნიკური ქართველები ან თარეშების მსხვერპლნი შეიქმნენ ან აქედან საქართველოს სხვა მხარეებში გადასახლდნენ. ოსები დვალეთში რომ მიგრირებულები არიან, ეს კარგად ჩანს ძირითადი ოსური სალოცავის ნიშის არსებობითაც: „რეკომი ადაგი (რეკომის ხრამი, ხრანტი), სადაც არის რეკომის ნიში: «Небольшой овраг с «филиалом» святилища Реком в окрестностях с. Зарамаг».³²⁰

39. **ზიკარი** – ერთ-ერთი გადასასვლელი დვალეთიდან შიდა ქართლში. ეს ქართული წყაროების „ზეკარია“, ე. ი. „ზემო კარი“.

40. **სტირლია** – პატარა მდინარე, რაც დიდ ლიას, ანუ დიდ საფლობს ნიშნავს. ა. ცაგაევაც აღნიშნავს, რომ საძოვარი აქ დაჭაობებულია. მისივე მითითებით: «Слово лйа (В Стыр лйа) объясняется из груз. лиа «топи», «заболоченные участки».³²¹
ლია გურკუმთის ხეობაში სოფელსაც ერქვა.

41. **გლახერტა** – «Пашни в ущелье Гуркумта. В Глехерта имеем груз. глехи «крестьянин» с осет. -т-+а.

³²⁰ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 200.

³²¹ იქვე, გვ. 200.

42. **დედაბერი** – მდელის სახელწოდება მამისონის ხეობაში. «Дедабери», груз. «старуха».³²²

43. **მუხიზი** – ვარცხის ხეობაში ადგილის სახელი. აქვე პატარა წყაროს „მუხიზი სუადონ“-ს უწოდებენ. ა. ცაგავაძე სამართლიანად ტოპონიმს ქართულ მუხიანს, მუხას უკავშირებს.

44. **ნალა** – ჟღელეს სამხრეთით საძოვრის სახელია. «из груз. Чъала – букв. «Прибрежные заросли».³²³

45. **ურთლელი**.³²⁴ ტოპონიმი ქართული ენით იხსნება. ურთხელი («Негной») ოსურში „ურთლელად“ გადავიდა. თუმცა ამ ტოპონიმს შესაძლებელია მეორე ახსნაც მოვუძებნოთ, თუ მის მეორე კომპონენტად -ლელ-ს მივიჩნევთ., მითუმეტეს, რომ არა მხოლოდ ტყის მასივი, არამედ ამ სახელწოდებას ხეობაც ატარებს: „ურთლელი კომ“.

46. **აბანა** – სოფელ ნარას ერთ-ერთი უბნის სახელწოდება. „აბანა“ ქართული აბანოდან მომდინარეობს. ასეთი სახელწოდებით სოფლები საქართველოში რამდენიმე იყო.

47. **გოდორთი ყად** – ვარცხის ხეობაში მდელის სახელწოდება, სადაც წარსულში ტყის ჯიშები – არყის ხე და თხილი გვარობდა, რომლის ლერწმებისაგან გოდრებს წნავდნენ. ტოპონიმში მხოლოდ პირველი ნაწილია ქართული. „გოდორთი ყად“ ნიშნავს «Корзин лес», «Лес для корзин».³²⁵

48. **ძირი ძუარი**³²⁶ – მთავარი სალოცავი. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი „ძირი სალოცავები“ ბევრი გვქონდა. ყველა გვარს აქ თავისი ძირი სალოცავი ჰქონდა.

50. **გორი** – სოფლის სახელი ზრამაგასა და ნარას შორის. ამ ტოპონიმის ქართულობას ა. ცაგავაძე ადასტურებს.

³²² იქვე, გვ. 232.

³²³ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 1, 1971, с. 127.

³²⁴ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 1, с. 127.

³²⁵ იქვე, გვ. 127.

³²⁶ იქვე, გვ. 128.

51. **დითხეუ** – მდელი სოფელ ქალაქასთან. ა. ცაგაევა ამ ტოპონიმს სრულიად სამართლიანად „დიდხევის“ უკავშირებს. დვალეთში სოფელ თიბესთან არის ანალოგიური ტოპონიმი – „დითხეუ რაბინ“.³²⁷

52. **უაჭე** – სოფელი. ტოპონიმი ქართული „ვაკის“ ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს. რეალურად ნასოფლარი ვაკე ადგილზე მდებარეობს.³²⁸

53. **კართი, კართი კომ, კართითა** – პირველი ორი მდელის სახელებია სოფელ ცმისსა და სახსათის ხეობაში, მესამე – «Разваллины Строений в ущелье к западу от с. Зарамаг».³²⁹ ა. ცაგაევა აღნიშნულ ტოპონიმებს ქართულ ენას უკავშირებს: «Къарта «Ворота», букв. «двери», «Вход». Этот же грузинский корен къар/ кара находим в топонимах Сунти къара «Вороньи ворота», Къари хард «Подъем у ворот», Цахаткъар «цахат (?) ворота», Зикъара.³³⁰

54. **ქალაქა** – სოფელი ჟღელეს ხეობაში. «Калак», букв. «город». Селение в Мамисонском ущелье. Название его в грузинском означает «город»³³¹. დვალეთის სოფელ ქალაქას XVIII საუკუნის ბოლოს მიუთითებს ქართლ-კახეთის აღწერაში იოანე ბაგრატიონიც. ტოპონიმი წარმოდგენილია არა ფორმით „ქალაქი“, არამედ – „ქალაქა“. ქართული ენის ნიუანსებიდან გამომდინარე მაკნინებელი „ა“ მიუთითებს იმაზე, რომ ქალაქა ნამდვილი ქალაქი არ იყო, რომ აღნიშნულ მხარეში ის ერთგვარი ქალაქის, სავაჭრო ფუნქციის მქონე იყო, განსაკუთრებით ორი მხარის დვალეთისა და რაჭის სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქციების თვალსაზრისით. საყურადღებოა,

³²⁷ იქვე, გვ. 129; Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 233.

³²⁸ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 1, с. 129; Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 287.

³²⁹ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 281.

³³⁰ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 1, с. 128.

³³¹ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 281.

რომ ანალოგიური ტოპონიმი დადასტურებულია მთის რაჭა-ში: ღებისა და გლოლის ცენტრალურ ნაწილებს, სადაც აღმართულია კოშკი და ციხე-სიმაგრე, **ზედქალაქი** ეწოდება. ანალოგიური ტოპონიმები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში არ დასტურდება. აღნიშნული გარემოება უდავოდ იმის შესახებ მიუთითებს, რომ დვალეთი და მისი მიმდებარე მთის რაჭა შეადგენდა ქართული ეთნიკური სამყაროს ერთ ეთნოგრაფიულ არეალს. მთის რაჭასა და დვალეთში სტუდენტური ექსპედიციის დროს დადასტურდა კიდევ ერთი საერთო ტოპონიმი. მამისონის უღელტეხილამდე (მთის რაჭის მხარეზე) ჭანჭახის ერთ-ერთ შენაკადს ეწოდება *ნეფისწყალი*, ხოლო დვალეთში, მამისონის უღელტეხილის მეორე მხარეს, სოფელ ქალაქამდე პირველ მდინარეს/ხეობას *დედოფლისწყალი/თამარისწყალი* ჰქვია. მოყვანილი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მამისონის ქედის ორივე მხარეზე – მთის რაჭაშიც და დვალეთშიც ერთი ენობრივ-ეთნიკური ერთობის წარმომადგენლები მკვიდრობდნენ და რომ დვალეები ქართველები იყვნენ.

55. ხუცური ფარსტი ხუიმ – სახვნელი ზემო ზარამაგის სიახლოვეს. ტოპონიმში ქართული მხოლოდ მისი პირველი ნაწილია – „ხუცური/ხუცურა“ საქართველოს მთაში მამაკაცის გავრცელებული სახელი იყო (შდრ.: გვარსახელი ხუცურაული ფშავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში). [სოფელი *ხუცური* იყო დვალეთის მეზობელ თრუსოშიც. აქ ხუცური ერქვა შემდეგდროინდელ სოფელ კარატკავს. დასახელებულია 1776 წლის საბუთში. კარატკავისა და ხუცურის იგივეობაზე მიუთითებდა ი. კლაპროტიც.

სავარაუდოდ, თრუსოში ოიკონიმი *ხუცური* დვალეთიდან მიგრაციის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი³³².

56. **ჭეურითა** – საძოვრის სახელი სოფელ თებეში. «Чъеурита «Молотильные камни». «Название молотильного камня заимствовано из груз. где къеври «Молотильная доска»³³³. ცნობილია, რომ ქართული „კ“ და „ქ“ ოსურში „ჭ“-დ გადადის.

57. **ტოპორზა** – სოფელი დვალეთში ქვემო ზრამაგას მოპირდაპირე მხარეს (ამ სოფელში ბიგ-ულ-ოვები მკვიდრობდნენ. მას თუ რუსულ სუფიქსს ჩამოვაცლით დაგვრჩება -ურ (-ულ) სუფიქსიანი ქართული გარსახელი ბიგული). ტოპონიმის გულუბრყვილო ახსნა აქვს მოცემული ვ. აბაევს. სახელწოდება „ტოპორზა“ უნგრულად თურმე ცეკვას («пляска») ნიშნავს. ზემოხსენებული მეცნიერის აზრით, ის ნასესხებია ალანების მიერ უნგრელებისაგან და შემოტანილია ცენტრალური ოსეთის (ასე უწოდებენ ახლა ოსები დვალეთის მხარეს) მთიანეთში. საინტერესოა, ცეკვის აღმნიშვნელი უნგრული სიტყვა ჯერ რატომ ოსურ ენაში არ შევიდა? ასეთი ტიპის ტოპონიმები („ცეკვა“, „სიმღერა“, „ბუქნა“, „სირბილი“...) საერთოდ არ არსებობს. სად უნდა ესესხათ ოსებს უნგრელებისაგან აღნიშნული სიტყვა? სად უნდა მომხდარიყო უნგრულ-ალანური ენობრივი კონტაქტები? ისტორიაში მხოლოდ ერთი რამაა ცნობილი, რომ მონღოლთა შემოსევების დროს ჩრდილოეთ კავკასიის ველებში მცხოვრები ალანების ერთი, გადარჩენილი ნაწილი, 1238 წელს ყივჩაყებთან (იგივე პოლოვცები, იგივე კუმანები) ერთად, დასავლეთის მიმართულებით დაიძრა და იქ მადიარებს შეერია, ასიმილირებული იქნა უნგრელთაგან. სხვა შემთხვევაში ამ ორ, სრულიად სხვადასხვა ხალხს კონტაქტები არ

³³² დაწვრილებით იხ. თრუსო — ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2021, გვ. 81-82.

³³³ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 278.

ჰქონია. რაც შეეხება ტოპონიმ „ტობორზას“, ის ქართული ტოპონიმია. ამ ძირზე (ტობ-) ტოპონიმები საქართველოში არაერთი გვხვდება. „ტობ“ ტბას ნიშნავს ქართული ენის მეგრულ მეტყველებაში. მეგრულ-ჭანურში მას „ღრმას“ მნიშვნელობაც აქვს³³⁴. სოფელი „ტობა“ იყო სამცხეში. სვანეთში არსებობს სოფელი „ტობარი“, იმერეთში – „ტობანიერი“... –ზა სუფიქსიანი ტოპონიმი (სახნავის სახელწოდება) — *ტყინიგოზა* — დადასტურებულია რაჭის სოფელ ღუნდაში.

58. **დორი ყადთა** – „დორეს ტყე“ სოფელ თებეს მიდამოებში. დორე საქართველოში გავრცელებული კანონიზებული ქრისტიანული სახელის დოროთეს კნინობითი ვარიანტია (შდრ.: გვარსახელი „დორე-ული“).

59. **ცუდი** – მდელს სახელი ლისრსა და კამცხოს მიდამოებში. «Название топонима груз., где цуди «плохо». Топоним Цуди встречается и в форме мн. ч. им. п. Цудита».³³⁵

60. **ბერძენთი ფაზ** – კასრის ხეობაში გზის მონაკვეთი ბურონსა და ზრამაგას შორის. «Слово бердзенты объясняется из груз., где бердзени «грек»³³⁶.

61. **ნესი** – საძოვრისა და მდელს სახელწოდებანი სოფლებში ცმიში და ნარაში³³⁷. „ნესი“ რაჭის ერთ-ერთი სოფლის სახელია.

62. **შინდისარი** – ეს ტოპონიმი (სოფლის სახელი) ა. ცაგაევას დადასტურებული არა აქვს. სამაგიეროდ ის ნარას ქვაბულის გურქუნდიქომის ხევზე ბახვა გამყრელიძეს აქვს დაფიქსირებული. სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ქართველი ეთნოლოგი, რომ „უდავოა, ეს არის ქართული „შინდნარი“, სადაც ცხოვრობდნენ ხეთაგურებიდან გამოსული

³³⁴ ბ. ჯორბენაძე. ონომასტიკური გულანი, თბ., 1993, გვ. 107-124.

³³⁵ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 275.

³³⁶ იქვე, გვ. 279.

³³⁷ იქვე, გვ. 276, 277.

ჯანაშვილები. -არ ქართულში მრავლობითობის მანარმოებელი სუფიქსია“.³³⁸

63. საუბანი – ბ. გამყრელიძეს სოფლის სახელი „სა-უ-ბანი“ ზემოხსენებული შინდისარის მახლობლად დაუდასტურებია. „ამ ტოპონიმის ძირია ქართული სიტყვა „უბანი“, რაც საქართველოში ხშირად „სოფლის“ სინონიმია“.³³⁹

64. ხელადურა — დვალეთის ზახას ხეობიდან თრუსოში გადასასვლელს გეოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში „თრუსოს გადასასვლელს“ უწოდებენ. ასეა რუკებზეც აღნიშნული. მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა ამ გადასასვლელს „ხელადურას მთას“, „ხელადურას გადასასვლელს“ უწოდებს. ტოპონიმი „ხელადური“ დადასტურებული აქვს ა. ცაგაევასაც³⁴⁰. ამ ტოპონიმის როგორც ფუძე, ისე სუფიქსი (ხელადურ-ი) ქართულია. ეს სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ როგორც დვალეთი, ისე თრუსო თავდაპირველად ქართველთა განსახლების არეალი იყო.

65. კანცხუთი. 1821 წელს კაპიტან კადნიკოვის რაპორტში გენერალ გორჩაკოვისადმი დვალეთის ჟღელეს ხეობის სოფლებს შორის, სოფელ ქალაქას მეზობლად რამდენჯერმე მოხსენიებულია სოფელი კანცხუთი. შემდეგ ეს სოფელი დოკუმენტებში აღარ გვხვდება. თიკონიმი აშკარად ქართულია. მხედველობაში გვაქვს ორი ენობრივი ფაქტორი: ა) სუფიქსი -თი და 2) „ცხ“ კომპლექსი. ასეთი თანხმომავანკომპლექსიანი ლექსიკური ერთეულები (და ტოპონიმებიც) კი მხოლოდ ქართველური ენებისათვისაა დამახასიათებელი.

³³⁸ ბ. გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან... გვ. 96.

³³⁹ ბ. გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან... 1998, გვ. 96.

³⁴⁰ А. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, Орджоникидзе, 1975, с. 269.

66. **ღურშევი.** კოდნიკოვი ჟღელეს ხეობის სოფლებს შორის ღურშევსაც ასახელებს. ასეთი სახელწოდებით სოფელი მთის რაჭის სოფელ გლოლის ზემოთ XX საუკუნის დასაწყისში დვალეთიდან გადმოსახლებულმა ოსებმა დააფუძნეს. როგორც ჩანს, ისინი დვალეთის სოფელ ღურშევიდან იყვნენ გადმოსახლებული, რომლებმაც თან სოფლის სახელიც გადმოიტანეს. ტოპონიმი ნაწარმოებია -ევ სუფიქსით. -ევ სუფიქსიანი ტოპონიმი კი საკმაოდ ბევრია საქართველოში (არცევი, აბრევი, ალევი, ავნევი, ბჟინევი, თიხრევი, კნოლევი, იკუნევი, ოტრევი, ღელევი, ფლევი...).

67. **გიღვანი.** კოდნიკოვს ამ სახელწოდების სოფელი ლესრეს შემდეგ აქვს მოხსენიებული. -ვან დაბოლოებიანი სოფლის სახელიც არაერთია საქართველოში.

დვალეთში იყო პატარა ხეობა, რომელსაც **მაცხვარეთი** ერქვა, რომელიც დაფიქსირებულია 1772 წლის ერეკლე მეორის მოურავობის წყალობის წიგნში იორამ ფავლენიშვილისადმი. ერეკლე მეორე თავად ფავლენიშვილს უბოძებს შიდა ქართლის მთის ოსური სოფლების (ჯრია, ჯავა, სხლები, ტონტობეთი, ჯავისთავი, ქეშელთა...) და დვალეთის რამდენიმე სოფლის მოურავობას: „ზროგოს **ხუთი სოფლისა, მაცხვარეთის სამი სოფლისა**“.³⁴¹ ამავე წყალობის წიგნში თავადს **სოფელ მაირამის** მოურავობაც ებოძა. ესეც დვალეთის სოფელი უნდა იყოს, რომელსაც შემდეგ სახელი შეეცვალა და აქ მცხოვრები ოსური გვარის მიხედვით **ხოზიტყაუ** ეწოდა. ზროგოს ხეობის ამ ნასოფლარში დღესაც დგას **ხოზიტა-მაირამის XI** საუკუნის დასაწყისის ქართული ეკლესია.

დვალეთი რომ ქართული „ქვეყანა“ იყო, ამას კიდევ ერთი ტოპონიმი ადასტურებს. ჭანჭახის ხეობაში (მთის რაჭა), უღელტეხილის აქეთ არსებობს ჰიდრონიმი **ნეფისწყა-**

³⁴¹ სცსსა, ფონდინ 1450, წიგნი 45, საქმე 188.

ლი, ხოლო დვალეთში, ჟღელეს ხეობაში გადასვლისთანავე პირველივე ხევი *დედოფლისწყლის /თამარის წყაროს* სახელს ატარებს.

ვახუშტის ატლასში დვალეთის ყველა ხეობაა დატანილი. ოსური სოფლები მ-ითაა აღნიშნული. სოფლებს სახელები არ აწერია – მხოლოდ ზემო ზრამაგა, ქვემო ზრამაგა და ზახას ხეობის მარცხენა შენაკადზე აღნიშნულია სოფელი *გენაური/გე-იაური*.³⁴² საკამათო არაა, რომ ეს -ურ სუფიქსიანი ტოპონიმი ქართულია.

დვალეთის ზოგიერთი ტოპონიმი დაფიქსირებულია XIV-XV საუკუნეების მიჯნის „ძეგლი ერისთავთა“-ში. შეიძლება დავასახელოთ: ბობალეთაი/ბიბალ-მთა, სოსხო/ზოხო (სოსხო ერქვა სოფელსა და მთას), თლე, წერღუი...³⁴³ სოსხო და თლე/თლისხევი ბოლო დრომდე შემორჩა, ოღონდ ფონეტიკურად შეცვლილი სახით: „სოსხ“ დვალეთის ზახას ხეობაში ერთ-ერთ მდელს ჰქვია.³⁴⁴ „ძეგლი ერისთავთაში“ მალრან-დვალეთის სოფლების სახელებიც გვხვდება; ესენია: ერემა, ნუხლეთი, ნუბენი, ხოჯა... ძეგლში საუბარია ქვემო დვალების შესახებაც.³⁴⁵ მიაჩნიათ, რომ ქვემო დვალეთი იგივე მალრან-დვალეთია (დიდი ლიახვის უკუდურესი სათავე – ცხრა სოფელი), მაგრამ ქვემო დვალების შემდეგ, იქვე მალრან-დვალთა მოხსენიება ამას გამორიცხავს. „ძეგლი ერისთავთაში“ ვკითხულობთ (პირველი ციტატა): „ესმა ქვემო დვალთა კოშკელ-იოსებურთა, თლეველ-მუღისველეღთა, ზღუბერელ-როკაელთა“. (მეორე ციტატა): „მოზრუნდა და შედგა

³⁴² ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997, გვ. 31, 45.

³⁴³ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიაწე). 1954, გვ. 344, 353, 357.

³⁴⁴ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 257.

³⁴⁵ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიაწე), გვ. 357.

მთასა სოსხოსისასა. და ესმა მალრან-დვალთა და მოვიდეს ბრუტას შვილნი და კელეურ-კაბუშურნი...“.³⁴⁶

მოყვანილი მონაცემები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ დვალეთში ქართული ტოპონიმების შემქმნელნი ეთნიკური ქართველები იყვნენ. ა. ცაგაევა მხოლოდ 120 გეოგრაფიულ სახელწოდებას (ძირითადად მიკროტოპონიმს) უკავშირებს ქართულ ენას. სინამდვილეში ის ბევრად მეტია, რადგან მის მიერ აუხსნელ ტოპონიმებს შორისაც უმეტესობა ქართულია. ეს ოსთა სამხრეთელ მეზობლებთან კონტაქტების შედეგად წარმოქმნილ მოვლენად მიიჩნევა.³⁴⁷ მეზობლობა ამ რაოდენობის მიკროტოპონიმის ვერ შექმნიდა; მიკროტოპონიმებს მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობა ქმნის. სხვა გზა არაოსური ტოპონიმების წარმოქმნისა ოსურ ეთნიკურ გარემოში არ არსებობს. რა გზით შეიძლება მოსულ ოსებს ქართული მიკროტოპონიმები შეეთვისებინათ? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსულ ოსურ ეთნიკურ ერთობას ადგილზე გარკვეული რაოდენობის ქართული მოსახლეობა დახვდებოდა. მართალია, ჩრდილოეთიდან ოსთა მეკობრეობისა და თარეშების შედეგად, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის – დვალთა დიდი ნაწილი აიყარა და საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაიფანტა, მაგრამ მათი ნაწილი ადგილზე დარჩა და დროთა განმავლობაში ასიმილირდა. გაოსება კი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ქართველები (დვალელები) ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში უმცირესნი აღმოჩნდნენ. სხვა გზა ქართული მიკროტოპონიმის გადარჩენისა არ არსებობდა. ტოპონიმებს მეცნიერებაში ხომ „მინის ენას“ უწოდებენ. დვალეთის ადგილთა სახელწოდებები კი უდავოდ მეტყველებენ იმაზე, რომ დვალეები ქართველები იყვნენ.

³⁴⁶ იქვე.

³⁴⁷ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 1, с. 124.

ამრიგად, დვალეთი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო, სადაც ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი – დვალეები მკვიდრობდნენ. საისტორიო წყაროების, დოკუმენტების, მატერიალური კულტურის ძეგლების, ტოპონიმების, ანთროპონიმების მონაცემებით დვალეები ქართველი მთიელები იყვნენ. დვალთა უმეტესობა XVI საუკუნეში საქართველოს სხვადასხვა მხარეში გადასახლდა. გადასახლების მიზეზი ოსთა თარეშები და მეკობრეობა იყო. დვალეთში დარჩენილი ქართველები კი დროთა განმავლობაში გაოსდნენ. გაოსების მიზეზი კი ოსური ენობრივ-ეთნიკური გარემო იყო.

VIII. ეთნოგრაფიული მონაცემები დვალების შესახებ

ცენტრალურ კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის – დვალების – ეთნიკურობის შესახებ საყურადღებოა ეთნოგრაფიული მონაცემებიც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბ. გამყრელიძის მიერ უშუალოდ ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალა. ბ. გამყრელიძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დვალეთი „ძველთაგანვე ეთნიკურად, კულტურულად, ადმინისტრაციულად ქართული სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყო“.³⁴⁸ მის მიერ მოყვანილი ზოგიერთი მასალა ჩვენს მოსაზრებას უჭერს მხარს. რაც მთავარია, მას, თავის დროზე, დვალეთში დაუფიქსირებია საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალები ოსთა მიგრაცია-განსახლებისა და ადგილობრივი გვარების შესახებ. აი, ერთ-ერთი გადმოცემა: „**ადრე აქ (დვალეთში – რ. თ.) ბერძნებს უცხოვრიათ, შემდეგ ქართველებს. ქართველებს განუდევნიათ ბერძნები, როდესაც ოსები საქართველოს დაემორჩილნენ. შემდეგ მოდიან ოსები მიზურიდან, როდესაც კავკასიას მონღოლები შემოესივნენ. თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან გამოქცეულან და ამ ადგილებითავე შეუფარებიათ თავი**“.³⁴⁹ ლოგიკურია ავტორის მსჯელობა, როდესაც ბერძნებში დასავლურ-ქართულ ელემენტს გულისხმობს, რადგან, ცნობილია, რომ ეკლესიურად დასავლეთ საქართველო და დვალეთის, რაჭის მიმდებარე ნაწილიც IX საუკუნემდე ბერძნული იყო. აშკარაა, რომ დვალეთმა დასავლეთ საქართველოსთან ერთად გადაიგდო ბერძენთა (ბი-

³⁴⁸ ბ. გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან... გვ. 85.

³⁴⁹ იქვე, გვ. 82.

ზანტიელთა) საეკლესიო უღელი და ბუნებრივი სწრაფვის გზით ქართულ ეკლესიას აქაც გაეხსნა გზა. ზემომოყვანილი გადმოცემის ლოგიკური ახსნა სწორედ ესაა.

ნარ-მამისონის ქვაბულში (ანუ ისტორიულ დვალეთში) XVIII საუკუნისათვის განსახლებული ოსური გვარები ძირითადად ალაგირის ხეობიდან რომ იყვნენ გადმოსახლებულნი, ამის დამადასტურებელი ეთნოგრაფიული მონაცემები რუს ეთნოლოგებს აქვთ დადასტურებული: «Другим более массовым и давним по времени движением алагирцев за своего ущелья следует считать, видимо, их поселение в Центральной (Болло др. ოსები ამ ტერმინით დვალეთს მოიხსენიებენ; ის ბ. კალოევა დაამკვიდრა – რ. თ.) и Южной Осетии. Народная традиция выводит многих жителей верховьев Большой Лиахвы и Ардона из алагирских селений Цамат, Дагом, Луар, Урсдон, Цей и др.»³⁵⁰. «Формирование населения области Туалта (ოსები დვალეთს „თუალთას“ უწოდებენ – რ. თ.), как уже отмечалось, происходило в основном за счет переселившихся алагирцев, в Зругском ущелье (იგივე ზროგოს ხეობა – რ. თ.) поселились предки Козаевых, Хозиевых, Бираговых, в Закинском ущелье (ზახას ხეობა – რ. თ.) – Калоевых, в Гибе – Кучиевых из Мизура».³⁵¹ მკვლევართ შენიშნული აქვთ, რომ ოსეთის ალაგირის ხეობა ყველაზე ნაკლებ ნაყოფიერი იყო, რაც აქაური ოსების ინტენსიური მიგრაციის მიზეზი იყო. ვერ გაექცა დვალეთელი ოსების კავკასიურ საფუძველზე წარმოქმნის უტყუარ მასალას ბ. კალოევი, რომელიც აღნიშნავს, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ ალანების მიერ ადგილობრივი კავკასიური ტო-

³⁵⁰ Волкова Н.Г. Этнический состав населения Северного кавказа В 18 – начале 20 века. М., 1974, с. 122.

³⁵¹ იქვე, გვ. 124.

მების – დვალეების ასიმილაციის გზითო, თუმცა დვალეების ეთნიკური ქართველობის აღიარება უჭირს.³⁵²

ზემოთ არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ოსების პირველი მიგრაციული ტალღები დვალეთში XVI საუკუნეში დაიწყო. ზუსტად ანალოგიური ეთნოგრაფიული მასალა ოს ეთნოლოგებსაც აქვთ დადასტურებული. „ოსურ ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ ტერმინთან „ზახა“ ვკითხულობთ: «По преданию, первые поселенцы появились в З. не ранее XVI в. После последней массовой волны миграции алан-осетины в горы Центрального Кавказа»³⁵³. დიახ, ოსთა შემოსახლება დვალეთში ნამდვილად XVI საუკუნეში მოხდა, მაგრამ ოს ავტორებს აკვიატებული აქვთ, რომ ეს ამ ეთნოსის ბოლო, და, თანაც მასობრივი მიგრაცია იყო. მაგრამ რით ადასტურებენ აქ ოსური ეთნიკური ერთობის სხვა მიგრაციულ ნაკდებს? რა თქმა უნდა, ვერაფრით, რადგან ასეთი წყარო არ არსებობს. ოსური ეთნოგრაფიული მასალებით, ზახას ხეობაში ოს მიგრანტებს მხოლოდ ერთი ადგილობრივი გვარი – ქესაევები/ქესაურები – დახვედრიან. 1921 წელს ასი წლის მოხუცისაგან ჩანერილი გადმოცემის თანახმად, ქესაურები/ქესაევები დვალეთის ზახას ხეობის უძველესი მკვიდრები იყვნენ. ადგილობრივი მოსახლეობა ეპიდემიას გაუნადგურებია. მხოლოდ ერთი ფეხმძიმიე ქალი, რომელიც იმ დროს წისქვილში ყოფილა, გადარჩენილა. ასე გადაურჩნენ ადგილობრივი ქესაურები ეპიდემიას, რომლებმაც შემდეგ ოსი მიგრანტები მიიღეს. მთაში არსებული ტრადიციის თანახმად, სხვადასხვა ხეობიდან მოსული მესისხლე ოსების ნაწილი ადგილობრივთა – ქესაურთა გვარზედაც გადასულა. ქესაურების საფუძველჩამყრელი ვინმე „ქესა“ ყოფილა, რომლის უფროსი ვაჟის – *ხერხასაგან* მომდინარეობენ ქართველი თავადი *ხერხეულიძეები*, რომლებიც

³⁵² Калоев Б.А. Осетинские историко-этнографические этюды, М.,1999, с. 5.

³⁵³ Осетинская этнографическая энциклопедия, Владикавказ, 2013, с.

პირველად როგორც სამეფო აზნაურები, 1466-1477 წლების საბუთში იხსენიებიან. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ: ქესაურებს/ქესაევებს მეორე გვარიც ჰქონდათ – გენცა-ურ-ოვი, რომელთა თავდაპირველი გვარსახელი, რათქმა უნდა, **გენცაური** იყო. შემთხვევით ატარებდნენ ქართველ მთიელთა გვარებისათვის დამახასიათებელ -ურ სუფიქსიან გვარსახელს? სხვათა შორის, დვალეთის ზახას ხეობაში მოსულ ოსებს თუ ადგილობრივი ქესაურ-გენცაურები დახვდნენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ზახას ხეობის მოსახლეობა, მათ შორის, ქესაურებიც შავ ჭირს გაუნადგურებია და მხოლოდ ნარაში მყოფი ერთი ქესაური გადარჩენილა. მას შემდეგ ეს გვარი გამრავლებულა და აქ მიგრირებული ოსური მოსახლეობაც მათ მიუღიათ. ფიავდონის ხეობიდან ზახას ხეობაში ყველაზე მაღალ ადგილზე უცხოვრიათ ბიგულ-ებს (ბუგ-ულ-ოვ-ებს), რომლებიც ამ ადგილში მარტო მდგარან და მიწის მძებნელი კალოევები მათ შეუკედლებიათ. შემდეგ კალოევების წინაპრებს ზახას ხეობაში გადმოუნაცვლიათ და აქ ისინი ქესაურებს მწყემსად დადგომიან. შაბოლოოდ კი გამრავლებულ კალოევებს ქესაევების მიწის დიდი ნაწილი მიუთვისებიათ. სხვათა შორის, ოსი ეთნოლოგი ბ. კალოევი ზახას ხეობიდან და, საერთოდ, დვალეთის ადრინდელი მოსახლეობის აქედან წასვლას მკაცრი კლიმატური პირობებით ხსნის და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთიდან მოსულმა ოსებმა ეს ტერიტორია ძალით, თარეშებითა და მეკობრეობით დაიკავეს, რაშიც მათ აგრეთვე ხელი უამიანობამ შეუწყო. იგივე ავტორი იმასაც აღნიშნავდა, რომ ზახას ხეობის ადრინდელი მოსახლეობისაგან დარჩა ტოპონიმები (რომლებიც ოსური არაა), **შუა საუკუნეების ეკლესიების ნაკვალევი** და სხვადასხვა ნაგებობები³⁵⁴.

³⁵⁴ Калоев Б.А. Осетинские историко-этнографические этюды, М.,1999, с. 246.

საყურადღებოა, რომ იმავე კალოევების (ქალოშვილების) გვარის წარმომადგენლები ისეთ გამჭვირვალე ქართულ სახელებს ატარებდნენ, როგორიცაა *ბერო* და *ძალო*.

დვალეთისავე წარას ხეობაში ყაბარდოდან მიგრირებული ხეთაგ-ურ-ების გვარის საფუძველწამყრელ ხეთაგს, აქ ხვდებიან ასევე ქართულ სუფიქსიანი გვარის მატარებელი ბიგ-ულ-ები³⁵⁵ (შდრ.: დასავლეთქართული გვასახელი **ბიგ-ვა/ბიგ-ვავა**), რომლებიც შემდეგ რუსულის გავლენით ბიგ-ულ-აევ-ად იქცნენ. დვალეები, რომ ქართველები იყვნენ, ამას ისიც ადასტურებს, რომ ხეთაგის შთამომავლები ასევე ქართულსუფიქსიან გვარს ხეთაგ-ურ-ს იღებენ. კოსტა ხეთაგუროვი მისი წინაპრის წარაში დასახლების შემდეგ მიიჩნევდა, რომ ის მეათე თაობის წარმომადგენელი იყო. ისი წინა თაობის წარმომადგენლები კი ისეთ პიროვნულ სახელებსაც ატარებდნენ, როგორიცაა მამია, მამი, გოცი, გიო...

ეთნოგრაფიული მასალებით, დვალეთის ჟღელეს ხეობის სოფელ ქალაქას გვარებიდან ადგილობრივად, მკვიდრად („ბნათუნ“) გაეგების/გაიაურების/გაიაშვილების გვარი მიიჩნევა. აქ მცხოვრები დანარჩენი ოსური გვარები ოსეთიდან გადმოსახლებულან.³⁵⁶

დვალეთელი ოსების რამდენიმე გვარსახელს მიაქცია ყურადღება მზია ტყავაშვილმა. საქმე ეხება 1821 წლის რუსულ დოკუმენტს, როდესაც იმერეთის სამეფოს ყოფილ დვალეთის ჟღელეს ხეობაში რუსებმა სამხედრო ექსპედიცია მოაწვეეს. რუსი ოფიცრის კადნიკოვის მიერ შედგენილ დოკუმენტში მოხსენიებულია სამი ადგილობრივი გვარი: კაჯიშვი-

³⁵⁵ Калоев Б.А. Осетинские историко-этнографические этюды, М.,1999, с. 250.

³⁵⁶ ბ. გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან... გვ. 92.

ლი, მოურავაშვილი და კაჯურაშვილი.³⁵⁷ სამივე გვარი ქართულია, ქართული სუფიქსითაა გაფორმებული. რაც ყველაზე ნიშანდობლივია ერთ-ერთი მათგანი ორი ქართული სუფიქსის (-ურა-შვილი) შემცველია: კ(ქ)აჯ-ურ-ა-შვილი. აქ კომენტარის გაკეთება ზედმეტად მიგვაჩნია.

1770 წლის დოკუმენტით, დვალეთი სახასო საკუთრებას წარმოადგენდა. მხოლოდ ზახას ხეობა (თრუსოსთან ერთად) შედიოდა არაგვის საერისთავოში: „არს არაგვის ოსი ზახას, თრუსოს...“.³⁵⁸ ზემოთ მოყვანილი მასალა ქესაურების გვარის შესახებ, ყურადღებას იმითაც იმსახურებს, რომ **დვალეთის ადგილობრივი ოსებამდელი მოსახლეობის შემცირება, ოსთა თარეშებთან ერთად, ეპიდემიამაც განაპირობა. ამ ფაქტმა კი, თავის მხრივ, საქართველოს ამ უძველეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან ოსთა მიგრაციას შეუწყო ხელი.**

დვალეთის ზახას ხეობის შესახებ ბ. კალოევს მრავალი საყურედღებო ეთნოგრაფიული მასალა აქვს დაფიქსირებული. ზახელებს ტრადიცია ჰქონდათ საქართველოს ბარიდან, საჭაპანო ტრანსპორტის გამოყენებით, ტიკვებით ღვინის შეტანისა: «Заккинцы с давних времен хорошо били знакомы и с виноградным вином, доставляя его сами или покупая у купцов, привозивших его в ущелье вьюками в бурдюках из предгорных сел **Юго-Осетии и Грузии** до начала зимы и закрытия перевалов».³⁵⁹ დავსძენთ, რომ ეს ტრადიცია არა მხოლოდ ზახელების, არამედ დვალეთის ყველა ხეობის მცხოვრებთათვის იყო დამახასიათებელი. და არა მხოლოდ მათთვის – საქარ-

³⁵⁷ მ. ტყავაშვილი. რუსეთის სამხედრო ექსპედიცია „ოსეთის ვილაიეთ დვალეთში“ (1821 წელი). — ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (3), თბ., 2008, გვ. 40.

³⁵⁸ საქართველოს ისტორია ტოპონიმებში, ტ. II, თბ., 2010, გვ. 201.

³⁵⁹ Калоев Б. Осетинские историко-этнографические этюды, с. 276.

თველოს მთიანეთის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ასეთ მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირთაგან ერთობაში იყო საქართველოს ბართან. მთიელები ბარში დადიოდნენ გარე სამუშაოზე, ბარიდან კი საჭირო პროდუქტები მოჰქონდათ, ღვინო კი ძირითადად ქრისტიანული რიტუალების შესასრულებლად ჭირდებოდათ. დასკვნა: **დვალეთი მხოლოდ პოლიტიკურად არ იყო საქართველოს შემადგენელი ნაწილი, ის საქართველოს ერთიან სამეურნეო-ეკონომიკური სისტემაში იყო ჩართული. XVI საუკუნიდან დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, მოსახლეობის ეთნიკური ცვლილების მიუხედავად, ისტორიულად ჩამოყალიბებული მთელი რიგი ტრადიციები არ შეწყვეტილა; ახალმა ეთნიკურმა ერთობამ ის მემკვიდრეობით მიიღო.** ეთნოგრაფიული მონაცემებით, დვალეთის მკვიდრთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან (შიდა ქართლი, ხევი, რაჭა) ბოლო დრომდე მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი არ შეუწყვეტიათ. საამისოდ მთის რაჭის სოფელ გლოლას მოსახლეობის ურთიერთობა შეიძლება დავასახელოთ დვალეთის სოფელ ქალაქასა და მის მიმდებარედ მდებარე სოფლების მოსახლეობასთან.

ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ეთნიკური ცვლილება ძირითადად განხორციელდა XVI საუკუნეში – ქართველი მთიელი დვალეები თანდათან ეთნიკურმა ოსებმა შეცვალეს, რომლებიც აქ ალაგირის ხეობიდან გადმოსახლდნენ. XVII საუკუნის ბოლოს დვალეთში, ფაქტობრივად, დასრულდა ადგილობრივ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის (ტერიტორიული ერთეულის) – დვალეების – ასიმილაცია ოსების მიერ. დვალეების ასიმილაცია განაპირობა იმან, რომ ისინი მიგრირებულ ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში უმცირესობაში აღმოჩნდნენ,

რადგან ოსთა ხშირი თარეშების, მეკობრეობის შედეგად, დვალები საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაიფანტნენ. თუმცა, როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, დვალეთის ზოგიერთ ხეობაში ეთნიკური ტრანსფორმაციის პროცესი დიდხანს გაგრძელებულა; ზახაში ორენოვნება XIX საუკუნის ბოლომდე იყო შემორჩენილი.³⁶⁰ ზახელების უმეტესობამ ოსურთან ერთად, ქართული ენა კარგად იცოდა. ეთნოგრაფიული მასალის დამფიქსირებელი ბ. კალოევი, რომელიც დვალეთის ზახას ხეობის მკვიდრი იყო, ამას საქართველოსთან ხანგრძლივი ეთნოკულტურული კავშირებით ხსნის, აგრეთვე ზახის ეკლესიებში ქართული სასულიერო პირების მოღვაწეობითა და მათ მიერ ქართულ ენაზე ქადაგებით. ეს მონაცემები პირდაპირ მიუთითებს არა ორ სხვადასხვა ეთნოსს შორის არსებულ ეთნოკულტურულ კონტაქტებზე, არამედ იმაზე, რომ დვალეები ქართველი მთიელები იყვნენ და მოსულმა ირანულენოვანმა ერთობამ მათი ასიმილაცია მოახდინა. ზახაში ქართული ეკლესიების არსებობა, ქართველი მღვდლების მოღვაწეობა და ქართულ ენაზე ქადაგება იმის დამადასტურებელია, რომ დვალეთი ქართული მხარე იყო თავისი ქრისტიანული რელიგიით; ის ნიქოზის ეპარქიაში შედიოდა. ადგილზე დარჩენილ დვალთა ასიმილაცია დააჩქარა აგრეთვე საქორწინო ურთიერთობამ, ადგილობრივი მამაკაცების მოსულ ოს ქალებზე დაქორწინებამ.

დვალეთიდან განდევნილი და სხვაგან წასული მოსახლეობის ადგილზე ოსების მოსვლის შესახებ რუსი ავტორებიც საუბრობენ, მაგალითად, პ. კუზმინი ხაზგასმით აღნიშნავს აქ ოსების ალაგირის ხეობიდან მიგრაციზე: «Формирование населения Туалта происходило, в основном, за счет переселявшихся

³⁶⁰ Калоев Б. Осетинские историко-этнографические этюды, с. 274.

алагирцев»³⁶¹. უფრო მეტი, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი ავტორი იაკობ რეინეგსი აღნიშნავს, რომ არდონის ხეობაში მცხოვრები ოსები არა მხოლოდ ოსურად მეტყველებენ, არამედ ძველ ქართულ ენაზეცო: «Река Арадон отделяет оссов от другого племени, название которого бадиллы. Этот народ говорит не только на своем собственном осетинском наречии, которым он отличается от оссов, но и на старом грузинском языке»³⁶².

დვალეთი არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურად, არამედ სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც საქართველოსთან იყო დაკავშირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ დვალეთის ზახას ხეობის მკვიდრთ მონეული მოსავალი მხოლოდ სამი-ოთხი თვის განმავლობაში ჰყოფნიდათ და ოსეთის სამხედრო გზის გახსნამდე და ადმინისტრაციულად თერგის ოლქში შესვლამდე (1859 წელი), სურსათს იძენდნენ საქართველოს ქალაქებში: ცხინვალში, ონში, გორში, ქუთაისში და სხვა; აქ ისინი ძირითადად მეცხოველეობის პროდუქტებს მინათმოქმედების პროდუქტებსა და ხელოსნურ ნაწარმზე ცვლიდნენ. შიდა ქართლიდან გატანილ პროდუქტებს შორის, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ღვინოსაც ასახელებენ³⁶³. XIX საუკუნის ეს ეთნოგრაფიული მონაცემები დვალეთში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებს ეხება,

³⁶¹ П. А. Кузминов. Этнодемографическая карта народов Терека: размещение, численность и миграция населения в конце XVIII – первой половине XIX века. – в кн. Ландшафт, этнографические и исторические рооцсы на Снверном Кавказе в XIX – начале XX века, Нальчик, 2004, с. 688.

³⁶² Рейнегс Я., Общее Историко-Топографическое Описание Кавказа Осетины С.-Петербург, т. 1, 1796. <http://drevlit.ru/docs/kavkaz/XVIII/1760-1780/Reineggs/text2.php>.

³⁶³ Калоев Б.А. Осетинские историко-этнографические этюды, с. 270-271, 276.

მაგრამ ეს იყო ძველი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის გაგრძელება, რომელიც დვალებს საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების (რაჭა, იმერეთი, შიდა ქართლი, ხევი) მკვიდრებთან ჰქონდათ. ასე რომ, დვალებს ბარის საქართველოსთან ზუსტად ისეთი სამეურნეო-ეკონომიური კავშირები ჰქონდათ, როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრთ. ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტი, რომელიც ბარიდან შეჰქონდათ მთიელებს ღვინო იყო.

დვალეთში მიგრირებული და დასახლებული ოსები არც თუ იშვიათად ამბობდნენ უარს ტრადიციული ბეგარის გადახდაზე. ამ პრობლემის მოსაწესრიგებლად კი საქართველოს სამეფო კარი გარკვეული ღონისძიებებს ატარებდა, კერძოდ, მათ ეზღუდებოდათ ბარში თავისუფალი მიმოსვლა. ბართან ურთიერთობის გარეშე კი დვალეთში მცხოვრებ ოსებს, ბუნებრივია, გარკვეული პრობლემები ექმნებოდათ, რადგან ეს ინვესტა მთასა და ბარს შორის არსებული ტრადიციული სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობის დარღვევას. ზემოთ თქმულს ადასტურებს 1782 წელს ერეკლე II-ის წერილი დვალეთის ზარამაგის ხეობის ოსებისადმი. ერეკლეს ზარამაგში ექვსი წლის ბეგარის ასაკრეფად თავადი ბეჟან ამილახვარიშვილი გაუგზავნია. ბეგარის გადახდის შემდეგ ზარამაგელ ოსებს მეფე პირდება, ქართლში თავისუფალ მიმოსვლას, რომ არავის ექნება უფლება მათი დაკავებისა და წყენინების. სხვა ოსები უკვე მოგზაურობენ და თვენც შეგიძლიათ ჩამოხვიდეთო³⁶⁴. ზარამაგის გარდა, სამეფო კარს ყმა-გლეხები დვალეთის სხვა თემებშიც ჰყავდა. მაგალითად, 1794 წლის საბუთის თანახმად, ასი კომლი სადედოფლო ყმა

³⁶⁴ ხელნაწერთა ცენტრი, ფონდი Ad, საბუთი 1375. რუსული თარგმანი დაბეჭდილია წიგნში: История Осетии в документах и материалах. Составители: Г. Тогошвили и И. Цховребов. Том I, Цхинвади, 1962, 147.

ნარაში ცხოვრობდა, მალრან-დვალეთში (დიდი ლიახვის სათავე) — 80³⁶⁵.

სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ XVIII საუკუნის ბოლოსაც დვალეთის მკვიდრნი, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ჯარში ისევე იბრძოდნენ, როგორც სხვა ქართული მხარეების წარმომადგენლები. ცნობილია, რომ ასპინძის ბროლაში დვალეთში მცხოვრებმა ოსებმაც გამიჩინეს თავი, კერძოდ, ბოლათიკო ხეთაგურმა. ასპინძაში გმირულად დაღუპული ბოლათიკოს ოჯახს ერეკლე მეორემ ცხინვალში ამონყვეტილი პეტრიაშვილის მამული უბოძა.

ა. ცაგაევას ზრამაგაში დადასტურებული აქვს, რომ ტოპონიმ „აზილან“-თან, რომელიც ოსურად ნიშნავს «Места поворота» და რომელიც დანგრეულ კოშკსა და ეკლესიას წარმოადგენს. ამ ნაეკლესიარის შესახებ დასახელებულ ავტორს ასეთი გადმოცემა ჩაუწერია: «**Местные старожилы утверждают, что в эту церковь приходили молиться грузины**».³⁶⁶ რატომ მიდიოდნენ ქართველები დვალეთში სალოცავად? იმიტომ, რომ სალოცავი მათი წინაპრებისა იყო. ქართველებს, განსაკუთრებით, მთიელებს წესად ჰქონდათ წინაპრების ადგილსაცხოვრისში სალოცავად სიარული.³⁶⁷ ბუნებრივია, ამ წესს მისდევდა დვალეთიდან საქართველოს სხვადასხვა მხარეში (განსაკუთრებით შიდა ქართლსა და რაჭაში) გადასახლებული მოსახლეობა. ერთი ასეთი ფაქტი დვალეთში ხაჩიძეების სალოცავად სიარულისა 1947 წელს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს დაუდასტურებია: „პ ა პ ა ჩ ე მ ი ს ა გ ა ნ გა-

³⁶⁵ სცსსა, ფონდი 1448, საქმე 5640, ფურცელი 8.

³⁶⁶ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 278.

³⁶⁷ რ. თოფჩიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. (ფშავ-ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), თბ., 1984, გვ. 77-93.

მიგონია, რომ ძირი ხატის მოსალოცავად ის ნარას (ე. ი. დვალეთს – ნ. ბ.) დადიოდა; ჩვენი წინაპარი ძველადვე მოსულა ქართლში, ნაქვსა და ბიჯნისს სახლებულან სურამის თავზე“³⁶⁸. ხაჩიძეების გვარში დღემდეა შემონახული გადმოცემა მათი წინაპრების დვალეთში სალოცავად სიარულის შესახებ: „გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, ხაშურსა და მის მომიჯნავე ბორჯომის რაიონში ხაჩიძეები გადმოსულები არიან ხარაგაულის რაიონის სოფ. ნაქვიდან. ნაქველებიც და ხაშურელი ხაჩიძეებიც აცხადებენ, რომ მათი წინაპარი ნაქვში გადმოსულა დვალეთიდან, სოფელ ნარადაან“³⁶⁹. ხაჩიძეებს შორის, რომლებიც დვალეთში დადიოდნენ სალოცავად დღესაც ბევრი ცოცხალია. მაგალითები არა ერთი და ორი შეიძლება მოვიყვანოთ: „დარეჯან ხაჩიძე. დაბადებული 1949 წელს სოფ. ნაქვში: „ნარაში 2-ჯერ ვარ ნამყოფი — წმიდა გიორგის სალოცავში, პირველად მე-3 კლასში, მეორედ მე-8 კლასში რომ გადავედი, 1962 წელს. რვანი ვიყავით: მე, ბაბუაჩემი — ბესარიონ ხაჩიძე, ბებიაჩემი — აგრაფინა ტეფნაძე, რომანოზ ხაჩიძე თავისი ვაჟით, ლევუშათი, კიდევ: სილონი, გოგი და შოთა ხაჩიძეები.

როგორც მახსოვს, სალოცავი მცირე მოცულობის იყო და უკვე ჩამონგრევასაც დაიწყებდა. რომ მოსალამოვდა, ღამის გათევა ერთ-ერთ ოჯახს ვთხოვეთ, ქართველები იყვნენ, კუთხური ქართულით საუბრობდნენ. ...

როგორც იქ მოვისმინე, ნარელი ხაჩიძეები საქართველოს საზღვარს იცავდნენ, მესაზღვრეები, მეციხოვნეები, ყოფილან.

ჩვენს წინაპრებს ნარის სალოცავიდან ნაქვში ქვა ჰქონდათ ჩამოტანილი, რომელიც წმიდა გიორგის ეკლესიაში იდო.

³⁶⁸ ნ. ბერძენიშვილი. ბორჯომის ხეობა. – საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. 1, თბ., 1964, გვ. 235.

³⁶⁹ თ. ლაცაბიძე. გაზეთი „ხაშურის მოამბე“, 12. 07. 2017.

ამ ქვაზე სანთლებს ვანთებდით-ხოლმე და მისი ფორმაც მახსოვს, ისეთი იყო, თითქოს სადგამი ჰქონდაო. ზომითაც საკმაოდ დიდი იყო“³⁷⁰.

„დალი მაჩაიძე, დაბადებული 1952 წელს სოფელ ნაქეში: „მე-7 კლასში ვიყავი გადასული, როდესაც ნაქეიდან ნარაში გავემგზავრეთ. ნარაში წასვლა ანანია ბაბუამ გადაგვანყვეტინა. გვითხრა, რომ ნაქეელებსა და ნარელებს უნინ ერთმანათთან მიმოსვლა გეჭონია პერიოდულად. ... ექვსნი გავემგზავრეთ: მე და დედაჩემი, სილონ და ლეუშა ხაჩიძეები, კიდევ ბიცოლები — ელისაბედი და აგრაფინა. იმ დროს ნარაში ხასიეების ერთადერთი ოჯახი იყო დარჩენილი. . . . დამტვრეული ქართულით გველაპარაკებოდნენ. ისიც მახსოვს, თქვეს, — გვარი გადაკეთებული გვაქვს, სიცოცხლე რომ შეგვენარჩუნებინაო. . . . ანანია ბაბუასაგან ისიც ვიცი, რომ ნაქეში ნარის წმინდა გიორგის სალოცავიდან ქვა ჩამოუტანიათ და წმინდა გიორგის ეკლესიაში დაუდიათ, მოგვიანებით კი ხაჩიძეების სალოცავში ჩამოუტანიათ“³⁷¹.

„სონია ხაჩიძე (ან გარდაცვლილი): „1965 წლის ზაფხული იყო. მე, სილონი, ლეუშა, აგრაფინა, ელისაბედი და ჩემი შვილი დალი, რომელიც სულ 12 წლისა იყო, გასამგზავრებლად მოვემზადეთ. . . . ნარაში ხასიეების ადგილსამყოფელი რომ ვიკითხეთ, ერთ ოჯახში მიგვიყვანეს. ისინი ერიდებოდნენ ყველაფერ ქართულზე საუბარს. 90 წლის მასპინძელმა როცა ჩვენი გვარი და სადაურობა გაიგო, იტირა. არც ის და არც მისი ოჯახის წევრები გარეგნულად ოსებს არ ჰგავდნენ.. . . ზახარ ხასიევი ამბობდა: — ადრე ხაჩიურები ვყოფილვართო, მერე — ხაჩიძეები, ბოლოს გვარში ერთი ასო შევიცვალეთ და ხასიეებად დავენერეთო. მართლმადიდებლები ვართ, ნარაში საგვარეულო ტაძარიც გვქონდა, ახლა მხო-

³⁷⁰ ხაჩიძეები, თბ., 2021, გვ. 35.

³⁷¹ ხაჩიძეები, თბ., 2021, გვ. 36-37.

ლოდ ნანგრევებიაო. . . . ანანია ხაჩიძის გადმოცემით ვიცი, რომ ნარაში ძმებმა ბატონი მოკლეს, იქიდან სამი ძმა წამოსულა და ნაქვში დამკვიდრებულან. ცოტა ხანში მათ ნარის ეკლესიიდან ქვა წამოუღიათ. ჩამომტანი დაბრმავებულა, ნიში კი ნაქვში დაუბრძანებიათ“³⁷².

ეთნოგრაფიული მასალებით, ნაქვში ნარადან ჩამოტანილი ნიშის ადგილი საბჭოთა პერიოდში გადაუხნავთ და ის ადგილი ნაშლილა, სადაც ნარის ნმინდა გიორგის სალოცავის სამახსოვროდ ნიშანი ყოფილა დადგმული. პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, მამაჩემი წავიდა ნარაში, იქიდან ქვა ჩამოიტანა, უწინდელ ადგილზე დაფლა, ზედ ჯვარი და ფიცრული ნაგებობაც დადგა და ასე ალადგინა უწინდელი სალოცავი“³⁷³. ეს ამბავი კი 1957 წელს მომხდარა. ნიშანდობლივია, რომ სოფელ ურთხვაში მცხოვრებ ხაჩიძეებს ნარელებს უწოდებენ. დვალეთიდან შიდა ქართლში გადმოსახლებულები ხაჩიურები მნიშვნელოვანი რაოდენობით რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ.

მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალების შემდეგ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადრინდელი საცხოვრებლიდან მიგრანტებისა და მათი შთამომავლების მიერ სალოცავის ნიშის გადატანა და წინაპართა ძველი განსახლების სოფელში სალოცავად სიარული მხოლოდ და მხოლოდ ქართული ტრადიცია იყო. ამ ტრადიციის ერთგულნი ბოლომდე დარჩნენ საქართველოს მთიდან გადმოსახლებულები. ასეთი ფაქტები შიდა ქართლიდან დვალეთში ქართველთა სალოცავად სიარულისა, ოს მეცნიერებსაც აქვთ დადასტურებული. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ დვალეთი ოდით-

³⁷² ხაჩიძეები, თბ., 2021, გვ. 37-38.

³⁷³ ხაჩიძეები, თბ., 2021, გვ. 38.

განვე საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო.

ეთნოგრაფ ბ. კალოევს სხვა საყურადღებო მასალებთან ერთად, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტიც აქვს დაფიქსირებული: ზახას ხეობელები უნათესავდებოდნენ არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ მეზობელი ხეობის მცხოვრებლებსაც, მაგრამ არასდროს ჩრდილოეთ ოსეთის მკვიდრებს³⁷⁴. ბუნებრივია, ეს იყო იმ ტრადიციის გაგრძელება, რომელიც ადრინდელ მოსახლეობას — დვალეებს გააჩნდათ. კასრის-კარის იქით მდებარე ტერიტორია მათთვის სხვა ქვეყანა იყო; დვალეთი საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ დანარჩენ საქართველოსთან იყო დაკავშირებული არა მხოლოდ ეთნიკურად და სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ სოციალურადაც და რელიგიურადაც

დვალეთში დადიოდა სალოცავად მთის რაჭის სოფელ გლოლაში მცხოვრები რამდენიმე გვარი. ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით, დვალეები ყოფილან წარმომავლობით მთიულეთის ხადას თემის სოფელ წკერეში მცხოვრები ნარაიძეები. დვალთში მათი წინაპრები ნარას თემში ცხოვრობდნენ. ხადაშივე მცხოვრები ჯალმაიძეები სამ მამიშვილობად იყოფიან, რომელთაგან *მხარობლიანი* დვალეთიდან არიან მოსული³⁷⁵. მთის რაჭის სოფელ ღებში მცხოვრები გავაშელაშვილების ანჯიენტ დანაყოფი დვალური წარმომომავლობისანი არიან; მათი წინაპარი დვალეთიდან გადმოსულა და გავაშელიშვილებს შეკედლებია. დღესაც ანჯიენტ მამიშვილობას „დვალეებს“ უწოდებენ. ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით, სოფელ გლოლას ყველაზე დიდი გვარები –

³⁷⁴ Калоев Б.А. Осетинские историко-этнографические этюды, М.,1999, с. 277.

³⁷⁵ რ. თოფჩიშვილი. მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ქართლის ეთნოგრაფიული მასალები, თბ., 2020, გვ. 81.

ბიჭაშვილები, ბერიშვილები და ბიძიშვილები – თამარ მეფის მიერ დვალეთიდან გადმოყვანილებად მიიჩნევენ თავს („დვალეთიც ჩვენი იყო, დატივეს იქაურობა და აქეთ გადმოვიდნენ“). გლოლის მკვიდრი **ბალაშვილები და ხარებაშვილები** დვალეთიდან გადმოსახლებულან. ეს უკანასკნელნი თავს დვალთა ნასხლეტს უწოდებენ. ზემო რაჭის სოფელ ბაჯისხევში მცხოვრებ ხარებაშვილებზე კი ამბობენ: „ხარებაშვილები დვალისძეების განაყოფია. იმათ ბაბუას ერქვა ხარება“. „თამარის დროს მამისონზე იყო ჩვენი სოფლის – გლოლის მოსახლეობა“ (გურამ მათეს ძე ბიჭაშვილი, დაბად. 1937 წ. 4. 08. 2011). **გოგიჩაშვილები** გლოლაში დვალეთის სოფელ ჟღელედან გადმოსულან. გლოლაში **ბუბაშვილებს** მეორე სახელითაც („შინაური გვართაც“) – „ჩოჩაეთი“ – მოიხსენიებია. ეს ეთნოგრაფიული მასალა კი იმის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს, რომ დვალეთში მკვიდრობის დროს ბუბაშვილების წინაპრები ჩოჩოურის გვარს ატარებდნენ. გლოლელებს თავდაპირველად „მამისონის უღელტეხილის გადმოღმა კარგი ტერიტორიაა – სამარუანი – იქ უცხოვრიათ. ჩვენი ძველები სამარუანში მარხავდნენ მიცვალებულებს. სამარუანიდან ჯერ სოფელ ბუბაში (შოვიდან 8 კილომეტრია მთაში) გადმოსახლებულან, შემდეგ გლოლაში. დვალეთში გლოლელები დავდიოდით სალოცავად, საზღვრიდან არც შორსაა და არც ახლოს. პირველი სოფელი იყო ქალაქა“ (მთხრობელი გულნაზი შალვას ასული ბიჭაშვილი-ბელაშვილი, 84 წლის, სოფელი გლოლა, 20. 08. 2021) [ინფორმატორი დვალეთს უწოდებს ჟღელეს ხეობის ერთ-ერთ სოფელს: „სოფელი დვალეთი ქალაქას იქით არის. ჟღელეს ეკლესიაა სწორედ ამ დვალეთში“]. გლოლაში არსებული ეკლესია/სალოცავი – *შხელე/შხელის ჯვარი* დვალეთიდან მოსახლეობის მიგრაციის შედეგადაა გადმოტანილი – ის იგივე „ჟღელეა“. ფონეტიკური ცვლილების შედეგად მივიღეთ „შხელე“. გლოლე-

ლები რომ, თავის დროზე, დვალეთიდან არიან გადმოსახლებული, ამას ის ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს, რომ მთის რაჭის მეზობელი სოფლების — ლებისა და ჭიორას — მკვიდრნი გლოლელებს *დვალუკებს* უწოდებდნენ.

საყურადღებო ეთნოგრაფიული ფაქტია, რომ დვალეთის სოფელ ქალაქაში დუროიანი სახლები ყოფილა. ბოლო დრომდე აქ სამი ასეთი სახლი მდგარა (გაბრიელ ისმაილის ძე რეხვიაშვილი, სოფელი ჭიორა, 90 წლის, 5. 08. 2011). „დვალეთში პატარ-პატარა სოფლები იყო. დვალეთში კოშკები იყო მაღლები. ოსების აშენებული კი არა, ქართველების აშენებული იყო (რაჟდენ მათეს ძე სულთანაშვილი, 85 წლის, 10.08. 2011, სოფელი გლოლა). ისიც აღსანიშნავია, რომ დიგორელი ოსები დვალეთში მცხოვრებ ოსებს *არდგორინთას* (ნახევრად ოსს) უწოდებდნენ.

ხევის სოფელ ყანობში მცხოვრები **ზილინაშვილები** დვალეთიდან – ნარადან გადმოსახლებულებად მიიჩნევენ თავს. მესისხლეობის გამო გადმოსახლებულებს ადრინდელი გვარი – მამიაური/მამიაშვილი – შეუცვლიათ.³⁷⁶

ეთნოგრაფიული მონაცემებითვე დვალეთიდან მოსულეზად მიიჩნევენ თავს ქსნის ხეობის სოფელ იკოთში მცხოვრები დოლიშვილები. შიდა ქართლის სოფელების ქემეტრის, ერგნეთის, ქურთისა და ქალაქ ცხინვალის მკვიდრი კასრაძეები, გადმოცემით დვალეთის კასრის-კარიდან წარმომავლობენ. სოფლის სახელი პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კასრის კარი ნამდვილად კასრაძეების სოფელი იყო. ეთნოგრაფიული მასალა: „ქემეტში მცხოვრები კასრაძეები, ზეპირგადმოცემის მიხედვით, მოსულები არიან დვალეთის კასრისკარიდან, სადაც უწინ სარაჯიშვილები ყოფილან. გვიანფეოდალურ ხანაში კასრაძეთა ერთი შტო მესისხლეობის ნიდაგზე ტოვებს სოფელს და იმერეთში, სოფელ ქემეტში გა-

³⁷⁶ რ. თოფჩიშვილი. მოხეური გვარსახელები, თბ., 1998, გვ. 39.

დადის. იქ მკვიდრდება და სოფლის სახელის მიხედვით – ქემერტელიძედ ეწერებიან“.³⁷⁷

საღმთოს სალოცავი ჰქონდათ მეჯუდას ხეობის სათავეში – ისროლისხევში, რომლის მკვიდრი ქართველებიც (კვირიკაშვილები, ციცაგები, დვალიშვილები, გინტურები) მეჯუდას ხეობის სოფელ ბიყარში მცხოვრები ქიმა დიმიტრის ძე დუდაევის (1988 წელი, დაბად. 1912 წ.) მოწოდებული ინფორმაციით, დვალეთიდან მოსულან და ეს ნიშიც იქიდან გადმოუტანიათ. ნიკო ოთინაშვილის მიერ მეჯუდას ხეობის სათავეში, სოფელ დვალიანთკარში (მდებარეობდა მეჯუდას მარცხენა მხარეზე) მცხოვრები იაგო დვალიშვილისაგან ჩანერილი მასალით, იქვე ახლოს ვალიანთკარში (მეჯუდას მარჯვენა მხარე) მცხოვრები ვალიშვილები მათი განაყრები („ჩვენი ბიძაშვილები“), ადრე ქართველები იყვნენ. სოფელ არცევში დვალიანთკარიდან გადმოსახლებული კოლა დვალიშვილს პაპისაგან ჰქონდა გადმოცემული, რომ დვალიშვილების გვარის საფუძველჩამყრელი დვალეთიდან იყო გადმოსახლებული. ვალიშვილების/ვალიევების გვარსახელში „დ“ თანხმოვნის დაკარგვის შესახებ ზემოთაც იყო ნათქვამი.

გარდა ზემოთ დასახელებული გვარებისა, დვალეები იყვნენ შემდეგ უკვე შიდა ქართლში დასახლებული ხადურები, ჩიფჩიურები, ბიგულები, თვაურები (უფრო ადრე თავაურები, რომელთა გაოსებული ნაწილი თუაევად იქცა), ჩოჩოურები (იგივე ჩოჩიშვილები. გაოსებულები კი ჩოჩიევის გვარს ატარებენ), თედელურები, ჯოჯიშვილები, ოქროპირიძეები (ეს ოთხი გვარი ერთი წინაპრისაგან მომდინარეობს და ცხოვრობდნენ ნარას ხეობაში), ბელელურები, გუდიაურები (გაოსებულები გუდიევებად იქცნენ), ბაგაურები, გერგაულები (გაოსებულების გვარს ბოლოში რუსული -ოვ სუფიქსი დაემატა და მივიღეთ გერგაულოვი), თაბაურები, ხერხეული-

³⁷⁷ ნ. ოთინაშვილი. ლიახვის ხეობის ონომასტიკა, ცსუ, 2002, გვ. 188.

ძეები, ქესაურები (გაოსებულნი კესაევები არიან), ფარუხაულები, კობერაულები, დულიურები, ფოსურები, ფიდიურები, შალაურები, ფუხაურები (გაოსებულები დღეს ფუხაევები არიან), საურები, ხარშილაურები, ჯიჯიურები, ბიბილურები/ბიბილაშვილები, გოგალაურები, ბერიულები, ბუტაურები („ძეგლი ერისთავთას“ თანახმად ბრუტაშვილები), თაგაურები, ვეშაპურები, შალაურები, ფაკაურები, თუთარაულები, ლაჩაურები, ხომიზურები, ჯაფარაულები; აგრეთვე ბიგანები (ბიგანიშვილები, ხაბარელები, ხეთერელები, ხოდელები (გაოსებულები დღეს ხოდოვები არიან), კასაბურები, გერკეულები, გელიშვილიები, გაიაშვილები, კეხოშვილები, გოგიჩაშვილები, თიბელაშვილები, ეფხოშვილები. რაც შეეხება ყველაზე დიდ ოსურ გვარს ხეთაგურს (ხეთაგუროვებს), მათი წინაპარი აქ ყაბარდოდან იყო მოსული და, ბუნებრივია, ქართულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გვარსახელიც -ურ სუფიქსით გაიფორმეს. შემდეგ ოსურ ეთნიკურ გარემოში ეს გვარიც გაოსდა და, შესაბამისად, რუსული სუფიქსიც დაემატა XIX საუკუნეში. ეთნოლოგ ბ. კალოევს კი მკითხველი შეცდომაში შეყავს, როდესაც წერს, რომ, თურმე, თავდაპირველად ისინი ხეთაგუროვები იყვნენ და მხოლოდ გვიან გაქართველების შემდეგ ჩამოეცალა გვარს -ოვ სუფიქსიო: «Получив поместье под Казбеком, Хетагуровы, как и некоторые другие осетинские поселенцы, изменили фамилию на Хетагури»³⁷⁸. ასე რომ, რომ კალოევის ლოგიკით ოსებს რუსულსუფიქსიანი გვარები რუსეთის იმპერიის კავკასიაში შემოსვლამდე ჰქონიათ! ამიტომაც 1770 წლის ასპინძის ბრძოლის მონაწილე დვალი დოხჩიკო ხეთაგური ხეთაგუროვად ჰყავს მოხსენიებული.

ზემოთ დვალეთში აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მხარეების მთიელთა ანალოგიური დღესასწაული – ათენგენობა

³⁷⁸ Калоев Б. А. Осетины Восточной Осетии и районов Грузии (Историко-этнографические очерки), Владикавказ, 2012, с.44.

ვახსენეთ. დვალეთში იყო აგრეთვე სხვა ქრისტიანული დღესასწაულები, რომლებსაც ქართულ ქრისტიანულ სამყაროსთან უშუალო კავშირი აქვთ, კონკრეტულად, ჯანათის ხეობის მოსახვევში „ნიფი (შდრ.: ტოპონიმები „ნიფა“ და „ნიფორი“ – რ. თ.) უასტერჯის“ სალოცავზე დღესასწაულობდნენ „ჯიორგუბას“.³⁷⁹ წმინდა გიორგის სალოცავი, ოსეთის სხვა საზოგადოებებისაგან განსხვავებით, დვალეთის თითქმის ყველა სოფელში ყოფილა და აქ ამ სალოცავთან დაკავშირებული დაახლოებით ათი ტოპონიმია დაფიქსირებული.³⁸⁰ „გიორგობა“ ხომ საქართველოში ყველაზე გავრცელებული ქრისტიანული დღესასწაული იყო. ამ თვალსაზრისითაც დვალეთი უდავოდ ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო. დვალეთის სოფელებში თლიში, ქალაქასა და ლისრში (ჟღელეს/მამისონის ხეობა) არსებობდა სალოცავი „*სამხთოსი/სამხთოს ძუარ*“. ეს სალოცავი ოსურ ენციკლოპედიაშიც არის შეტანილი. ნიშანდობლივია, რომ ამ სალოცავთან *ათენგენობას* დღესასწაულობდნენ. სალოცავის სახელწოდება და ათენგენობის დღესასწაული პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ის ქართველი მთიელების – დვალეების სალოცავი იყო. არაქართველები, ბუნებრივია, *სამხთოს/სადვთოს* სახელწოდებით სალოცავს ვერ შექმნიდნენ. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ *სამხთოს* სახელწოდებით ეკლესიები არა ერთი და ორი იყო ქართლში, მაგალითად, სამხთოს ეკლესია იყო ქსნის ხეობაში, სოფელ ჩიტიანში. ათენგენობის სალოცავის გეოგრაფია დვალეთში პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ ის ეთნოგრაფიულად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ანალოგიური იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ათენგენობა საყო-

³⁷⁹ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 2, с. 286.

³⁸⁰ Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии, Часть 1, с. 19.

ველთაოდ გავრცელებული დღესასწაული იყო. დვალეთი დანარჩენი მხარეებისაგან ამ თვალსაზრისით არ განსხვავდებოდა. ირკვევა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის არცერთ საზოგადოებაში ათენგენობა არ იციან, რაც იმას ადასტურებს, რომ ოსური ეთნოსის წარმომადგენლებმა დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ადგილობრივთა სალოცავები/ჯვარ-ხატები გაითავისეს.

დვალეთისა და დვალეების შესახებ ხსოვნა არა მხოლოდ ქართლის, ხევის, რაჭის მოსახლეობაში იყო შემონახული, არამედ სვანეთშიც. გადმოცემით უშგულელ სვანებს მოუკლავთ ფუთა დადეშქელიანი, რომელიც მათ დამორჩილებას ცდილობდა. ამ დროს უშგულში სტუმრად „ექვსი დვალეთელი იყო. ამათ ჰქონდათ უჩახმახო თოფი. სვანეთში მაშინ თოფი არ იყო და მთელი სოფელი ამ უჩახმახო თოფს სინჯავდა და ეკითხებოდა დვალეთელებს, ეეხნათ თოფის ხმარება. დვალეთელებმა თოფი გასტენეს და სთქვეს: თუ ფუთას მოკვლა გინდათ, ამ თოფით მოკლავთ“³⁸¹. საყურადღებოა, რომ უშგულელებისათვის ცნობილი ყოფილა აგრეთვე „დვალეთური დანა“.

ცნობილია, რომ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა მუდმივად მიგრირდებოდა მთისნინეთსა და ბარში. ბარში მტრისაგან აოხრებულ სოფლებს მთის ზედმეტი (ჭარბი) მოსახლეობა ავსებდა³⁸². ამ მხრივ არც დვალეთი იყო გამონაკლისი. რადგანაც დვალეთი ჩრდილოეთიდან შიდა ქართლს ესაზღვრება, მისი ჭარბი მოსახლეობა ძირითადად ამ მიმართულებით გადასახლდებოდა. შიდა ქართლში მკვიდრი -ურ (-

³⁸¹ ბ. ნიჟარაძე. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1964: გვ. 76

³⁸² რ. თოფჩიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. თბ., 1984.

ულ) სუფიქსიანი გვარსახელების მატარებელთა წინაპრები ძირითადად დვალეთიდან არიან გადმოსახლებული. მნიშვნელოვანი რაოდენობით ხდებოდა დვალეების მიგრაცია რაჭაში (დვალეთს ესაზღვრება დასავლეთიდან), და თერგის ხეობის ზემო წელზე (თრუსოში, მნასა და ხევში). დვალეების ეს ტრადიცია შემდეგ აქ მოსულმა ოსებმა გააგრძელეს.

დვალეთი რომ ეთნოკულტურულად ქართული იყო და რომ დვალეებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებთან ბევრი რამ საერთო ჰქონდათ, ამას გვიანდელი პერიოდის ეთნოგრაფიული მასალებიც ადასტურებს. ეს მონაცემები კი XX საუკუნეში ოს მკვლევარებს აქვთ დადასტურებული. ბ. კალოვის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ღვთაება „ალარდს“, რომლის შესახებაც აღნიშნავს, რომ ის ადგილობრივი კავკასიური წარმოშობისაა, რომლის შესახებაც იზიარებს სხვა ავტორთა მოსაზრებებს, რომ ალარდი ალავერდიდან მომდინარეობსო [«Большое место в осетинском пантеоне занимает кудьт божества оспы Аларды, имеющий, по всей вероятности, кавказское происхождение; одним из подтверждений этого является его бытование у грузин и абхазов... по определению Р. Штакельберга и В. И. Абаева, название Аларды ведет свое происхождение от Алавердинского храма св. Крестителя, находившегося в Кахетии и пользовавшегося большим почитанием по всей Восточной Грузии»³⁸³]. ალარდი განსაკუთრებით პოპულარული დვალეთის ზახას ხეობაში ყოფილა და როგორც მიუთითებენ, ზახაში მისი სალოცავები ყველგან მაღალ მთაზე ყოფილა გამართული, რაც ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მთელი დვალეთის სალოცავი ყოფილა კასრის-კარის მიქალგაბრიელის სალოცავ-

³⁸³ Б. А. Калоев. Осетины (Историко-этнографическое исследование), 1971, М., с. 254.

ვი.³⁸⁴ აქვე და აგრეთვე თრუსოში ეთნოგრაფიული მონაცემებით ფრიად პოპულარული სალოცავი იყო „სანიბა“. ბ. კალოვის მოსაზრებით, ის ოსებს მეზობელი ქართველი მოხვევებისაგან უნდა გადაეღოთ.³⁸⁵ თრუსოშივე არსებულ მთავარანგელოზის სალოცავზე დაიარებოდა აგრეთვე მოხვევების რამდენიმე გვარი, რაც უდავოდ თავის დროზე მათ აქედან ხევში საცხოვრებლად გადასვლაზე მიუთითებს. ამ მოსაზრების გამო მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ დვალეთში მიგრირებულ ოსებს „სამების“ სალოცავი დახვდათ. რაც შეეხება თრუსოს, გერგეტის სამება თავის უფლებამოსილებას ოსების მიგრაციამდე დიდი ხნით ადრე ავრცელებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. ეს ადგილობრივი მოსახლეობა კი გერგეტის მატიანის შედგენის დროისათვის ქართული (დვალური) იყო. ამასთანავე ეთნოლოგებს ის ფაქტიც აქვთ დადასტურებული, რომ დვალეთის თითქმის ყველა სოფელში არსებობდა სასოფლო სალოცავები – ძირითადად წმიდა გიორგისა და მთავარანგელოზისა.³⁸⁶ წმიდა გიორგის სალოცავები ყოფილა რეშში, ბაიაში, ხიაში... ეს ფაქტიც ადასტურებს იმას, რომ დვალეთი ეთნოგრაფიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას მივუთითებთ. ნარაში დიდად პოპულარული ყოფილა ღვთისმობელი: «Нарской котловине пользовался «Зруджы Мады Майрамы дзуар» (святилище Зругской матери Марии), или «Зруджы Зарин Майрам» (Зругская золотя Мария). Ее святилище представляло собой развалины огромной двухэтажной грузинской церкви,

³⁸⁴ Б. А. Калоев. Осетины (Историко-этнографическое исследование), 1971, М., с. 260, 273.

³⁸⁵ იქვე, გვ. 263.

³⁸⁶ იქვე, გვ. 273.

датируемой X-XI вв., находившейся в Зругском ущелье»³⁸⁷. დავსქენთ, ოსებს ყველა ეს სალოცავი ქართველი დვალეებისაგან ჰქონდათ შეთვისებული.

ოს ეთნოლოგს ბ. კალოევს საკმაოდ მნიშვნელოვანი გადმოცემები აქვს დაფიქსირებული დვალეთში ოსთა მოსვლის შესახებ. მაგალითად, ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზახასა და, საერთოდ დვალეთში, პირველი მოსახლენი გამოჩნდნენ არა უადრეს XVI საუკუნისა, თუმცა ამ ბოლო, მესამე ტალღის დვალეთში მოსვლამდეც ამ გეოგრაფიულ არეალში ოსებს უცხოვრიათ. XVI საუკუნეში დვალეთში, რომელსაც ის ცენტრალურ ოსეთს უწოდებს, ადგილობრივი უწინდელი მოსახლეობა ახლად მიგრირებულთა ზენოლით იძულებული გამხდარა აქედან სამხრეთით – შიდა ქართლის მთაში – გადასახლებულიყო [«В это же время, по фамильным преданиям, заселяются и другие районы Центральной осетии вместе прежних жителей, вынужденных уходить под давлением новых поселенцев в районы Южной Осетии и Собственно Грузии. Во всяком случае закинцы обосновались не на пустом месте, а на давно обжитом, о чем свидетельствуют оставшееся от прежних жителей множество названий местностей (гор, перевалов, рек и пр.), неизвестных закинцам»³⁸⁸]. ადგილობრივ გვართაგან, რომლებიც ოსებს ზახას ხეობაში დახვდათ, ბ. კალოევი არაერთხელ ქესაევების გვარს ასახელებს, რომელთა ნაწილი ადგილზე დარჩენილა და გაოსებულა, ნაწილი კი შიდა ქართლში – ქსნის ხეობის სოფელ ყანჩავეთში გადასახლებულა, რომლებიც თავდაპირველ ქართულ გვარს – ქესაურს – ატარებდნენ. XX საუკუნის ბოლოს ქესაურები 54 კომლი იყვნენ. ოს ეთნოლოგთა მიერ ჩანერილი მასალებით ქესაურები განაყრები ყოფილან ხერხეულიძეებისა, რომლებიც დვალეთში

³⁸⁷ იქვე.

³⁸⁸ Б. А. Калоев. Осетинские Историко-этнографические этюды, с. 263.

მკვიდრობისას ხერხაულის გვარს ატარებდნენ. მთის რაჭის სოფელ გლოლაში ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალით, „დვალეთში, წინაპრების გადმოცემით, ქართველები ცხოვრობდნენ. აქ დასახლებულან, ბუბაში, ძრინელაში“ (მიხეილ ნიკოლოზის ძე ბერიშვილი, 85 წლის, სოფელი გლოლა, 8. 08. 2011). 1966 წელს დვალეთში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ექსპედიცია, რომლის მონაწილე სალომე ბახია-ოქრუაშვილს დაფიქსირებული აქვს გადმოცემები ოსური გვარების აქ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების შესახებ³⁸⁹.

დვალეთში მცხოვრები ოსების დანარჩენი ოსებისაგან განმასხვავებელი კიდეც ერთი ეთნოგრაფიული ფაქტი გაგვაჩნია, რაც, ამავე დროს, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ანალოგიურია. მხედველობაში გვაქვს დვალეთში სასოფლო სალოცავების სახელწოდებანი: „რეშიჯვარი“, „ბაიჯვარი“... წინასწარ უნდა ითქვას, რომ ბ. კალოევი სრულიად სამართლიანად ასეთი სახელწოდებით სალოცავებს დვალეთის ადრინდელი მოსახლეობის სალოცავებად მიიჩნევს [«...такие названия, как Решыдзуар (св. Реша), Байдзуар (св. Бая), Хеаыдзуар (св. Хеая) и т. д., неизвестные закинцам, являются наследием прежних жителей Заккинского ущелья»³⁹⁰].

დვალთა ქართული წარმომავლობის შესახებ საინტერესო გადმოცემა ჩაუნერია ნარაში ვსევოლოდ მილერს, რომელიც ასევე იმონებებს ნ. დუნკელ-ველინგის მიერ დვალეთისავე ნარას/ჟღელეს ხეობაში ჩანერილ ლეგენდას, რომელსაც იგივე ლეგენდა რაჭის სოფელ უწერაშიც დაუფიქსირებია: «Другое

³⁸⁹ ს. ბახია-ოქრუაშვილი. დვალთა ეთნიკური ვინაობის ისტორიის საკითხები. – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIII, თბ., 2011, გვ. 54-58.

³⁹⁰ Б. А. Калоев. Осетинские Историко-этнографические этюды, с. 262.

сходное осетинское предание изложено Н. Дункель-Веллингом в статье под названием «осетинская легенда о Промете». В примечании автор говорит: «Легенда эта слышана мною в Раче, в селении Уцера. Она также существует у осетин Мамисонского ущелья и подтверждается некоторыми другими рассказами»³⁹¹. ბუნებრივია, აქ საუბარია ამირანის თქმულებაზე, რომელიც დვალეთში მოსულმა ოსებმა ადგილობრივი ქართველი დვალეებისაგან მიღეს/შეითვისეს.

ფრიად საყურადღებოა ე. ზიჩის დაკვირვებაც დვალეთში — ზარამაგსა და მამისონში/ჟღელეში — მცხოვრები ოსების ანთროპოლოგიური ტიპის შესახებაც; ის საუბრობს აქ მცხოვრები ოსების ქართველებთან საოცარ მსგავსებაზე: «... долине Замарага имеется много блондинов и рыжих с голубыми глазами; жители долины Мамизондона поразительно похожи и грузин»³⁹². ეს საოცარი მსგავსება კი იმის დამადასტურებელია, რომ XIX საუკუნეში ჟღელეს ხეობაში მცხოვრები მოსახლეობა მოსული ოსების მიერ ასიმილირებული დვალეები იყვნენ.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ დვალეთის ოსებით დასახლება ერთდროული ფაქტი არ ყოფილა და ის მხოლოდ XVI საუკუნეში არ მომხდარა. ჩრდილოეთიდან ოსთა მიგრაცია XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისშიც მიმდინარეობდა. ამ დროს მიგრირებულ გვარებს შორის ხანაევებს მიუთითებენ [«Ханаевы пришли в Заккинское ущелье не ранее конца XVII–начале XVIII в.»³⁹³].

³⁹¹ В. Миллер. Кавказские предания о великанах, прикованных к горам. – Кавказ: культы, легенды, предания. – Налчъик, 2010, Вып. V, 290.

³⁹² Е. Зичи. Путешествие по Кавказу и Центральной Азии. Том 1 http://drevlit.ru/docs/kavkaz/XIX/1880-1900/Zici_E/text1.php.

³⁹³ Б. А. Калоев. Осетинские Историко-этнографические этюды, с. 265.

IX. ფოლკლორი დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ

ნიგნის „დვალეთი და დვალეები“ პირველი გამოცემის (2016) ერთი მონაკვეთში სათაურია განხილულია ზემო რაჭაში ფოლკლორისტიების მიერ ჩანერილი ლექსის „მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი“ მხოლოდ ერთი ვარიანტი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი თხუთმეტამდე ვარიანტი არსებობს. ეს ვარიანტები საკმაოდ დიდი ხნის წინ გვეკონდა მოძიებული. ნიგნზე მუშაობის პროცესში გამზადებულ მასალას ველარ მივაკვლიე. მხოლოდ მისი დაბეჭდვის შემდეგ ჩემს არქივში შემთხვევით წავაწყდი. ნიგნში წარმოდგენილი ვარიანტი პირდაპირ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დვალეები ოსები არ იყვნენ, რომ დვალი და ოსი დაპირისპირებული იყო ერთმანეთთან, რომ ადგილობრივი დვალეები მოსულ ოსებს ებრძოდნენ, თავის მიწა-წყალს იცავდნენ ოსებისაგან. სხვა ვარიანტები ჩვენს დასკვნას უფრო ამყარებს და ბევრ ფაქტს აზუსტებს. ამიტომ საჭიროდ ვცანით დანარჩენი ვარიანტების განხილვაც.

ლექსის სხვადასხვა ვარიანტის მოყვანასა და განხილვამდე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხში შექმნილი ლექსები, რომლებიც ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტს ეხება, უტყუარი წყაროა მომხდარი ფაქტის შესახებ. შეიძლებოდა ესა თუ ის გადმოცემა რალაცნაირად შეცვლილიყო, მაგრამ ლექსი ფაქტობრივად არ იცვლებოდა. განსაკუთრებით ეს მთიანი მხარეების შესახებ ითქმის. ეთნოლოგი რუსუდან ხარაძე ამის შესახებ აღნიშნავდა: „ლექსს, როგორც საბუთს თვითონ ხევსურები დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ჩვენ მოგვეპოვება

საყურადღებო მასალა იმისა, თუ როგორ სჯიდა ხევსურული რჯული უდანაშაულო პირის ლექსში აუგად ხსენებას. სოფ. ბარისახოში შეყრილმა ბჭეებმა განაჩენის გამოცხადების წინ ასეთი სიტყვებით მიმართეს დამნაშავეს: „ლექსით კაცი ფუჭდების. რაც გინდა მიძახე საყვედური, ის კი გაქრების, მაგრამ ლექსი დარჩების. თქვენ იმაში გიძევთ ბრალი, რომ უდანაშაულო კაც ლექსში გასაცილებელია“; „გარდა აღმზრდელიობითი მნიშვნელობისა ლექსიცა და ანდრეზიც ხალხისათვის უტყუარ საბუთს წარმოადგენდა, რომელიც სადაოდ ქცეულ საქმეს უეჭვოდ ხდიდა“³⁹⁴.

დასაწყისში კი მოვიყვანთ ზემოხსენებულ წიგნში მოყვანილ მსჯელობას: „ზემო რაჭაში ფოლკლორისტებს ჩანერილი აქვთ ერთი შესანიშნავი ლექსი/სიმღერა „მალლა მთას მოდგა უცხო ფრინველი“, რომლითაც კარგად ჩანს, რომ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარე — დვალეთი, ოსეთში არასდროს შედიოდა და რომ აქ დასახლება ოსებმა ბრძოლით შეძლეს:

„მალლა მთას მოდგა
უცხო ფრინველი
თეთრი ფრთოსანი.
ჟღელეს ჩამოდგა
დიდი ლაშქარი
დიდი ლაშქარი — ოსი და დვალი.
ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,
ცისკრისა ჟამსა, გათენიასა:
ქნევა ხმლისა, ძგერა შუბისა.

³⁹⁴ ხარაძე რ. ხევსურული ანდრეზი — ხალხური სამართლის წყარო. — მიმომხილველი, ტომი 2, 1951, თბ., გვ. 390.

ხმალი ორპირი სისხლში სცურავდა,
შუბის ნალენი ზეცას ცვიოდა,
მესამე დღესა ჩამოცვიოდა.
ვაჟკაცთ ყვირილით მიწა იძროდა,
სისხლისა ღვარსა კაცნი მოქონდა.
ჯაფარ გაიქცა, ვით რომ კაკაბი,
ოსი მისდევდა, ვით რომ არწივი.
ჯაფარ, ვერ ნახვალ
შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან
ლაშქრულს ანბავსა,
ლაშქრულს ანბავსა,
ნითელ კაბასა,
სიტყვა გათავდა, ჯაფარ ნაიქცა,
ჯაფარ ნაიქცა სვეტი ოქროსი.
ომი გათავდა, ომი გათავდა,
აგერ მოდიან მონიფულები.
ჯაფარ მოაყვე:
თავი გოდრითა,
ტანი ლასტითა,
წვრილი წელეები —
ხელკალათითა“³⁹⁵.

ამ ხალხური ლექსის 15-ზე მეტი ვარიანტი არსებობს, უფრო სრულყოფილიც. შესაძლებელია ამ ლექსის თავდაპირველი ვარიანტის აღდგენა. მიხეილ ქურდიანის მითითე-

³⁹⁵ ძველი საქართველო, II, ტფ., 1911-1913, გვ. 115.

ბით, თავისი აგებულებით ეს ლექსი საკმაოდ ძველია³⁹⁶. დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ხალხურ ლექსში ასახულია დვალელებში შემოჭრილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალელებთან. სამოსახლო ტერიტორიებს დვალეთში ოსები ბრძოლით მოიპოვებენ. ოსები დვალელებთან ბრძოლაში იმარჯვებენ. ბევრი დვალი დაიღუპა. გადარჩენილები კი მამა-პაპათა საცხოვრისიდან გაიქცნენ (და დასახლდნენ შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, რაჭაში, ზემო იმერეთში...). დვალთა ერთ-ერთი ლიდერი ჯაფარი დამარცხდა რა უთანასწორო ბრძოლაში, ის გაიქცა, „ვით კაკაბი“. გაქცეული ჯაფარი, რომელიც დვალეებს ანსახიერებს, ოსებმა აკუნეს. რაც შეეხება იმას, რომ ეს ბრძოლა ნამდვილად მოხდა, კარგად ჩანს ხალხური ლექსიდან. ლექსში ნახსენები ორივე ტოპონიმი („მალლა მთა“ და „ჟღელე“, სადაც ბრძოლა მოხდა) დვალეთშია. „მალლა მთა“ ეს იგივე „მალლა დვალეთია“. ასეთი გეოგრაფიული ერთეული ნახსენები აქვს იონე ბაგრატიონს³⁹⁷. „ჟღელე“ კი დვალეთის ექვსი ხეობიდან ერთ-ერთი ხეობაა, რომელიც გეოგრაფიულად მთიან რაჭასთან ახლოსაა (მთიანი რაჭიდან დვალეთის ჟღელეს ხეობაშია გადასასვლელი). ლექსის რამდენიმე ვარიანტში ნახსენებია ტოპონიმი „ქალაქა“. „ქალაქაც“ დვალეთის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი იყო. ლექსში ნახსენები „უცხო ფრინველი თეთრი ფრთოსანი“, რა თქმა უნდა, საომრად მოსული ოსები იყვნენ, რომლებიც დიდი ლაშქრით

³⁹⁶ ქურდიანი მ. 1997, საერთო-ქართველური ეპიკური (ნარატიული) ლექსის ერთი მეტრული სქემის შესახებ. — კრ.: „გიორგი როგავას“, თბ., 1997, გვ. 176-178.

³⁹⁷ ბაგრატიონი ი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, 1986, გვ. 79.

დაუპირისპირდნენ ადგილობრივ დვალებს. ხალხური ლექსიდან ამკარაა, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ერთმანეთისათვის უცხო ეთნიკური ერთობა. ამ ლექსით საფუძველი ეცლება ოსი ავტორების „მტკიცებას“, რომ დვალეები ოსები იყვნენ. ლექსში ასახული ბრძოლის შემდეგ მოხდა სწორედ მოსახლეობის ეთნიკური შეცვლა საქართველოს უძველეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში — დვალეთში“.

თქმულს დავამატებთ, რომ ლექსში მოხსენიებული „მალლა მთა“ ესაა პირიქითი ქედი, რომელიც დვალეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება. ცნობილია, რომ კავკასიონის ნაყვლაგამყოფ ქედზე ბევრად მაღალი და გაუვალია პირიქითი, პარალელური ქედი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი „პირიქითელ ქედს“ უწოდებს. სწორედ აქედან, კასრის კარით მოახერხეს ოსებმა დვალეთში შემოსვლა. მალლა მთიდან/პირიქეთელი ქედიდან შემოსულ ოსებს გადამწყვეტი ბრძოლა დვალეთის სამხრეთში — ყვლეეს ხეობაში მოუხდათ.

ახლა მეორე, სვანეთში ჩანერილი ვარიანტი მოვიყვანოთ:

„მალალ მთას მოხვალ მთეთრი მთიანი

სამი დანები, უცხვამ მფრინველი,

ჯვლეეს ჩამოდგა დიდი ლაშგარი,

დიდი ლაშგარი — სულა დვალეთი,

სულა დვალეთი, სულა ისრისა,

სულა ისრისა, ცისკრისა ჟამსა.

ცისკრისა ჟამსა, მამლის ყივილსა,

მამლის ყივილსა, გათენებასა,

გათენებასა, ბზის ამოსრულსა,

ბზის ამოსრულსა, წირვისა დროსა,

ნირვისა დროსა ქალაქის თავსა,
 ქალაქის თავსა ომი შეიქმნა,
 ომი შეიქნა, სისხლი ღვარათა,
 სისხლი ღვარათა, **ვოსი და დვალი,**
ვოსი და დვალი, ფოა–ფოლადი,
 ფოა–ფოლადი, ძგერვა შუბლისა
 ძგერვა შუბლისა; შუბლის ნალენი,
 შუბლის ნალენი ცის დოუფანტე,
 ცის დოუფანტე. ჯაფარ, ნუ მოხვალ,
 ჯაფარ, ნუ მოხვალ! ნითელ კაბათა,
 ნითელ კაბათა, გერგილ ნეიქცა;
 გერგილ ნეიქცა, სვეტი ოქვროსი,
 სვეტი ოქვროსი, ქუდი ნაბდითა,
 ქუდი ნაბდითა, ჩოხა — ჯაჭვითა,
 ჩოხა — ჯაჭვითა, თავი გოდრითა,
 თავი გოდრითა, ტანი ლასტითა,
 ტანი ლასტითა, წვრილი წელეები,
 წვრილი წელეები ხელკალათითა,
 ხელკალათითა, მუზორატითა“. ³⁹⁸

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ დვალეთში ოსების შემოჭრის შესახებ ხალხური ლექსი შეიქმნა სვანეთშიც. შესაძლებელია ის მეზობელი რაჭიდან გავრცელებული ლექსის სვანურ ვარიანტს წარმოადგენდეს (ჩანერილია უშგულის თემში). რას უნდა ნიშნავდეს „სულა დვალეთი“? ვგონებ, ამ სიტყვებში „მთელი დვალეთი“ იგუ-

³⁹⁸ მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის. II. სვანური პოეზია, I, შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიაშვილმა და მ. გუჯეჯიანიამ, თბ., 1939, გვ. 364-365.

ლისხმება. ასე რომ, უცხო თეთრი ფრთოსანი ფრინველების ჩამომდგარ დიდ ლაშქარს — „ვოსებს“ დვალეთის მთელი მოსახლეობა უპირისპირდება. ისიც ფაქტია, რომ შემოჭრილი ოსებისა და ადგილობრივი დვალეების ომში მხოლოდ ტრადიციული იარაღი (ისარი, შუბი, ხმალი) გამოიყენებოდა. ბრძოლა დილაუთენია, მზის ამოსვლისას დაწყებულია. ხალხურ ლექსში ბრძოლის ადრე დაწყება რამდენიმე, უფრო სწორად, ხუთნაირი ხერხითაა გადმოცემული; ესაა: „ცისკრის ჟამი“, „მამლის ყივილი“, „გათენება“, „ზის (მზის) ამოსვლა“, „წირვის დრო“. ომი ქალაქის (სოფელ ქალაქას) თავს, სიახლოვეს მომხდარა. ქალაქა კი დვალეთის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი იყო. გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ ქალაქასთან მომხდარა. როგორც ამ, ისე სხვა ვარიანტების მიხედვით, მოსულ ოსებსა და დვალეებს შორის ბრძოლა ძალიან ძლიერი, დაუნდობელი ყოფილა. პირველი ვარიანტსაგან განსხვავებით, სამშობლოს დამცველ მებრძოლ *ჯაფართან* ერთად ჩნდება მეორე პიროვნებაც — *გერგილი*. ჯაფარი და გერგილი წითელი კაბით/ჩოხით არიან წარმოდგენილი. წითელი, რა თქმა უნდა, მათ დაჭრაზე/ჭრილობებზე მიუთითებს. ორივე მათგანი ოქროს სვეტსაა შედარებული. აცვიათ ჯაჭვის პერანგიც, ახურავთ მუზარადი. დვალეები რომ ქართველები იყვნენ ამას ლექსში დამონშებული ანთროპონიმებიც ადასტურებს: ჯაფარი შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ გავრცელებული პიროვნული სახელი იყო. დასავლეთ საქართველოში ბოლო დრომდე დამონშებულია აგრეთვე მამაკაცის პიროვნული სახელი „გერგილი“ — ის „გიორგის“ ვარიანტია. ვხვ-

დებოდა აგრეთვე „გერგეტელის“, „გერგილედას“, „გერგობეს“ და „გერგოიას“ ფორმით³⁹⁹.

პირველ ვარიანტთან ახლოსაა რაჭაში 1934 წელს ელენე აგლაძის მიერ ჩანერილი ვარიანტი, რომელშიც დვალეთში შემოჭრილი ოსი ფაიქომელადაა მოხსენიებული:

„ჟღელეს ჩამოდგა
დიდი ლაშქარი,
ოსი და დვალი,
სულამ დვალელი,
ფაიქომელი“⁴⁰⁰

ფაიქომი ოსეთის ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონი გახლდათ. ვახუშტი ბაგრატიონი როდესაც ჩამოთვლის ოსთა საზოგადოებებს, ცალკე ასახელებს „ვალაგირ-ფაიქომს“: „ხოლო ქურთაულის დასავლეთით არს ჳეობა ვალაგირისა და ფაიქომისა, რომელი იწოდა დაბნებთ გამო, მუნ მყოფთა“⁴⁰¹. ასე რომ, დვალების წინააღმდეგ იბრძვიან ალაგირელი ანუ ფაიქომელი ოსები. ამ ვარიანტში ბრძოლის ადგილად, ჟღელესთან ერთად, ნახსენებია „ქალაქის თავი“. დამარცხებული და ბრძოლის ველიდან გაქცეული ჯაფარი შინ მშვიდობით ვერ მიდის. მას (თუ სხვას) სახლში დარჩენილი დვალები ეკითხებიან: „ჩვენები რა იქნენ“?.

³⁹⁹ ლლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 100.

⁴⁰⁰ ქართული ხალხური პოეზია, ტომი მეორე — საგმირო ლექსები, ნაკვეთი მეორე (IV), თბ., გვ. 127; კოტეტიშვილი ვახ. ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 8.

⁴⁰¹ ქართლის ცხოვრება, 1973, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., გვ. 643.

პასუხი ასეთია: „უკან მოდიან დაღალულები“, ე. ი. დამარცხებულები.

ახლა სრულად უნდა მოვიყვანოთ მთის რაჭის სოფელ გლოლაში 1953 წელს ელენე ვირსალაძის მიერ ჩაწერილი ვარიანტი:

„იგი მოდგა, იგი მთას მოდგაო,
იგი მთას მოდგაო უცხო მფრინველი,
უცხო მფრინველი, თეთრი ფრთიანიო,
თეთრი ფრთიანი ბოლო წითელიო,
ბოლო წითელიო ქოჩეჩიანიო,
ქოჩეჩიანი ჟღელეს ჩამოდგესო,
ჟღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი,
დიდი ლაშქარი ოსი და დვალი,
ოსი და დვალი ფაიქომელნი.
ფაიქომელნი, სულ რომ დვალეთიო,
სულ რომ დვალეთი, ომი შეიქნა,
ომი შეიქნა ქალაქის კარსა,
ქალაქის კარსა, ცისკრისა ჟამსა,
გათენებასა, მზისა ამოსვლასა,
მზის ამოსვლასა, ელვა ელვისაო,
ელვა ელვისა, ქნევა ხმლისა,
ქნევა ხმლისა, ძგერა შუბისაო,
ძგერა შუბისაო, შუბთა ნალენიო
შუბთა ნალენიო, ზეცას ცვიოდაო,
ზეცას ცვიოდაო, მესამე დღესა ჩამოცვიოდა,
ჩამოცვიოდა ხმალი ორპირი
სისხლში ცურავდაო,
სისხლში ცურავდაო,
ის ორნი ძმანი,

ის ორნი ძმანი ქვედანი დვალნი,
ქვედანი დვალნი ხატაველთანო...
ხატაველთანო დროშა მოვიდაო,
დროშა მოვიდა, ვინ მოიტანა?
ვინ მოიტანა, — **პირხოლმა** ჩვენმა,
პირხოლმა ჩვენმა პირხოლის მზემა,
პირხოლის მზემა, **ბოცორ** გაიქცაო,
გორსა გაიჭრა, კვიცი გვეგონაო,
კვიცი გვეგონა ვით რომ დედალიო,
ბოცორ, ვერ ნახვალ შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან ლაშქრის ამბავსა,
ლაშქრის ამბავსა, წითელ კაბასაო,
წითელ კაბასა, ბოცორს ჰკითხავენო,
ბოცორს ჰკითხვიან დვალნი დედანიო,
დვალნი დედანი: — ჩვენნი რა იქნესო,
ჩვენნი რა იქნეს? — გუშინ ომს იყვნესო,
გუშინ ომს იყვნეს, დღეს კი მოვლიანო,
დღეს კი მოვლიან თავდატეხილნი,
თავდატეხილნი, თავი გოდრითაო,
თავი გოდრითა, ტანი ლაშქრითა
(უნდა იყოს „ლასტითა“ — რ. თ.),
ტანი ლაშქრითა,
წვრილნი წელები ხელკალათითა
ხელკალათითა, ამოთ კანაფოო,
ამოთ კანაფოო, გრძელო და წვრილო,
დიდზე განვდილო, ფესოვნებოო,

ფესოვნებო, ზეით თავებო თესლოვანებო“⁴⁰².

ნარმოდგენილ ვარიანტში „მალა მთის“ ნაცვლად მხოლოდ „მთა“-ა დასახელებული. **ამავე ვარიანტშიც ოსი ფაიქომელადაც არის სახელდებული.** კასრის კარით შემოჭრილი „უცხო ფრინველი“ და „თეთრი ფრთიანი“ ბოლონიტელად და ქოჩეჩიანად არის მოხსენიებული. ამ შემთხვევაში ფაიქომელ ოსებს მთელი დვალეთი უპირისპირდება. საუბარია ორ ძმაზე, რომლებიც „ქვედა დვალეზად“ არიან მოხსენიებულნი. ეს ორი ძმა, ჩვენი ვარაუდით, ჯაფარი და გერგილი იყვნენ. დვალეთის რომელი ტერიტორია უნდა იგულისხმებოდეს ქვემო დვალეთში? შეიძლება მათში მალრან-დვალეები ვიგულისხმოთ. (1930 წელს შოთა ძიძიგურის მიერ გლოლაში ჩანერილ ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ: „ჟღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი, // დიდი ლაშქარი ოვსი და დვალი, // ომი შეიქნა ქალაქის კარსა, შემორეოდეს ქვედანი დვალნი“). აქვე პირველად მოხსენიებული არიან „ხატაველთანი“: „ის ორნი ძმანი ქვედა დვალნი, // ქვედა დვალნი ხატაველთანიო. // ხატაველთანიო დროშა მოვიდაო, // დროშა მოვიდა, ვინ მოიტანა?“ დროშა ქვედა დვალმა პირხოლმა მოიტანა (ბრძოლიდან?). **ამავე ვარიანტით** ჯაფარის ნაცვლად ბოცორი გარბის, რომელიც შედარებულია არა კაკაბთან, არამედ დედალ კვიცთან. მას „დვალნი, დედები“ ეკითხებიან, შენ მოხველ, ჩვენები რა იქნენ? გუშინ

⁴⁰² ქართული ხალხური პოეზია, ტომი მეორე — საგმირო ლექსები, ნაკვეთი მეორე (IV), თბ., 1975, გვ. 382-383; ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, II, შეადგინა ქს. სიხარულიძემ, თბ.,

ომში იყვნენ და დღეს მოვლენ თავდატყეხილნიო. შინამდვი-
ლეში კი დვალეები აკუნულნი, დამარცხებული არიან. ქართ-
ველნი ბრძოლაში რომ დროშით მიდიოდნენ, ეს ლექსის ამ
ვარიანტთაც ჩანს. „ხატაველთანიო დროშა მოვიდაო“, ამ
სტრიქონებში ხატის დროშა ხომ არ იგულისხმება? უფრო
მართებულია ის რომ ქვედა დვალეების ერთ-ერთი სოფელი
იყო „ხატაეთი“, მისი მკვიდრები კი საბრძოლველად მოსუ-
ლი იყვნენ დროშით („ის ორნი ძმანი ქვედანი დვალნი, //
ქვედანი დვალნი ხატაველთანიო, // ხატაველთანიო დროშა
მოვიდაო, // დროშა მოვიდა, ვინ მოიტანა?“). დვალის სა-
ხელი „ბოცორი“ ქართული სახელია — კურდღლის ნაშიერს
ნიშნავს. ასეთი სახელი, ბოცოსთან ერთად, დასავლეთ სა-
ქართველოში, განსაკუთრებით დვალეთის მეზობელ რაჭა-
ში იყო გავრცელებული. ამავე ლექსში ოსები ეპითეტით
„ქოჩეჩიანი“ არიან მოხსენიებული. რას უნდა ნიშნავდეს ეს
ტერმინი? იქნებ რაჭულ დიალექტში რამეს აღნიშნავს?
მთის რაჭაში ჩაწერილი ლექსიდან იმასაც ვგებულობთ,
რომ დროშა „პირხოლმა ჩვენმა“ მოიტანა. ე. ი. ლექსის შე-
მქმნელი რაჭველები დვალეებს თავისიანად მიიჩნევენ. მან
არა მხოლოდ დროშა მოიტანა, არამედ გადაარჩინა კიდე-
ვაც, იმ დროს, როდესაც სხვებმა ბრძოლას ვერ გაუძლეს
და გაიქცნენ (მაგალითად, ბოცორი, რომელიც გაქცეულ
დედალ კვიცსაა შედარებული). ერთ-ერთ ვარიანტშიც, რო-
მელიც 1962 წელს ჩაუნერია ჯუმბერ თითმერიას, ასევე სო-
ფელ გლოლაში, არიან ხატაველნი მოხსენიებული: „ღელეს
ჩამოდგესო, ის ორნი ძმანიო, // ხატაველნიო“⁴⁰³. აქვე „მალ-
ლა მთის“ ნაცვლად „იქით მთაა“ გვხვდება: „იქით მთას

⁴⁰³ ქართული ხალხური პოეზია, ტომი მეორე — საგმირო ლექსები,
ნაკვეთი მეორე (IV), თბ., 1975, გვ. 384.

მოდგა უცხო ფრინველიო“. ე. ი. ქართველები დვალეთის ჩრდილოეთით მდებარე ქედს გარდა „მაღალი მთისა“ „იქით მთასაც“ უწოდებდნენ. ეს ვარიანტი ერთადერთია, რომელშიც ტოპონიმ ჟღერეს ნაცვლად „ღელეა“ სახელდებული. რა თქმა უნდა, ღელე იგივე ჟღერეა. როგორც ჩანს, ქართულ ენაში „ღელეს“ თავდაპირველად „ჟღელე“ უნდა რქმეოდა. ლექსის შემქმნელნი ხაზს უსვამენ დვალთა ერთ-ერთი ლიდერის ბოცორის დედლობას, სილაჩრეს, რომელიც ვაჟ-კაცურ სიკვდილს ბრძოლის ველიდან გაქცევას ამჯობინებს.

საყურადღებოა კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც ასევე მთის რაჭის სოფელ გლოლაშია ჩანერილი შოთა ძიძიგურის მიერ:

„ხმალი ორპირი სისხლში ცურავდა.
ბოცორ გაიქცა, გორსა გაიჭრა,
ვაცი გვეგონა, ვით რომ დედალი.
ბოცორ, ვერ ნახვალ შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან ლაშქრის ამბავსა, წითელ კაბასა,
ბოცორ ჰკითხვიან დვალნი დედალნი,
— ჩვენნი რა იქნეს?
— უკან მოდიან, გუშინ ომს იყვნეს,
დღეს კი მოვლიან. თავი გოდრითა, ტანი ლაშქრითა,
წვრილი წელები ხელ-კალათითა,
ღვინომ რაჲ გვიქნა სადმელისამა,
ხორცმა რა გვიქნა ღურშოვისამა,
ანად კანაფო, გრძელო და წვრილო,
ქვეით ფერხებო ფესოანებო,

ზეითა თავო ყვავილოვანო“⁴⁰⁴.

უთანასწორო ბრძოლიდან ფაქტობრივად ცოცხალი აღარც ერთი დვალი არ გამოდის, ჯაფარსა და ბოცორსაც რომ ვაჟკაცურად ებრძოლათ სხვებივით, მაინც ვერ გაიმარჯვებდნენ, იმდენად დიდი იყო ძალთა სხვაობა. ისიც აშკარაა, რომ დვალები ბრძოლის წინ (და საერთოდ) რაჭის სოფელ სადმელიდან წაღებულ ღვინოს სვამდნენ [ოსებისათვის ხომ საერთოდ უცნობი იყო ვაზის კულტურა და, მით უმეტეს, ღვინო! ეს ფაქტიც გამორიცხავს დვალების ოსობას. ისტორიულად თითქმის ყველა ქართველ მთიელს გააჩნდა ვენახი ბარის სოფლებში] და ღურმევის ხორცს ჭამდნენ. ამრიგად, მთიელ დვალებს რაჭაში ვენახები ჰქონდათ და დანარჩენ საქართველოსთან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი და განხილული ერთ-ერთი ხალხური ლექსის სხვადასხვა ვარიანტები ეხება დვალებსა და დვალეთში შემოჭრილ ოსებს. საბრძოლველად მოსული ოსები ალაგირ-ფაიქომიდან იყვნენ. თუ გავიხსენებთ ეთნოგრაფიულ მასალებს, რომელიც დვალეთში მცხოვრებ ოსთა გვარებს შეეხება, აშკარაა, რომ ისინი აქ ჩრდილოეთ კავკასიის დასახლებული ხეობიდან არიან მოსული და მათი აქ მიგრაცია სწორედ აღნიშნული დიდი გადამწყვეტი ბრძოლის შემდეგ მოხდა. ოსები რომ დვალეთში ჩრდილოეთიდან — ალაგირ-ფაიქომის ხეობიდან იყვნენ მოსული ამას ლექსის ყველა ვარიანტში თქმული ადასტურებს, რომ მათ გადმოკვეთეს „მთა“, „მაღლა მთა“, „იქითა მთა“.

⁴⁰⁴ დიდიგური შ., ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1956.

დვალეთში ჩრდილოეთიდან ოსების შემოჭრა არცერთ ქართულ წყაროში არაა დაფიქსირებული. თუმცა განხილული ფოლკლორული ნიმუშებიდან აშკარაა, რომ ბრძოლა მოხდა ადგილობრივ ქართველ მთიელ დვალეებსა და შემოჭრილ ოსებს შორის. ეს ფაქტი ჩვენს მიერ მიმოხილულ ხალხურ ლექსში აისახა, რომელიც დვალეთის მეზობელ რაჭაში შეიქმნა. ბრძოლაც რაჭიდან შორს არ მომხდარა, მოხდა დვალეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც რაჭასთან (მთის რაჭასთან) ძალიან ახლოსაა. ზეპირი საისტორიო წყაროს — ბრძოლის ამსახველი ხალხური ლექსის — რაჭაში შექმნა განაპირობა არა მხოლოდ იმ ფაქტმა, რომ აღნიშნული ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს, არამედ იმანაც, რომ მათ მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ ერთმანეთთან, რომ სულ ერთი არ იყო რაჭველებისათვის დვალეთში მომხდარი მოვლენები.

ლექსის სხვადასხვა ვარიანტის განხილვის შედეგად აშკარაა, რომ ქართველი მთიელი დვალეები უთანასწორო ბრძოლაში მარცხდებიან მომხდურ ოსებთან. რატომ იყო ბროლა უთანასწორო? რატომ ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა დვალეებმა მოსულთ? თუმცა ბრძოლა უცაბედად არ დამთავრებულა. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის, რომ ლექსის თანახმად, „შუბთა ნალენიო, ზეცას ცვიოდაო, // ზეცას ცვიოდაო, მესამე დღესა ჩამოცვიოდა“. რამ განაპირობა უთანასწორო ბრძოლა? როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, ამის მიზეზი ის ეპიდემია უნდა ყოფილიყო, რომელმაც დვალეების მნიშვნელოვანი ნაწილი ამოწყვიტა. რამდენიმე დვალის ბრძოლის ველიდან გაქცევაც

სწორედ აღნიშნული ფაქტის შედეგად შექმნილი მცირერიცხოვნების შედეგი იყო და არა — ლალატისა.

ლექსიდან აშკარაა, რომ ოსების დვალეთში შემოჭრა მოხდა იმ დროს, როდესაც არცერთი მხარე ჯერ ცეცხლსასროლ იარაღს არ იყენებს. სხვადასხვა წყაროებზე დაკვირვება პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს ბრძოლა მოსულსა და დამხდურს შორის მოხდა XVI საუკუნეში. რა იყო ოსების დვალეთში შემოჭრის მიზეზი? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მას საფუძვლად ჰქონდა სამოსახლო ტერიტორიების მოპოვება, რის შემდეგაც, მართლაც, დვალეთი თანდათან ოსთა განსახლების არეალად იქცა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ოსებს დასახლებისას დვალეთი მოსახლეობით გამეჩხერებული ხვდებოდათ. ეპიდემიასთან ერთად დვალეთის გამეჩხერებას სწორედ აღნიშნულმა ბრძოლამ შეუწყო ხელი — გადარჩენილი დვალეების დიდი ნაწილი საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში გაიფანტა.

დვალეების ქართველობას ლექსში ნახსენები მათი ანთროპონიმებიც ადასტურებს; ესენია: *ჯაფარი*, *გერგილი* და *ბოცორი*.

ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში ქვემო დვალეები („ქვედანი დვალნი“) არიან მოხსენიებულნი. ე. ი. ზემო დვალეებიც არსებობდნენ. ასეთი თვალსაზრისით საქართველოს სოფლებისა და სხვადასხვა მხარეების დაყოფა ხომ ტრადიციული იყო. ამავე დროს ქვემო დვალეები ხატაელებადაც არიან მოხსენიებული („ქვედანი დვალნი ხატაველთანი“). სად იყო ქვემო დვალეთი, სად ცხოვრობდნენ „ქვედანი დვალნი“? დვალეთის რომელ ადგილას? ქართული ტრადიციით „ზემო“ მდინარის სათავის მხარეს (ტერიტორიას) ეწოდე-

ბოდა, ქვემო კი — მის ქვედა წელს. თუმცა არც ისაა გამო-
რიცხული, რომ „ქვედანი დვალნი“-ში მალრან-დვალეები იგუ-
ლისხმებოდნენ. ვინღა იყვნენ „ხატაველნი“? ხატაეთი ქვე-
მო დვალეთის სოფელი იყო? ან უბრალოდ „ხატაველთანიო
დროშა მოვიდაო“-ში ხატიდან მოტანილი დროშა ხომ არ
იგულისხმება?

ძირითადი დასკვნა კი ისაა, რომ საქართველოს ისტო-
რიულ-ეთნოგრაფიული მხარე დვალეთი ოსებმა მას შემდეგ
მოიპოვეს და დასახლდნენ, რაც აქ მცხოვრები ქართველი
მთიელი დვალეები უთანასწორო ბრძოლაში დაამარცხეს.
უთანასწორობის ერთ-ერთი მიზეზი კი დვალეთის მოსახ-
ლეობის „უამისაგან“ (შავი ჭირი) განყვეტა იყო. აღნიშნული
დემოგრაფიული ვითარების შექმნაში დიდი როლი 1348 წლის
ეპიდემიამაც ითამაშა, რომელიც „დიდი სიკვდილობაი“-ს
სახელითაა ცნობილი. ეს უკანასკნელი ფაქტი კი დვალეთში
გვიან მცხოვრები ოსების გადმოცემებშიცაა შემონახული.
მიზეზი საგარეო ფაქტორიც იყო. ცნობილია, რომ ქართველ
ერს აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენა თემურ-ლენგის
შემოსევებმა (1386-1403 წწ.). მერვე ლაშქრობის დროს (1403
წ.) თემურ-ლენგმა იმერეთსა და რაჭაშიც მოახერხა შესვლა
და სპარსელი მემატყიანეს აღნიშვნით, დაახლოებით შვიდასი
დაბა, ყანა და მონასტერი იქნა დარბეული და გაძარცვული“.
ამ ფაქტმა გამოიწვია დვალეთიდან და შიდა ქართლის
მთიანეთიდან ბარში მოსახლეობის ერთდროული ჯგუფური
გადასახლება. ამან კი, თავის მხრივ, ხელფეხი გაუხსნა
ჩრდილოეთიდან შემოსულ ოსურ ეთნიკურ ერთობას, რომე-
ლსაც მიგრაციისას ფაქტობრივად სათანადო წინააღმდეგო-
ბა აღარ ხვდებოდა.

XVII საუკუნის დასაწყისში დვალეთში ეთნიკური ვითარება ძირითადად შეცვლილი იყო. უცხო ეთნიკური ერთობა — ოსები ვერ ეგუებოდნენ სახელმწიფოსა (სამეფო კარსა) და მთას შორის არსებულ ტრადიციულ ურთიერთობას (მიგრანტებისათვის ბეგარის სახელმწიფოსათვის გადახდა უცხო იყო). მიუხედავად ამისა, ვახუშტი ბაგრატიონი დვალეთში დასახლებულ ოსებს კვლავ დვალეებად მოიხსენიებს. ვალეთში დვალეთის მოურავმა გიორგი სააკაძემ ილაშქრა (მას ეს თანამდებობრივად ევალებოდა): „კუალად ჟამთა ამათ არა მოსცეს დუალთა ბეგარა მოურავსა, გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ყვნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“⁴⁰⁵.

დაბოლოს, საიტებზე განთავსებულია დოკუმენტური ფილმები დვალეთის მამისონის (ყღელეს) ხეობის შესახებ. ერთერთ დოკუმენტურ ფილმში, რომელიც სოფელ ქალაქას ეძღვნება (ხალხური ლექსით ბრძოლა შემოჭრილ ოსებსა და ადგილობრივ ქართველ მთიელ დვალეებს შორის სწორედ ყღელეს ხეობის ამ სოფელთან მოხდა), აჩვენებენ ძველ ნანგრევებზე არსებულ ქართულ ასოთმთავრულ წარწერებს, რაზედაც, ვფიქრობ, კომენტარის გაკეთება საჭირო არაა. მხოლოდ იმას დავსძენთ, ნაგებობებზე ასოთმთავრული წარწერები განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში უნდა იყოს შექმნილი.

⁴⁰⁵ ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 434.

X. დვალთა მეტყველების შესახებ

ზემოთ მოყვანილი საისტორიო, ეთნოლოგიური და ენობრივი მონაცემები პირდაპირ მიუთითებენ, იმის შესახებ, რომ ეთნიკურად, კულტურულად, ენობრივად დვალეთი ქართული „ქვეყანა“, საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო, რომ დვალეები ქართველთა ისეთსავე ეთნოგრაფიულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, როგორც საქართველოს სხვა მთიელები. მიმოხილული მასალა იმ დასკვნის გამოტანის საშუალებასაც გვაძლევს, რომ დვალეთი თავდაპირველად, როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიჯნაზე მდებარე ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი/ტერიტორიული-ლოკალური ერთეული, დასავლეთ (მეგრელთა და სვანთა) და აღმოსავლეთ ქართველთა თანაცხოვრების არეალი იყო (აქ დადასტურებული ტოპონიმები იხსნება როგორც ქართული ენით, ისე ზანური და სვანური მეტყველებით). აღმოსავლეთიდან დვალეთს მთიანეთის ეთნოგრაფიული მხარე თრუსო-ხევი ესაზღვრება, ხოლო დასავლეთიდან XVI საუკუნის დასაწყისამდე მისი მოსაზღვრე სვანეთი იყო (მთის რაჭა, საიდანაც დვალეთის ჟღელეს/მამისონის ხეობაშია გადასასვლელი, „სვანეთის მთიულეთად“ იწოდებოდა). სამხრეთიდან დვალეთის მოსაზღვრე შიდა ქართლის მთიანეთია (დიდი ლიახვის ხეობიდან დვალეთში რამდენიმე გადასასვლელია). კითხვა ისმის: როგორი იყო დვალთა მეტყველება? მათი მეტყველება ერთ-ერთ ქართველურ ენას წარმოადგენდა და თუ ისინი ქართული ენის რომელიმე (ბუნებრივია, აწ გამქრალ დიალექტზე) საუბრობდნენ?

დასმულ კითხვაზე, ვფიქრობ, პასუხის გაცემა შესაძლებელია. 1997 წელს დასტამბულ ნაშრომში ვწერდით, რომ **„დვალეები ზანებთან ახლოს მდგომი ტომი იყო. თუმცა ისინი ზანების (მეგრელების) სრულ ასლს როდი წარმოადგენდნენ.**

ჩვენი ვარაუდით, ისინი ზანებსა და სვანებს შორის მდგომი ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო და ლაპარაკობდნენ დამოუკიდებელ, ერთ-ერთ (ან გადაშენებულ) ქართველურ ენაზე, რომელსაც ყველაზე მეტი საერთო ზანურთან (მეგრულთან) ჰქონდა.⁴⁰⁶ ასეთი დასკვნის მიღებისაკენ კი, პირველ რიგში, გვიბიძგებდა ის ანთროპონიმები, რომლებიც დვალეთის ეთნიკურ ოსთა შორისაა დადასტურებული 1814 წლის აღწერაში, აგრეთვე ოსურ და დასავლურქართულ გვარსახელთა საერთო ფუძეები. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტს ჩვენთვის ისიც წარმოადგენდა, რომ ვასილ აბაევი ხაზს უსვამდა ოსურ ენაში კარგად მარკირებული ზანური ელემენტების არსებობის შესახებ⁴⁰⁷ (ვ. აბაევი ასევე მნიშვნელოვან როლს აკუთვნებდა მეორე ქართველურ მეტყველებას/ენას – სვანურს). ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ვ. გამრეკელის უკანასკნელი თვალსაზრისი დვალეებზე,⁴⁰⁸ როგორც ერთ-ერთ ზანურ (მეგრულ) ერთობაზე, რომლის მოსაზრებებსაც ჯ. გვასალიას მოხმობილი სხვა (განსაკუთრებით ტოპონიმიკური) მასალებიც ამყარებდა.⁴⁰⁹

წინამდებარე გამოკვლევა და მასში მოხმობილი მონაცემები ადრე ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების კორექტირებისაკენ გვიბიძგებს, რომელთაგანაც არსებითია ის, რომ დვალეები ისეთსავე ტიპის (-ურ/-ულ სუფიქსიან) ქართულ გვარებს ატარებდნენ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში: ფარუხაული, ხად-ური, ჩიფჩი-ური, ბიგ-ული, თვა-ური, ჩოჩო-ური, ბელელ-ური, გუდია-ური, ბაგა-ური, გერგა-ული, თაბა-ური,

⁴⁰⁶ რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 69.

⁴⁰⁷ В. Абаев. Осетинский язык и фольклор. М.-Л., 1949, с. 323-330.

⁴⁰⁸ ქსე. ტ. 3.

⁴⁰⁹ ჯ. გვასალია. რას გვიდასტურებს ძველქართული სახელწოდებანი. – კომუნისტი, 9. IX. 1990 წ.

იოსებ-ური, ბრუტა-ული, კელე-ური, კაბუშ-ური, დურ-ული (სოფელი ძევერა), შიხანთ-ური, ასად-ური/აშატ-ური, ხერხა-ული/ხერხე-ული-ძე, ქესა-ური, გენცა-ური, ხაჩი-ური (თუმცა აქ -ელ, -ელ+შვილი და -ან სუფიქსიანი გვარებიც დასტურდება: ხაბარ-ელი, ხეთერ-ელი, თიბ-ელა-შვილი, ბიგ-ან-ი). მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ XIX საუკუნის ბოლომდე დვალეთის ზახას ხეობის მოსახლეობა ორენოვანი (ოსურ-ქართული) იყო. გვაქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაცემი, რომელსაც ქვემოთ შევხებით.

2012 წელს ახალგაზრდა ეთნოლოგმა გიორგი ავთანდილაშვილმა გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი, რომელითაც დასტურდება, რომ დვალური მეტყველება ქართული ენის ფხოვურ ჯგუფში შედიოდა.⁴¹⁰ დასახელებულ ნაშრომში სრულიად სამართლიანად აქცენტი გაკეთებულია დვალეთის მოსაზღვრე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებზე. ამ ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტის შესახებ ზემოთაც აღვნიშნე და აქ აღარ გავიმეორებთ. ბუნებრივია იმ ფაქტის დაშვება, რომ დვალური მეტყველება ახლოს იდგა ერთ-ერთი მეზობელი ეთნოგრაფიული ჯგუფის მეტყველებასთან. ეს უნდა ყოფილიყო: შიდა ქართლური, რაჭული და მოხეური. თუმცა, როგორც ცნობილია, დვალეთს დასავლეთიდან უშუალოდ რაჭულ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობა არ ემეზობლებოდა; ისტორიულად აქ სვანური მეტყველება იყო გავრცელებული, ხოლო XVI საუკუნის დასაწყისიდან – მთის რაჭული (რივინისტაური). მაგრამ მთის რაჭულ კილოზე აქ მხოლოდ ორი სოფლის – ღებისა და ყიორის – მოსახლეობა ლაპარაკობდა. რაც შეეხება სოფელ გლოლას, რომელიც რიონის შენაკად ქანჭახზე მდებარეობს და საიდანაც გადასავლელია დვალეთში,

⁴¹⁰ Г. Автандиладшвили. Взгляд на Двалети из Мтис Рача: о происхождении двалов и двальском говоре. – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIV, თბ., 2012, გვ. 152-162.

ამ სოფლის მკვიდრთა მეტყველება რივნისთაულისაგან განსხვავდებოდა, რომელსაც ბევრი საერთო აღმოსავლეთ საქართველოს მთის (ფხოვეურ) კილოებთან ჰქონდა საერთო: „ჭიორულ-ღებურში ... სვანურის გავლენის თუ სვანური სუბსტრატის კვალი შეიმჩნევა. სრულიად განცალკევებით დგას გლოლური. მასში საკმაოდ მკვიდრად დაცულია გრამატიკული არქაიზმები (სახელის მრავლობითობის -ნ ნიშნის) ხშირი ხმარება, ნამყოში III პირის მრავლობითობის -ეს სუფიქსის შემონახვა, შემასმენელის შეთანხმება ნ-არიან ობიექტთან, გამონაყოფთა გვარების წარმოება და სხვ.), რაც გლოლურს ამჟამად მთის კილოებთან და ისტორიულად აღმოსავლურ დიალექტებთან აახლოებს. ამ სიახლოვეს ადასტურებს ეთნოგრაფიული ფაქტები, მუსიკაში კომპოზიტორ დიმ. არაყიშვილის დასაბუთებით სიმღერები, გადმოცემები და სხვა მონაცემებიც“.⁴¹¹ „გლოლური მდ. ჭანჭახის ხეობაში კურორტ შოვამდე მდებარე სოფლის – გლოლას – მოსახლეთა მეტყველებაა და თავისი სპეციფიკური მოვლენებით სამივე რაჭული კილოკავისაგან განსხვავდება“.⁴¹²

ბუნებრივია, კითხვა ისმის: რატომ იდგა განცალკევებით გლოლური მეტყველება და რატომ ჰქონდა მას ბევრი საერთო ასე დაშორებულ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან? კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ გლოლა დასავლეთიდან ესაზღვრება დვალეთს. ეთნოგრაფიული მონაცემებით, გლოლელებს მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კონტაქტები ჰქონდა დვალეთის ოსურ მოსახლეობასთან. ეს ურთიერთობა ტრადიციული იყო და, ბუნებრივია, მაშინაც არსებობდა, როდესაც დვალეთში ქარ-

⁴¹¹ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი. თბ., 1961, გვ. 500.

⁴¹² იქვე, გვ. 501.

თველი მთიელი – დვალეები – ცხოვრობდნენ. უფრო მეტი, ეთნოგრაფიული მასალებით, გლოლის მკვიდრნი დვალეთიდან არიან მიგრირებული. დღესაც კი ლებისა და ჭიორას მოსახლეობა გლოლელებს „დვალუკეებს“ უწოდებს. სოფელ გლოლის ერთ-ერთი ძირითადი გვარი გახლდათ ბუბაშვილის გვარი. საყურადღებოა, რომ 1812 წლის დოკუმენტით დვალეთში (ნარაში) სხვა გვარებთან (მამიაშვილი, ოთარაშვილი, ბეგაშვილი...) ერთად, ბუბაშვილის გვარიცაა დასახელებული.⁴¹³ სწორედ დვალეთიდან მთის რაჭის სოფელ გლოლაში გადმოსახლებით არის განპირობებული გლოლურის აღმოსავლეთ მთის დიალექტებთან სიახლოვე (მიგრირებულებმა თან მოიტანეს კილო-კავი, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, სიმღერები...). რით იყო განპირობებული დვალეების ეთნოგრაფიული ჯგუფის გლოლაში გადმოსახლება? დადასტურებულია, რომ დვალეების ჯგუფური გადასახლება მოხდა საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეშიც, რაც განპირობებული იყო ოსთა თარეშებით.

გლოლაში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით, „დვალეები ადრე იყვნენ ქართველები, ახლა იქ ცხოვრობენ ოსები. დვალეთში ბევრია კოშკები“ (მთხრობელი რაჟდენ სულთანისშვილი, 85 წლის, სოფ. გლოლა, 2011 წ.).

გლოლურის სიახლოვე აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან, რა თქმა უნდა, მხოლოდ უბრალოდ თანმთხვევის შედეგი არაა. ზემოთ დვალეების აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებთან სიახლოვის დამადასტურებელ ეთნოგრაფიულ მასალას შევეხეთ სულიერი კულტურის სფეროში. ხალხური დღეობა „ათენგეობა“ დვალეთში ძალიან პოპულარული იყო, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში. გ. ავ-

⁴¹³ ბ. გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან... 1998, გვ. 88.

თანდილაშვილმა ამ ფაქტსაც მიაქცია ყურადღება. ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ „ათენგენობას“ გლოლელეზიც აღნიშნავდნენ⁴¹⁴. ამის შესახებ სერგი მაკალათიაც აღნიშნავდა. გარდა გლოლისა ათენგენობის დღესასწაულს რაჭაში სხვაგან არსად არ აღნიშნავდნენ და აქაც, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებში, დღესასწაულს *ხატობას* უწოდებდნენ, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ აქ ის დვალეთიდან გადმოსახლებულმა ქართველმა მთიელებმა – დვალეებმა – მოიტანეს. ათენგენობას გლოლელეზი სოფელთან ახლოს მდებარე *შხელის წმიდა გიორგის* სალოცავთან მაისში აღნიშნავდნენ, სადაც მიჰქონდათ „განატეხი“ (რიტუალური კვერი), ღვინო, სამსხვერპლო ცხოველი. ათენგენობის დროს თემის უხუცესი ღმერთს მთელი თემის/სოფლის კეთილდღეობას შესთხოვდა.⁴¹⁵ ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევი, ხევსურეთი, თუშეთი...) გლოლაშიც ათენგენობის დროს ქალებს ეკრძალებოდათ *შხელის წმიდა გიორგის* სალოცავთან მიახლოება. არ შეიძლებოდა შხელში ათენგენობის დროს სალოცავთან ცხენზე ამხედრებული კაცის მიახლოება. ასე რომ, გლოლის ათენგენობას ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ძალიან ბევრი ანალოგი ჰქონდა ზემოთ დასახელებულ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ხატობებთან. რაც მთავარია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ათენგენობას აღნიშნავდნენ დვალეთშიც. მაგალითად, დვალეთის სოფელ თლიში ადგილობრივი მოსახლეობა „სამხთო ჯვართან“ „ათენგენობას“ აღნიშნავდა.⁴¹⁶ ეს ეთნოგრაფიული ფაქტი, რა თქმა უნ-

⁴¹⁴ Г. Автандиладшвили. Взгляд на Двалети из Мтис Рача: о происхождении двалов и двальском говоре. 2012, გვ. 157.

⁴¹⁵ ს. მაკალათია. მთის რაჭა, თბ., 1987, გვ. 86-87.

⁴¹⁶ რ. თოფჩიშვილი. ონომასტიკური მონაცემები დვალთა ეთნიკური კუთვნილობის შესახებ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

და, პირდაპირ მიუთითებს გლოლელთა დვალეთიდან გადმოსახლებაზე, რომლებმაც, ბუნებრივია, თან მოიტანეს დვალური კილოკავი. საყურადღებო ფაქტია, რომ რივინისთავულ კილოზე მეტყველი მთის რაჭის სოფლების – ლებისა და ჭიორას – მოსახლეობა გლოლელებს „დვალუკეებს“ უწოდებს. სოფელში მცხოვრებ გვართა უმრავლესობას კი აქვთ გადმოცენა დვალური წარმომავლობის შესახებ.

უფრო მეტი: ეთნოგრაფიული მონაცემები მიუთითებენ დვალთა რაჭის სხვადასხვა სოფლებში განსახლებაზეც. საამისო მასალა დადასტურებული აქვს ექვთიმე თაყაიშვილს: „გლოლის დასავლეთით, ტყეში ყოფილა მეორე, წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მცხოვრებთათვის. მას უწოდებენ „შხელის ეკლესიას“. მისთვის დაწესებულია მთელი კვირა მარხვა, ორი კვირით ადრე ყველიერამდე. აღდგომა დღეს ამ ეკლესიაში ზემო რაჭის სხვა სოფლებიდანაც კი მოდიან და იქ სადილობენ ხოლმე, შემოდგომაზე, გიორგობის თვეში აქ იცის დღესასწაული ათენგეობა“.⁴¹⁷

კიდევ ერთი ეთნოლოგიური თავისებურების შესახებ, რაც ადასტურებს დვალეთის (გლოლის საშუალებით) და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ენობრივ, ეთნიკურ და კულტურულ სიახლოვეს. მხედველობაში გვაქვს ხმით ნატირალები – მკის დროს მამაკაცების მიერ მიცვალებულთა გალობით ტირილი. „ხმით ნატირლებს“ თუ ქალები ასრულებდნენ, მამაკაცების მიერ თიბვასა და მკაში მიცვალებულის დატირებას **გვრინი** უწოდებოდა. ანალოგიური სიმღერა მთის რაჭაშიც იყო შე-

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტომი III, 2011, გვ. 11.

⁴¹⁷ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 24.

მორჩენილი. ითქმებოდა გლოვის ხმაზე თიბვისას ცელის მოძრაობის რიტმთან შეწყობით. გვრინის ტექსტად იყენებდნენ თიბვის პროცესის ამსახველ, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო თემებზე შექმნილ ნაწარმოებებს და ხმით ნატირალებს.⁴¹⁸

გ. ავთანდილაშვილმა კიდევ ერთ ენობრივ ფაქტს მიაქცია ყურადღება, რაც ასევე ადასტურებს დვალეთიდან მთის რაჭაში გადმოსახლებული გლოლელებისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა (ამ შემთხვევაში მოხვევების) ენობრივ სიასლოვეს. ე. თაყაიშვილმა გლოლის ეკლესიაზე ასეთი წარწერა ამოიკითხა: „ქრისტე ღმერთო შემეწყალე მე მახარებელი ცოდვილჲ ჯუარმცმელთ სუმვარისაჲ **დავითჲს ძეჲ**. ... „ღმერთო გაუმარჯვე, შეინყალე **დავითეთ**“.⁴¹⁹ ერთმანეთის გვერდზე ერთი და იგივე გვარი მოხსენიებულია ჯერ „დავითისძე“-დ და შემდეგ – „დავითეთ“-ად. დავითეთი დავითისძის ადგილოვრივი ნასახელარი ფორმაა (ადგილობრივები ოფიციალურ -ძე სუფიქსიან გვასახელებს -ეთ სუფიქსით ცვლიდნენ). ნიშანდობლივია, რომ ასეთივე ფორმა დამახასიათებელი იყო ხევისთვისაც.⁴²⁰ ასე რომ, ამ შედარებით უმნიშვნელო ფაქტითაც დასტურდება, რომ დვალეების სამეცყველო ენა/დიალექტი ახლოს იდგა მოხეურთან.

როდესაც დვალთა მეცყველების შესახებ ვსაუბრობთ, ბუნებრივია, გვარდს ვერ ავუვლით ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც წერდა: „ენა აქუთ ძველი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინათგან ჩერქეზთა ენა სხვა არს. ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭას მსვლელთა უწყიან ქართულნი, ხოლო ჩერქეზთა შინა მსვლელთა უწყიან ჩერქე-

⁴¹⁸ რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ეთნოლოგია, თბ., 2008, გვ. 296.

⁴¹⁹ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 21-22.

⁴²⁰ Г. Автандилашвили. Взгляд на Двалети из Мтис Рача: о происхождении двалов и двальском говоре. 2012, გვ. 160.

ზული და თათრული ჩალათასი“.⁴²¹ ვახუშტის ეს სიტყვები ანალიზს საჭიროებს – რატომ იხმარა ვახუშტიმ ჩერქეზთა ენა? ჯერ ხასგასმით უნდა ავლნიშნოთ, რომ ვახუშტი საუბრობს გაოსებული ქართველი მთიელების – დვალეების – შესახებ. ვახუშტი დასაწყისიდანვე მიუთითებს, რომ დვალეებს ადრე სხვა, ძველი, განსხვავებული მეტყველება/ენა ჰქონდათ, რომელიც ახლა ოსური ენითაა შეცვლილი. მაგრამ რაღა საჭირო იყო იმის აღნიშვნა, რომ „ვინათგან ჩერქეზთა ენა სხვა არს“. ვფიქრობთ ვახუშტი ბაგრატიონმა სათქმელი მთლად კარგად ვერ ჩამოაყალიბა. აქ ოსურისა და ყაბარდოულის-/ჩერქეზულის, ოსეთისა და ყაბარდოს/ჩერქეზეთის ურთიერთმიმართების შესახებ უნდა იყოს საუბარი. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ოსთა განსახლების არეალი მონღოლთა შემოსევების შემდეგ ყაბარდოელებმა/ჩერქეზებმა დაიკავეს; აქ ოსურ ენას ყაბარდოული/ჩერქეზული ენა ჩაენაცვლა. ხოლო მთაში შემოსულმა ოსებმა, ახლანდელი ყაბარდოს-/ჩერქეზეთის ტერიტორიიდან მოსულებმა, დვალეთში და მის მომიჯნავე ჩრდილოეთ ტერიტორიებზეც გადაფარეს ძველ მკვიდრთა – დვალთა – მეტყველება. ვახუშტის დროინდელი ენობრივი ვითარება, რომ ოსებს შორის არიან ქართულის მცოდნენი, გვიან დრომდე გრძელდებოდა. მაგალითად, XIX საუკუნის ბოლოს დვალეთის ზახას ხეობის მკვიდრნი ორენოვანნი იყვნენ: თითქმის ყველა ოსურთან ერთად ქართულადაც ლაპარაკობდა. მთის რაჭის სოფელ გლოლაში ჩაწერილი მასალით, „დვალეთში რომ მივდიოდით, ოსები ქართულად გველაპარაკებოდნენ“ (სოფიკო/კუკლა დავითის ასული სულთანნიშვილი-ბიჭაშვილი, დაბადებული 1926 წელს, 23 მაისი, 2019). „დვალეთელი ოსები ონში რომ ჩამოდიოდნენ, ნახევრად ქართულ სიტყვებს ურევდნენ“ (გაბრიელ ისმაილის ძე რეხვიაშვილი, 90 წლის, სოფელი ჭიორა, 5. 08. 2011).

⁴²¹ ვ. ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 111.

ვახუშტი ბაგრატიონი როდესაც წერს, რომ „ენა აქეთ ძუელი, დვალური, და ან უბნობენ ოსურსა საკუთრად“, პირდაპირ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დვალური და ოსური სხვადასხვა ენებია, დვალებს აქვთ ძველი, დვალური ენაო, ახლა კი საკუთარ ენად ოსური მიაჩნიათო. ვახუშტის ციტატა ჩვენ ისე გვესმის, რომ მის დროს, დვალები კიდევ ლაპარაკობდნენ დვალურზე (ალბათ, მცირე ნაწილი). ის აღნიშნავს, რომ „ენა აქეთ ძუელი, დვალური...“ ვახუშტი ზმნას („აქეთ“) ანმყო და არა წარსულ დროში ხმარობს. XVIII საუკუნის დასაწყისში დვალეთსა და დვალეთს გარეთ (თრუსო, მაღრან-დვალეთი, ჟბის, როკისა და ქეშელთის ხეობები) მცხოვრებ დვალებს კვლავ ჰქონდათ ძველი ენა – დვალური ენა – შერჩენილი, თუმცა ოსურ ენას საკუთარ ენად, შეიძლება ითქვას, წამყვან ენად მიიჩნევდნენ.

დასკვნა

დვალეთი იყო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, რომელიც ქართული საისტორიო ტრადიციით ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნისთანავე მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. დვალეთის ჯერ ქართლის, შემდეგ კი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას არა მხოლოდ ეთნიკური ფაქტორი განაპირობებდა, არამედ გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიკური ფაქტორები. მთური ლანდშაფტი დვალეებს (და ყველა ქართველ მთიელს) აიძულებდა ბართან მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირში ყოფილიყვნენ, რაც ერთიან პოლიტიკურ ველში ცხოვრებისაკენ უბიძგებდა. ამავე დროს, დვალეთს, როგორც ცენტრალურ კავკასიაში მდებარე გეოგრაფიულ ერთეულს, ეს კავშირები ჰქონდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან, არამედ დასავლეთ საქართველოსთანაც. ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეები, დვალეთიც უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლებისადმი იყო დაქვემდებარებული. სოციალური თვალსაზრისით თითქმის ისეთივე ვითარება იყო როგორც ხევში. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მხოლოდ დვალეთის ზახას ხეობასა და დიდი ლიახვის ხეობის სათავეში – მაღრან-დვალეთში მოახერხეს ქართველმა ფეოდალებმა გაბატონება (ქსნის ერისთავებმა, არაგვის ერისთავებმა და მაჩაბლებმა. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მაჩაბლების მფლობელობაში იყო ზროგოს ხეობაც. XV საუკუნეში ამავე გვარის ფეოდალებს ჟღელეს ხეობაზედაც მიუწვდებოდათ ხელი). დვალეთის მართვა კი სამეფო კარის მიერ დანიშნული მოხელეების – მოურავების – საშუალებით ხდებოდა. თუმცა დვალეთში ეთნიკური ვითარების შეცვლის შემდეგ (XVII საუკუნე), XVIII საუკუნის დასაწყისიდან, ქართველი მეფეები ეთნიკურ ოსთა

შორის ადგილობრივთა წრიდან სოციალურად აწინაურებენ რამდენიმე ოჯახს, რომლებსაც აზნაურობას უბოძებენ (ჩანს ერთი თავადური სახლიც) და მათ სამსახურისათვის ხელფასსაც უნიშნავენ. თუმცა ამ პოლიტიკურ ღონისძიებას დვალეთში სახელმწიფო მოხელის – მოურავის – ინსტიტუტი არ მოუშლია.

დვალეთი ამჟამად საქართველოს საზღვრებს მიღმაა და შედის რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში. 1859 წელს დვალეთი ცარიზმმა თბილისის გუბერნიას (შედიოდა გორის მაზრაში „ნარას უჩასტკას“ სახელით) ჩამოაჭრა და თერგის ოლქს გადასცა. დვალეთი, როგორც საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მოსაზღვრე მხარე, დანარჩენ საქართველოსთან ბუნებრივ-გეოგრაფიულად ორგანულად იყო დაკავშირებული 11 გადასასვლელით და მათ შორის მიმოსვლა (შიდა ქართლის, ხევისა და რაჭის გავლით) ხშირად ზამთარშიც კი არ წყდებოდა. შიდა ქართლიდან დვალეთში (დვალთგორაზე) მთავარი გადასასვლელი იყო ზეკარა, ჩრდილოეთ კავკასიას კი დვალეთი უკავშირდებოდა მხოლოდ ორი გადასასვლელით – კასრის-კარითა და ხილაკის-კარით, რომლებიც მხოლოდ ზაფხულის პერიოდში (სამი-ოთხი თვე) ფუნქციონირებდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან კასრის კარით საქართველოში შემოსასვლელ გზას ქართულ წყაროებში „გზა დვალეთისა“ ეწოდებოდა.

ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი) მიხედვით, დვალეთი წარმოადგენდა ექვსი ხევის/თემის-/საზოგადოების (კასრისხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა) ერთობლიობას. შეცდომით დვალეთს მიათვლიან მდ. თერგის სათავეს – თრუსოს და მდინარე დიდი ლიახვის ხეობის სათავეს – მალრან-დვალეთს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ამ ორ პროვინციაშიც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, ძირითადად XIII საუკუნეში, მოხდა დვალეების მიგრა-

ცია. თრუსო ისტორიული წანარეთის ნაწილია. დვალეების შიდა ქართლის მთიანეთში (ლიახვის ხეობაში) დასახლებას დვალეთის ტერიტორიული გაფართოვება არ გამოუწვევია, უფრო მეტი, მალრან-დვალეთის სახელწოდებაც კი არ გავრცელებულა მის ქვემოთ დასახლებულ ტერიტორიებზე. XIII-XIV საუკუნეებში აქ მიგრირებული დვალეები ქვემო დვალეზად მოიხსენიებოდნენ (სამხრეთით ქვემო დვალეების განსახლება ჯავამდეც კი არ აღწევდა), მაგრამ არცერთ წყაროში „ქვემო დვალეთის“ გეოგრაფიული რეგიონი დაფიქსირებული არაა. აგრეთვე დვალეებს განსახლების არეალი გაფართოვებული ჰქონდათ კასრის ხევის ჩრდილოეთითაც და არც ეს ტერიტორიები მიიჩნეოდა დვალეთად (ქართულ წყაროში მოხსენიებული დვალთა სოფელი *ნეა* და ხეობა *წაისხევი* კასრის-კარის ჩრდილოეთით მდებარეობდა). აღმოსავლეთით დვალეთს საზღვარი თერგის ხეობის სათავესთან – თრუსოსთან – ჰქონდა, დასავლეთით მის საზღვარს მთის რაჭა წარმოადგენდა. ვ. გამრეკელს XI-XV საუკუნეებში დვალეების განსახლების არეალად მიაჩნდა კუდაროც, თუმცა დროის აღნიშნულ მონკვეთში დვალეების კუდაროში მკვიდრობა არც ერთი წყაროთი არ დასტურდება. ამ დროს კუდარო დოკუმენტებში საერთოდ არც არის მოხსენიებული. კუდარო რაჭის განუყოფელი ნაწილი იყო და აქ დვალეთელი ოსების მიგრაცია მხოლოდ იმავე დროს მოხდა, როდესაც ისინი შიდა ქართლის მთიანეთში მიგრირდნენ (XVII საუკუნის შუა ხანები).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის სახელწოდება „დვალეთი“ მხოლოდ წყაროებში დასტურდება (შესაბამისად სამეცნიერო ლიტერატურაში) გასაზიარებელი არაა: ცნებები „დვალეთი“ და „დვალეები“ დღემდე ცოცხალია რაჭაში, ხევსა და მთიულეთში. მთიულეთში დვალეთთან ერთად გადმოცემებში ხშირად „მალრან-დვალეთიც“/“მალრან-დოვლეთიც“

ფიგურირებს მაგალითად მიუთითებენ, რომ თეთრი არაგვის სათავეში – ლუდაში – ოსების დასახლება „მალრან-დოვლეთიდან“ მოხდა. მთიულური გადმოცემებითვე დღემდე შემორჩენილია გადმოცემა დვალეების მეკობრეობის შესახებ, რომელთა მეთაური იყო *სალბი*. „სალბი“ ოსური სახელია და აშკარაა, რომ ეს ლაშქრობა მოხდა იმ დროს, როდესაც დვალეთში მოსახლეობა შეიცვალა და მთიულეებმა ქართველ მთიელთა დვალთა სახელწოდება მოსულ ოსებზე გადაიტანეს.

დვალეთში მიგრირებული ოსები დვალეთს „თუალეთ“-ს („თუალთა“), ხოლო აქაურ მკვიდრებს „თუალებს“ („თუალაგ“) უწოდებდნენ. მიგვაჩნია, რომ ეს სახელწოდებანი ამ ფონეტიკური ვარიანტით ოსებმა ადგილობრივი დვალეებისაგან შეითვისეს. აქ ეს სახელწოდებანი „დვალეთისა“ და „დვალეების“ პარალელურად გამოიყენებდა. „თუალი“ პირდაპირ გამოხატავს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის გეოგრაფიულ მდებარეობას, რაც ცენტრში, შუაში მდებარე ტერიტორიას აღნიშნავს. ამ ძირზე საქართველოში ტოპონიმები სხვაგანაც გვქონდა (მაგალითად, საგარეჯოს ძველი სახელწოდება – „თვალი“).

დვალეთში, ისევე როგორც შიდა ქართლის მთიანეთის სხვა ხეობებში, ქრისტიანობა ადრიდანვე (VI საუკუნიდან) გავრცელდა და ის ნიქოზის ეპარქიაში (სამწყსოში) შედიოდა. ქრისტიანობის მიღებამდე დვალეთის ქართლის შემადგენლობაში ყოფნას თუ მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა, VI საუკუნიდან ამ ფაქტორებს შუა საუკუნეებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ფაქტორიც დაერთო. დვალეთი რომ ერთიანი ქართული ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო, ამას გვიანობამდე შემორჩენილი XI საუკუნის დასაწყისში ზროგოსა და ჟღელეს ხეობებში აგებული გეგმითა და მხატვრული გაფორმებით

აგებული ქართული ეკლესიებიც ადასტურებს. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ნიქოზის ეპარქიაში შედიოდა.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ქართველ ხელისუფალთა გავლენა დვალეთზე დროებით შესუსტდა, რითაც ისარგებლეს ჩრდილოეთით მცხოვრებმა ოსებმა, რომელთა განსახლების არეალი დემოგრაფიული თვალსაზრისით მძიმე იყო. გადამეტსახლებული ოსეთის მკვიდრებმა თავდასხმების, მეკობრეობისა და ლაშქრობების შედეგად აიძულეს ადგილობრივი ქართველი მთიელები – დვალეები – მიეტოვებინათ წინაპართა საცხოვრისი და საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხრეში განსახლებულიყვნენ. ოსთა მიგრაცია და დასახლკარება დვალეთში ძირითადად XVI საუკუნეში განხორციელდა და ეს პროცესი აქ XVII საუკუნეშიც გრძელდებოდა. ოსთა დვალეთში მიგრაციას ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ დვალეების მნიშვნელოვანი ნაწილი შავმა ჭირმა განყვიტა, რის მიზეზითაც მათ საკმარისი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს მოთარეშეებს. ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის მცირე ნაწილი მიგრანტთა ოსურ ენობრივ-ეთნიკური სამყაროს გავლენით გაოსდა. დვალეები როგორც ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი/ლოკალურ-ტერიტორიული ერთეული გაქრნენ.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის მეორე ნახევარი) დვალეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. დვალეთს, ჩვეულებრივ, როგორც სამეფო ქვეყანას, სამეფო კარის მიერ დანიშნული მოურავები განაგებდნენ. მაგალითად, XVII საუკუნის დასაწყისში დვალეთის მოურავი იყო გიორგი სააკაძე, რომელიც ამ თანამდებობას თბილისისა და ცხინვალის მოურავობასთან ათავსებდა. XVIII საუკუნეში დვალეთის მოურავებად თავადი ფავლენიშვილები ჩანან. მოგვიანებით – XVII საუკუნის დასაწყისი-

დან – დვალეთის ზოგიერთი ხევი იმერეთის სამეფოს (რაჭის ერისთავთა) გამგებლობაში გადასულა. XVIII საუკუნის ბოლოს მხოლოდ ზახა, ზროგო, ზარამაგი და ნარა იყო ქართლ-კახეთის მეფეთა გამგებლობაში, მალლა დვალეთი, ჟღელე (იონანე ბაგრატიონის მიხედვით – „ჯღერე“), ლესრე, თებე, ლეთა, კასარა (/კასრის-ხევი) და სხვა პატარა სოფლები რაჭის ერისთავებს ეკუთვნოდათ.

დვალეთში დასახლებული ოსები ქართლის სამეფო კარის მორჩილებაზე ხანდახან უარს ამბობდნენ, მაგრამ ქართველი მეფეები მაინც ახერხებდნენ მათ დამორჩილებას. მაგალითად, დვალეთში განსახლებული ოსების წინააღმდეგ ძალა გამოუყენებია მეფე ვახტანგ VI-ს. მან 1711 წელს ჯართან ერთად შემოიარა ეს კუთხე: „ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის ხევი და გადმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდან ქართლს გამარჯვებული“ (ვახუშტი). ოს ისტორიკოსებს აქვთ ტენდენცია და სურვილი დვალეთად მიიჩნიონ საბჭოთა პერიოდის ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, რაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, დიდი ლიახვის უკიდურეს სათავეში არსებობდა მხოლოდ მალრან-დვალეთის რეგიონი (თემი), რომელიც მთის ცხრა სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა, ისე რომ ყბის ხევი და როკი მის მიღმა რჩებოდა. იგი შეიქმნა შედარებით გვიან (X-XI სს. შემდეგ) დვალეთიდან დვალეების გადმოსახლების შედეგად. XIV საუკუნიდან დვალეები სპორადულად იყვნენ განსახლებული დიდი ლიახვის ხეობის მალრან-დვალეთის მოსაზღვრე რამდენიმე მთის სოფელსა (რომლებიც „ძველი ერისთავთაში“ *შავდვალეებისა* და *ქვემოდვალეების* სახელით მოიხსენიებიან) და თერგის ხეობის სათავეში – თრუსოში (ისტორიული წანარეთის ნაწილი).

დვალეთიდან გამოსულ ქართველ მოღვაწეთაგან ცნობილი არიან XI საუკუნის სასულიერო პირნი: *მიქელ დვალი*, *იოა-*

ნე დვალი და სვიმონ დვალი. XIX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ ძეგლში „კალმასობა“ ხაზგასმულია, რომ XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოწამე ნიკოლოზ დვალი იყო ქართველი.

დვალეთში ქართული მატერიალური კულტურის ბევრი ძეგლი იყო, რომელთაგან მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. კასრის კარი იყო „კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვნიერ მათსა ოვსნი“; ზრამაგაში იყო „ციხე დიდი, ფრიად მაგარი, იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფესაგან, და დაბა კოშკოვანი“ (ვახუშტი). ვახუშტი ზახაში ეკლესიის არსებობაზე მიუთითებდა. აქვე იყო სხვა ქართული ქრისტიანული ეკლესიები. დვალეთში ნარსულში, ისევე როგორც საქართველოს მთის სხვა პროვინციებში, კოშკებით იყო დაფარული. დვალეები რომ ქართველი მთიელები და, ამავე დროს, ქრისტიანები იყვნენ, ამის დამადასტურებელი ფაქტია ისიც, რომ აქ არ არსებობდა მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობები – აკლდამები. დვალეების ქართველმთიელობის დამადასტურებელი ფაქტია, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეების ანალოგიურად, აქ „ათენგენობის“ დღესასწაულის ფართოდ გავრცელებაც. დვალეთში ოსთა მოსვლამდე რომ ქართველები მკვიდრობდნენ, ამას ადასტურებს ის ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ეთნოლოგებს დვალეთის ოსურ მოსახლეობაში აქვთ დადასტურებული.

XVIII საუკუნეში ტრადიციით დვალთა ხსენება კვლავ გრძელდება, თუმცა ისინი უკვე ეთნიკურობაშეცვლილი, ახლა უკვე ოსები არიან. XVIII საუკუნის დვალეთის მოსახლეობას უკვე ეთნიკური ოსები წარმოადგენდნენ, რომლებიც ადგილობრივი ქართული (დვალური) და მოსული ოსების შერევის შედეგად იყვნენ ჩამოყალიბებული, და რომელშიც პოპულაციური თვალსაზრისით მიგრირებული ეთნიკური ოსები

ქარბობდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი როდესაც ნიქოზის ეპარქიის შესახებ საუბრობს, აღნიშნავს, რომ აქ „ზის მწყემსი კავკასიანთა, დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა“. ეთნიკური ცვლილება უკვე ამკარაა. ამითაა გამონვეული მათი ორმაგი ეთნონიმით – „დვალი, ოსი“ – მოხსენიება (ვახუშტი ბაგრატიონი). დვალეების გაოსების პროცესი ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნიკური ასიმილაცია რამდენიმე თაობის განმავლობაში მიმდინარეობდა და ძირითადად XVIII საუკუნის დასაწყისში დასრულდა, თუმცა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში დვალეების გარკვეულ ნაწილს თვითმყოფადობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა. უფრო მეტი: XIX საუკუნის ბოლომდე ზახას ხეობის მკვიდრები ორენოვანი იყვნენ – ისინი ოსურსა და ქართულ ენებზე ლაპარაკობდნენ. ზახაში მცხოვრები „დვალი ოსების“ ორენოვნებას, ქართული ენის შენარჩუნებას, განაპირობებდა არა მხოლოდ ადგილობრივი დვალური/ქართული კომპონენტის მნიშვნელოვნად არსებობა, არამედ ის სამეურნეო-ეკონომიკური და იდეოლოგიური კავშირები, რაც ხეობას საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან გააჩნდა.

დვალეების ოსური/ირანული ენობრივი (ეთნიკური) ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ყველანაირი მოსაზრების უსაფუძვლობა, რასაც დღესაც ყოველგვარი არგუმენტების გარეშე იმეორებენ ოსი მეცნიერები, დაასაბუთა ვახტანგ გამრეკელმა. მანვე მეცნიერებაში იმ დროს გაბატონებული თეორიის თანახმად დვალეები ქართიზებულ ვაინახებად და ქართული ეთნოსის შემადგენელ ნაწილად მიიჩნია. თუმცა, ახალი მონაცემების გამოვლინების შემდეგ, დვალთა თავდაპირველი ვაინახობა უარყო და დვალეებში ქართველური (ზანური) პლასტი სამართლიანად დაადასტურა. დვალეების ვაინახობას გამორიცხავს დვალეთში მიწისზედა აკლდამების არარსებობაც.

დვალეები პირველად მოხსენიებული არიან ანტიკურ სა- ისტორიო წყაროებში ახ. წ. I და II საუკუნეებში (პლიმიუს უფ- როსი, პტოლემეაიოსი) თალის, ვალის, უალის სახელწოდებით. ქართულ წყაროებში („ქართლის ცხოვრება“) დვალეებით და- სახლებული „ქვეყანა“ – დვალეთი პირველად ნახსენებია III საუკუნის შუა ხანებში მეფე ამაზასპის დროს. მეცნიერებაში დვალეების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული. ქართული წყაროების მიხედვით, ისინი ჩვეულებრივი ქართველი მთიელები იყვნენ, ისევე რო- გორც ფხოველები, თუშები, წანარები, გუდამაყრელები, ხა- დელები, ცხავატელები, ჭართალელები, ცხრაზმელები... ოღონდ შენარჩუნებული ჰქონდათ მთიანი პროვინციებისათ- ვის დამახასიათებელი სოციალური, რელიგიური თავისთავა- დობა.

ოსი მეცნიერები (*ვ. აბაევისა და ვ. თოგოშვილის* გარდა) დვალეებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ირანული წარმომავლობის ტომად. მოსაზრება, რომ დვალეები ოსურ ეთნიკურ სამყაროს განეკუთვნებიან, პირველად მეცნიერმა დ. გვრიტიშვილმა უარყო. ასევე უარყოფდა ამ შეხედულებას რუსი ეთნოლოგი ნ. ვოლკოვა. მან დვალეები ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ ტომად მიიჩნია. დვალეების შესახებ ფუნდამენტურ გამოკ- ვლევაში ვ. გამრეკელმა ისინი დაუკავშირა ნახურ (ინგუშურ- ჩაჩნურ) სამყაროს, რომლებიც ადრეფეოდალურ ეპოქამდე გაქართველებული იყვნენ, თუმცა შემდგომი კვლევა-ძიებით მან ეს შეხედულება უარყო და დვალთა ენა ქართველურ (ზა- ნურ) ენას დაუკავშირა. მეცნიერებაში არის შეხედულება დვალეების სვანური წარმომავლობის შესახებაც. წინამდებარე გამოკვლევით, რომლებიც ემყარება საისტორიო წყაროე- ბის, საბუთების, ტოპონიმების, ანთროპონიმების, ეთნოგრა- ფიული მასალების კომპლექსურ შესწავლას, ცხადი შეიქმნა, რომ დვალეთი ეთნიკურად ქართულ-ქართველური ქვეყანა

იყო, დვალეები კი თავდაპირველად – ზანებთან ახლოს მდგომი ტომი, თუმცა ზანების (მეგრელების) სრულ ასლს არ წარმოადგენდნენ. დვალეთი სამივე ქართველურად მეტყველი ერთეულის – ზანების, სვანების და აღმოსავლეთ ქართველთა – თანაცხოვრების ადგილი იყო, რასაც აქ დაფიქსირებული ონომასტიკური მონაცემები ადასტურებს. ბოლოს გამარჯვებული ეს უკანასკნელი გამოვიდა, რასაც, პირველ რიგში, მათი გვარსახელების სუფიქსები (-ურ) გვიმონწმებს. დვალთა მეტყველება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დიალექტურ ჯგუფში (ფხოვურში) შედიოდა. და ეს მოხდა არა ქართიზაციის გზით, არამედ ბუნებრივად იმ შინაგანი სამერნეო-ეკონომიკური კავშირთაგან შედეგად, რომელიც ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს ქართლთან ჰქონდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე საქართველოს წიგნიერების, სახელმწიფოსა და საეკლესიო ენის ფუნქციამაც. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე დვალებს ისეთივე წვლილი აქვთ შეტანილი საერთო ქართული კულტურაში, როგორც საქართველოს სხვა პროვინციის წარმომადგენლებს.

დვალეების რაიმე კავშირი ვაინახებთან არ დასტურდება, თუ მხედველობაში არ მივღებთ აქ მეფე საურმაგის დროს მათი გარკვეული ჯგუფის მიგრაციას (ისევე როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთის სხვა მხარეებში), რომლებიც ქართველთაგან მალევე ასიმილირდნენ. დვალეთში დიდი რაოდენობით არსებულ ქართულ-ქართველურ ტოპონიმებთან ერთად საერთოდ არ დასტურდება ვაინახური ტოპონიმები. ამავე დროს, თანამედროვე ოსურ ენაში არც ვაინახური სუბსტრატი დასტურდება, იმ დროს, როდესაც მასში საკმაოდ ფართო შრეა დაფიქსირებული ზანური და სვანური სუბსტრატისა.

დასასრულს ციტატა უნდა მოვიყვანოთ პავლე ინგორო-ყვას ნაშრომიდან: „საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს — ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიკურად და ეთნოგრაფიულად.

საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით.

საქართველო ამავე დროს ერთი მთლიანი ფიზიკალ-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყანა — შემოფარგლული ბუნებრივი საზღვრებით. საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყია“.

„საქართველოს საზღვრების ეს ბუნებრივი დამთავრება გეოგრაფიულ მიჯნებზე — წინასწარ განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკურ მთლიანობას. ამ ტოპოგრაფიულ ზღუდეებში მოქცეული მხარე-კუნძული არის ერთი ქვეყანა, ერთი ბუნებრივი, ორგანიულად მთლიანი სამეურნეო-ეკონომიკური პროვინცია. თითოეული მხარე ამ ქვეყნისა მჭიდრო სამეურნეო ურთი-ერთობით არის შეკავშირებული დანარჩენ მხარეებთან, და ამავე დროს მეზობელ ქვეყნებიდან მოწყვეტილია ბუნებრივი ზღუდეებით, და ამიტომაც არც ერთ კუთხეს საქართველოსას არ შეუძლია ეკონომიური არსებობა მთლიან საქართველოს გარეშე. ჩამოჭრა საქართველოდან რომელიმე კუთხისა, რომელიც — თითონ გეოგრაფიული პირობებისა გამო — ყველა არტერიებით გადაბმულია მრთელთან, — ეს იქნებოდა ერთი ორგანული სამეურნეო ეკონომიკური სხეულის დასახიჩრება. და თავისთავად შემთხვევითი როდია ისტორიული გაერთიანება საქართველოსი ერთ კოლექტივად ზემოხსენებულ ბუნებრივ საზღვრებში: ისტორიას აქ ქმნიდა გეოგრაფიის ლოლიკა; ისტორიას გენეტიური კავშირი ჰქონ-

და საქართველოს ორგანიულ ეკონომიურსა და ტერიტორიულ მთლიანობასთან⁴²².

საკმარისია საქართველოს ისტორიულ საზღვრებს შემოვუაროთ, რომ დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ამ სიტყვების ქვეშარიტებაში დავრწმუნდეთ. ამ საზღვრებში მდებარე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები ერთმანეთს ავსებდნენ, მათ უერთმანეთოდ არსებობა არ შეეძლოთ. სხვათა მიერ დაპყრობის შემდეგაც ისინი ერთმანეთთან სამეურნეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს არ წყვეტდნენ. ეს ტრადიცია გრძელდებოდა დვალეთშიც და ის არ შეწყვეტილა ეთნიკური ცვლილების, აქ ოსების დასახლების შემდეგაც.

აღნიშნული სტრიქონები 1918 წელს დაინერა, როდესაც მწვავედ იდგა საქართველოს ისტორიული საზღვრების დადგენის საკითხი. ის გათვალისწინებული იყო როგორც იმდროინდელი, ისე მომდევნო ხელისუფლებისათვის სახელმძღვანელოდ. რა თქმა უნდა, იმ დროს საქართველოს საზღვრები, ტერიტორია, როგორც მთლიანი ერთობა ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიკურად და ეთნოგრაფიულად ხელყოფილი იყო. „ერთი ორგანიული სამეურნეო ეკონომიკური სხეული“ დასახიზრებული იყო არა მხოლოდ მაჰმადიანი დამპყრობლების მიერ, არამედ ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის მიერაც. ამ ქვეყანამ დაარღვია გეოგრაფიის „ლოლიკა“ და საქართველოს 1859 წელს საბოლოოდ მოკვეთა უძველესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე — დვალეთი, რომლის ჩრდილოეთით დიდი ბუნებრივი ზღუდე — გაუვალი პირიქითელი ქედი იდო. ვფიქრობთ, წინამდებარე წიგნში ნაჩვენები იყო, რომ დვალეთი ერთ ორგანულ სხეულად ჩამოქნილი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ხოლო დვალეები — ამ მხარის მკვიდრი ძირძველი ქართველი მთიელები.

⁴²² პ. ინგოროყვა. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, რედაქტორი როსტომ ჩხეიძე, თბ., 1990, გვ. 3-4.

**Двалети и двалы: Потерянная историко-этнографическая
область Грузии и исчезающая этнографическая группа
Грузии**

Вопросу о двалах и Двалети отводится первая часть нашей монографии, посвященной миграции осетин в Грузию [Топчишвили 1997, 6-72]. Здесь мы не будем подробно приводить существующее в грузинской историографии мнение о двалах и Двалети, а лишь в двух словах напомним, что одна из горных областей Грузии – Двалети являлась ее неотъемлемой частью как с политической, так и с экономической, а также с социальной точки зрения. Двалети была такой же горной провинцией Грузии, как Пхови, Тушети, Мтиулет, Гудамакари, Хеви... Двалы так же активно были включены в общегрузинскую культурную и церковную жизнь. Следует подчеркнуть, что в 1801 году Россия осуществила аннексию Грузии, включая Двалети. В 1859 году метрополия в административном порядке отторгла Двалети от Грузии (Тбилисской губернии) и присоединила к российскому Терскому округу. Также, как и в некоторых других краях Грузии, в Двалети в эпоху позднего средневековья произошла этническая замена населения. Место изгнанной из Двалети картвельской этнической общности заняли пришедшие с Северного Кавказа ираноязычные осетины. Изгнание двалов из мест проживания праотцев началось во второй половине XV века. В результате набегов, насилия, разбойных нападений осетин эта область горной Грузии почти совершенно опустела. Двалы поселились в Рача, Имерети, Шида Картли, Квемо Картли, а также в Самцхе. Определенная часть оставшихся на месте двалов в результате расселения здесь

осетин со временем была ассимилирована пришедшим этническим сообществом. Укоренение осетин в Двалети началось в конце XV века и в основном завершилось в XVI веке [Топчишвили 1997; Топчишвили 1998, 147-152]. В XVII веке этническая замена населения в Двалети уже осуществлена, но часть двалов тогда, по-видимому, все еще сохраняла этническую самобытность, так как в горах, в отличие от равнины, культурно-этническая ассимиляция сравнительно затруднена. В Двалети осетины переселились из Алагирского ущелья, и их миграция сюда (а также в горную часть Шида Картли) продолжалась до 70-80-х годов XVIII века. Не следует забывать, что осетинский этнос присвоил этноним местного населения – двали (по-осетински "туали"). Подобные случаи в мировой этноистории бывали не раз.

Об этнической принадлежности двалов в науке высказано несколько предположений, но перед тем, как их изложить, повторим общеизвестную фразу Вахушти Багратиони о том, что «язык у них древний, двальский, но нынче говорят на осетинском, как на собственном» [Вахушти 1973, 639]. В.Гамрекели считал двалов вайнахами, вернее, картвельскими вайнахами. По мнению этого автора, картизация двалов должна была произойти в VII веке, когда картлийское население, измученное арабским господством, мигрировало в разные стороны [Гамрекели 1961]. Впоследствии ученый изменил свое мнение и в статье, опубликованной в Грузинской Советской Энциклопедии, признал двалов картвельским племенем – занами. В. Абаев и Н. Волкова считали двалов представителями иберийско-кавказской языковой семьи [Абаев 1949; Волкова 1973, 123-124], причем русский этнограф Н. Волкова иранизацию двалов датировала VI-VII веками. По одному из предположений, двалы были сванами, говорящими на сванском говоре [Итонишвили 1992, 69-186]. Намного раньше того же

мнения придерживались и мы, высказывая его в личных беседах с коллегами. Но в процессе работы над проблемой, ознакомившись с материалом, мы пришли к выводу, что высказанная в энциклопедической статье мысль В. Гамрекели о занском происхождении двалов имеет под собой реальную основу. Хотя, на наш взгляд, двалы не были идентичны занам. Они являлись носителями одного из картвельских говоров, который был близок к занскому [Топчишвили 1997, 6-72]. Примечательна также статья Д. Гвритишвили, в которой впервые в грузинской научной литературе опровергается осетинское происхождение двалов [Гвритишвили 1949, 109-121].

Что касается осетинских авторов, то все они, за исключением В. Абаева и Г. Тогошвили, объявляют двалов осетинами, хотя согласно всем осетинским преданиям, осетины являются в Двалети переселенцами. В. Абаев, исследовав осетинской язык и топонимы, причислял древних двалов к иберийско-кавказским племенам [Абаев 1949]. Последним из грузинских авторов, обратившихся к вопросу о происхождении двалов, был Б. Гамкрелидзе, который пришел к заключению, что «Двалети издревле этнически, культурно и административно являлась составной частью грузинского мира» [Гамкрелидзе 1998, 100]. Приведенный упомянутым ученым материал свидетельствует в пользу нашего предположения. Главное, что в свое время Б. Гамкрелидзе зафиксировал в Двалети заслуживающий внимания этнографический материал, относящийся к миграции осетин в этот край, а также к местным фамилиям. В одной из его записей говорится: «Раньше здесь (в Двалети – Р.Т.) жили греки, затем грузины. Грузины изгнали греков, когда осетины подчинились Грузии. Затем, когда монголы вторглись на Кавказ, пришли осетины из Мизури. Они бежали со своих мест и укрылись в этих краях» [Гамкрелидзе 1998, 88]. Логично предположить, что

под греками автор подразумевает западных грузин, так как известно, что в церковном отношении Западная Грузия и прилегающая к провинции Рача часть Двалети до IX века подчинялись Византийской церкви. Само собой разумеется, что Двалети освободилась от церковного влияния греков (византийцев) вместе с Западной Грузией, и грузинская церковь, естественно, проложила себе путь и сюда. Логическое объяснение вышесприведенных сведений состоит именно в этом.

Заселение осетинами исторической грузинской провинции Двалети, расположенной на северных склонах Главного Кавказского хребта, начинается с конца XV века. Миграция происходила в течение всего XVI века, а в XVII веке в Двалети продолжался процесс ассимиляции местной картвельской этнографической группы (территориальной единицы) – двалов – пришлыми осетинами. Однако, согласно записанным Б.Калоевым этнографическим материалам, в некоторых двалетских ущельях, например в Захском, долгое время сохранялось двуязычие [Калоев 1999]. Большинство жителей Заха хорошо владело грузинским языком. Автор объясняет это обстоятельство продолжительными этнокультурными связями осетин с Грузией, а также тем, что в захских церквях служили грузинские священники, проповедовавшие на грузинском языке. Данный материал указывает не на этнокультурные контакты двух разных народов, а на то, что двалы были грузинскими горцами, которых ассимилировало пришедшее сюда ираноязычное племя. Существование в Заха грузинских церквей, наличие здесь грузинских священнослужителей и совершение богослужений на грузинском языке – все это свидетельствует о том, что Двалети – исконно грузинский край, где исповедуют христианство. В своих исследованиях тот же Б.Калоев приводит материалы, подтверждающие, что и в конце XVIII века уроженцы Двалети в случае необходимости

сражались в рядах грузинского войска бок о бок с представителями других краев Грузии. Вследствие частых набегов осетин на Двалети (еще до их миграции сюда), грабежей и притеснения ими местного населения, значительная часть двалов вынуждена была расселиться в других регионах Грузии (Шида Картли, Квемо Картли, Имерети, Рача). Оставшиеся на родной земле двалы оказались в осетинском этническом и языковом окружении и, в результате интенсивного группового заселения Двалети осетинами, а также их высокой рождаемости, вскоре были ассимилированы последними. Горцы-двалы носили грузинские по происхождению фамилии: Хадури, Чипчиури, Бигули, Тваури, Чочоури (те же Чочишвили), Бегелури, Гудиаури, Багаури, Гергаули, Табаури, Херхеулидзе, Кесаури, Парухаули, а также Бигани (Биганишвили), Хабарели, Хетерели, Хачидзе (прежние Хачиури). Что касается представителей самой многочисленной осетинской фамилии – Хетагури, живших в Нар-Мамисонской котловине (в Двалети), то их предки пришли сюда из Кабарды и, оказавшись в грузинском этническом и языковом окружении, естественно, видоизменили свою исконную фамилию, присоединив к ее основе суффикс -ур. Позднее, в осетинской этнической среде, эта фамилия обосетинилась.

То, что расселению осетин в исторической провинции Грузии Двалети предшествовали их частые набеги на этот край, видно и из фольклорных материалов. В частности, мы имеем в виду народное стихотворение «К Магла Мта (досл.: "Высокой / Верхней Горе") птица чужеродная белокрылая подобралась...», которое создано в соседнем с Двалети горном крае, одной из историко-этнографических областей Грузии – Рача. Поэтому данный образец устного народного творчества как исторический источник очень важен. Из него явствует, что одна из исторических провинций Грузии, Двалети, никогда в Осетию не входила; напротив,

осетины поселились в этом краю, сгоняя двалов с их исконных земель. Содержание стихотворения в подстрочном переводе таково:

«К Магла Мта
Птица чужеродная
Белокрылая
Подобралась.
У Жгелэ сошлись
Войско большое несметное осетин
И двалы –
Встали они друг против друга.
На рассвете, ранним утром
Начался бой.
Слышен лязг оружия,
Звон мечей и копий,
Острые кинжалы залиты кровью,
Взлетают ввысь
Осколки железа.
Третий день
Сотрясается земля
От крика и стога.
Кровь героев течет ручьями.
Джафар бежал, как куропатка,
Осетин, как орел, гнался за ним по пятам.
Не вернуться тебе домой
С войны, Джафар!
Не суждено тебе свидеться с женой
И поднести ей в дар
Платье красное, нарядное.
Конец настал, пал Джафар,
Пал Джафар, столп золотой.

Война закончилась...»

[ДГ 1911-1913, 115].

Существует более пятнадцати вариантов этого народного стихотворения, в том числе и более совершенных. Можно восстановить его первоначальный вариант. Исходя из построения и ритма данного стихотворения, ученые могут судить о давности его создания [Курдиани 1997, 76-178]. В этом образце фольклора описано сражение вторгшихся в Двалети осетин с местными двалами. Огнем и мечом осетины вытесняют двалов с их территории и побеждают. Много двалов погибло в этом бою. Оставшиеся в живых покидают земли своих предков (направляются, как мы уже отмечали выше, в Шида Картли, Квемо Картли, Земо Имерети, Рача). Один из предводителей двалов, Джафар, потерпевший поражение в неравной битве, бежит «как куропатка». Осетины настигают убегающего Джафара, который в стихотворении олицетворяет двалов, и жестоко расправляются с ним. То, что это сражение не выдуманно, а действительно имело место, можно утверждать на основе упомянутых в стихотворении двух топонимов *Магла Мта* и *Жгелэ* (место, где произошла битва) – обе местности находятся в Двалети. *Магла Мта* – это та же Магла (Верхняя) Двалети. Такая географическая единица упоминается у Иоаннэ Багратиони [Багратиони 1980, 79]. *Жгелэ* – название одного из шести двалетских ущелий, граничащего с горной Рача (существует проход с рачинских гор в это ущелье). В нескольких вариантах стихотворения встречается топоним *Каллака* – это тоже один из населенных пунктов Двалети. Под упомянутой в стихотворении «птицей чужеродной белокрылой» («уцхо привели тетри пртосани»), само собой разумеется, подразумеваются осетины, пришедшие с большим отрядом воевать против местных двалов. Здесь налицо противостояние двух

чуждых друг другу народов: пришедших с войной осетин и картвельской территориально-локальной группы – двалов. Это стихотворение лишает почвы «доводы» осетинских авторов относительно того, что двалы имеют осетинские корни. Именно после описанной в стихотворении битвы в одной из древнейших провинций грузинского нагорья Двалети произошла этническая замена населения (двалов осетинами).

Осетинские предания также подтверждают факт отнюдь не дружественного прихода осетинского этноса в Двалети. Вооруженные осетины занимали места обитания коренных жителей края. Обосновавшись в Двалети, они постепенно стали перемещаться в нагорные районы Шида Картли. На основе осетинских преданий можно восстановить фамилии местных двалов и пришлых осетин.

Расселенные в Нар-Мамисонской котловине (иначе говоря, в исторической Двалети) осетины основном были пришельцами из Алагирского ущелья. Сведения, удостоверяющие этот факт, приводит русский этнолог Н. Волкова: «Другим более массовым и давним по времени движением алагирцев за пределы своего ущелья следует считать, видимо, их поселение в Центральной (в последнее время этим термином, введенным Б.Калоевым, осетины обозначают Двалети – Р.Т.) и Южной Осетии. Народная традиция выводит многих жителей верховьев Большой Лиахвы и Ардона из алагирских селений Цамат, Дагом, Луар, Урсдон, Цей и др.» [Волкова 1974, 122].

«Формирование населения области Туалта (осетины называют Двалети "Туалта" – Р.Т.), как уже отмечалось, происходило в основном за счет переселявшихся алагирцев. В Зругском ущелье (оно же ущелье Зрого – Р.Т.) поселились предки Козаевых, Хозиевых, Бираговых, в Закинском (Захском – Р.Т.) ущелье – Калоевых, в Гибе – Кучиевых из Мизура. Из Туалта

длительное время шел активный процесс расселения туалцев в район Военно-Грузинской дороги (Коби, Ухате), Урс-Туалта, откуда некоторые фамилии (например, Абаевы) впоследствии перешли в Коби, в Трусовское ущелье, где имеются переселенцы из Нара (одно из шести двалетских ущелий – Р.Т.), а также в Джавское и Кударское ущелья» [Волкова 1974, 124].

Этот же автор указывает на массовую миграцию тагаурских осетин к истоку реки Терек (в ущелье Трусо) и в районы Военно-Грузинской дороги. Исследователями отмечается, что из всех осетинских ущелий Алагирское было наименее плодородным, что и явилось главной причиной интенсивной миграции алагирцев. Никаких оснований подвергнуть сомнению бесспорные материалы, подтверждающие кавказское происхождение двалетских осетин, не нашлось у Б.Калоева, который отмечает, что они сформировались в результате ассимиляции аланами местных кавказских племен – двалов; хотя в то же время ему трудно признать картвельские корни этнического происхождения двалов [Калоев 1995, 5].

Миграция осетин в Шида Картли, как правило, проходила через Двалети. Этническая замена населения Двалети не повлекла за собой отторжения этой провинции от Грузии. На протяжении всего существования грузинской государственности и после превращения Грузии в российскую колонию Двалети оставалась неотъемлемой частью Грузии. По приказу царского наместника на Кавказе А. Барятинского от 3 апреля 1858 года, край Двалети или, как его тогда называли, Нарский участок (согласно современной номенклатуре – Верхний Фиагдон и Верхний Ардон) общей площадью 3 581 кв.км., входивший в Горийский уезд Тифлисской губернии, был присоединен к «Военно-Осетинскому округу» Терской области Северного Кавказа [Иваненко 187, 450-451]. В одном документе 1858 года жители Захского

ущелья Двалети по фамилии Абаевы пишут, что их предки верой и правдой служили грузинским царям, защищая страну от иноверных лезгин и персов. Этот документ, приведенный Б. Калоевым, прямо указывает на то, что Двалети, несмотря на происшедшую здесь этническую замену населения, всегда оставалась органичной частью Грузии. Разумеется, об этом же свидетельствуют грузинские источники. В частности, Вахушти Багратиони отмечает, что Двалети входила в состав Грузии еще со времен царя Парнаваза (IV-III века до н. э.) [Вахушти 1973, 633]. Подобно соседним горным краям Грузии – Пшави, Хевсурети, Тушети, – Двалети находилась в непосредственном подчинении центральной царской власти: здесь не существовало феодальной единицы сатавадо ("княжество"). Горцы вообще были наделены большей свободой – их основной обязанностью было защищать рубежи страны. После распада единого грузинского государства, со второй половины XV века, Двалети является неотъемлемой частью Картлийского царства. Краем управляют назначенные царем чиновники – моурави. В частности, в начале XVII века моуравом Двалети был Георгий Саакадзе. Как и в других горных районах Грузии, в Двалети осетины нередко выражали свою непокорность. Попытку неповиновения предприняли этнические осетины Двалети в начале XVIII века, вследствие чего царю Вахтангу VI пришлось организовать специальную экспедицию в этот край с целью их усмирения. В конце концов двалетские осетины вынуждены были вновь признать верховную власть правителя Картли.

То, что власти Грузии осуществляли полный контроль над историко-этнографическим краем Двалети и что там царский двор имел своих чиновников, хорошо видно из архивных материалов XVIII столетия. Например, в жалованной грамоте, датированной 1780-м годом, читаем: "Х. Волею Божьей мы, сын царя

Грузии Бакара и внук царя Вахтанга Александрэ сию милостивую грамоту пожаловали тебе, **сыну нарского дворянина Томашвили Таги**, за то, что ваши отцы и деды много службы сослужили нашим отцам и дедам и были весьма верными, и себя не щадили, а наша семья и ныне на ваших заслугах держится, и мы за это назначаем тебе жалованье, чтобы ежегодно на вечные времена мы и наши внуки потомкам твоих детей не отменили и ежегодно давали сорок марчили, а если от вас еще больше преданности и заслуг увидим, мы тоже каждый год жалованья и милостей вам прибавим, да будет вам известно" [ЦГИАГ, ф. 1461, оп. 6, д. №8].

Таким образом, из приведенного документа явствует, что у грузинского царского двора в центре Двалети – в Нарской общине был дворянин – этнический осетин Таги Томашвили, которому за преданную службу было назначено ежегодное жалованье. Аналогичные жалованные грамоты в тот же период были выданы также **жившим в Двалети, в ущелье Нара дворянам Тавкану Хелпамашвили** [ЦГИАГ, ф. 1461, оп. 6, д. №9], **Каначу Зарашвили** [ЦГИАГ, ф. 1461, оп. 6, д. №10], **Петрэ Мамишвили** [ЦГИАГ, ф. 1461, оп. 6, д. №12]. Казенными (государственными) дворянами были также двалетские Хетагури, что ясно видно из выданной Ираклием Вторым в 1786 году жалованной грамоты: "Мы... царь... Ираклий Второй... пожаловали сию милостивую грамоту тебе, **нашему казенному подданному, нарскому осетину Хетагури...** за то, что твой сын Болатико был с нами в Аспиндза, где мы победили турок и лезгин, там он храбро сражался и в той войне был убит. Тебе...**оказали милость и пожаловали в г. Цхинвали выморочное имение истребленного (рода) Петришвили...** Одну дарственную грамоту на это имение мы еще раньше тебе пожаловали, но когда г. Цхинвали разорили лезгины, тогда и твоя невестка, жена Болатико, там

была пленена и грамоты вы потеряли, а теперь мы еще раз пожаловали тебе милостивую грамоту..." [ИГТ 2010, 382].

Более того, при грузинском царском дворе в краю Двалети были не только дворяне, но и князья, которые служили общим интересам страны. Приводимая ниже жалованная грамота выдана в том же 1780 году: "Х. Божьей милостью мы, сын царя Грузии Бакара и внук царя Вахтанга Александрэ, сию милостивую грамоту пожаловали тебе, **сыну князя Джидашвили Махмату** за заслуги отца твоего и деда, и самому тебе теперь жалуем за большие заслуги сто пятьдесят марчили, я и мой сын тебе и твоему внуку будем (их) давать, и не убавим, а даже прибавим. Написано в Кутаиси, августа 3, года ЧГП, Александрэ" [ЦГИАГ, ф. 1461, оп. 6, д.№11].

В 1747 году царь Теймураз назначил один тумани в год этническому осетину **Чаги Хачиришвили**, жившему в горной части Шида Картли [ЦГИАГ, ф. 1461, док. №2]. В 1750 году от царя Ираклия получили жалованные грамоты **дворяне Георгий и Агарон Джидаканашвили** [ЦГИАГ, ф. 1461, док. №3]. Думается, комментарии по поводу представленных документов излишни, однако все же следует повторить, что Двалети, и тем более горная Шида Картли были неотъемлемой частью Грузии. Отметить это особенно важно, так как последнее время в издаваемых в России книгах и статьях зачастую подчеркивается, что т.н. Южная Осетия в 1774 году согласно условиям Кючук-Кайнарджийского мирного договора вместе с Северной Осетией была присоединена к Российской империи.

Грузинские цари в Двалети всегда имели чиновников, должность которых обозначалась термином "моурави". Эти чиновники назначались царским двором на территории, которая находилась непосредственно в подчинении государства. Общеизвестно, что двалетским моурави был известный в истории полководец Георгий Саакадзе. В 1772 году царь Ираклий Второй

пожаловал **моуравство** осетинских сёл горной Шида Картли и **двалетского ущелья Зрого** князю Иораму Павленишвили и его родне: "Х. Волею Божьей мы... Ираклий Второй... сей милостивый фирман, оказав милость, пожаловали тебе, нашему весьма верному и, как подобает, всячески заслуженному Павленишвили Иораму, Сесии, Теймуразу и Иоаннэ. И с тем приступив ко двора нашего палате, вы просили пожаловать вам моуравство, и мы, за вашу великую преданность и многочисленные заслуги, оказав милость, **пожаловали моуравство горных осетинских сёл: Джри, Ниниакави, Джава, Схлеби, Тонтобети, Кверсеви, Лалианти, Котонто, Кемулти, Джавистави, Замтарети, пяти сёл Зрого, трех сёл Мацхварети, Дамцварети, Хвцэ, Кала, еще Кала, Кешелта, Додониста, Чагата, Тхела, Маирами, Чамадани; в Мугути (крестьян) Галаванасшвили и Габелашвили, еще в Мугути (крестьян) Козашвили, в Чагати – Габашвили и Чарбуасшвили. Это (имущество) вам и вашим детям на все времена жалуем, владейте со всеми его справедливыми доходами, и да приносят вам счастье за преданную нам службу. Пусть не отменится (это) ни нами, ни последующими владельцами и царями... Написано рукой мдиванмцигнобара нашего двора Туманишвили Сулхана, августа К. ККС УИ" [ЦГИАГ, ф. 1450, оп. 45, д. №188].**

Следовательно, в горной части ущелья Диди Лиахви и в Двалети князья Павленишвили владели не только моуравством целого ряда сёл, но и крепостными крестьянами-осетинами.

Как в государственно-политическом, так и в хозяйственно-экономическом отношении Двалети была тесно связана с Грузией. По поводу двалетского ущелья Заха Б. Калоев пишет, что собранного его жителями урожая хватало им всего на три-четыре месяца, и что до открытия Военно-Осетинской дороги и до административного вхождения этого общества в Терскую область (в 60-е годы XIX века) продукты они закупали в

грузинских городах: Цхинвали, Они, Гори, Кутаиси и др. Здесь в основном обменивались продукты животноводства на продукты земледелия и ремесленные изделия. Согласно этнографическим данным, в перечне вывозимых из Шида Картли продуктов называется и вино [Калоев 1999, 270-271, 276]. Двалетские осетины никогда не вступали в родственные связи с северокавказскими осетинами, что в первую очередь объясняется труднодоступностью переходов из Двалети на север, в то время как с ущельями Диди Лиахви и Риони их связывали одиннадцать перевалов, легко преодолимых даже в зимний период.

Хочется привлечь внимание научной общественности еще к одному важному источнику, доказывающему, что Двалети в культурно-историческом отношении являлась грузинской провинцией. Двалы в обиходе говорили на двалском наречии, но они были грузинами и грузинский язык и грузинское письмо здесь занимали ведущее положение. Примечательны приписки на выполненном шрифтом "нусха-хуцури" Евангелии XIV-XV веков, хранящемся в 1920-х годах в церкви св. Георгия Соджанис-Кари в Они. Данные приписки относятся к этому же, и к более позднему времени. Е.Такайшвили писал об упомянутом Евангелии: «Написано на пергаменте двумя столбцами, письмом нусха-хуцури XIV-XV веков. Заглавие и заглавные буквы выведены киноварью. Обложка деревянная, обитая кожей, поломана. К рукописи в конце прилагается оглавление. В одном месте в оглавлении красными чернилами написано: 'Помилуйте убогого Георгия, который перевел (сие) Евангелие'» [Такайшвили 1963, 106]. «Таким образом, редакция Евангелия выполнена Георгием Мтацминдели» [Такайшвили 1963, 106]. На Евангелии несколько приписок. Одна из них привлекла наше особое внимание. Перед тем, как ее привести, хотим ознакомить читателя с двумя другими приписками. В конце Евангелия от Луки переписчик доба-

вил: «Со всем божественным милосердием да помилует Бог Николоза, писавшего сие. Кто (рас)скажет, и того да помилует Господь! Знает Бог, такого четвероевангелия нет в Картли, и такого сохранныго. Для этого доброго дела столько я старался, что два года писал и сверял (книгу) на благо грузинских четвероевангелий» [Такайшвили 1963, 107]. В конце Евангелия от Матфея, также шрифтом "хуцури", была выполнена следующая приписка: «Сие четвероевангелие, когда крепость Цеди была взята Эриставом, было унесено Цулукидзе, я же, Лела, дочь Джибриашвили, уберегла его» [Такайшвили 1963, 107-108]. Это – что касается значимости данного Евангелия. Главная для нас приписка, выполненная также шрифтом "хуцури" в конце Евангелия от Марка, гласит: «X. Во время нашествия татар Гудисские иконы Божьей Матери и книги пропали в Берцихе; сие четвероевангелие было найдено Хораули. Да помилует Бог душу Хораули Иванай, а также душу матери и отца его. Аминь. **Парухаули матери своей в Двалети послал (эту книгу) для продажи**, но Гвичисшвили отнял. Да помилует Господь душу Гвичисшвили Квирикай, (также) матери и отца его. Аминь. А кто отберет (её) у церкви Божьей Матери, (да падет на него) гнев Отца и Сына и Святого Духа и Пресвятой Богородицы, а также благодати сего Евангелия, и будет наказана душа его. Кто же использует (Евангелие), да будет благословен [Такайшвили 1963, 108].

Таким образом, перед нами важный исторический источник, которым подтверждается, что Двалети была грузинской провинцией, с богословной литературой на грузинском языке, где был спрос на грузинское Евангелие, и нашелся желающий его приобрести. Прежде, чем вернемся к этому вопросу, следует отметить, что упомянутое в приписке Гуда – это не мтиулетское Гуда; в данном случае речь идет о рачинском селении *Гуда* [yuda], которое впоследствии именовалось, и по сей день именуется *Гунда*

[*gunda*]. В атласе Вахушти Багратиони селение Гунда отмечено в Джеджорском ущелье, южнее Пипилети [Вахушти 1997, 19]. В 1886 году Гуда (Гунда) входило в сельское общество Баджисхеви (в это же общество входили сёла Баджисхеви, Псори, Цхмори, Чорди), где проживало 23 дымов (242 душ). По данным 1904 года, в Гуда (Гунда) жили только две фамилии: Гоциридзе (10 дымов) и Сабанидзе (11 дымов) [КГА, ф. 8. I, оп. № 809]. В исповедной росписи 1843 года Гоциридзе и Сабанидзе упоминаются среди прихожан Цхморской церкви Архангела.

Вернемся к рассматриваемому Евангелию. Оно принадлежало церкви Богоматери рачинского села Гуда (Гунда). Из приписки выясняется, что Евангелие вместе с другими книгами и иконами хранили в Берцихе, чтобы спасти их от нападавших татар («*tatropa*»). Но это не помогло, книги и иконы были истреблены или выброшены. Интересно, о каком Берцихе идет речь, где оно находилось? И какое нашествие мусульман подразумевается под «*tatropa*» – причем в Западной Грузии, в Рача? На сегодня нам нигде в Рача не удалось засвидетельствовать название *Берцихе*. Можно предположить, что Берцихе находилось где-то в верховьях ущелий рек Пронэ. На это указывает тот факт, что Евангелие нашел человек из рода Хораули: представители рода Хораули (те же Хараули) проживали в верховьях ущелий Пронэ, в селе Бекмари [*beq'mari*]. Ущелья рек Пронэ и Джеджора разделяет лишь узкое ущелье реки Квирила. В историографии известно два Берцихе: одно в верховьях Ксанского ущелья, в Жамури, второе – в Имерети, в Квеврульском ущелье. По свидетельству Вахушти, «В Дзеврула, выше котловины, впадает Квеврула. Протекает к югу меж Окриба-Мухура. В ее ущелье находится Берцихе, прочная постройка на скале. Выше этого ущелья с Дзеврула соединяется Ткибульское ущелье» [Вахушти 1973, 755]. Жамурское Берцихе, расположенное в истоках Ксанс-

кого ущелья, упоминается и в народной поэзии. В одном мтиульском стихотворении-предании под названием "Хорешнули" говорится: «В Хорешани в походе послышался нам звон скал жамурского Берцихе...» [Шанидзе 1984, 174]. Если в Рача и в ущельях рек Пронэ не было крепости под таким названием, то упомянутый в приписке Берцихе – это находящееся в ущелье Квеврула укрепление, которое контролировало и переходные пути в Рача. Что же касается "tatroba", то здесь подразумеваются опустошительные набеги Тимура. Известно, что во время восьмого набега, в 1403 году, он вторгся и в Западную Грузию, все сровнял с землей, разорил и разграбил 700 населенных пунктов, посева и монастыри [Табатадзе 1979, 708-711].

После Хораули (Хараули) Евангелие попадает в руки человека из рода Парухаули, который пересылает его матери-Двалети для продажи. Но Евангелие не доходит до адресата: им завладевает Квирика Гвичишвили [γvičičšvili], проживавший в Рача или в горной местности Шида Картли. Он отбирает Евангелие у посыльного и возвращает хозяину. Для нас, разумеется, самым важным является факт пересылки Евангелия в Двалети для продажи. Очевидно, что там был большой спрос на грузинское Евангелие, так как в XV веке богослужение в Двалети велось на грузинском языке, Евангелие двалы читали на грузинском языке. Этим фактом подтверждается, что в XV веке в Двалети еще не проживало осетинское население, осетины еще не совершали набеги, так как во время войны было бы не до приобретения Евангелия. Следовательно, в XV веке Двалети в культурно-историческом отношении является грузинской провинцией, в которую глубоко проникло христианство. Покупателем Евангелия предположительно был местный дворянин или представитель духовенства.

Приписка важна и потому, что в ней упомянута грузинская фамилия Парухаули [paɣuxauli]. Представители этого семейства были двалами. Один из них переселился из Двалети в Рача или в одно из ущелий рек Пронэ в Шида Картли. Фамилия образована при помощи суффикса *-ур /-ул*, характерного для фамилий горных жителей Восточной Грузии. В Двалети наблюдаются и другие фамилии с этим суффиксом. По происхождению двалами были Хадури [Гамкрелидзе 1996, 182], Чипчиури, Асадури/Ашадури, Бигули, Брутаули, Генцаури, Геркеули, Тваури, Парухаули, Келеури, Кабушури, Чочоури (те же Чочишвили), Бегелури, Дулиури, Посури, Пидиури, Шалаури, Саури, Харшилаури, Бутаури, Тутараули, Джапараули, Гудиаури, Багаури, Гергаули, Иосебури, Табаури, Херхеулидзе, Касабури, Кесаури а также: Бигани (Биганишвили), Хабарели, Хетерели, Хачидзе (прежний Хачиури). Потомки мигрировавших из Кабарды Хетаги тоже прибавляют к своей фамилии суффикс *-ур* (Хетагури). Иначе и быть не могло: в грузинском языково-этническом окружении фамилия оформляется только при помощи грузинского суффикса. Что касается основы упомянутой фамилии (*Паруха-ул-и*), то это – весьма распространенное в грузинском христианском мире древнееврейское имя Барук (Барух), означающее "благословенный" [Календарь 1972, 103]. Имя *Парух* [paɣux] является фонетическим вариантом имени *Барук / Барух* [baɣuk / baɣux]. В грузинском языке нередки случаи, когда [b] (б) переходит в [f] (п) и наоборот. В Сванети это имя встречается в форме *Барук* [baɣuq]. В Самегрело *Парух* (Парухиа) – распространенное мужское имя (что также указывает на близость двалов и занов). Например, надпись 1611 года на Илорской иконе св. Георгия гласит: «В Зугдиди, во время охоты, на всем скаку столкнулись кони барина (Манучара) и Гошадзе Парухия, (Манучар) свалился с коня и умер на месте» [Жордания 1897, 182]. Между

прочим, в XVII-XVIII веках в Картли и Кахети проживали Парухашвили [ПГП 1977, 593, 624]. Не исключено, что они были потомками двалских Парухаули. Сегодня фамилии Парухаули и Парухашвили уже не встречаются.

Таким образом, в XV веке Двалети все еще является грузинской провинцией. Осетинский этнос еще не освоил эти места и, естественно, здесь пока не начиналась деэтнизация. Напомним, что переселение осетин в Двалети в основном происходило в XVI веке. В начале XVII века Двалети почти сплошь заселена осетинским этносом, хотя островками все еще встречаются двалские поселения. В одном документе 1601 года "Дувалети" уже отождествляется с Осетией. К тому же, с XVII века правители Грузии порой вынуждены были выступать с оружием в руках против Двалети, конечно, ввиду смены этносов: «В 1601 году царь Имерети Ростом завладел всея Двалети, Осетией и захватил крепость и селения» [Жордания 1897, 182]. Известен также поход моурава Двалети Георгия Саакадзе на этот край: «Вновь двалы не заплатили подать, перешел моурав с войском Зекара, покарал непокорных, и опять стали они выполнять повинность, и вернулся в Картли» [Вахушти 1973, 434]. В Двалети собирался войти и Вахтанг V: «Затем не стали платить двалы подать царю. Подошел он с войском к Цхинвали, чтобы войти в Осетию. Узнав об этом, двалы испугались, их предводители вышли навстречу в Цхинвали, заплатили подать и подчинились, как и в первый раз» [Вахушти 1973, 435]. Несмотря на это, грузинские источники и документы до XVIII века включительно четко разграничивали Двалети и Осетию. Примечательно также, что поселившиеся в Двалети осетины, среди которых были и ассимилированные двалы, для грузин по-прежнему оставались двалами.

Итак, Двалети в этническом и культурно-историческом отношении являлась грузинской областью; двалы были включены

в общегрузинскую культурную, политическую и церковно-духовную жизнь; двалы носили такие же грузинские имена и фамилии, как и другие жители горной части Восточной Грузии [Топчишвили 1999].

В последнее время наше внимание привлекли тесно связанные с духовной культурой памятники материальной культуры, распространенные на Северном Кавказе. Это надземные погребальные сооружения – склепы. Кроме надземных склепов встречаются также полуподземные и подземные склепы. Надземные склепы были распространены в Чечне, Ингушетии, Осетии, Балкарии и Карачае. Таким образом, надземные погребальные сооружения принадлежат представителям трех этнолингвистических общностей: коренному кавказоязычному населению – чеченцам и ингушам, ираноязычным осетинам и тюркоязычным карачаевцам и балкарам. Эти памятники материальной культуры, разумеется, в свое время принадлежали одной из упомянутых этнолингвистических общностей, а затем распространились и среди других народов.

Следует подчеркнуть, что ареал распространения надземных склепов ограничивается лишь горной частью Северного Кавказа, на равнине и в предгорьях такие склепы не встречаются. Они и не могли быть характерными для равнины, так как в природно-географических условиях гор помещенное в склеп тело мумифицируется, а в равнинных условиях мумифицирование исключалось. Надо отметить, что ученые различают три типа надземных погребальных сооружений: а) удлиненное строение с двускатным перекрытием; б) четырехугольная постройка с пирамидальной крышей; в) круглое здание с конусообразным перекрытием. Надземные склепы первых двух типов были перекрыты сланцем. Причем, удлиненные склепы с двускатным перекрытием своей конструкцией напоминают

христианские молельни раннефеодальной эпохи, четырехугольные же склепы, покрытые сланцем – усеченные боевые башни, распространены в Чечне и Ингушетии. Все эти склепы имеют по два или три лаза, через которые заносили покойника. Внутри склепов были устроены дощатые или каменные нары, на которые клали усопшего [Кокиев 1928; Мизиев 1970; Марковин 1978].

Надземные склепы на Северном Кавказе были в основном фамильными. Среди чеченцев и ингушей отсутствие у семьи склепа считалось признаком безродности. Когда выдавали дочь замуж или женили сына, родители в первую очередь выясняли, был ли у семьи будущих родственников фамильный склеп, и если такого не имелось, свадьба расстраивалась. В Ингушетии бытовала поговорка: «Человеку при жизни необходима башня, а после смерти – склеп». Вайнахи надземный склеп называют местным термином – *каш* – "солнечная могила".

Мы не станем перечислять существующие в научной литературе мнения о причинах возникновения надземных склепов, отметим лишь то, что обычай захоронения в склепе противоречит христианским нормам и поэтому христианская церковь с ним боролась. Часть ученых считает склепы местным, кавказским явлением, другие возникновение склепов связывают с ираноязычными осетинами, что не выдерживает никакой критики. Некоторые исследователи подчеркивают, что надземные и полуподземные склепы возникли до эпохи строительства христианских храмов и жилых башен. Сооружение склепов на Кавказе В. Марковин и Е. Алексеева относят к доаланскому периоду. В научной литературе отмечается, что склепы домонгольского периода имеют схожие конструкции и относятся к одному и тому же типу. Отсюда следует, что на территории распространения упомянутых памятников материальной культуры первоначально

проживали представители одной этнической общности или родственных этносов.

Русский ученый Л. Нечаева этот обычай захоронения и подобные погребальные сооружения связывает с аланами. Кавказские катакомбные гробницы и надземные погребальные сооружения она считает этническим признаком аланов. По мнению Л. Нечаевой, места захоронений в катакомбах и склепах домонгольского периода совпадают с территорией расселения аланов, что, как ей представляется, подтверждает существование многочисленного населения и этническую однородность собственно аланов, обитающих в Алании в домонгольский период [Нечаева 1972, 288]. Согласно этому же автору, прекращение традиции склепового захоронения на территории Балкарии позднее, в VIII-IX веках, и в Карачае в XII-XIII веках было обусловлено изгнанием алан кочевниками (болгарами, половцами, монголами). Итак, распространенные на Северном Кавказе склепы Л. Нечаева приписывает осетинскому этносу, который якобы широко был расселен в горах Северного Кавказа.

Точка зрения Л.Нечаевой является полным нонсенсом. Известно, что предки осетин до поселения в горах Северного Кавказа прошли долгий и сложный путь. Мигрировав из Средней Азии, они вели кочевой образ жизни сначала на обширной территории между Волгой и Азовским морем, и лишь в 70-е годы IV в.н.э. спустились на равнину и предгорья Северного Кавказа: «... немногочисленность комплексов V в. говорит за то, что гунны не столько отогнали в горы алан, сколько увлекли их за собой в своем движении на запад, а в горы ушло местное кавказское население» [Плетнёва 1981, 85]. Осетины в горы ушли только после нашествия монголов [Топчишвили 1997]. Несколько раньше, в IX-X веках н.э., предки осетин расселились

на территории нынешнего Карачая и Балкарии, захватив земли местных кавказцев.

Возникает вопрос: как могли принадлежать вышеуказанные памятники материальной культуры (катакомбы и склепы) аланам-осетинам? Они же были "степняками", и до V века н.э. не вели оседлый образ жизни. Катакомбы и склепы являются принадлежностью местного кавказского этнического сообщества. Каким образом могли перенять чеченцы и ингуши возведение надземных и полуподземных погребальных сооружений от пришлых ираноязычных осетин? Ведь склепы являются характерными для гор памятниками материальной культуры!

Вышеприведенные утверждения Л. Нечаевой справедливо считает несостоятельными В. Марковин, отмечая, что склеповые сооружения продиктованы не только идеями, но и строительным мастерством горцев. Тот же автор подчеркивает, что ни в коем случае нельзя считать склепы результатом развития катакомб, так как катакомбы вырыты в грунте [Марковин 1978, 123-124]. «Аланские катакомбы, очевидно, не имеют отношения к происхождению склепов. Склеповые постройки возникли на Северном Кавказе задолго до появления алан, а к моменту их расселения уже прошли длительный путь развития – от примитивных сооружений до гробниц, снабженных лазом и полками». Другой автор подчеркивает: «Можно только сказать, что рассматривать предкавказские катакомбные могильники ираноязычных сармат-алан у нас нет оснований» [Абрамова 1987, 177].

Следует учитывать и то обстоятельство, что строительство надземных склепов осетинские предания приписывают другому народу, проживавшему здесь до их прихода [Кокиев 1928, 10, 34]. Правда, осетины строили склепы (подземные и полуподземные) и сами, но известно, что в старину строительством склепов славились ингуши, и их как искусных мастеров пригла-

шали для построек склепов и боевых башен [Кокиев 1928, 41]. Согласно осетинским преданиям, во всех ущельях горной Осетии до прихода осетин проживал неизвестный им народ, который вымер в основном в результате эпидемии. В Дигорском селе Галиати после гибели местного населения вначале поселились двалы, которых постигла та же участь, а затем обосновались осетины [Кокиев 1928, 43]. Здесь следует обратить внимание и на то, что в осетинских преданиях двалы не были признаны осетинами, двалы и осетины противопоставлялись друг другу. По поводу надземных склепов Куртатского ущелья в научной литературе отмечается, что «Эти два типа надземных склепов, как мы видели выше, встречаются по всей нагорной Осетии, но, несмотря на это, на них нигде не претендуют осетины, и они являются забытыми». Ученые отмечают также, что «Многообразные памятники горного Кавказа – каменные ящики, склепы, грунтовые ямы, скальные захоронения – отнесены в "горнокавказский вариант" этой же аланской культуры, хотя они ничего общего с культурой алан не имеют» [Мизиев 1986, 147].

Примечательно, что в нагорной Осетии, по осетинским преданиям, некоторые надземные склепы принадлежали ногайцам, которые когда-то проживали здесь вместе с осетинами. Антропологический тип, сохранившаяся одежда многих погребенных здесь тел, утварь, находившаяся в склепах, указывают на их этническую принадлежность к ногайцам. Предания о проживании ногайцев рядом с осетинами в Курталинском, Тагаурском и Дигорском ущельях были зафиксированы в 20-е годы XX столетия [Кокиев 1928, 46, 50-56]. Примечательно, что ногайцы до переселения в горную часть страны проживали на равнине нынешней Осетии, а в горы перебрались после падения Золотой Орды (XV в.). В научной литературе отмечается, что с равнины в горы ногайцы мигрировали вместе с осетинами на рубеже XIV-

XV вв. [Кокиев 1928, 54]. Поселившиеся в горах осетины (вместе с ногайцами), карачаевцы и балкары ввели в обиход культуру склепового захоронения, так как «Культура склеповых сооружений – это не степная, а специфическая горная культура...» [Кокиев 1928, 56].

Таким образом, северокавказские надземные (и полуподземные) склеповые сооружения принадлежали местным кавказцам. Пришедшие кавказские, ираноязычные и тюркоязычные этносы освоили их, начав хоронить в них своих покойников.

Вернемся к двалам и Двалети. Как отмечается в научной литературе, «Обращает внимание полное отсутствие склепов по всей Центральной Осетии в Нарской котловине, Мамисонском, Зругском, Туртикомском, Джинатском и Труссовском ущельях» [Калоев 1984, 95; Калоев 1999, 206]. Территориальные единицы, ущелья, перечисленные осетинским ученым – это историческая Двалети. Сегодня осетины именуют ее Центральной Осетией. Спрашивается: если в Двалети издревле проживали осетины, если Двалети была Осетией, если двалы являлись осетинами, то почему здесь нет надземных могильников (склепов), как на остальной территории Осетии? Ответ однозначен: двалы не являлись осетинами и поэтому не были знакомы с такими памятниками материальной культуры. Из сказанного следует также, что осетины на территории Двалети поселились достаточно поздно (как нами установлено, в основном в XVI-XVII веках). Здесь они не нашли склепов, которые могли бы освоить и использовать, тогда как в четырех осетинских ущельях Северного Кавказа их ожидали готовые склепы, и они ввели их в собственный обиход. Если бы осетины сами являлись творцами-строителями склепов, то мигрировав в Двалети, они не затруднились бы соорудить надземные могильники и там. Двалы были грузинскими горцами (одним из грузинских племен), в среду

которых глубоко проникло христианство, и по обычаю всех грузин-христиан они также хоронили своих покойников в земле.

Отсутствие в Двалети надземных склепов дает нам возможность сделать еще одно важное заключение. В научной литературе встречается и такое мнение, что двалы являлись вайнахами, впоследствии (в VII в.) огрузинившимися [Гамрекели 1961]. Здесь не будем останавливаться на том, что автор этого соображения, впоследствии отвергнув его, признал двалов занами. Отсутствием в Двалети склепов полностью исключается предположение об том, что двалы и вайнахи являлись одним и тем же этносом. Как отмечалось выше, склепы были распространены в Чечне и Ингушетии, а сами чеченцы и ингуши считались искусными строителями и строили склепы не только на родине, но и в соседней Осетии. Если бы двалы были вайнахами, то культура склеповых сооружений безусловно им тоже была бы присуща.

Некоторые ученые отсутствие на территории Двалети склепов объясняют тем, что местное население до XVIII века постоянно переселялось на южные склоны Кавказского хребта, в Грузию, а позднее, с конца XVIII века – на равнины Северной Осетии [Калоев 1984, 95]. Эта точка зрения, разумеется, не выдерживает никакой критики. Двалы, как и любые другие грузинские горцы, конечно, мигрировали в другие части горной и равнинной Грузии, но их коренное население проживало здесь постоянно до конца XVI века, продолжая использовать свои традиционные бытовые реалии. Одно совершенно ясно: осетины, мигрировавшие из горной Осетии, не смогли внедрить в Двалети культуру склепового захоронения, так как они не являлись ее создателями. Осетины просто стали пользоваться оставшимися от ранее проживавшего здесь населения надземными склеповыми сооружениями. Из научных исследований известно, что осе-

тины строили лишь полуподземные склепы, а для сооружения надземных склепов приглашали ингушей. Справедливости ради следует отметить, что в Двалети, в одном из сел Захского ущелья, засвидетельствованы подземные и полуподземные склепы, сооруженные поселившимися здесь позднее (в XVII-XVIII вв.) осетинами.

Таким образом, распространенные на Северном Кавказе надземные склепы позволяют сделать серьезные выводы:

1. Надземные склепы в нагорной Осетии не были созданием рук осетин. Склепы сооружались местным кавказским населением, в основном вайнахами и родственными им племенами. "Степняки" осетины, заселившие кавказские ущелья позже, в XIII веке, освоили уже существующие склепы, оставшиеся от проживавших до них кавказских племен. Пришлый ираноязычный этнос, ассимилировав оставшееся на месте кавказское население, ввел в свой обиход этот элемент традиционной культуры.

2. Совершенно очевидно, что Двалети не была изначально заселена осетинами, и двалы осетинами не являлись. Двалы не были знакомы с упомянутым выше элементом культуры; позже (с XVI века), мигрировавшие в Двалети осетины своих покойников стали хоронить по местной традиции – в земле. Если бы двалы принадлежали к осетинскому этносу, то и здесь были бы распространены склепы.

3. Фактом отсутствия в Двалети склепов исключается также отождествление двалов и вайнахов, поскольку, как отмечалось выше, для чеченцев и ингушей надземные могильники-склепы были характерны издревле и являлись частью их традиционной культуры. Вайнахи считались искусными строителями склеповых сооружений.

4. Все вышесказанное подтверждает нашу мысль о том, что двалы были одним из грузинских племен, которое в этническом

и культурно-историческом отношении составляло неотъемлемую часть грузинской нации.

То, что область Двалети была этнически грузинской, подтверждается памятниками материальной культуры еще одного типа – это памятники зодчества Тли и Хозита-Майрам. Как установлено соответствующими исследованиями, возведенные в начале XI века храмы Тли и Хозита-Майрам являются типично грузинскими архитектурными памятниками и схожи с целым рядом грузинских памятников того времени. Главное, что подобные христианские архитектурные комплексы нигде в Северной Осетии не встречаются [Долидзе 1954, 119-126; Долидзе 1958, 767-773].

Из приведенных выше данных, касающихся этнической принадлежности двалов, первые были письменными памятниками, вторые – памятниками материальной культуры. Однако имеются и другие данные, удостоверяющие грузинскую этническую принадлежность двалов, а именно, ономастический материал – как названия местностей (топонимы), так и личные имена. Вначале рассмотрим первые.

К счастью, топонимия т.н. Северной Осетии изучена в совершенстве [Цагаева 1971; Цагаева 1975]. Первый том труда А. Цагаевой, посвященного изучению топонимии Северной Осетии, представляет собой исследование, второй – описание. Причем, топонимия классифицируются по территориальному принципу: раздельно представлены топонимы ущелий Дигори, Тагаури, Куртаули, Алагир; отдельно дается и топонимия Двалети. Значительную часть топонимов Двалети А. Цагаева считает необъяснимыми. Особо выделены ею топонимы кавказского происхождения. Следует подчеркнуть, что в подглаве о топонимах кавказского слоя в основном перечисляются названия с грузинскими корнями. Этого автор избежать не может, но для нее главное – не

использовать слово "грузинский" в названии подглавы. В то же время, среди необъяснимых топонимов обнаруживается достаточно большое количество грузинских. Ниже коснемся лишь тех топонимов, которые прозрачны и образованы от грузинских основ.

1. *Абана* [abana] – название одного из уголков села Нар [Цагаева 1975, 278]. Восходит к грузинскому *абано* [abano] "баня". Сёл с таким названием в Грузии было несколько.

2. *Берау* [berau] – название одного из пастбищ у села Тебэ [Цагаева 1975, 225]. Топоним восходит к мужскому имени *Бера* [bera]. В самой Двалети, в ущелье Гуркумта, засвидетельствовано название леса – *Бериты хад* [beritə q'ad]. А.Цагаева переводит его как "лес Бериевых" [Цагаева 1975, 214]. Однако заметим, что такое родовое имя в осетинской ономастике не встречается. Разумеется, в этом топониме фигурирует двалское родовое имя. В средневековой Грузии собственное имя *Бери* [berɨ] было широко распространенным.

3. *Гакури* [gak'uri] – название луга между сёлами Камцхо и Лисри [Цагаева 1975, 228]. Название образовано посредством грузинского суффикса *-ур* [ur]. Топонимов с этим суффиксом в Грузии было очень много, и он обычно присоединялся к имени первого владельца местности. Название означает "место, принадлежащее Гаку".

4. *Глехерта* [glexertə] «Пашни в ущелье Гуркумта. В Глехертə имеем груз. глехи "крестьянин", с осет. *-т-+а*» [Цагаева 1975, 229].

5. *Годорты хад* [godortə q'ad] – название луга в ущелье Варцэ, где в прошлом росли березы и лещины, из прутьев которых плели корзины [Цагаева 1975, 229]. Грузинским в топониме является только первый компонент: *годори* [godori]

"корзина". *Годорты кад* означает "Лес для корзин" [Цагаева 1971, 127].

6. *Гомгаты* [gomɣatə] – название пастбищного ущелья и горы (*Гомгат*) близ села Зарамаг [Цагаева 1975, 196]. В Грузии имеется несколько топонимов с первым компонентом *гом-*: *Гом+бори*, *Гом+арети*, *Гом+ецари*, *Гом-и+джвари*, а также *Гоми* [gomi]. Логично толковать этот топоним как "место, принадлежащее Гомгадзе".

7. *Горган* [ɣoɣan] – название одного из оврагов у села Зарамаг [Цагаева 1975, 196]. Село с таким же названием существовало в верховьях Ксанского ущелья, в общине Жамури. М. Санакоты засвидетельствовал данный топоним в форме *Горгиан* [ɣoɣian] [Санакоты 1987, 155], справедливо выделив в нем корень *горг-* [ɣoɣ] "щебень" и суффикс прилагательных *-иан* [ian].

8. *Гори* [gori] – название селения между сёлами Зарамаг и Нар [Цагаева 1975, 280]. Грузинское происхождение данного топонима удостоверяет и А.Цагаева: груз. *гор-и* / *гора* [gori / gora] "холм".

9. *Гуламуз* [gulamuz] – название пастбища в селе Тиб (в грузинских источниках – Тебэ) упоминается А.Цагаевой в числе необъяснимых топонимов [Цагаева 1975, 229]. В названии явно выделяется корень *гул-* [gul]. Топонимов, начинающихся с этого корня, в Грузии множество: *Гулгула*, *Гулеули*, *Гулсунда*. Груз. *гули* [guli] – "сердце", "середина", "центральная часть". В сванской речи *гуал* [gwal] "хлев".

10. *Дазгал ком* [dɛzɣɛl kom] – незаселенное ущелье к юго-востоку от с.Заха [Цагаева 1975, 197]. *Дазгал* [dɛzɣɛl] состоит из двух компонентов, второй из которых явно восходит к грузинскому слову *гелэ* [ɣele] "речка", точнее, к его западногрузинской диалектной форме *гал* [ɣal].

11. *Данбадели* [danbadeli] – груз. *дамбадебели* [dambadebeli] "Создатель" – название святилища в селе Камцхо [Цагаева 1975, 280].

12. *Дедабери* [dedaberi] – название луга в ущелье Бубы. Согласно А.Цагаевой, «Дедабери, груз. букв. "старуха"» [Цагаева 1975, 232].

13. *Дзири дзуар* [zirijə zvar] [Цагаева 1971, 128] – "главное святилище". В Восточной Грузии было множество таких "главных святилищ", каждый род имел свое собственное. А. Цагаева пишет: «...дзири, возможно, восходит к груз. дзири "корень", "основание", "низина", или дзвири ("основное") "Основное святилище"»... [Цагаева 1971, 211].

14. *Дзуар* [zvar] – в Двалети и вообще в Северной Осетии встречается много топонимов с этим компонентом. Например, ущелье, находящееся между Жгелэ и ледником Зрого называется *Дзуары ком* [zvarə kom] [Цагаева 1975, 197]. В начале этого ущелья сохранились развалины древнейшего святилища, название которого осетинскому населению не известно, и они там не молятся. Этот факт также свидетельствует о том, что осетины здесь являются мигрантами, а прежние жители – этнические грузины – стали либо жертвой набегов, либо переселились отсюда в другие области Грузии. На то, что осетины в Двалети – переселенцы, явно указывает и существование капища при основном осетинском святилище: «Небольшой овраг с "филиалом" святилища Реком в окрестностях с. Зарамаг» [Цагаева 1975, 200].

15. *Дитхеу* [ditxeu] – луг у села Калака. А.Цагаева совершенно справедливо соотносит этот топоним со словосочетанием *диди хеви* [didi xevi] "большой овраг". В Двалети близ села Тебэ

встречается название луга – *Дитхеу рабын* [ditxew rɛbən] [Цагаева 1971, 129; Цагаева 1975, 232].

16. *Дуалдер* [dwalder] – покос у села Лисри [Цагаева 1975, 233]. Название образовано путем соединения двух основ: *дуал* [dwal] + *дер-* [der]. *Дуал* означает "двал", что касается *дер*, то в сванской речи это слово означает "ход". *Дуалдер* – "проход двалов".

17. *Зенцына ком* [zenc'əna kom] [Цагаева 1975, 198]. Первый компонент – *зенцына* [zenc'əna] – грузинский, второй – осетинский, топоним означает "ущелье Зенцына". Это небольшое ущелье находится в окрестностях села Заха. *Зенцына* образовано в результате соединения двух грузинских корней. Выше уже отмечалось, что *зен-* [zen] является древнегрузинской лексической единицей и означает "верхний", а груз. *цына* [c'ina] – "передний"; *зенцына* – это "передняя часть верхней стороны".

18. *Зикара* [zik'ara] – один из перевалов, ведущих из Двалети в Шида Картли [Цагаева 1975, 198]. В грузинских источниках – *Зекари* [zek'ari] "верхние ворота".

19. *Злеси дзуар* [zlesə zvar] – святилище, расположенное на высоком холме к северо-востоку от села Калака. Церковь частично разрушена: «На трех длинных камнях восточной стены святилища (на фасаде) имеются какие-то письма. Четвертый же камень с письмами лежит на земле» [Цагаева 1975, 281]. Автор сознательно не замечает, что эти надписи выполнены на грузинском языке. *Злеси дзуар* это, разумеется, грузинский *дзлевис джвари* [zleviṣ ḡvari] "Победоносный крест". Святилищ с таким названием в Шида Картли несколько.

20. *Калак* [kalak] – селение в ущелье Жгелэ. По А.Цагаевой, «"Калак", букв. "город". Селение в Мамисонском ущелье. Название его в грузинском означает "город"» [Цагаева 1975, 281]. Это двалетское селение в конце XVIII века упоминает Иоаннэ

Багратиони в своем "Описании Картли и Кахети". Там топоним представлен в форме *Калака* [kalaka], а не *Калаки* [kalaki]. Грузинский уменьшительный суффикс *-а* [a] указывает на то, что Калака не было настоящим городом, и что в данном краю оно выполняло некую торгово-экономическую функцию, функцию города – особенно по отношению к областям Двалети и Рача.

21. *Карт, Карты ком, Карыта* [k'ert], [k'ertə kom], [k'ertətə] – первые два топонима являются названиями лугов у сёла Цми и в ущелье Сахсат [Цагаева 1975, 240], третьим обозначаются «Развалины строений в ущелье к западу от с.Зарамаг» [Цагаева 1975, 281]. А.Цагаева считает данные топонимы грузинскими: «Къартæ "Ворота", букв. "Двери", "Входы". Этот же грузинский корень къар- /къарæ- находим в топонимах Сунти къарæ "Вороньи ворота", Къари хæрд "Подъем у ворот", Цахаткъар "Цахат (?) ворота", Зикъара» [Цагаева 1971, 128].

22. *Коркора* [q'orq'ora] – развалины поселения восточнее с.Абайтикау [Цагаева 1975, 288]. Топоним грузинского происхождения, *корэ* [q'ore] "возведенная без глины и извести стена". В Грузии много названий местностей с корнем *кор-* [q'or]; например, Иоаннэ Багратиони среди сёл Эрцо упоминает *Корэти / Корати* [q'oraeti / q'orati]. Немало таких топонимов в Рача: *Корианеби, Корис тави, Коркола вели, Кориани...*

23. *Кру* [q'ru] – пашня у села Лисри. На грузинское происхождение этого топонима указывает и А. Цагаева: «название его, очевидно, восходит к груз. хъру "глухой"» [Цагаева 1975, 273]. Так же можно толковать название пашни в селе Камцхо – *Крут* [q'rut].

24. *Курта* [q'urta] – один из кварталов села Варцэ [Цагаева 1975, 288]. Так же, как и другой уголок этого села – *Магала* [maɣala] "Высокий", носит грузинское название: *кур-и* [q'uri] "ухо" и суффикс *-та* [ta], который очень часто встречается в

топонимах. В Курта и в Магала жили представители грузинского по происхождению рода Гогичашвили, которые в годы российского правления превратились в Гогичаевых. Фамилия образована от грузинского мужского имени *Гогича* (уменьшительный вариант имени *Гоги*). Иоаннэ Багратиони в конце XVIII века упоминает топоним *Магла Двалети* [maɣla dvaleti] [Багратиони 1986, 77].

25. *Лисри* [lisri] – селение на левом берегу р. Мамисондон (Жгелэс-хеви). [Цагаева 1975, 282]. В составленном Иоаннэ Багратиони в конце XVIII века описании Картли и Кахети этот топоним фигурирует в форме *Лесрэ* [lesre]. Приставка *ле-* [le] в Западной Грузии встречается во множестве топонимов.

26. *Мухыз* [muxəz] – название леса и покосных полей на склонах над с. Варцэ. Явно грузинское происхождение названия *Мухыз* признается и А. Цагаевой: «груз. *муха* "дуб"+ суф. *-ис*» [Цагаева 1975, 217]. Заметим, что груз. *-ис* [is] является показателем родительного падежа, *Мухиса* означает "дубовый", "дуба". В Двалети много топонимов с корнем *муха-* / *мух-* [muxa / mux], например, *Мухизгон*, *Мухкул*. В той же местности, где и Мухыз, находится родник *Мухызгомы суадон* [muxəzgomə swadon] [Цагаева 1975, 211]. А.Цагаева толкует это название как "родник в дубняке".

27. *Нагора* [naɣora] – название пастбища у села Тебэ. А.Цагаева связывает этот топоним с грузинским словом *гора* [gora] "холм" [Цагаева 1975, 248]. На наш взгляд, данный топоним соотносится со словом *гвари* [ɣvəri] "поток", ср. *на-гвар-ев-и* [naɣvarevi] "сухой овраг", "место, где раньше проходил поток".

28. *Нухкота* [nuxk'ote] – название пашни около двалетского села Згил (в грузинских источниках – *Жгелэ*). Топоним состоит из двух компонентов: *нух-* [nux]+ *кота*-[k'ote]. *Нух* [nux] – это фонетический вариант грузинского корня *муха-* / *мух-* [muxa /

тих] "дуб". Очевидно, пашня была образована в результате расчистки дубняка [Цагаева 1975, 249] (см. также топоним *Мухыз*).

29. *Потыфаз* [potəfəz] – название одного из кварталов села Нар [Цагаева 1975, 284]; толкуется как "равнина Поти". Первый компонент А.Цагаевой неясен. Он очевидно соотносится с грузинским топонимом *Поти* [poti]. Возможно, его первоначальная форма была *Проти* [pɔti]: в сванской речи *проти* означает "дуплистое дерево".

30. *Регах* [regəx] – село к востоку от села Нар [Цагаева 1975, 284]. Название грузинского происхождения. В Грузии нередко встречаются топонимы, оканчивающиеся на *-x(u)* [x(i)].

31. *Сагол* [səgɔl] – название селенья в ущелье Цмийаг ком [Цагаева 1975, 284]. В древнегрузинском языке *гол-и* [goli] – "сотовый мёд", "медовая лепешка". В сванской речи – "мёд" ("соты") [Чухуа 2000-2003, 695]; *са-* [sa] является префиксом назначения.

32. *Самтхосы / Сантхосы дзуар* [samtχosə / santχosə zwar] – названия мест в сёлах: Тли, Калака, Лисри [Цагаева 1971, 118; Цагаева 1975, 284]. По записанному А.Цагаевой материалу, в селе Тли в **Самтхосы дзуар** отмечали праздник Атынаг – "атингеноба". В том, что *Самтхосы дзуар* (груз. *Самгвто джвари* [samɣvto žvəri] "Крест Господен") – грузинское святилище и грузинский топоним, сомневаться не приходится. Примечательно, что праздник "атенгеноба" в кавказском христианском мире был распространен только в горной части Восточной Грузии – в Двалети и граничивших с ней историко-этнографических областях. Следует отметить также, что в Двалети существовало также святилище *Саниба* [saniba] [Цагаева 1975, 284] – груз. *самеба* [sameba] "Троица". Как выясняется, это святилище, расположенное в лесу на правом берегу реки Мамисондон (в грузинских источниках – Жгелэс-хеви), было молельным местом

рода Туаевых (те же Тваури / Таваури). Очевидно, что Самгвто джвари, атенгеноба, Самеба (Саниба) – святыни этнографической группы местных грузин-христиан – двалов; как и в других случаях, представители пришлового осетинского этноса стали им поклоняться. В связи со святилищами привлечем еще один материал. У развалин села Бирагтикау в двалетском ущелье Зрого при осетинском святилище Реком находится капище [Цагаева 1975, 284]. Осетинское население перенесло его из Алагирского ущелья, следовательно, переносившие (этнические осетины) были переселенцами из Алагирского ущелья.

33. *Самур* [samur] – название луга близ села Цми [Цагаева 1975, 252]. Грузинский топоним, в котором выделяется префикс назначения *са-* [sa]: *са-мури* [samuri]; ср. топоним *Мури* [muri] в Лечхуми. Прозрачным грузинским топонимом является также *Санат* [sanat] – груз. [sanati] "светильник".

34. *Скор* [sk'or] – название пашни близ двалетского села Сатат [Цагаева 1975, 256]. Безусловно грузинский микротопоним. Судя по всему, этот участок земли удобряли навозом: *скоре* [sk'ore] "навоз". Впрочем, на почве грузинского языка данное название может толковаться и иначе. Довольно много топонимов с этим корнем встречается в соседней с Двали историко-этнографической области Грузии – Рача. *Скоро* [sk'oro] называется ледник на горе Бубистави. В той же Рача, в селе Борцо засвидетельствованы топонимы Парто скорэ, Грджамис скорэ. В рачинском диалекте "*Скоре* – это вечный снег" [Цхадаиа, Джоджуа 2005, 148]. Думается, двалский топоним *Скор* следует толковать на основе рачинской диалектной лексики.

35. *Стыр лйа* [stər lja] – правое боковое ответвление от ущелья Гуркумта; название означает "большие топи". А. Цагаева отмечает, что пастбища там заболочены: «Слово лйа (В Стыр

ля) объясняется из груз. лиа [lia] "топи", "заболоченные участки"» [Цагаева 1975, 200].

36. *Техса* [t'exsa] – название луга и пастбища близ села Заха [Цагаева 1975, 262]. В Грузии имеется целый ряд топонимов с корнем *тех-* [t'ex], достаточно назвать реку *Техура*. Грузинское слово *тех-а* [t'exa] означает "ломать".

37. *Тибсли* / *Тибсьли* [tibsli / tibsəli] – двалетское село на правом берегу р. Нардон. По справедливому замечанию А. Цагаевой, название села происходит от грузинского слова *тбили* [tbili] "теплый" [Цагаева 1975, 286].

38. *Тимцына* [timc'əna] – развалины восточного квартала села Тебэ. Топоним состоит из двух компонентов: *тим-* / *тиб-* [tim / tib] + *цина-* [c'ina] "передний Тиб", "передняя часть Тиба". *Тимцына*, оказывается, было названием и отдельного села у начала бокового ответвления от Мамисонского ущелья [Цагаева 1975, 201].

39. *Тли* [tli] – развалины села в начале на левом берегу р. Мамисондон (Жгелэс-хеви). А.Цагаева вначале отнесла этот топоним к числу необъяснимых, но впоследствии все же пришла к выводу, что он восходит к грузинскому слову *в-тли* [vtli] "точу", "обтёсываю" [Цагаева 1975, 286]. Аналогичный топоним существовал и в горной части Шида Картли.

40. *Тоборза* [toborza] – развалины селения в Двалети, в ущелье Цмийаг ком [Цагаева 1975, 286]. (В этом селе проживали Бигуловы. Если отсечь русский суффикс, остается грузинская фамилия *Бигули* с суффиксом *-ур* /-ул). Наивное объяснение этого топонима дает В.Абаев. Оказывается, *тоборза* на венгерском языке – "пляска". По мнению упомянутого автора, данное название заимствовано аланами у венгров и принесено в горную часть Центральной Осетии (так сейчас называют осетины край Двалети). Интересно, почему слово, обозначающее пляску, вош-

ло сперва в осетинский язык? Топонимов подобного рода ("пляска", "песня", "присядка", "бег"...) вообще не существует. Где могли осетины позаимствовать у венгров это слово? Где могли иметь место венгеро-аланские языковые контакты? В истории известно лишь то, что во время монгольских нашествий одна, уцелевшая часть живших на равнинах Северного Кавказа алан в 1238 году вместе с кыпчаками (те же половцы или куманы) двинулась к западу и там смешалась с мадьярами, а затем была ими ассимилирована. В других случаях контактов между этими двумя совершенно разными народами не было.

41. *Уачэ* [uač'e] – название селения. Топоним представляет собой фонетический вариант грузинского *вакэ* [vak'e] "ровное место", "равнина". Действительно, развалины села находятся на ровном месте [Цагаева 1971, 129; Цагаева 1975, 287].

42. *Уремисента* [uremisentə] – название пастбища в ущелье Гуркумта. По предположению А.Цагаевой, этот топоним образован от грузинского слова *урем* [uremi] "арба" [Цагаева 1975, 265].

43. *Урсерсери кул* [urserserə k'ul] – пастбище близ села Тебэ [Цагаева 1975, 265]. Слово *кул* [k'ul] по-осетински означает "склон", а первый компонент, *урсерсери* [urserseri], А. Цагаевой признается необъяснимым. В нем явно представлен редуцированный грузинский корень *сер-* [ser] "холм".

44. *Фреули* [freuli] – название луга в окрестностях села Лисри. По предположению А. Цагаевой, в основе этого топонима лежит «груз. *треули* [treuli] "привозимый", "привезенный"» [Цагаева 1975, 267]. В Грузии названия местностей (особенно лугов и пашен) очень часто образовались посредством суффикса *-ур / -ул* [ur / ul], а основа таких топонимов большей частью представляет собой имя мужчины, который первый завладел этим

местом и вспахал его, чью собственность оно составляло. Так что, основа данного топонима скорее – мужское имя.

45. *Халаца* [xalac'a] – название одного из ответвлений Мамисонского ущелья и горы в окрестностях села Тебэ [Цагаева 1975, 202]. Топоним аналогичного звучания – *Халацани* [xalac'ani] встречается и в Кахети, в Панкисском ущелье.

46. *Хелайы кахыр* [xelajə k'axəɣ] – название дороги, ведущей к покосу и пастбищу в ущелье Цмийаг ком [Цагаева 1975, 287]. А.Цагаева объясняет этот топоним как "Хела щербина", справедливо отмечая, что Хела [xela] – грузинское мужское имя, которое соотносится с груз. *хел-и* [xeli] "рука". У осетин личное имя Хела никогда не использовалось, оно было только грузинским именем, и образованный от него топоним указывает на то, что в этом селе некогда проживали грузины.

47. *Цала* [c'ala] – название пастбища южнее с. Жгелэ [Цагаева 1975, 276]. По Цагаевой, «(из груз. ч'ала) букв. "Прибрежные заросли"» [Цагаева 1971, 127].

48. *Чеурита* [č'euritə] – название пастбища в селе Тебэ. Как отмечает А.Цагаева, «Чьеуритæ "Молотильные камни". Название молотильного камня заимствовано из груз., где кьеври "молотильная доска"» [Цагаева 1975, 278].

На наш взгляд, уже достаточно было приведено топонимов, которые толкуются на основе грузинского языка и его диалектов. Однако хочется упомянуть еще одно название – *Азилан* [azilən], которое на осетинском языке означает "место поворота". Так именуются развалины башни и церкви в Зарамага. Об этих развалинах А.Цагаева записала следующее предание: «Местные старожилы утверждают, что в эту церковь приходили молиться грузины» [Цагаева 1975, 278]. Почему приходили грузины молиться в Двалети? Потому, что это было святилище их предков. Грузины, в особенности горцы, имели обычай ходить

молиться в места проживания своих предков. Не удивительно, что этому обычаю следовало и население, переселившееся из Двалети в разные области Грузии (особенно в Шида Картли и Рача). Один из фактов такого паломничества в Двалети семьи Хачидзе из Земо Имерети засвидетельствован в 30-е годы XX столетия академиком Нико Бердзенишвили. Выше мы упоминали праздник атенгеноба в Двалети, который отмечается горцами в разных областях Восточной Грузии. В Двалети отмечались и другие христианские праздники, непосредственно связанные с грузинским христианским миром. В частности, «на повороте в Джинатское ущелье было святилище *Цыфы уастырджи*, где праздновали "Джиоргуба"» [Цагаева 1975, 286]. Гиоргуба, т.е. праздник св.Георгия, как известно, был самым распространенным христианским праздником в Грузии.

Приведенные данные явно указывают на то, что в Двалети создателями грузинских топонимов были этнические грузины. А.Цагаева находит связь с грузинским языком только у 120 географических названий, в действительности же их намного больше, так как и значительная часть топонимов, причисляемых ею к необъяснимым, имеет грузинское происхождение. А.Цагаева считает это результатом контактов осетин с южными соседями [Цагаева 1971, 124].

Однако соседство не могло стать причиной появления такого количества микротопонимов; их создает лишь коренное население. Не существует другого пути возникновения неосетинских топонимов в осетинской этнической среде. Каким образом могли пришлые осетины усвоить грузинские микротопонимы? Это могло произойти только в том случае, если пришедшую осетинскую этническую группу на месте встретило определенное количество грузинского населения. Правда, в результате набегов и разбойничьих нашествий осетин с севера значительная

часть грузинской этнографической группы – двалов снялась с места и рассеялась по разным областям Грузии, но одна часть осталась на прежней территории и со временем ассимилировалась. Обосетинивание было обусловлено тем, что грузины (двалы) оказались меньшинством в осетинской языково-этнической среде. Не существовало другого пути сохранения грузинской микротопонимии, ведь топонимы в науке именуется "языком земли". А названия различных местностей Двалети несомненно указывают на то, что двалы были грузинами.

У нас имеется еще один ономастический материал, удостоверяющий грузинское происхождение двалов, это – антропонимы. В Центральном государственном историческом архиве Грузии хранятся документы камеральной переписи населения, проведенной Российской империей. Хочется обратить внимание читателя на некоторые антропонимы, отобранные из относящихся к первой половине XIX века переписей Нарского "участка" (т.е. исторической области Двалети) Горийского уезда Тбилисской губернии. Следует заранее сказать, что большинство мужчин в Двалети носило те же имена, какие были распространены в Западной Грузии. Уточним, что речь идет о грузинских нехристианских именах, которые встречались у грузин в основном в качестве вторых, то есть прозвищ. В переписные книги внесены только этнические осетины мужского пола, и это понятно, так как к тому времени Двалети этнически была уже осетинской. С данной точки зрения особенно примечательна перепись 1814 года [ЦГИАГ, ф. 254, оп. 1, д. № 367]. В селе Кулбити (горная часть Шида Картли) записан "нарский Гето Бегелури". Он туда переселился из села Нар. *Бегелури* [beɣeluri] была именно одной из коренных двалетских фамилий. Это чисто грузинская фамилия как по своему корню, так и по суффиксу; в ее основе лежит древнее грузинское мужское имя *Бегела* [beɣela], ср. груз. *бегели* [beɣeli] "амбар". Что касается личного имени

Gemo [geto], то оно до последнего времени было распространено в Западной Грузии (ср. фамилии Гетиа [getia] и Геташвили [getašvili]).

В 1814 году в Двалети зафиксированы следующие собственные имена: Тухиа [t'uxia], Бидзина [bižina], Чинели [činelī], Пранга [pranga], Батиа [bat'ia]. Все они много раз упоминаются в древнегрузинских исторических источниках и документах. Это антропонимы с прозрачной этимологией.

У двалетских осетин встречались и такие антропонимы, как: Чичо [čičo], Баха [baxa], Хуча [xuč'a], Дочи [doči] (в Гурии и Аджарии *дочи* [doči] называлась тёлка, молодая нетелившаяся корова. А в Картли *дочо* [dočo] – синоним бесхитростного человека), Джахи [žaxi], Чочи [čoči], Пали [pali], Гуча [guča] / Гудза [guza] / Гуца [guca], Гугуна [guguna], Сала [sala], Канко [k'ank'o], Габила [gabila], Габиса [gabisa] / Габису [gabisu], Тиба [t'iba], Лача [lača], Гего [gego], Цулука [c'uluk'a], Хажи [xaži], Кито [k'ito], Куци [k'uci], Туту [tutu] / Тута [tuta]; ср. грузинские фамилии: Чичуа [čičua], Бахиа [baxia], Хучуа [xuč'ua], Дочиа [dočia], Джахиа [žaxia], Чочиа [čočia] и Чочоури [čočouri], также название села Чочети [čočeti], Палиани [paliani], Гучуа [gučuа], Гугунава [gugunava], Салиа [salia], Канкиа [k'ank'ia], Габелиа [gabelia], Габисониа [gabisonia], Тибуа [t'ibua], Лачашвили [lačašvili], Гегиа [gegia], Цулукиани [c'uluk'iani] / Цулукидзе [c'uluk'izde], Хажалиа [xažalia], Китиа [k'it'ia], Габечава [gabeca-va], Куциа [k'ucia], Тутусани [tutusani].

В XIX веке двалетские осетины носили также следующие имена: Гоча [goča] / Гочи [goči], Гудуни [guduni], Гуда [guda], Тавкана [tavkana], Кочи [k'oči], Талаха [t'alaxa], Тига [t'iya], Удзила [uzila], Китриа [k'it'ria], Рухиа [ruxia], Хара [xara], Джарджи [žarži], Мамиа [mamia], Гоци [goci], Гула [gula], Герга [gerga] / Герго [gergo], Тела [tela], Ахлау [axlau] (или Ахала

[axala]), Маци [maci], Бохи [boxi], Хела [xela]... В основе осетинской фамилии *Кочиев* лежит мужское имя *Кочи*. В мегрельской речи *кочи* [k'oçi]- "мужчина". От распространенного в Самегрело имени *Дуда* образована осетинская фамилия *Дудаев* (в мегрельской речи *дуда* [duda] – "голова").

Выше нами была рассмотрена лишь часть антропонимов живших в Двалети осетин. Многие из этих имен были распространены в Восточной Грузии в качестве прозвищ. Приведенные данные позволяют сделать примечательные выводы. Усваивание собственных (личных) имен другого этноса в таком количестве невообразимо. Остается одно: мигрировавшие в Двалети осетины заимствовали эти имена у коренного грузинского населения. Правда, в осетинском этническо-языковом окружении двалы утратили многие черты, характерные для грузинского этноса, и фактически обосетинились, однако обосетинившиеся двалы сохранили, и от отца к сыну, из поколения в поколение передали определенное количество собственных имен, которые были затем использованы пришлыми осетинами.

Итак, Двалети была историко-этнографической областью Грузии, где проживала грузинская этническая группа – двалы. По данным исторических источников, документов, памятников материальной культуры, топонимики и антропонимики двалы были грузинами-горцами. Большинство из них переселилось в различные области Грузии в конце XV века и в XVI веке. Причиной переселения явились набеги и разбойничьи нападения осетин. Оставшиеся же в Двалети грузины с течением времени обосетинились. Это произошло под влиянием осетинской этническо-языковой среды.

Двалети являлась историко-этнографической областью Грузии, представлявшей собой, согласно грузинской исторической традиции, неотъемлемую часть Картлийского (Иберийского) царства с самого его основания. Нахождение Двалети сначала в составе Картлийского царства, а затем единого грузинского государства было обусловлено не только этническим, но и географическим и хозяйственно-экономическим факторами. Горный ландшафт вынуждал двалов (и вообще всех грузинских горцев) поддерживать тесные хозяйственно-экономические контакты с равнинными регионами, что подталкивало их к жизни в едином политическом пространстве. В то же время Двалети как географическая единица, расположенная в Центральном Кавказе, имела такие связи не только с Восточной, но и с Западной Грузией. Равно как другие края нагорья Восточной Грузии, Двалети подчинялась непосредственно центральной власти страны. С социальной точки зрения ситуация в Двалети была почти идентична ситуации в Хеви. После распада единого грузинского государства грузинским феодалам удалось сохранить свое господство только в Захском ущелье Двалетии в Магран-Двалети – в верховье Диди Лиахви (ксанским эриставам, арагвским эриставам и феодалам Мачабели. На рубеже XVIII-XIX веков во владении феодального дома Мачабели находилось и ущелье Зрого, хотя в XV веке представители этого дома господствовали и в ущелье Жгеле), а управление Двалети происходило посредством назначаемых царским двором чиновников – моуравов. Но с изменением этнической обстановки в Двалети (XVII век) в начале XVIII века грузинские цари из кругов местных этнических осетин способствуют социальному возвышению нескольких домов, которым жалуют азнаурство – дворянский титул (известен даже один княжеский дом) и назначают им служебное жалование. Хотя данное политическое мероприятие не помешало су-

ществованию в Двалети института государственного чиновника – моурава.

Ныне Двалети находится за пределами Грузии и входит в состав Северной Осетии Российской Федерации. В 1859 году царизм отрезал Двалети от Тифлисской губернии (область Двалети под названием «Нарский участок» входила в Горийский уезд) и передал Терскому округу. Двалети как крайняя северная приграничная область с остальными регионами Грузии в природно-географическом отношении органически была связана посредством 11 переходов, и сообщение между ними (через Шида Картли, Хеви и Рача) не прерывалось и в зимний период. Основным переходом из Шида Картли в Двалети (Двалтгора) являлся Зекара, а с Северным Кавказом Двалети сообщалась исключительно посредством ущелья Касрис Кари, функционировавшим только в летний период (три-четыре месяца). Путь, ведущий с Северного Кавказа в Грузию через Касрис Кари, в грузинских источниках именуется «Гза Двалетиса» («Двалетская дорога»).

Согласно сведению Вахушти Багратиони (первая половина XVIII века), Двалети представляла собой единство шести ущелий/общин/ обществ: *Касрисхеви, Зрамага, Жгеле, Нара, Зрого, Заха*. Ошибочно к Двалети относят ущелье в истоке р. Терек – Трусо – и ущелье в истоке р. Диди Лиахви – Магран-Двалети, что обусловлено тем, что и в этих двух провинциях в разные отрезки истории, преимущественно в XIII веке, произошла миграция двалов. Трусо – часть исторической Цанарети. Поселение двалов в нагорье Шида Картли (в Лиахвском ущелье) не вызвало территориального расширения Двалети, более того, название Магран-Двалети не распространилось на расположенные ниже её населенные территории. Мигрировавшие сюда в XIII-XIV веках двалы упоминались как «квемо (нижние)двалы» (на юге рас-

селение квемодвалов не достигало даже до Джава), но ни один источник не фиксирует географический регион под названием «Квемо (Нижняя)Двалети». Кроме того, ареал расселения двалов простирался и севернее Касрисхеви, но и эти территории не считались принадлежавшими Двалети. На востоке Двалети граничила с верховьем Терского ущелья – Трусо, а на западе ее границей являлась Мтис (Горная) Рача. В. Гамрекели ареалом расселения двалов в XI-XV веках считал и Кударо, хотя в указанный период времени обитание двалов на указанной территории не подтверждается никакими источниками. В этот период Кударо в документах вообще не упоминается. Кударо являлась неотъемлемой частью Рача, и миграция двалетских осетин сюда произошла только тогда, когда они мигрировали в горные районы Шида Картли (середина XVII века).

Не следует разделять высказанное в научной литературе соображение о том, что название историко-этнографической области «Двалети» фиксируется только в источниках (соответственно в научной литературе): понятия «Двалети» и «двалы» поныне живы в Рача и Мтиулет. В мтиульских преданиях наряду с Двалети часто фигурируют термины «Магран-Двалети»-/«Магран-Довлети» (например, указывают, что заселение осетин в истоке р. Тетри Арагви – Гуда – произошло из Магран-Довлети. По сей день сохранилось мтиульское предание о разбойных нападениях двалов под предводительством некоего Салба. «Салба» – осетинское имя, и очевидно, что эти набеги имели место в то время, когда в Двалети население сменилось, и мтиульцы распространили название грузинских горцев двалов на пришлых осетин).

Мигрировавшие в Двалети осетины называли этот край «Туалет» («Туалта»), а коренных местных жителей –«туалы» («туалаг»). Полагаем, что эти названия в подобном фонетическом

варианте осетины переняли от местных двалов. Здесь эти названия использовались параллельно с формой «Двалети» и «двалы». Термин «Туали» прямо выражает географическое расположение историко-этнографической области: он обозначает территорию, расположенную в центре, посередине. Топонимы с такой основой встречались и в других местах Грузии (например, старое название Сагареджо – «Твали»).

Так же как и в других ущельях нагорья Шида Картли, в Двалети христианство распространилось рано (с VI века), и эта область входила в Никозскую епархию. Если до принятия христианства нахождение Двалети в составе Картли обуславливали только политические и экономические факторы, то начиная с VI века к этим факторам добавился не менее важный для средневековья идеологический фактор. О том, что Двалети являлась неотъемлемой частью единой грузинской церкви, свидетельствуют типично грузинская архитектурная планировка и художественный стиль оформления церквей, построенных в начале XI века в ущельях Зрого и Жгеле и сохранившихся вплоть до недавнего времени. На протяжении всей истории Грузии историко-этнографический край Двалети входил в Никозскую епархию.

После распада единого грузинского государства влияние грузинских властей на Двалети временно ослабело, чем воспользовались жившие по соседству с севера осетины, ареал расселения которых с демографической точки зрения был весьма плотным. Жители перенаселенной Осетии в результате постоянных разбойных нападений, грабежей и притеснений вынудили коренных грузинских горцев – двалов – покинуть местожительство своих предков и перебраться в разные историко-этнографические уголки страны. Миграция и укоренение осетин в Двалети в основном произошли в XVI веке; этот процесс продолжался здесь и в XVII веке. Миграции осетин в Двалети спосо-

бствовало и то обстоятельство, что значительная часть двалов вымерла от чумы, и они были уже не в состоянии противостоять засилью осетин. Оставшаяся малая часть населения двалов, оказавшись под языковым и этническим влиянием мигрантов, обосетинилась. Двалы как этнографическая группа/локально-территориальная единица грузинских горцев исчезли.

После распада единого грузинского государства (вторая половина XV века) Двалети входила в состав Картлийского царства, и ею, по обыкновению, управляли царские чиновники – моуравы. Так, например, в начале XVII века моуравом Двалети был Георгий Саакадзе, совмещавший эту должность с моуравством Тбилиси и Цхинвали. Позднее некоторые ущелья (общества) Двалети перешли под юрисдикцию Имеретинского царства (рачински хэриставов). В конце XVIII века только Заха, Зрого, Зрамага и Нара находились в управлении картлийско-кахетинских царей. Магла (Верхняя) Двалети, Жгеле (согласно Иоанну Багратиони, – «Джгере»), Лесре, Тебе, Лета, Касара и прочие малые селения принадлежали рачинским эристам.

Поселившиеся в Двалети осетины нередко отказывались подчиняться картлийскому царскому двору, но грузинским царям все же удавалось сломить их упрямство. Так, из-за неповиновения силу в отношении двалетских осетин пришлось применить царю Вахтангу VI, который в 1711 году организовал военный поход в этот край: «...прошел Зрамагу, обошел Жгельское ущелье, перешел Кедела и прибыл в Кударо, а с Кударо в Картли победителем...; занял Двалети и наложил повинности» (Вахушти Багратиони). Осетинских ученых отличает тенденция и желание признать территорию так называемой Южной Осетии советского периода территорией Двалети, что не выдерживает никакой критики. В крайнем отрезке нагорья Шида Картли, в частности в верховье Диди Лиахви, существовал регион (общин-

на) Магран-Двалети, представлявший собой объединение девяти горных селений, причем Жбис Хеви и Роки оставались за его пределами. Он возник сравнительно поздно (после X-XI вв.) вследствие переселения двалов из Двалети. Начиная с XIV века двалы были спорадически расселены в нескольких горных селах ущелья Диди Лиахви, на территории, сопредельной с Магран-Двалети (в «Памятнике эриставов» они упоминаются как «шавдвалеби»), и в верховье Терского ущелья – в Трусо (часть исторической Цанарети).

Среди выходцев из Двалети много известных грузинских деятелей: служители духовенства XI века *Микел Двали*, *Иоанэ Двали* и *Свимон Двали*; в литературном памятнике начала XIX века «Калмасоба» говорится о том, что мч. первой половины XIV века *Николоз Двали* был грузином.

В Двалети было множество памятников грузинской материальной культуры, из которых до нас дошла лишь небольшая часть. Касрис Кари – это «большая сводчатая каменная на извести стена...чтобы...ни один овс[осетин] немог проходить чрез эти двери»; в Зрамаге «имеется крепость большая и весьма сильная и, как говорят, построенная царицей Тамарой. Урочище это имеет также башню» (Вахушти Багратиони). Вахушти указывал на наличие в Заха церкви. Здесь же были другие грузинские христианские церкви. В прошлом в Двалети, как и в других горных провинциях Грузии, сплошь и рядом возвышались башни. Доказательством того, что двалы были грузинскими горцами и в то же время христианами, является тот факт, что у них не существовало наземных погребальных сооружений – склепов. Кроме того, неоспоримым свидетельством принадлежности двалов грузинскому этносу является широкое распространение среди них, по аналогии с другими историко-этнографическими краями Восточной Грузии, праздника *Атенгеноба*. То, что до

прихода в Двалети осетин здесь жили грузины, подтверждается этнографическими сведениями, собранными грузинскими этнологами среди осетинского населения Двалети.

Согласно традиции XVIII века, упоминание двалов продолжается, претерпев, однако, этническую трансформацию, – теперь они уже считаются осетинами. Население Двалети XVIII века представлено этническими осетинами, сформировавшимися в результате слияния местного грузинского (двалского) населения и пришлых осетин. И в этой новой популяции доминировал мигрировавший осетинский этнический элемент. Повествуя о Никозской епархии, Вахушти отмечает, что «сидит[тут] и донесь пастырь кавказцев, двальцев, ныне Осетией называемой[страны]». Этническое изменение уже налицо, чем и обусловлено упоминание указанного населения двойным этнонимом – «двал, осетин» (Вахушти Багратиони). Процесс обосетинивания двалов не был единовременным актом. Их этническая ассимиляция протекала на протяжении нескольких поколений и в основном завершилась в начале XVIII века, хотя в первой четверти XVIII века определенная часть двалов все еще сохраняла свою самобытность. Более того, до конца XIX века жители Захского ущелья были двуязычными – они разговаривали на осетинском и на грузинском языках. Билингвизм проживавших в Заха «двалов-осетин», сохранение в их обиходе грузинского языка было обусловлено не только значительным превалированием местного двалского/грузинского компонента, но и теми хозяйственно-экономическими и идеологическими контактами, которые издавна связывали ущелье с другими историко-этнографическими областями Грузии.

Всякую беспочвенность соображения о принадлежности двалов и двалского языка к осетинской/иранской языковой (этнической) группе, о чем по сей день не перестают твердить

осетинские ученые без какой-либо научной аргументации, развеял историк Вахтанг Гамрекели. Согласно господствующей ранее в этнологической науке теории, он признал двалов «картвелизированными вайнахами» и тем самым составной частью грузинского этноса. Хотя после выявления новых данных он отверг версию первоначального вайнахства двалов, справедливо зафиксировав в двалах картвельский (занский) пласт.

Впервые двалы упоминаются в античных исторических источниках I и II вв. н. э. (Плиний Старший, Птолемей) под названием «тали», «вали», «уали». В грузинских источниках («Картлис цховреба») населенная двалами «страна» – Двалети – впервые упоминается в середине III века н. э., в правление царя Амазаспа. Вообще в научной литературе высказаны разные гипотезы этнического происхождения двалов. Согласно грузинским источникам, двалы – обыкновенные грузинские горцы, такие же, как пховелы, тушины, цанары, гудамакарцы, хадейцы, цхаваты, чартальцы, цхразмийцы... Только у них сохранена была присущая горным провинциям социальная, религиозная и иная самобытность.

Осетинские ученые (за исключением *В. Абаева* и *Г. Тогошвили*) безосновательно считали двалов племенем иранского происхождения. Принадлежность двалов осетинскому миру первым опроверг ученый-историк *Д. Герутишвили*. Против подобной точки зрения (об иранском генезисе двалов) выступала русский этнолог *Н. Волкова*, рассматривавшая двалов как одно из иберийско-кавказских племен. В фундаментальном исследовании, посвященном двалам, В. Гамрекели связал их с нахским (чечено-ингушским) миром, а до наступления раннефеодальной эпохи, по его мнению, произошло огрузинивание двалов. Однако в результате дальнейших исследований и разысканий он отверг эту свою гипотезу, обнаружив общность двал-

ского языка с картвельским (занским) языком. В научной среде бытует также мнение о сванском происхождении двалов. На основе нижеследующей работы, опирающейся на комплексное изучение исторических источников, документов, топонимов, антропонимов, этнографических материалов, становится очевидным, что Двалети этнически была грузино-картвельской страной (землей), а двалы первоначально были племенем, близким к занам, хотя и не представлявшим точную копию занов (мегрелов). Двалети являлась территорией (местом) средоточия трех грузиноговорящих единиц – занов, сванов и восточных картвелов, что подтверждается зафиксированными здесь данными ономастики. В конечном счете здесь победили последние, о чем в первую очередь свидетельствуют их фамильные суффиксы (-ур-). Двалская речь входила в диалектную (пховскую) группу горцев Восточной Грузии. И это произошло не вследствие картизации двалов, а совершенно естественно, в результате внутренних хозяйственно-экономических взаимосвязей, существовавших между этой историко-этнографической областью и Картли. В этом плане значительную роль сыграли также просвещение Грузии, функция её государственного и церковного языка. На протяжении всей истории Грузии двалы внесли такой же вклад в развитие общей грузинской культуры, как и представители других провинций Грузии.

Какая-либо связь двалов с вайнахами не находит подтверждения, если не принять во внимание миграцию определенной группы вайнахов во времена царствования Саурмага (подобную той, что имела место в других горных краях Восточной и Западной Грузии), которые вскоре же были ассимилированы грузинами. В Двалети, кроме большого количества грузино-картвельских топонимов, вообще не фиксируются вайнахские топонимы. В современном осетинском языке также не фиксируется вай-

нахский субстрат, тогда как в нем имеется довольно обширный пласт занского и сванского субстратов.

Литература

- Абаев 1949** – Абаев В.И., Осетинский язык и фольклор, т. I, М.-Л.
- Абрамова 1987** – Абрамова Т.П., Подкумский могильник, М.
- Багратиони 1980** – Иоаннэ Багратиони, Описание Картли и Кахети, сб. "Топонимика" II, Тбилиси (на груз.яз.)
- Вахушти 1973** – Вахушти Багратиони, Описание Грузинского царства, "Картлис Цховреба", т. IV, Тбилиси (на груз.яз.)
- Вахушти 1997** – Вахушти Багратиони, Атлас Грузии, Тб. (на груз.яз.)
- Волкова 1973** – Волкова Н.Г., Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М.
- Волкова 1974** – Волкова Н.Г., Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII–начале XX века. М.
- Гамкрелидзе 1996** – Гамкрелидзе Б., К вопросу расселения осетин в Грузии, сб. "Оста сакипти" ("Осетинский вопрос"), Тбилиси-Гори (на груз.яз.)
- Гамкрелидзе 1998** – Гамкрелидзе Б., Из этнической истории Центрального Кавказа (к вопросу о соотношении этнонимов «осетин» и «двали»), сб. "Саисторио дзиебани" ("Исторические искания"), I, Тб. (на груз.яз.)
- Гамрекели 1961** – Гамрекели В.Н., Двалы и Двалетия в I-XV вв. н.э., Тбилиси
- Гамрекели 1977** – Гамрекели В., Двалы, ГСЭ, т. III (на груз.яз.)
- Гвретишвили 1949** – Гвретишвили Д., К вопросу о происхождении двалов и переселении осетин, "Мимомхилвели" ("Обозреватель"), Тбилиси (на груз.яз.)
- ДГ 1911-1913** – Древняя Грузия, Тифлис, 1911-1913 (на груз.яз.)
- Долидзе 1954** – Долидзе В., Хозита-Майрам – свидетельство культурных взаимоотношений народов Грузии и Северного Кавказа, Сообщения АН ГССР, т. XV, №2 (на груз.яз.)
- Долидзе 1958** – Долидзе В., Архитектурный памятник Тли – новый документ культурных взаимоотношений Грузии с Двалети, Сообщения АН ГССР, т. XXI, №6 (на груз.яз.)
- Жордания 1897** – Жордания Т., Хроники и другие материалы истории и литературы Грузии, кн. II, Тифлис (на груз.яз.)
- Иваненко 1873** – Иваненко З., Гражданское управление Закавказьем. Тифлис
- ИГТ 2010** – История Грузии в топонимии, т. I, т. II, 2010, Тбилиси

- Итонишвили 1992** – Итонишвили В.В., Из истории горной области Восточной Грузии. Тбилиси (на груз.яз.)
- Календарь 1972** – Церковный календарь Грузии (на груз.яз.)
- Калоев 1984** – Калоев Б.А., Похоронные обычаи и обряды осетин в XVIII-начале XIX в., Кавказский этнографический сборник, VIII, М.
- Калоев 1999** – Калоев Б.А., Осетинские историко-этнографические этюды, М.
- Кокиев 1928** – Кокиев Г.А., Склеповые сооружения горной Осетии (историко-этнографический очерк), Владикавказ
- Курдиани 1997** – Курдиани М., Об одной метрической схеме общекартавельского эпического (нарративного) стиха, сб. "Георгию Рогава", Тбилиси (на груз.яз.)
- Марковин 1978** – Марковин В.И., О возникновении склеповых построек на Северном Кавказе, "Вопросы древней и средневековой археологии Восточной Европы",
- М.Мизиев 1970** – Мизиев И.М., Средневековые башни и склепы Балкарии и Карачая (XIII-XVIII вв.), Нальчик
- Мизиев 1986** – Мизиев И.М., Шаги к истокам этнической истории Центрального Кавказа, Нальчик
- Нечаева 1972** – Нечаева Л.Г., Осетинские погребальные склепы и этногенез осетин, "Этническая история народов Азии", М.
- Плетнёва 1981** – Степи Евразии в эпоху средневековья. Археология СССР, отв.ред.тома С.А. Плетнёва, М.
- ПГП 1977** – Памятники Грузинского права, т. VI, Тбилиси (на груз.яз.)
- Санакоты 1987** – Санакоты М., О некоторых топонимах Северной Осетии, "Ономастика" I, Тбилиси (на груз.яз.)
- Табатадзе 1979** – Табатадзе К., Борьба грузинского народа против чужеземных захватчиков на рубеже XIV-XV вв., "Очерки истории Грузии", т. III, Тбилиси (на груз.яз.)
- Такайшвили 1963** – Такайшвили Е., Археологическое путешествие в Рача, Тбилиси (на груз.яз.)
- Топчишвили 1997** – Топчишвили Р., Вопросы переселения осетин в Грузию и этноистории Шида Картли, Тбилиси (на груз.яз.)
- Топчишвили 1998** – Топчишвили Р., Устные исторические источники, "Клио", 1998, №3 (на груз.яз.)
- Топчишвили 1999** – Топчишвили Р., Еще раз об этнической принадлежности двалов, "Анналы", 1999, №2 (на груз.яз.)
- Цагаева 1971** – Цагаева А.Дз., Топонимия Северной Осетии, ч. I., Орджоникидзе
- Цагаева 1975** – Цагаева А.Дз., Топонимия Северной Осетии, ч. II., Орджоникидзе

- Цхадаиа, Джоджуа 2005** – Цхадаиа П., Джоджуа В. Рачинские географические названия. II, Тбилиси (на груз.яз.)
- Чумбуридзе 1987** – Чумбуридзе З., Язык наш родной, Тбилиси (на груз.яз.)
- Чухуа 2000-2003** – Чухуа М., Сравнительный словарь картвельских диалектов, Тбилиси (на груз.яз.)
- Шанидзе 1984** – Шанидзе А., Сочинения в 12 томах, т. I, Тбилиси (на груз.яз.)
- Шиллинг 1931** – Шиллинг Е., Ингуши и чеченцы, "Религиозные верования народов СССР (сборник этнографических материалов)", т. II, М.

Сокращения

ГСЭ – Грузинская советская энциклопедия

д. – дело

док. – документ

КГА – Кутаисский государственный архив

оп. – опись

ПГП – Памятники Грузинского права

ф. – фонд

ЦГИАГ – Центральный государственный исторический архив Грузии.

დანართი

ზემოთ, სათანადო ადგილას, აღინიშნა, რომ დვალეების პრობლემას შეეხო ვ. ვ. ითონიშვილი. 1979 წელს დაბეჭდილ მონოგრაფიაში მისი მთელი რიგი მოსაზრებები არ გავიზიარეთ და მივუთითეთ, რომ წინამორბედი მკვლევარების ნაღვანი არა მისაჩქმალი, არამედ დასაფასებელია და, რომ წინამორბედ მეცნიერებს დვალეების კვლევის სფეროში არა მეორე-მესამეხარისხოვან ამბებთან დაკავშირებით უნდა ვუთითებდეთ. იმის საილუსტრაციო მონაცემებიც საკმაო რაოდენობით გვექონდა მოხმობილი, რომ ავტორს ფაქტობრივად ნათარგმნი ჰქონდა მთელი რიგი პასუები ვახტანგ გამრეკელის რუსულენოვანი მონოგრაფიიდან. ვ. ვ. ითონიშვილმა ჩვენს კრიტიკულ შენიშვნებს სალანძღავი წიგნით უპასუხა და არცერთ ჩვენს სამეცნიერო არგუმენტს პასუხი არ გასცა. სამწუხაროა, რომ ეს პუბლიკაცია მისი გარდაცვალების შემდეგ განხორციელდა. ამდენად საკამათო საკითხებზე (თუ კი ჩემს ნაშრომში რაიმე საკამათო იყო) მსჯელობას ახლა აზრი არა აქვს. ქვემოთ მკითხველს ვთავაზობ ზოგიერთ ამონარიდს 1979 წელს დასტამბული ჩემი წიგნიდან. ბოლოს კი შემოგთავაზებთ სალანძღავი სიტყვების ამონარიდებს, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ მეცნიერი განსხვავებული აზრისა თუ მითითებული შენიშვნების გამო ლაფში არ უნდა ამოსვარო.

„ვ. ითონიშვილმა (იხ. მისი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“, თბ., 1992) XIV საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი ოსური დასახლებაც „აღმოაჩინა“ და ფაქტიურად გაიზიარა გ. თოგოშვილის აზრი „ძეგლი ერისთავთაში“ დასახელებული მნაველების შესახებ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ფაქტის შესახებ მან ურთიერთსანიშნა-აღმდეგო ვარაუდი შემოგვთავაზა და ბოლოს მაინც ის აზრი

დაუშვა, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ. ჯერ ციტატა მოვიტანოთ ქსნის ერისთავთა ქრონიკიდან: „მაშინ ჩამოვიდა თრუსოს და მოეგებნეს თრუსუელნი მრავლითა ძლუნითა და ერთგულებისა ჩუენებითა და ევედრნეს შუელად მტერთა მათთა ზედა მნას. ხოლო ერისთავმან უბრძანა მნაველთა მოსვლად წინაშე მისსა, არამედ მათ არა ინებეს, რამეთუ თქუეს: არა მეშინის შენგან და ვერც რას შემძლებელ ხარ ვნებად ჩვენდა.

მაშინ განრისხნა ვირშელი და შეუზახა ლაშქარი თესი, დასცეს საყვრსა და მიეტევენეს ვითარცა მჭეცნი და მოადგეს შუა სამხრის ციხეთ მნისათა. და იყო ბრძოლა სასტიკი, რამეთუ კაცნი იგი იყუნეს მარჯვედ მბრძოლნი, მწნენი და გოლიათნი და აბჯარსრულნი. და იყო სიმრავლე ისრისა, ვითარცა ნჳმაჲ წშირი და სიმრავლე ქვისაჲ ვითარცა სეტყუაჲ და საგორავი აურაცხელი. მაშინ მოიკლნეს სიმრავლით ისართათა თაფნი და გოლიათნი ქუეყანისა მათისანი: სუნლუ, ფარეჯან, ამსაჯან, ბალათარ და სხუანი მრავალნი“.

შეხსენებისათვის ვიტყვით, რომ თერგის ხეობაში (ისტორიულ წანარეთში) XIV ს-სათვის გამოიყოფა სამი რეგიონი („ქვეყანა“): თრუსო, მნა და ხევი. საკამათო არაა, რომ ამ დროისათვის თრუსოში დვალეები არიან დასახლკარებული, ხევი – მოხევეები. ვინ ცხოვრობდა მნაში? ქსნის ერისთავთა ქრონიკის ზემოთ მოტანილმა ადგილმა გამოატანინა გ. თოგოშვილს დასკვნა, რომ მნაველები ოსები იყვნენ. ის წერდა: „ძეგლი მნაველთა ეთნიკურ კუთვნილებაზე სიტყვას არ სძრავს, მაგრამ მასში დაცულ ონომასტიკურ მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ფარეჯან, ამსაჯან, სუნლუ, ბალათარ), ცხადი გახდება, რომ ისინი ოსები არიან. ვ. ითონიშვილსაც ჰგონია, რომ ძეგლში ჩამოთვლილი მნაველთა სახელები (სუნლუ, ფარეჯან, ამსაჯან, ბალათარ) აღან-ოსური იერსახისაა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავ-

ტორს მოყავს იმის საილუსტრაციო მასალა, რომ მსგავსი სახელები საქართველოს მთიანეთის სხვა პროვინციებშიც იყო გავრცელებული. ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ არც ერთი ეს სახელი ალან-ოსური არაა. ისინი ძირითადად მონგოლური სახელებია, რომლებიც გავრცელდა ყველა იმ ხალხში, სადაც მათ ფეხი დადგეს და ვის მეზობლადაც ისინი ცხოვრობდნენ, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ანთროპონიმების გავრცელებისათვის. სახელი „ამსაჯან“ ანუ „ავსაჯან“ ბოლო დრომდე ხევში გავრცელებული იყო და ამ ფუძესახელზე გვარიც გვაქვს ავსაჯანიშვილი (ძველად ავსაჯანიაური). ქართველ ხალხში ასევე გავრცელებული სახელი იყო „სანღური“ (იგივე „სონღული“). გვაქვს გვარი სონღულაშვილი (უფრო ადრე სონღულიძე). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში თუ ჩავიხედავთ, „სონღული“ საშუალო სიდიდის მტაცებელი ფრინველია, შევარდენტა ოჯახისა. ახლა „ფარეჯანის“ შესახებ. „ფარეჯანი“ იგივეა, რაც „ფარანჯომი“. საქართველოში კი ამ სახელით მეფეც გვყავდა, მირვან I-ის ძე. „ფარეჯანი“ თუშეთში ბოლო დრომდე გავრცელებული სახელი იყო. „ბალათარიც“ არ იყო უცხო ქართულ საკუთარ სახელთა სამყაროსათვის. ბოლო დრომდე ხევსურეთში „ბალათურა“ გავრცელებული სახელი იყო. ვ. აბაევის მითითებით საკუთარი სახელი „ბალათარ“ (ბაყათარ) თურქულ-მონგოლური მოდგმის ხალხებიდანაა გავრცელებული ისევე, როგორც რუსული სიტყვა „ბოგატირი“. თუ ჩავიხედავთ სვანეთის საისტორიო საბუთებში, ვნახავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სახელები გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ამ რეგიონშიც. მაგალითად, XIV ს. II ნახევრის საბუთში „დანერილი ერთობილთა ლაჰილელთა“ მონმედ დასახელებულია „ამსაჯან შაურეგიანი“. XIV ს-ის I ნახ. საბუთში მოხსენიებული არიან ამსაჯან და სანღურ იოსელიანები. XV-XVI სს-ის დანერილში – სანღურ ჩარკვიანი, XVII-XVIII სს. დეუდარიანთა

სახლის მოსახსენებელში „ბაღვათურ დეუდარიანი“. ასე რომ, ამ სახელების მიხედვით მნაველთა ოსობის მტკიცებას არავითარი საფუძველი არა აქვს. ასევე გამორიცხულია მნაველების დვალობა, როგორც ამას ზოგიერთი სხვა ავტორი ფიქრობს. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით ეს გამორიცხულია. გამორიცხულია, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფის ხალხი (თრუსოელები და მნაველები) ასე დაპირისპირებულნი ყოფილიყვნენ ერთმანეთისადმი. ისინი ერთმანეთის მტრები არიან. თრუსოელები ეხვეწებიან ვირშელ ერისთავს, რომ დაეხმაროს მტრების, მნაველების წინააღმდეგ. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით მნის „ქვეყანა“ ეთნოგრაფიულად ხევის „ქვეყნის“ თითქმის მსგავსი და ანალოგიურია. მნაველების დახმარება მოხევეებს გადაუწყვეტიათ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოხევეები თანამოდმეთ ეხმარებოდნენ. როდესაც ამას ვამბობთ, ვითვალისწინებთ, იმასაც, რომ „გერგეტის მატთანე“-ს მიხედვით მნაველები ისევე ეყმობოდნენ ხევის საერთო სალოცავს – გერგეტის სამებას, როგორც მოხევეები. მნაველების ოსობას გამორიცხავს (და მათ მოხევეობას ადასტურებს) 1439 წლის საბუთში ამ სოფელში აბიაურთა გვარის მკვიდრობა. მნაველი აბიაური, ალექსანდრე მეფის ბრძანებით, ხევმა მძევლად მისცა გერგეტის საყდრიშვილებს. მნაშივე, „გერგეტის მატთანე“-ს მიხედვით მკვიდრობდნენ ბადაისძეები (ქართველები), რომელთა შთამომავალნი (ბადაშვილები) დღეს ხევის სოფ. ხურთისში ცხოვრობენ.

ვ. ითონიშვილის მიხედვით კი მნაველები იმ ოსთა ნაწილს წარმოადგენენ, რომლებმაც XIV ს-ში ქართლის ზოგიერთი ადგილი დაიპყრეს: „მნა (ისევე როგორც გორი) ალანოსთა მიერ დროებით „დაპყრობილ“ ერთ-ერთ ალაგად შეიძლება ვიგულოთ“ (გვ. 72). ისტორიულ მეცნიერებაში, როდესაც წყაროების, საბუთების ადგილს წარმოსახვა იკავებს, ის უკვე ისტორიული მეცნიერებაა არაა.

ვ. ითონიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ „ძეგლი ერისთავთა“-ს თანახმად XIV-XV სს-ში ცხრაზმის ერისთავები და ქართველი მეფეები აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ დვალეების წინააღმდეგაც“. „ძეგლი ერისთავთა“-ს თუ კარგად წავიკითხავთ, აშკარაა, რომ დვალეების წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებენ მხოლოდ ქსნელი ფეოდალები. მასში მეფეთა ბრძოლის კვალი არ ჩანს დვალეების წინააღმდეგ. პირიქით, დვალეები სხვა მთიელებთან ერთად მეფის გარშემო იბრძვიან ცხრაზმის ხევის ფეოდალთა წინააღმდეგ: „მაშინ მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თჳსი და თათარნი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასავე ჴევსა შალვაჲს საერისთავოსა და ჩამოსხნა დვალნი და ჴადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქუემონი და დანუეს და მოაოჭრეს ყოველი ცხრაზმის ხევი...“. ჯ. გვასალიას სამართლიანი შენიშვნით, ქსნის ერისთავთა ბრძოლა დვალეების (და სხვა მთიელთა წინააღმდეგ), ესაა ბრძოლა დვალთა ქვეყნის სოციალური დამორჩილებისათვის, ბრძოლა თავისუფალ მეთემეთა და ფეოდალთა შორის. სამეფო ხელისუფლების დასუსტებისთანავე ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთი საგამგეო ტერიტორიების გაფართოებას. ამ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლება ფეოდალის მხარეს არასოდეს დაიკავებდა, რადგან განაპირა მთის თავისუფალი მეთემეებით დასახლებული ქვეყნები მეფის საგამგეოს წარმოადგენდა. ფეოდალები კი ამ „ქვეყნების“, დამორჩილებას ცდილობდნენ. ასეთსავე ბრძოლებს ჰქონდა ადგილი არაგვის ერისთავების მხრივ, როდესაც ისინი ასევე თავისუფალი მეთემეებით დასახლებული ფშავ-ხევსურეთის დამორჩილებას ცდილობდნენ.

კიდევ ერთ ციტატას მოვიტან ვ. ითონიშვილის წიგნიდან: „სამაგიეროდ დვალური ენის პროდუქტად საგულვებელი ძირძველი ტოპონიმიური ნომენკლატურა დამაჯერებლად ლაპარაკობს ქართველურ ენებთან (უნინარეს ყოვლისა კი

სვანურთან) ძველი დვალურის ნათესაობის დაშვების სასარგებლოდ...“. ვ. ითონიშვილის მიხედვით არსებობდა ძველი დვალური ენა (ე.ი. ახალი დვალურიც). საინტერესოა, რა მონაცემებზე დაყრდნობით?

ასეთია ვ. ითონიშვილის წიგნის ავ ... აქ კინალამ წამცდა და „ავ-კარგი“ დავწერე. ვ. ითონიშვილის ნაშრომის შესახებ კიდევ ბევრი უარყოფითი რამ შეიძლება ითქვას. მასში არ შეინიშნება რაიმე სიახლე, თუ არ ჩავთვლით დვალეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის ზოგიერთი ტოპონიმის საეჭვო ეტიმოლოგიზირებას. როდესაც ამა თუ იმ პრობლემაზე ახალი მონოგრაფია იწერება (თუმცა ავტორი დვალეების შესახებ მის „ნაკვლევს“ მონოგრაფიას არ უწოდებს და მომავალში ამ საკითხზე ახალი მონოგრაფიის დაწერას გვპირდება) და, მით უმეტეს, იბეჭდება, მასში ახალი სიტყვა უნდა იყოს ნათქვამი, სამეცნიერო მიმოქცევაში უნდა შემოიტანოს ახალი წყაროები, საისტორიო დოკუმენტები, მიიღოს ახალი დასკვნები. 31 წლით ადრე ამ საკითხზე გამოცემულ ვ. გამრეკელის მონოგრაფიას ეს ახალი წიგნი ვერაფრით ვერ ამეტებს, პირიქით, ის უკან გადადგმული ნაბიჯია. ის არ იყენებს არც ერთ სხვა ახალ წყაროს, იმეორებს ყველა იმ წყაროსა და საისტორიო საბუთს, რასაც ვ. გამრეკელი იყენებდა, ახდენს მისი სიტყვების პერიფრაზირებას და საისტორიო მეცნიერებაში დვალეების შესახებ პირველმთქმელის როლში გვევლინება. ამასთანავე, წინამორბედ ავტორს ხშირად აგდებით და მეორე-მესამე ხარისხოვან ამბებთან დაკავშირებით უთითებს. განსხვავება ისაა, რომ ვ. ითონიშვილმა დვალეები სვანურენოვან ტომად წარმოადგინა, გამრეკელს კი თავის მონოგრაფიაში ისინი ვაინახებდად მიაჩნდა. წინა თაობის ისტორიკოსის დიდი დამსახურება ის იყო, რომ მან ეტაპი შექმნა დვალეთისა და დვალეების ისტორიისა და ეთნოისტორიის კვლევის სფეროში. რაც მთავარია, მან არაერთი ქართული და არაქართული სა-

ისტორიო წყაროს მოშველიებით აჩვენა, რომ დვალეები არ იყვნენ ალან-ოსური ტომისანი (თუმცა დვალეების არაოსობაზე ადრე ნათქვამი ჰქონდათ ვ. აბაევს, გ. თოგოშვილს, დ. გვრიტიშვილს). მაგრამ, როგორც ჩანს, ვ. გამრეკელი სიცოცხლის ბოლომდე ფიქრობდა დვალეთისა და დვალეების შესახებ; ჩანს ბევრი რამ ახლიდან გაანალიზა და ქართულ ენციკლოპედიაში დვალეების შესახებ დაბეჭდილ ნარკვევებში მათი ზანურობის შესახებ მიუთითა. სხვათაშორის, ვ. გამრეკელმა დვალურში ზანიზმების შესახებ მიუთითა ჯერ კიდევ ადრე, 1958 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში. მან მოიტანა ერთი ათეული მაგალითი დღევანდელ ოსურსა და ზანურს შორის მსგავსი ონიმასტიკური ერთეულების არსებობის შესახებ. ისიც აღნიშნა, რომ საკუთრივ დვალეთის ტოპონიმია განმეორებულია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ვ. გამრეკელის აზრით, დვალეთსა და სამხრეთ ოსებში და სამეგრელო-გურიაში მსგავსი ონომასტიკური ერთეულების „საერთოობა წარმოადგენს სუბსტრატულ ფაქტებს, საერთო პირველად ნიადაგიდან მომდინარე ფაქტებს“. მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ახალი წელთაღრიცხვის საუკუნეების მანძილზე უშუალო ურთიერთობა მეგრელებსა და დვალეებს შორის გამორიცხულია. ამიტომ ონომასტიკის საერთოობა ვერ აიხსნება ურთიერთგავლენით. ეს საერთოობა ვერ აიხსნება მოქმედი ქართულის გავლენით, რადგან ქართულ ენაში მათი პარალელური ფორმები არ მოიძებნება. აქედან გამომდინარე ვ. გამრეკელი ფრთხილად ასკვნიდა, რომ „ზემო მოყვანილი ფაქტები (და მოსაზრებები) იმის მთქმელია, რომ დვალთა და მეგრულ ზანურ სამყაროს შორის კავშირის შესაძლებლობა არ უნდა იქნეს გამორიცხული და მეტიც, ისინი ასეთი კავშირის შესაძლებლობას გვაპირადებინებენ“. „ამრიგად, ვლინდება ძაფები, რომლებიც თითქოს მიუთითებენ ოსეთის (ე.ი. დვალეთისა) ძველი მოსახლეობის კავშირზე კოლხეთთან“. სამწუხარ-

როდ, ვ. გამრეკელის მონოგრაფიაში მისმა ამ დასკვნამ შემდეგი განვითარება ვერ ჰპოვა.

ვ. ითონიშვილი კი ყოველივე ამას მკითხველს უმაღლავს. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ დვალეების ქართველური ტომობის შესახებ თვითონ მოგვევლინოს პირველმთქმელად. ისიც უნდა ითქვას, რომ მას იმდენად დიდი მისწრაფება აქვს უცხოური სიტყვებისადმი, რომ ხშირად მათ უადგილოდაც ხმარობს. ყველა ყველა და ტერმინ „დისლოცირებული“-ს ხალხების, ტომების მიმართ ხმარება ჩვენთვის ნამდვილად აღმოჩენაა (მაგალითები: „ნანარების, თუშების, სვან-კოლხების დისლოცირების არეალის“); „რაც შეეხება ალანებს, დიგორებს და აშ-დიგორებს, მათი კომპაქტური დისლოცირების ალაგებად ისტორიული დვალეთის – ჩრდილოეთით“; „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დისლოცირებული ერთ-ერთი ტომის დონეზე“; დვალეთის ქვეყანა... „მოიცავდა და კასრის კარით იმიჯნებოდა ჩრდილო კავკასიის ბარში დისლოცირებული ირანულ-ენოვანი ეთნიკური მასივის სამხრეთით ლოკალიზებული მთისწინეთისა და მთის რეგიონებისაგან“.

როგორც აღინიშნა, ჩემს წიგნში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ საპირისპირო მეცნიერული არგუმენტაცია ვერ მივიღე, მივიღე მხოლოდ ლანძღვა და შეურაცხყოფელი გამონათქვამები, რასაც მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს. აი, ისინიც:

1. „იდიოტობამდე მისული მისი ცილისნამებლური გამოხტომა თავისი არსით თავსდება ფორმულაში – „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ეს არის ტვინის დაჩლუნგების ერთ-ერთი ქრესტომათიული მაგალითი. იგი ისეთ რამეებს წერს და „ამტკიცებს“, რომ მკითხველს უნებლიედ ეჭვი შეეპარება მის ფსიქოლოგიურ მდგრადობაში. მისი სუროგატის უდიდესი ნაწილი უჭირავს უბინძურესი ხერხებით ჩემს წინააღმდეგ

ბრძოლას. საკმარისია ეს ამოვიღოთ, რომ მისი „ნასიბრძნი“ განახევრდეს ... ის სწორედ კმაყოფილი დარჩა ჩემი წიგნის გამოცემით, რათა ბოლმა და შხამი გადმოენთხია. რაკი ასე მოიქცა, მეც ვღებულობ მის გამოწვევას, რითაც მეძლევა შანსი, რომ მთლიანად ვამხილო ამ ვაიმეცნიერის უტიფრობა, რაც მისი უმეცრების პირდაპირპროპორციულია“ (ვ. ითონიშვილი. დვალეთის ისტორიის საკითხები მრუდე სარკეში (როლანდ თოფჩიშვილის სუროგატის გამო), თბ., 2002, გვ. 5-6).

2. „ტვინის ჭყლეტვით მიღებული ქაოსიდან მაინც უნდა დავაყენო რამდენიმე საკითხი“ (გვ. 12).

3. „ამგვარი დამოკიდებულება უცაბედი დემოგრაფიული ცვლილებებისადმი და ეთნიკურ-ეთნოგრაფიული დამთხვევა-არდამთხვევისადმი მხოლოდ დამთხვეულის აზროვნების ადეკვატურია“ (გვ. 13).

4. „როგორც ვხედავთ, თავგზააბნეული მოგზაურის თერგის ხეობაში უთავბოლო ხეტიალის შედეგად მივიღეთ ლოკალიზაციისა და ქრონოლოგიის უნიკალური სუროგატი, რაც აბსოლიტურად შეუთავსებელია ისტორიკოსისათვის სავალდებულო აზროვნების მინიმალური ნორმებისათვის“ (გვ. 29).

5. „ძეგლის“ ცნობა ნამდვილად ნათელია, მაგრამ ის დაბნელებული და გაბუნდოვანებულია მისი კომენტატორის უნიჭო მარჩიელობით...“ (გვ. 38) ... „საიდანაც არ უნდა მივუდგეთ რ. თოფჩიშვილის „ტექსტოლოგიურ ძიებას“, საბოლოოდ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ის ვერ თავსდება არამც თუ მეცნიერული ანალიზის, არამედ საერთოდ ნორმალური აზროვნების ჩარჩოებში“ (გვ. 39).

6. „...რომლის გაცნობა მკითხველს დაარწმუნებს, თუ რაოდენ შეზღუდულია რ. თოფჩიშვილის თვალსაწიერი“. ... „შეზღუდულობასთან ერთად თვალშისაცემია დაბნეულობა

წყართა ჩვენებასთან და მის მიერ მოცემულ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით“ (გვ. 46).

7. „როგორც ამ ნაბოღვარიდან ჩანს...“ (გვ. 47); „დეზინფორმაციით გაგულისებული რ. თოფჩიშვილი ვახუშტის ამოეფარა“. „კაპას დიაცსავით განინმატებული ჩემი თავქარიანი ოპონენტი...“ (გვ. 47).

8. „დვალომანიით მონუსხული რ. თოფჩიშვილი დევებთან ალიანსში აღმოჩნდა და მათ დვალობა უწყალობა, ოღონდ კი შიდა ქართლის ტერიტორიაზე დვალთა სინსილა გაენყვიტა. ამგვარი დილეტანტობა და ზღვარდაუოკებელი პარადოქსი მხოლოდ პათოლოგიურობით თუ აიხსნება“ (გვ. 73).

მკითხველი უნდა დავინდო და ასეთი ციტატების მოყვანა შევენყვიტო და მხოლოდ რამდენიმე სიტყვათა შეთანხმების მოყვანითლა დავკმაყოფილდები: „ბილნი სიცრუე“, „ბლაგვი აზროვნება“, „უნიჭო ფანტაზიის ნიმუში“, „თოფჩიშვილის თაღლითობა“, „ლინგვისტური აზროვნებით შეპყრობილი მეოცნებე“, „საკუთარ მეცნიერულ ღირსებებსა და ნიჭიერებაზე ჰიპერტროფიული წარმოდგენის მქონე“, „მენვრილმანე ბუნების კაცის გარდა ვის გაუჩნდებოდა ასეთი ნაცარქექიაობის სურვილი?“ სალანძღავი წიგნის დასკვნა კი ასეთი გახლავთ: „დასასრულ მინდა გულწრფელად ვაღიარო, რომ დასანანია ნაშრომად სახელდებული სუროგატის მხილებისათვის დახარჯული დრო იმის ღრმა რწმენით, რომ რ. თოფჩიშვილის მონჯღრეული ფსიქიკა და აკვიატებული თვითდაჯერება, თითქოს მან გამოკვლევა დაწერა, მაინც არ შეიცვლება. ამიტომ, საკუთარი თავის წინაშე ბოდიშს ვიხდი, რომ რ. თოფჩიშვილს თავი გაუწყადრე, მაგრამ მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობამ განსაზღვრა ჩემი მხრიდან რეაგირების ლოგიკურობა“ (გვ. 120).

ავტორს არც წიგნის გამომცემელ-რედაქტორი მამა ვ. ითონიშვილი ჩამორჩა: „მან მოსვენება დაუკარგა ვახტანგის მიმართ დაუფარავი სიძულვილითა და უსაფუძვლო მტრობით დამუხტულ რ. თოფჩიშვილს. თავისი ეს დამოკიდებულება მან მანიაკური ბოღმითა და გესლით გამოხატა წიგნში – „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები“ (1997 წ.), რის გამოც ვახტანგი იძულებული გახდა ემხილებინა სიცრუესა და ცილისწამებაზე დაფუძნებული ფალსიფიკაცია“ (გვ. 3).

დიახ, სიცრუე და ფალსიფიკაცია ყოფილა ჩვენი მონოგრაფია, რომელიც საქართველოში ოსთა ჩამოსახლებას ეხება და რომელშიც, წყაროებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია ოსთა საქართველოში მიგრაციის რეალური ისტორია, მოხმობილია იმის დამადასტურებელი არგუმენტები, რომ დვალები მხოლოდ და მხოლოდ ქართველი მთიელები იყვნენ და არა ოსები და ვაინახები.

ვერც შვილისა და ვერც მამის სალანძღავ, შეურაცხმყოფელ ფრაზებს ვერავითარ კომენტარს ვერ გავუკეთებ; არც თავის დროზე მიფიქრია მათ გამოვხმაურებოდი. ეს მეცნიერების ჩარჩოებს ძალიან სცილდება და უკვე სხვა სფეროში გადადის, რასაც სახელს ვერ ვუწოდებ. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ასეთი ლექსიკით შეიარაღებულნი, ბუნებრივია, მეცნიერებასთან მწყრალად არიან და აღნიშნულ იარაღს იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც სამეცნიერო არგუმენტები არ გააჩნიათ. მამა ვ. ითონიშვილისათვის ასეთი სტილი ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. განსხვავებულად მოაზროვნეებს საბჭოთა პერიოდის რაიონულ გაზეთებშიც კი არ ინდობდა და ზუსტად ანალოგიური ლექსიკით ამკობდა. კიდევ ერთი რამ: რ. თოფჩიშვილს, ზოგიერთთაგან განსხვავებით, არც კაგებეში უბეზღებია ვინმე, არც აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ისტორიის ინსტრუქტივიდან გაძევებისათვის „უღვანია“, იმის

გამო, რომ ქართული ეთნოლოგიის მესაჭე დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ერთხანს ქალაქ ფოთის მერი იყო, და არც კოლეგისათვის ფარულად პარტიული გადასახადების დათვლა დაუვალებია, ჰონორარების მიხედვით ჰქონდა თუ არა მისთვის არასასურველ პიროვნებას პარტიული გადასახადი გადახდილი და არც ისტორიის ინსტიტუტში, როგორც პარტიუროს მდივანს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები უდევნია.

ზემოთ მოყვანილ ციტატებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: მომავალმა მეცნიერებმა მხოლოდ უნდა იკვლიონ, არავინ ლანძღონ განსხვავებული აზრისათვის და არც იმისათვის, როდესაც მას წინა თაობის მკვლევართა შემოქმედების პატივისცემისაკენ მიუთითებენ, მიუთითებენ იმისაკენ, რომ სხვათა მოსაზრებები საკუთარ მოსაზრებებად არ უნდა გამოაცხადონ.


კიდევ ერთს აღვნიშნავ, ფრიად სამწუხაროა, რომ დვალეთის პრობლემაზე რ. თოფჩიშვილის ლანძღვას, როგორც ჩანს, უნებლიედ მოყვა სეპარატისტი და მითოლოგემების შემქმნელი ოსი „მეცნიერების“ თანამოაზრეობა.

P S. წიგნის სტამბაში შესვლამდე დიდხანს ვფიქრობდი *დანართის* მოხსნის შესახებ. მისი დატოვება-არდატოვებისათვის კი გადაწყვეტილება უნდა მიმეღო დვალეთის შესახებ ვ. ვ. ითონიშვილის მორიგი წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, რომლის გამოცემის შესახებაც ჩემთვის ცნობილი იყო. ამ ფაქტორის გამოც მაინცდამაინც არ ვჩქარობდი დიდი ხნის წინ სასტამბოდ გამზადებული წიგნის დაბეჭდვას. 2016 წლის ივნისის მეორე კვირას ვ. ვ. ითონიშვილის ახლად დაბეჭდილი წიგნი, – „*დვალეები და დვალეთი*“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ისტორიის, ეთნოლოგიის და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის ეგიდით გამოიცა, – წავიკეთხე და, შესაბამისად, დანართის დატოვების გადაწყვეტილებაც მივიღე.

სარჩევი

შესავალი.....	5
I.წერილობითი წყაროები დვალეთისა და დვალეების შესახებ. საკითხის შესწავლის ისტორიოგრაფია	10
II.დვალეთის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები	33
III.ქრისტიანობა დვალეთში	101
IV.ღუნდის სახარების მინაწერი XIV-XV საუკუნეების მიჯნის მინაწერი — დვალთა ქართველობის დამადასტურებელი წყარო.....	113
V.დვალეთის მატერიალური კულტურის ძეგლები.....	121
VI.ანთროპონიმები დვალეების ეთნიკური კუთვნილების შესახებ.....	136
VII.ტოპონიმები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ.....	162
VIII.ეთნოგრაფიული მონაცემები დვალეების შესახებ	184
IX.ფოლკლორი დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ.....	210
X.დვალთა მეტყველების შესახებ	228
დასკვნა	238
<i>Роланд Топчишвили, Двалети и двалы: Потерянная историко-этнографическая область Грузии и исчезнувшая этнографическая группа Грузии</i>	<i>250</i>
დანართი	305

დვალეთი. ვახუშტი ბაგრატიონი.
საქართველოს ატლასი (XVIII ს),
თბ., 1997.





ISBN 978-9941-426-33-6



9 789941 426334